მერაბ კალანდაძე

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში

თბილისი 2006

წინამდებარე ნაშრომში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში კომპლექსურად არის განხილული საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა — აგრარული კანონმდებლობის გაშუქება საქართველოში.

განკუთვნილია საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველისა და სტუდენტებისათვის.

რედაქტორი კ. ანთაძე
რეცენზენტები: ნ. მამუკელაშვილი, გ. ჭელიძე

სარჩევი

შესავალი.....5

კარი I — საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლის სათავეებთან

თავი I — ქართველი სამოციანელები და აგრარული საკითხი საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ.....9

თავი II — საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის გაშუქება საქართველოში 1905-1907 წლებში.....16

თავი III —საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის შესწავლა დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში.....31

კარი II — საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მეცნიერული შესწავლის მესაძირკვლეები

თავი I — XX საუკუნის ძველბედობა საქართველოში. ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია..... 39

თავი II — გრ. ნათაძის შრომები საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობაზე.....44

თავი III — ალ. ნამორაძის შრომები საფრანგეთის დიდი რევოლუცის აგრარულ საკითხზე.....63

კარი III — საქ̇ართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა ალ. ნამორაძის მოწაფეების მიერ

შესავალი.....121

თავი I — გ. კილურაძის მოხსენება რევოლუციის წინ საგლეხო მიწათმფლობელობაზე.....122

თავი II — რ. სიკინჭალაშვილის ნაშრომი საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობაზე.....129

თავი III — მირიან ეფრემიძე დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობის შესახებ.....141

დასკვნა.....173

შესავალი

თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსის მიშელ ვოველის თქმით, „საფრანგეთის რევოლუცია არის მნვავე საკითხი, რომლის გარშემოც საფრანგეთში არასდროს არ ყოფილა სახალხო შეთანხმება". გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ალბერ სობული აღნიშნავდა „ვნებათაღელვა, რომელიც ბობოქრობდა შორეულ XVIII საუკუნის მიწურულს, კვლავ რჩება თანამედროვე სამყაროს ცენტრში. სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობების გზაჯვარედინზე, რომელმაც გაჰყო ადამიანები და განაგრძობს მათ გაყოფას". ეს ადვილი გასაგებიცაა. თანამედროვე ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა".

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ირგვლივ ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მრავალი საინტერესო, ხშირად ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საფრანგეთის რევოლუცია გამოაცხადეს ლეგენდად, მითად, რომლის მიხედვითაც, არავითარი საფრანგეთის რევოლუცია არ მომხდარა, უბრალოდ, ერთმანეთს დაემთხვა რამდენიმე კრიზისი ატლანტიის ოკეანის ორივე ნაპირზე და სხვა არაფერი.

თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსის პიერ შონიუს თქმით, „ეს ათი წელი ყველაზე უფრო საშინელი იყო საფრანგეთის ისტორიაში". ცხადია, აქ იგულისხმება 1789-1799 წლები, რომლის განმავლობაში გრძელდებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია.

თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსების ფრანსუა ფიურეს და დენი რიშეს თანახმად საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო „დამუხრუჭება, სწორი გზიდან გადახვევა". აბატი ბარუელი კიდევ უფრო შორს მიდის და ირწმუნება, რომ თითქოს საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო „მასონთა შეთქმულების შედეგი". „რევოლუცია უსაზიზღრესი და უსასტიკესი მომენტი იყო ფრანგი ერის ცხოვრებაში. მან ბურჟუაზიის სასარგებლოდ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მრავალი დიდებული მოღვანე გათელა ფეხ-

ქვეშ. არავითარი დადებითი არც საფრანგეთის რევოლუციას და არც სხვას არ მოჰყოლია".

არსებობს სრულიად საპირისპირო მოსაზრებები. ფრანგი ისტორიკოსის ჟიულ მიშლეს აზრით, „საფრანგეთი ორჯერ იქნა გადარჩენილი. ერთხელ ჟანა დ'არკის მიერ, ხოლო მეორეჯერ საფრანგეთის რევოლუციის მიერ".

გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, ლიბერალური ისტორიოგრაფიის თავკაცი, ალფონს ოლარი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და რესპუბლიკის მხურვალე მომხრეა. იგი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე დადებითი აზრისაა და მისი საყვარელი გმირია ჟორჟ ჟაკ დანტონი.

ალბერ მატიეზი მიესალმება საფრანგეთის დიდ რევოლუციას და განსაკუთრებულ პატივს მიაგებს მაქსიმილიან რობესპიერს, ხოლო დანტონის სახელს აუგად მოიხსენიებს.

ფრანგი ისტორიკოსის ჟან ჟორესის თქმით, „საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო პროგრესის ბარბაროსული ფორმა".

„საფრანგეთის რევოლუციამ შეცვალა არა მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლება, არამედ ფრანგი ხალხის მთელი ცხოვრება... მან შეცვალა თვითნებობა კანონებით, პრივილეგიები — თანასწორობით" — წერდა XIX საუკუნის დასაწყისში ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა მინიე.

რევოლუციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის კონსესუსის მიღწევა შეუძლებელია და, ალბათ, არცაა საჭირო. საფრანგეთის დიდი რევოლუციის თანამედროვე ისტორიოგრაფია არის უაღრესად მრავალფეროვანი, რთული და მრავალწახნაგოვანი. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ფრანგულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ქაოსსა და დაბნეულობაზე კი არ მეტყველებს, როგორც ამას სულ ცოტა ხნის ნინათ საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, არამედ მასში, უპირველეს ყოვლისა, ფრანგულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ ფეხმოკიდებული პლურალიზმის, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის ანარეკლი უნდა დავინახოთ.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის გარშემო დავა, ცხადია, არ გასრულდება. რას იზამთ, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა".

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში ყურადღებას იპყრობს რევოლუციის აგრარული საკითხი, საფრანგეთის პირველი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა. ამ აქტუალური თემისადმი ქართული საზოგადოების ყურადღება სავსებით ბუნებრივი უნდა იყოს.

ვფიქრობთ, შემთხვევითი სულაც არაა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის კონკრეტული თემატიკიდან ქართული საზოგადოების ყველაზე დიდი ინტერესი აგრარულმა საკითხმა გამოინვია. ამ პრობლემის აქტუალობა, პირველ ყოვლისა, იმით იყო მოტივირებული, რომ ქართული საზოგადოება ეძებდა თავის სამშობლოში აგრარული საკითხის გადაჭრის სასურველ გზას და ამ კითხვაზე სნორი პასუხის ძიების დროს ყურადღებას მიაპყრობდა წარსულს, ისტორიას. ასე აღმოჩნდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული პრობლემა მათი თვალთახედვის ორბიტაში. ამ დაინტერესებას კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა „რუსულმა სკოლამ". (გასათვალისნინებელია, რომ ქართველი მეცნიერები პროფ. გრ. ნათაძე იყო ცნობილი რუსი ისტორიკოსის პროფესორ ივანე ლუჩიცკის, რომელიც ამ საკითხის ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევრად იყო მიჩნეული თვით საფრანგეთში, მონაფე, ხოლო კიევის უნივერსიტეტში ალ. ნამორაძის მასნავლებელი იყო საფრანგეთის XVIII საუკუნის ისტორიის „ძველი რეჟიმის" ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი პროფ. პაველ არდაშევი).

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის შესნავლით პირველად დავინტერესდით მაშინ, როდესაც ვსნავლობდით პროფ. გრიგოლ ნათაძის და პროფ. ალ. ნამორაძის შემოქმედებას. სნორედ ამ პერიოდში დაგვებადა აზრი გაგვეფართოებინა კვლევის არეალი და ამ თემის შესნავლა ბოლომდე მიგვეყვანა. მით უმეტეს, რომ ეს საკითხი ჯერ არ გამხდარა ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური, საგანგებო, სიღრმისეული კვლევის საგანი. ამიტომ მიზანშენონილად მივიჩნიეთ შეგვევსო ეს ხარვეზი და საგანგებოდ შეგვესნავლა თუ რა ვითარება იყო საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის დამუშავების სფეროში.

ადვილი შესაძლებელია, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის შესახებ საინტერესო ინფორმაციას ნავაწყდეთ ქართულ პერიოდულ პრესაში. გამორიცხული არაა, რომ ზოგიერთი ავტორი საქართველოს ისტორიის აქტუალური საკითხების განხილვის დროს გაკვრით ეხებოდა ამ თემასაც. ეს კარგად გამოჩნდება ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის დამუშავების დროს.

ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა XIX საუკუნის ქართველი სამოციანელების დაინტერესება რევოლუციამდელი საფრანგეთის აგრარული მდგომარეობით. ეს უწინარესად რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოში აგრარული საკითხის აქტუალობით იყო გამოწვეული.

ქართველ სამოციანელებს საგანგებოდ, სპეციალურად, არ შეუსწავლიათ აგრარული პრობლემა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ, მაგრამ ეძებდნენ რა საფრანგეთის რევოლუციის გამომწვევ მიზეზებს, ისინი, ცხადია, გაკვრით ეხებოდნენ ამ თემასაც და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მის საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებდნენ. მათი ეს მსჯელობა საინტერესოა და მის მეცნიერულ ღირებულებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი შემეცნებითი დატვირთვა.

XIX საუკუნის ქართველი სამოციანელები (ს. მესხი, გ. წერეთელი, დ. მიქელაძე) საფრანგეთის დიდ რევოლუციას კანონზომიერ მოვლენად აღიქვამდნენ და მის გამომწვევ მიზეზებს რევოლუციამდელი საფრანგეთის ე. წ. „ძველი რეჟიმის" პერიოდში, მათ შორის, საფრანგეთის აგრარულ ყოფაში, ეძებდნენ, მიუთითებდნენ ფრანგი გლეხის შეჭირვებულ მდგომარეობაზე რევოლუციის წინ.

დათა მიქელაძე თავის საინტერესო წერილში „საფრანგეთი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა „ფრანციის სახელმწიფო წყობა". ის მიმოიხილავს 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის წინ არსებულ ვითარებას და დასძენს, რომ „რევოლუციამ მოსპო ხალხის შემავიწროებელი ბევრი კანონი".[1] ერთ-ერთი მათგანი იყო სენიორალური გადასახადების გაუქმება.

გიორგი წერეთელი დასძენდა „ძველი წყობილება ისე წახდა და გაირყვნა, რომ ... ასეთ ვითარებაში დაიბადა რევოლუცია, რომელმაც ბოლო მოუღო იმ ძველ დამყაყებულ წყობილებას".[2] მათ შორის, ცხადია, რევოლუციამდელ აგრარულ ურთიერთობებსაც.

---

[1] დ. მიქელაძე, საფრანგეთი, „დროშა", 1872, გვ. 29-30; ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები, გვ. 35.

[2] გ. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, თბ., 1931, გვ. 31; ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა იგულისხმება, გვ. 34.

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ თემას ქართველი სამოციანელებიდან შედარებით ყველაზე ვრცლად ეხებოდა დიდი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ნიკო ნიკოლაძე. ამ აქტუალურ პრობლემას გამოეხმაურა ის თავის ორ საინტერესო პუბლიცისტურ წერილში. 1864 წელს გამოვიდა მისი სტატია „რამდენიმე სიტყვა ერთი ძველი საკითხის გამო", რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის ჰაინრიხ ფონ ზიბელის წიგნზე „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია" გამოხმაურებას, რეცენზიას. 1870 წელს ნ. სკანდელის ფსევდონიმით დაწერილი სტატია „ახალი საფრანგეთი", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „კრებულში".

ეს თემა ვრცლადაა განხილული პროფ. ვარლამ დონაძის მონოგრაფიაში „საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა", მაგრამ იგი იძულებული იყო ნიკო ნიკოლაძის ნააზრევისათვის მარქსისტული ინტერპრეტაცია მიეცა. თუ ამ განხილვას მარქსისტულ შტამპებს და სტერეოტიპებს ჩამოვაშორებთ, მასში ფასეული უეჭველად რჩება.

„ამასწინათ გამოვიდა თარგმანი, შესრულებული ოსოსოვის რედაქციით, ზიბელის თხზულებისა: „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია". ამ წიგნმა მრავალი აზრი წარმოშვა ძველი საკითხის გამო. განზრახული გვაქვს ეს აზრები გავუზიაროთ ჩვენს მკითხველს".[1]

უპირველეს ყოვლისა, ცხადია, წამოიჭრება საკითხი რა წყაროებს იცნობდა ნიკო ნიკოლაძე რევოლუციამდელი საფრანგეთის აგრარულ ყოფაზე? პროფ. ვარლამ დონაძეს მიაჩნია, რომ ნიკო ნიკოლაძე უმთავრესად ეყრდნობოდა ცნობილი ინგლისელი მოგზაურის არტურ იუნგის ჩანაწერებს, რომელმაც იმოგზაურა საფრანგეთში 1787-1790 წლებში.[2] მნიშვნელოვანწილად ამით იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ ნიკო ნიკოლაძე ამ საკითხის სერიოზულ ცოდნას ამჟღავნებს, რაც განსაზღვრავს აღნიშნულ თემაზე მისი მსჯელობის ღირებულებას.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო, თხზ. ტ. 1, თბ., 1962, გვ. 195.

[2] ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები, გვ. 36-37.

ნიკო ნიკოლაძის ღრმა რწმენით, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი მიზეზი რევოლუციამდელი საფრანგეთის აგრარულ ყოფაში უნდა ვეძიოთ. ეს არის მიწა და სხვადასხვა სოციალური ფენების მისადმი დამოკიდებულება. საფრანგეთის აგრარული განვითარების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მართალია ფრანგი გლეხი იურიდიულად თავისუფალი იყო, მაგრამ ეკონომიკურად კვლავ რჩება სენიორზე დამოკიდებული. მიწაზე სენიორის უფლებები ძალაში დარჩა. იგი გერმანელ ისტორიკოსს ჰაინრიხ ფონ ზიბელს სწორედ ამ პრობლემისადმი გულგრილ დამოკიდებულებას საყვედურობდა.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, მიწა ძირითადად მეფის, თავადაზნაურობის და სამღვდელოების მფლობელობაშია. „მთელი მიწა მაშინ მხოლოდ და მხოლოდ არისტოკრატიას ეკუთვნოდა, ესე იგი აზნაურობას, სამღვდელოებას და მონასტრებს. იგი განაწილებული იყო არისტოკრატიის მდიდარ ნევრებს შორის. ასე რომ არსებობდა მხოლოდ დიდი, საადგილმამულო საკუთრება, ხოლო ნვრილ მესაკუთრეზე ლაპარაკი სულაც არ იყო".[1] ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებდა ნიკო ნიკოლაძე თავის წერილში „ახალი საფრანგეთი", რომელიც დაიბეჭდა 1870 წელს ჟურნალ „კრებულში". „რაინდების შთამომავლობას და სამღვდელოებას ხელში ეკავათ თითქმის მთელი საფრანგეთის უმჯობესი სახნავ-სათესი მიწის ნახევარი... დანარჩენ მიწებზე, აგრეთვე პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ვრცელდებოდა მათი სენიორული უფლება და ამგვარად, ის მიწა... რომელიც საზოგადოდ, მთელი სახელმწიფოს და ხალხის მარჩენალია, თითქმის სულ ერთიანად რამდენიმე კაცის ხელშია ჩავარდნილი".[2]

ნიკო ნიკოლაძის ეს მსჯელობა საინტერესოა და ეხება მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს, რომლის ირგვლივ ისტორიკოსთა

---

[1] ნ. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 205-206.

[2] ნ. სკანდელი (ნიკოლაძე), ახალი საფრანგეთი, ჟურნალი „კრებული", 1870, 1, გვ. 225-226; ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები, გვ. 36.

შორის კონსესუსი არასდროს ყოფილა: 1. საფრანგეთის აგრარული განვითარების დამახასიათებელი თავისებურებანი, 2. ვის ეკუთვნოდა მიწა რევოლუციამდელ საფრანგეთში, 3. არსებობდა თუ არა რევოლუციის წინ წვრილი გლეხური საკუთრება.

ნიკო ნიკოლაძის ამ მსჯელობას ზოგადად შეეხო პროფ. ვარლამ დონაძე. იგი ახდენს ამ ფაქტის, კონსტანტაციას. სწორად გადმოგვცემს ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებს, მაგრამ ტოვებს უკომენტაროდ.[1]

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძეს ძალიან კარგად აქვს გააზრებული საფრანგეთის აგრარული განვითარებისათვის დამახასიათებელი შტრიხი. „არ არსებობს მიწა უსენიოროდ". როდესაც „თავისუფალი პიროვნება იჯდა არათავისუფალ მიწაზე".[2]

ნიკო ნიკოლაძის მოსაზრება, რომ რევოლუციამდელ საფრანგეთში მიწას ფლობდა მეფე, თავადაზნაურობა და სამღვდელოება, მაშინდელ ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო და თავისი მომხრეები ჰყავდა. ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ფრანგი გლეხი მიწის მესაკუთრე იყო „ძველი რეჟიმის" დროს. ხაზგასმულია, რევოლუციამდელ საფრანგეთში წვრილი გლეხური საკუთრების მნიშვნელობა. „ახლა ცნობილია, რომ საფრანგეთის მრავალ პროვინციაში ჯერ კიდევ 1789 წლამდე წვრილი გლეხური საკუთრების რიცხვი იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი". ამიტომ შეიძლება არ დავეთანხმოთ ნიკო ნიკოლაძეს თითქოსდა რევოლუციამდელ საფრანგეთში „წვრილ მესაკუთრეზე ლაპარაკი სულაც არ იყო". ასეთი კატეგორიული ტონი მიუღებელია.

ნიკო ნიკოლაძე რევოლუციამდელი ფრანგი გლეხის შეჭირვებულ ყოფას უმთავრესად ორ გარემოებას უკავშირებს. სენიორალური გადასახადების სიმძიმეს და ფრანგი გლეხის უმიწობას. აი რას წერდა იგი: „გლეხობის უმიწობას უსაშინლესი შედეგები ჰქონ-

---

[1] ვ. დონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 36.
[2] ნ. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

და. მთელი თემები იღუპებოდა შიმშილისგან, რომ არაფერი ითქვას სხვადასხვა სნეულებაზე, რომელიც უჭმელობისგან წარმოსდგებოდა".[1]

ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ ფრანგ გლეხს, უმიწობასთან ერთად, ძალიან ჩაგრავდა სენიორალური რეჟიმი. მის ხელში მყოფი მიწა სენიორალური გადასახადებით იყო დაბეგრილი.[2] „ჩივილის (სანადელის) რვეულებიდან კარგად ჩანს, რომ გლეხობის ყველაზე დიდ უკმაყოფილებას, სწორედ, სენიორალური ვალდებულებები იწვევდა. „არა მცირე მინიანობა, არამედ ფეოდალურ უღელში მოქცეული მიწა. აი რაში მდგომარეობდა რევოლუციამდელი ფრანგი გლეხის ძირითადი სატკივარი"[3] — აღნიშნავდა სახელმოხვეჭილი რუსი ისტორიკოსი ევგენი ტარლე.

შესაძლოა, ნიკო ნიკოლაძე ცოტათი ამუქებდა რევოლუციამდელი ფრანგი გლეხის შეჭირვებულ ყოფას. მართლაც რევოლუციის წინ ფრანგი გლეხის მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, მაგრამ არა ყველასი. იყო გლეხთა ისეთი კატეგორია, რომლის ცხოვრების პირობები რევოლუციის დაწყებამდე გაუმჯობესდა და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

ნიკო ნიკოლაძემ დამაჯერებლად აჩვენა რევოლუციამდელი საფრანგეთის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, მიწათმოქმედების ექსტენსიური ხასიათი. „მეურნეობა დაცემული იყო. სოფლელები ... დარწმუნებულები იყვნენ, რომ სულ ერთია რამდენიც უნდა მოვიყვანოთ, ბევრი თუ ცოტა, სულ ერთიანად ხელიდან წაგვივაო და ჩვენ იმდენს დაგვიტოვებენ, შიმშილით არ მოვკვ-

---

[1] იქვე, ნ. სკანდელი (ნიკოლაძე), ახალი საფრანგეთი, ჟურნ. „კრებული", 1, 1871, გვ. 131; ვ. დონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[2] ნ. სკანდელი (ნიკოლაძე), ახალი საფრანგეთი, ჟურნ. „კრებული", 1, 1870, გვ. 129.

[3] Тарле Е, Крестьяне и рабочие в эпоху великой революции, СПБ, 1919, გვ. 50-51.

დეთ და გაისად კიდევ მინის მუშაობა და საზრდოს მოყვანა შეგ-ვეძლოს".[1]

ნიკო ნიკოლაძე მოკლედ ჩერდება რევოლუციამდე მოიჯარადე გლეხის მდგომარეობაზე.[2] უფრო ამომწურავი სურათის მისაღებად, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო გლეხთა სხვა კატეგორიებზე. პირველ რიგში კი „ცენზიტარ" გლეხზე".

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მისთვის ჩვეული პუბლიცისტური ნიჭიერებით დაგვიხატა რევ-ოლუციამდელი საფრანგეთის აგრარული ყოფა. მისი ეს ორი წერ-ილი სამეცნიერო პუბლიცისტიკის შესანიშნავი ნიმუშებია.

---

[1] ნ. სკანდელი (ნიკოლაძე), ახალი საფრანგეთი, ჟურნ. „კრებული", 1, 1870, გვ. 120; ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუ-ალური პრობლემები, გვ. 37.

[2] ნ. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

II თავი

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის გაშუქება საქართველოში 1905-1907 წლებში

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის განხილვის საქმეში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია 1905-1907 წლების რევოლუცია. საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს აგრარულ საკითხს ცენტრალური ადგილი ეჭირა. ისე როგორც რევოლუციამდელ ფრანგ გლეხს, ქართველ გლეხსაც სურდა მიეღო მიწა.

ამ პერიოდში გამოვიდა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, სადაც რევოლუციის ისტორიის განხილვის დროს საუბარი შეეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს: აქ ვგულისხმობთ ფედერალისტური პარტიის წევრის ვ. ლორთქიფანიძის წიგნს „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის ნოე ჟორდანიას წიგნს „საფრანგეთის ისტორიიდან, დიდი რევოლუცია“, „გლეხთა საკითხი საფრანგეთში“, თარგ. ქარუმიძისა, „ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევები (საფრანგეთის წარსულიდან)“, თარგ. ელიავასი. „საფრანგეთის ისტორიიდან“ თარგ. შარაშიძისა, ნაუმოვის „როგორ მოიპოვა საფრანგეთის ხალხმა მიწა და თავისუფლება“, თარგ. ახალციხელისა.

„საფრანგეთის დიდი რევოლუცია ფელეტონებად იბეჭდებოდა „ცნობის ფურცელში“, რადგან ქართულად არაფერი დაწერილა ამ შესანიშნავ ხანაზე, მეტად არ მივიჩნიეთ ამ ფელეტონების ცალკე წიგნაკებად გამოცემა. ახლო მომავალში ვეცდებით მეორე წიგნაკის გამოცემასაც.

ამ მოკლე ისტორიის შედგენის დროს უმთავრესად ვილჰელ ბლოსის და ოლარის ცნობილი წიგნებით ვსარგებლობდით“.[1]

---

[1] ვ. ლორთქიფანიძე, საფრანგეთის დიდი რევოლუცია (1789-1792), წიგნი 1, თბ., 1906, გვ. 3.

აქ მცირე კომენტარი უნდა გავაკეთოთ. ცხადია, ვ. ლორთქიფანიძე გულისხმობს წიგნებს, თორემ ქართულ პერიოდულ პრესაში, ჟურნალ-გაზეთებში, საფრანგეთის რევოლუციაზე ბევრი ითქვა და დაიწერა.

იქ წიგნის შემდგენელი მკაფიოდ, გარკვევით აყალიბებს თავის მიზნებსა და ამოცანებს. მას სურს საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაცია და ბლოსისა და ოლარის წიგნების მიხედვით საინტერესო ისტორიული ნარკვევი შეუდგენია. ბლოსი და განსაკუთრებით კი ოლარი საკმაოდ კომპეტენტური ისტორიკოსები იყვნენ და საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციაზე წიგნის შემდგენელს, ვ. ლორთქიფანიძეს, საკმაოდ დიდ ინფორმაციას მიაწვდიდნენ. ვ. ლორთქიფანიძემ პირველად ქართულ სინამდვილეში მოკლედ გადმოსცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვ. ლორთქიფანიძემ ამ მოკრძალებულ მისიას კარგად გაართვა თავი და ქართველ საზოგადოებას მიაწოდა საინტერესო მასალა, რომელიც მკითხველს დაეხმარებოდა ზოგადი წარმოდგენა შეექმნა მსოფლიო ისტორიის ამ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე. ვ. ლორთქიფანიძის წიგნის ღირებულება მის შემეცნებით მნიშვნელობაში მდგომარეობს.[1]

ვ. ლორთქიფანიძე აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. იყო სოციალ.ფედერალისტთა პარტიის წევრი. ამავე დროს, ის, როგორც ჩანს, დაინტერესებულია ისტორიით და გარდა ამ წიგნისა მას უთარგმნია გიროსა და ლაკურ-გეიეს წიგნი „რომის ძველი ისტორია".

თავისი წიგნის პირველ მონაკვეთში მეტად მარტივად აცნობს ქართველ მკითხველს რევოლუციამდელი საფრანგეთის აგრარული განვითარების ძირითად თავისებურებას. ფრანგი გლეხი პირადად თავისუფალია, მაგრამ „თავისუფალი პიროვნება იჯდა არათავისუფალ მიწაზე". მან კარგად დაინახა, რომ ფრანგი გლეხის გაჭირვე-

---

[1] გ. კიღურაძე, ახალი ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1970, გვ. 362; მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში, „საქართველოს კომუნისტი", 7, 1989, გვ. 94.

ბული ყოფის მთავარი მიზეზი სწორედ სენიორული გადასახადები იყო. ამის კიდევ ერთ მიზეზს ვ. ლორთქიფანიძე ფრანგი გლეხის მცირემინიანობაში და საბაჟოებში ხედავს. „გლეხს მოწეული პურის გაყიდვა რომ მოენდომებინა რომელსამე ქალაქში, გზაზე რამდენიმე საბაჟოზე ბაჟი უნდა გადაეხადა მემამულის, თუ ქალაქის სასარგებლოდ, ისე გზაზე არავინ გაატარებდა. ამას დაუმატეთ არაპირდაპირი გადასახადები, მათ შორის ყველაზე უფრო საგრძნობელი მარილის გადასახადი და ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ იმ დროის საფრანგეთის გლეხის ყოვლად აუტანელი მდგომარეობა".[1]

ვ. ლორთქიფანიძე აღიარებდა რევოლუციამდელ საფრანგეთში წვრილი გლეხური საკუთრების არსებობას, რაც ფრანგი ისტორიკოსის ა. ოლარის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგი უნდა იყოს. „მთელ საფრანგეთში, გარდა მცირე ნანილისა, ყველგან დიდი მემამულენი და სულ წვრილი მესაკუთრენი იყვნენ და ეს წვრილი საკუთრებაც სულ პატარა ნაჭრებად იყო დაყოფილი და ვინ იცის რამდენ ადგილას მდებარეობდა".[2]

ამის შემდეგ ვ. ლორთქიფანიძე ქართველ მკითხველს გააცნობს საფრანგეთის რევოლუციის მიმდინარეობას და, რა თქმა უნდა, მოკლედ ეხება რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობას, პირველ რიგში კი 1789 წლის აგვისტოს დეკრეტებს, რომელსაც თანამედროვეებმა „სასწაულების ღამე" უწოდეს.

„1789 წლის 4 აგვისტოს ღამეს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საფრანგეთის ერის წარმომადგენლებმა ერთბაშად მოსპეს მთელი ნაშთი ძველი ფეოდალური წესწყობილებისა. საფრანგეთის ნიადაგი გაინმინდა მავნე ბალახისაგან და მზად იყო ახალი თესლი მიეღო; ხალხს ვეღარ დასჩაგრავდა ვერც აზნაური, სასულიერო წოდება წურბელასავით ვეღარ გამოსწოვდა მის სისხლს, წარჩინებულების უპირატესობას, რომელთა მიზეზით ხალხი შებორკილი და სულშეხუთული იყო, საბოლოოდ მოეღო ბოლო".[3]

---

[1] ვ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15.
[2] იქვე, გვ. 14.
[3] ვ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

მეორე ადგილას ვ. ლორთქიფანიძე პირდაპირ დასძენს „4 აგვისტოს მოსპეს რაც კი რამ იყო დარჩენილი ბატონყმურ-ფეოდალური წესწყობილებისაგან: გლეხის მიწა-წყალი გათავისუფლდა ყოველგვარი საბატონო გადასახადისაგან“.[1]

1789 წლის 4 აგვისტოს დეკრეტების ვ. ლორთქიფანიძის მიერ დადებითად შეფასება შემთხვევითი არ უნდა იყოს და, ჩვენი აზრით, უპირატესად ორი ფაქტორითაა მოტივირებული. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს 4 აგვისტოს დეკრეტები სავსებით პასუხობდა, სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის, რომლის წევრიც იყო ვ. ლორთქიფანიძე, აგრარულ პროგრამას. მეორეც, 4 აგვისტოს დეკრეტების ასეთ შეფასებაში აუცილებლად უნდა დავინახოთ ვ. ბლოსის და ა. ოლარის გავლენა.

სოციალისტ-ფედერალისტები, ესერების მსგავსად, მხარს უჭერდნენ მიწის სოციალიზაციას, რომლის დადებითი მარცვალი იმაში მდგომარეობდა, რომ გზას უკაფავდა თავისუფალი მეწარმეობის შემდგომ აღმავლობას და ძირს უთხრიდა ბატონყმობის გადმონაშთები. გადატრიალება მიწათმფლობელობის სფეროში ძლიერ დარტყმას აყენებდა ბატონყმობას.[2]

ვ. ლორთქიფანიძის წიგნში აგვისტოს დეკრეტების მაღალი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, მაგრამ, შესაძლოა ის, ოდნავ შელამაზებულად, ვარდისფერ ფერებში წარმოაჩენს საქმის ვითარებას და აჭარბებს აგვისტოს დეკრეტების ისტორიულ მნიშვნელობას, რომ მოხდა ფეოდალური ვალდებულებების საბოლოო ლიკვიდაცია. სინამდვილეში კი, ეს იყო ამ მიმართულებით გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი. ამით დაიწყო გადატრიალება მიწათმფლობელობის სფეროში.

ავტორი მოკლედ, გაკვრით, ეხება „ეროვნული ქონების“ გადანაწილებას. „მთელის სასულიერო წოდებისა და სამშობლოს მოღალატე თავადაზნაურების მამულები ერის საკუთრებად ჩარიცხეს-

---

[1] იქვე, გვ. 52.

[2] უ. სიდამონიძე, ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წ.), „ქართული ისტორიოგრაფია“, თბ., 1968, გვ. 305-310; დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, თბ., 1993.

ნაჭერ-ნაჭერ დაჰყვეს და ისე მიჰყიდეს მსურველებს. გაამრავლეს წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი. ეს არის მთელი ცვლილება ახალი საფრანგეთის ხალხის ეკონომიკურ ცხოვრებაში".[1] მართლაც, „ეროვნული ქონების" კონფისკაციის შედეგად გლეხობის დიდი ნაწილის მდგომარეობა კეთილდღეობით შეიცვალა, მაგრამ არა ყველასი. „რაც შეეხება სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც საკუთრება არ ჰქონდა, როგორღა შეეძლო მას სიღატაკისაგან და შიმშილისაგან დაეღწია თავი, თუკი არ მოხდებოდა მიწების გაყოფა, რასაც ის დიდი მონდომებით ელოდება".[2]

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა წიგნში სულ ორიოდ სიტყვა თქმულიყო 1790 წლის მარტის და მაისის დეკრეტებზე, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია დამფუძნებელი კრების აგრარულ კანონმდებლობაში და სათემო მიწების განაწილებაზე. ამიტომ, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ცალკე მონაკვეთად გამოყოფილიყო „საფრანგეთის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა".

ვ. ლორთქიფანიძის პირველი წიგნი მთავრდება 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებით და მასში, ცხადია, იაკობინთა აგრარული კანონმდებლობა განხილული არაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამის გაკეთება მას სურდა მეორე წიგნში, რომლის გამოცემაც მას ჩაფიქრებული ჰქონდა, მაგრამ როგორც ჩანს, ვეღარ მოასწრო.

ქართველი სოციალ-დემოკრატების აღიარებული ლიდერის ნოე ჟორდანიას წიგნი „საფრანგეთის ისტორიიდან, დიდი რევოლუცია", უწინარესად, რა თქმა უნდა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად და ქართველ მკითხველს მოუთხრობდა რევოლუციის მსვლელობაზე 1789 წლის 5 მაისს გენერალური შტატების მოწვევიდან მეფის სიკვდილით დასჯამდე 1793 წლის 21 იანვარს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის ღრმა რწმენით, საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა ძვე-

---

[1] ვ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

[2] Саньяк Ф., Гражданское законодательство французской революции (1789-1804), М., 1928, გვ. 133.

ლი რეჟიმიდან. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად ჩანს პირველი მონაკვეთის სათაურიდან „თვითმპყრობელობის გაკოტრება“, რასაც ბევრი ისტორიკოსი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა წინათ და ახლაც.

ნოე ჟორდანიას წიგნში დამაჯერებლადაა ნაჩვენები ფრანგი გლეხის გაუსაძლისი ყოფა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ და მითითებულია, რომ ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სენიორული გადასახადების სიმძიმე.[1] რევოლუციამდელი საფრანგეთის აგრარული ყოფა წიგნში გაშუქებულია მეტად ზოგადად, სქემატურად, ხაზგასმულია გლეხობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

ავტორმა კარგად დაინახა, რომ 1789 წლის აგვისტოს დეკრეტები გლეხთა მღელვარებების ლოგიკური შედეგი იყო. ეს მისი მსჯელობის პოზიტიური მხარეა.[2]

ის ძალზე მარტივად, მაგრამ მეტად საინტერესოდ მოუთხრობს მკითხველს 4 აგვისტოს მოვლენებზე და დასძენს, რომ „ამ შესანიშნავ ღამეს საერთო კრებამ ერთნაირად დაამსხვრია ფეოდალურ-აზნაურული ბორკილები და დაიშალა ნაშუაღამევს“.[3] სწორედ აქედან იღებს სათავეს სახელწოდება „სასწაულების ღამე“. ფეოდალური გადასახადების სრულ გაუქმებაზე ლაპარაკი ნაადრევი ჩანს, მაგრამ დამფუძნებელმა კრებამ ამ მიმართულებით პირველი სერიოზული ნაბიჯი რომ გადადგა, ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ეს პროცესი ამით კი არ დასრულდა, არამედ დაიწყო.

ნოე ჟორდანიას წიგნი მთავრდება მეფის სიკვდილით დასჯით 1793 წლის 21 იანვარს და მასში იაკობინთა აგრარული კანონმდებლობა არაა განხილული.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება წიგნი „გლეხთა საკითხი საფრანგეთში“, რომელიც ვინმე ქარუმიძეს უთარგმნია. მისასალმებელია, რომ მას სურს გააცნოს ქართველ მკითხველს გლეხთა

---

1 საფრანგეთის ისტორიიდან, დიდი რევოლუცია, თბ., 1906, გვ. 3-4.
2 იქვე, გვ. 28-29.
3 იქვე, გვ. 30.

მდგომარეობა საფრანგეთში XIX საუკუნეში. „რომ უფრო უკეთ წარმოვიდგინოთ ფრანგი გლეხის თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, საჭიროა თვალი გადავავლოთ მის მდგომარეობას დიდ რევოლუციამდე და მის შემდეგ“.[1] ასეთი ექსკურსი წარსულში აუცილებლად საჭიროა და სავსებით გამართლებულია.

პირველ ყოვლისა, მთარგმნელი ცდილობს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ქართულ საზოგადოებას საფრანგეთის აგრარული განვითარების თავისებურებაზე რევოლუციამდე. შესაძლოა, წიგნში ამ თემაზე მსჯელობა პრიმიტიული, მარტივი იყოს, მაგრამ მთავარი ძარღვი, ვფიქრობთ, მიგნებულია. მართალია, ფრანგმა გლეხმა მოიპოვა თავისუფლება, დააღწია თავი ბატონყმობას, მაგრამ მიწაზე სენიორის უფლებები ისევ ძალაში იყო. „თავისუფალი გლეხი იჯდა არათავისუფალ მიწაზე“, „საფრანგეთში ბატონყმობის გაუქმება დაიწყო XV-XVI საუკუნეებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, რევოლუციის დროს გლეხკაცი ფაქტიურად და თითქმის იურიდიულადაც ისევ ფეოდალური სენიორის, მემამულის მონობის უღელში ება“. „უმიწა-წყლობამ, აუარებელმა და აუტანელმა სახელმწიფო გადასახადებმა, ჩარჩების, მემამულეების, სამღვდელოების და მეფის მოხელეთა ყვლეფამ და ძარცვა-გლეჯამ გლეხკაცი უკიდურეს სიღატაკეში ჩააგდო“.[2] აქ გაპარულია ერთი უზუსტობა. რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმას, რომ ბატონყმობის უღელი ფრანგმა გლეხმა მოიშორა არა XV-XVI საუკუნეებში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, XIII საუკუნის მიწურულს და XIV საუკუნის დასაწყისში.[3]

წიგნში კარგადაა ნაჩვენები ფრანგი გლეხის მძიმე ყოფა რევოლუციამდე, რაც გარკვეულწილად იმით აიხსნება, რომ ავტორი ემყარება საინტერესო ისტორიულ წყაროებს, პირველ რიგში კი ინგლისელი მოგზაურის არტურ იუნგის ჩანაწერებს.[4] სენიორული

---

[1] გლეხთა საკითხი საფრანგეთში, თარგმანი ქარუმიძისა, თბ., 1906, გვ. 3.
[2] იქვე, გვ. 3-4.
[3] Блок М., Характерные черты французской аграрной истории, М., 1957.
[4] გლეხთა საკითხი საფრანგეთში, გვ. 4.

გადასახადებისაგან გლეხთა განთავისუფლება იქცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ყველაზე მწვავე საკითხად. სწორედ ამ რთული პრობლემის გადაჭრას ისახავდა მიზნად საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა.

ავტორი მოკლედ და საინტერესოდ ჩერდება ამ სერიოზულ თემაზე და მკითხველს საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას აწვდის, რომელიც ფაქტობრივი მასალის საფუძვლიან ცოდნას ემყარება. ეს მისი მსჯელობის პლუსია, იგი ეხება დამფუძნებელი კრების 1789 წლის აგვისტოს დეკრეტებს, 1790 წლის 14 აპრილის დეკრეტს „ეროვნული ქონების" განაწილების შესახებ. საკანონმდებლო კრების 1792 წლის 14 აგვისტოს დეკრეტს და, რაღა თქმა უნდა, იაკობინთა აგრარულ ღონისძიებებს, 1793 წლის 17 ივლისის დეკრეტს. აქ მხოლოდ ერთი რამ უნდა ვთქვათ. რატომღაც გამოტოვებულია დამფუძნებელი კრების 1790 წლის მარტის და მაისის დეკრეტები, რომელიც ამ სფეროში დამფუძნებელი კრების საქმიანობის ხერხემალს წარმოადგენდა.

„აგვისტოს დეკრეტის პირველ მუხლში ვკითხულობთ „ნაციონალური კრება" აუქმებს ფეოდალურ ნესწყობილებას. შემდგომში ფეოდალურ წესწყობილებას საბოლოოდ მოეღო ბოლო კონვენტის დეკრეტის ძალით, 17 ივლისს 1793 წლისა".[1] ეს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, რაც, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ ავტორი აჭარბებს 1789 წლის აგვისტოს დეკრეტების მნიშვნელობის და ირნმუნება, რომ მოხდა ფეოდალური წესწყობილების გაუქმება. მაშინ რას მოუღო სამუდამოდ ბოლო კონვენტმა? აგვისტოს დეკრეტები წარმოადგენდა პირველ რეალურ ნაბიჯს სენიორული გადასახადების გაუქმების გზაზე. კონვენტმა საბოლოოდ დააგვირგვინა ეს საქმე.

მოკლედ არის განხილული „ეროვნული ქონების" გადანაწილების საკითხი. აქ საქმე ეხებოდა საეკლესიო-სამონასტრო მიწების სეკულარიზაციას და ემიგრანტთა ქონების კონფისკაციას.[2] კარ-

---

[1] გლეხთა საკითხი საფრანგეთში, გვ. 5.
[2] იქვე, გვ. 6.

გადაა განხილული წიგნში საკანონმდებლო კრების 1792 წლის 14 აგვისტოს კანონმდებლობა.[1]

ფრანგი გლეხისათვის საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელობაზე მსჯელობა წინააღმდეგობრივად მიგვაჩნია. „თუმცა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ გლეხს წილად არ არგუნა მიწა, არც მეორედ დამონავებისაგან იხსნა იგი, მაგრამ იმისი დიდი ღვაწლი იმაში გამოიხატება, რომ ძალით არ წაართვა მიწა, როგორც ეს ინგლისში და პრუსიაში მოხდა ... მან (ე. ი. საფრანგეთის რევოლუციამ — მ. კ.) გლეხობის მეტ ნაწილს მიწა შეარჩინა და ამგვარად კაპიტალიზმს პროლეტართა რაზმი არ დაუმზადა. ამით გლეხობას შესაძლებლობა მიეცა, თავის ძალ-ღონით ებრძოლა და მცირე ეკონომიკური დამოკიდებულება მაინც შეარჩინა". აქ საყურადღებო უნდა იყოს იმ პრინციპული განსხვავების ხაზგასმა, რომელიც საფრანგეთის და ინგლისის სოფლის მეურნეობის განვითარებას შორის არსებობდა. მაგრამ ამავე დროს აქ საჭიროა გავაკეთოთ მცირე კომენტარი, ზოგიერთი დეტალი კიდევ უფრო დავხვეწოთ, დავაზუსტოთ, გარკვეული კორექტივები შევიტანოთ. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობისადმი მისი დამოკიდებულება პესიმისტურად მიგვაჩნია, რაც იმით გამოიხატება, რომ ავტორს, ჩვენი აზრით, ჯეროვნად არ აქვს გაცნობიერებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის პროგრესული ისტორიული მნიშვნელობა. ავტორი, ვფიქრობთ, ამუქებს საქმის ვითარებას, როდესაც ფიქრობს, რომ „საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ გლეხს წილად არ არგუნა მიწა და ისინი არც მეორედ დამონავებისაგან იხსნა". მინა გლეხებმა საკუთრებაში მიიღეს და ამით ბურჟუაზიული საკუთრება დაკანონდა.

1905 წელს გამოვიდა ელიავას მიერ თარგმნილი პოპულარული ხასიათის ნაშრომი „ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევები" (საფრანგეთის წარსულიდან)". ამ სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვის დროს ავტორი, ცხადია, შეეხება საფრანგეთის აგრარულ განვითარებას XVIII საუკუნის მინურულს.

---

[1] იქვე, დაწვრილებით იხილეთ კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978.

წიგნში კარგადაა დახატული რევოლუციამდელი ფრანგი გლეხის ყოფა, რაც უპირატესად იმითაა განპირობებული, რომ ავტორი ეყრდნობოდა საინტერესო პირველწყაროებს, ინგლისელი მოგზაურის არტურ იუნგის ჩანაწერებს და სამეცნიერო ლიტერატურას, ნაკლებად ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის ვაქსმუთის თხზულებას და ფრანგი ისტორიკოსის ლუი ბლანის წიგნს „საფრანგეთის დიდი რევოლუცია". „გლეხობა თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით და განვითარებით პროლეტარებზე, ნვრილ ვაჭრუკანებზე და ამქარს გარეშე დარჩენილ ხელოსნებზე და სხვებზე ბევრად უფრო დაბლა იდგა. უკანასკნელი, რადგან ქალაქებში ცხოვრობდნენ, შეუძლებელი იყო არ მოყოლოდნენ იმ გონებრივი მოძრაობის გავლენის ქვეშ, რომლის ცენტრს ქალაქი წარმოადგენდა. გარდა ამისა, მთავრობასთან მახლობლად ცხოვრობდნენ და ვიწრო ტერიტორიაზე მრავლათ იყვნენ შეჯგუფულნი. ასე ერთად ახლო ცხოვრებამ და განვითარებამ მათ მისცა ძალა და უნარი მართებლობის წინააღმდეგ მოქმედებისა. მთავრობის დაწესებულებების სიახლოვემ კი შეაძლებინა პირდაპირი, უშუამავლო ზემოქმედება ექონიებინა მთავრობაზე. თუმცა საოცარი დაჩაგრული იყო ქალაქის მცხოვრებლების დაბალი ნაწილი, მარა გლეხობის ხვედრი კიდევ უფრო მძიმე, აუტანელი იყო. თვითნებობა, რომელიც მათზე პარპაშობდა, კიდევ უფრო დაუსჯელი რჩებოდა. მთელ მხარეზე მოფანტულ, ერთი მეორეს დაშორებულ, ყოველ გონებრივ საზრდოს მოკლებულ გლეხობას არავითარი ღონე არ ჰქონდა არა თუ საერთო წინააღმდეგობა გაეწია შემვიწროვებლებისათვის, იმდენიც ვერ მოეხერხებინა, რომ თავისი კვნესა-გოდებით ვისიმე ყურადღება მიექცია".[1]

ამ მსჯელობაში ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: ჯერ ერთი, ის ცდილობს გულუბრყვილოდ, მიამიტურად, ახსნას სოფელსა და ქალაქს შორის არსებული განსხვავება და მეორეც, გვიხსნის ფრანგი გლეხის გაჭირვების მიზეზს და მას სენიორული გადასახადების სიმძიმეში ხედავს. „მაშინ როდესაც აზნაურობა,

---

[1] ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევები (საფრანგეთის წარსულიდან), თარგმანი ელიავასი, 1905, გვ. 40-41.

სასულიერო წოდება, სახელმწიფოს და ქალაქის ბიუროკრატია, ერთი სიტყვით, ყველა ასე თუ ისე შეძლებული ნაწილი სრულიად ან რაოდენამდე მაინც თავისუფალი იყო სახელმწიფოს პირდაპირი გადასახადისაგან, საწყალ გლეხობას მთელი თავისი სიმძიმით აწვა კისერზე. ხშირად მისი წმინდა შემოსავლის სამოცდაათი პროცენტი გადასახადს მიჰქონდა".[1]

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწეები რევოლუციამდელი ფრანგი გლეხის ყოფას მარტივად, სწორხაზოვნად, განიხილავდნენ, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ გლეხობის მდგომარეობას ცოტათი ამუქებდნენ, რაც მათი მსოფლმხედველობის დემოკრატიზმით, რადიკალიზმით აიხსნებოდა. აქ ძირითადად ღარიბი და უღარიბესი გლეხობა იგულისხმება და რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს, რომ რევოლუციამდელი ფრანგი გლეხის ყოფა მეტად მძიმე იყო, მაგრამ, უდავოდ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს არ ეხებოდა გლეხობის ყველა ფენას. გლეხობის მცირე ნაწილის მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება.

წიგნში საუბარია ფეოდალურ გადასახადებზე. დამონმებულია გერმანელი ისტორიკოსის ვაქსმუთის წიგნი „საფრანგეთის ისტორია და რევოლუციის ეპოქა", სადაც მოყვანილია მრავალრიცხოვნად გადასახადი, რომელიც უნდა გაესტუმრებინა ფრანგ გლეხს.[2] აქვე არის ნახსენები 1789 წლის 4 აგვისტოს დეკრეტი, „სასნაულების ღამე" და მოცემულია მისი ტრადიციული შეფასება, რომ ამ დღეს მოისპო ფეოდალური ვალდებულებები. საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა წიგნში განხილულია მკრთალად, სუსტად და მას, ჩვენი აზრით, გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა. ამით წიგნი ბევრს მოიგებდა და შინაარსობრივად უფრო გამდიდრდებოდა.

წიგნში ხაზგასმულია რა დიდი ენთუზიაზმით მსახურობდა ფრანგი გლეხი არმიაში. მას კარგად ესმის, რომ ეს შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანნილად იმით აიხსნებოდა, რომ ფრანგი გლეხი იცავდა სამშობლოს და რევოლუციის მონაპოვარს. „რევ-

---

[1] ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევები ... გვ. 41.
[2] იქვე, გვ. 45.

ოლუციის ყველა დაწესებულებებზე მეტად გლეხებს სამხედრო სამსახური შეუყვარდათ... ჯარს უმეტეს ნაწილად გლეხები შეადგენდა, რომელსაც ეს სამსახური ბრწყინვალე წარმატებას უქადდა. ვინც უბრალო ჯარისკაცად დარჩებოდა იმათთვისაც კი ის არა მარტო უძლიერესი იარაღი იყო ახლად მოპოვებული თავისუფლების და ახლად მოპოვებული მიწების ფეოდალებისაგან დასაცველად".[1]

წიგნში ხაზგასმულია იმ დროს არსებული სპეკულაცია და შიმშილი და ახსნილია ამის მიზეზები. „შიმშილიანობის მთავარი მიზეზი საგარეო ომიანობა იყო"[2] — დასძენს ავტორი. შესაძლოა, ეს მსჯელობა ამომწურავი ვერ იყოს, მაგრამ აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობას ვერავინ უარყოფს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული პრობლემის გადაჭრაზეა საუბარი 1905 წელს შარაშიძის მიერ თარგმნილ წიგნში „საფრანგეთის ისტორიიდან". აი რას ეკითხულობთ ამ წიგნში: „XVIII საუკუნის მინურულის საფრანგეთში იფეთქა რევოლუციის პირველმა ცეცხლმა — საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ. ამ რევოლუციამ გაათავისუფლა მთელი ხალხი კაროლის (კაროლები საფრანგეთის მეფეებია) თვითმპყრობელობის ბორკილებისაგან, გაათავისუფლა მუშები საამქრო შევიწროვებისაგან. იხსნა გლეხები ბატონყმური დამოკიდებულებისაგან და უსასყიდლოდ დაურიგა მათ მიწა ..."[3] აქ ავტორი ცდილობს გაიცნობიეროს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოკლე ზოგადი სურათი და ხაზს უსვამს იმ პოზიტიურ მომენტებს, რაც მოჰყვა საფრანგეთის დიდ რევოლუციას.

1907 წელს გამოვიდა, ახალციხელის მიერ გადმოთარგმნილი, ნაუმოვის წიგნი „როგორ მოიპოვა საფრანგეთის ხალხმა მიწა და/ თავისუფლება".[4] რა თქმა უნდა, წიგნი პოპულარულ ხასიათს

---

1 ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევები... გვ. 52.
2 ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევები... გვ. 51.
3 საფრანგეთის ისტორიიდან, თბ., 1906, გვ. 5.
4 ნაუმოვი, როგორ მოიპოვა საფრანგეთის ხალხმა მიწა და თავისუფლება, თბ., 1907; ეს წიგნი მოხსენიებულია გ. კილურაძე, ახალი ისტორია, გვ. 362.

ატარებს და მიზნად ისახავს გააცნოს ქართველ საზოგადოებას ფრანგი გლეხების ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის. მიუხედავად წიგნის პოპულარული მიზანდასახულობისა, შეიძლება ითქვას, რომ მას კონკრეტულობა აკლია. ამ შემთხვევაში წიგნი, ვფიქრობ, ძალიან ბევრს მოიგებდა და ქართველ მკითხველს აღნიშნულ საკითხში კიდევ უფრო კარგად ჩაახედებდა.

ავტორი ფრანგი გლეხის ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის XVIII საუკუნის მიწურულის საფრანგეთის დიდ რევოლუციას უკავშირებს. წიგნში რევოლუციამდელი საფრანგეთის აგრარული ყოფა განხილულია ძალზე ზოგადად, მეტად სქემატურად, ხაზგასმულია ფრანგი გლეხის შეჭირვებული მდგომარეობა რევოლუციის წინ.

წიგნის სათაურიდან გამომდინარე საფიქრელი იყო, რომ ავტორი ვრცლად შეეხებოდა ფრანგი გლეხის ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს და განიხილავდა საფრანგეთის პირველი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობას. სინამდვილეში ეს ასე არ ხდება. წიგნში განხილულია საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი 1792 წლის 14 აგვისტოს დეკრეტი. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ შესაძლოა, ეს იმით აიხსნება, რომ ავტორი საკმაოდ მაღალი აზრის იყო 1792 წლის 14 აგვისტოს დეკრეტზე და მიიჩნევდა, რომ ამ დეკრეტის თანახმად, ფრანგმა გლეხმა საბოლოოდ მიიღო მიწა. ეს ასეც რომ იყოს, სხვა დეკრეტებისადმი გვერდის ავლა არაფრით არ უნდა იყოს გამართლებული და საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობაზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

როგორც უკვე აღინიშნა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობიდან ავტორი ეხება მხოლოდ 1792 წლის 14 აგვისტოს დეკრეტს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ უნდა იყოს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ფაქტისადმი მის კეთილგანწყობას. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელი უნდა იყოს კიდევ ერთი გარემოება. იგი განიხილავს არა მთლიანად საკანონმდებლო კრების აგვისტოს აგრარულ

კანონმდებლობას, არამედ მხოლოდ ერთ რგოლს, 14 აგვისტოს დეკრეტს.

ავტორმა კარგად გაარკვია 1792 წლის 14 აგვისტოს დეკრეტის არსი. „14 აგვისტოს 1792 წლის განკარგულებით (ე. ი. დეკრეტით — მ. კ.) ეროვნულმა კრებამ დაადგინა ჩამოერთვას ყველა გაქცეულ, გახიზნულ პიროვნებას მიწები და გადაეცეს სახელმწიფოს. გადაწყდა, რომ თავადაზნაურთა და მონასტრების მიწები და ადგილ-მამული დაყოფილიყო პატარ-პატარა (2-3 დესეტინა) ნაჭრებად და შეღავათიანი პირობით, ხელმისაწვდომ ფასებში მიეყიდათ ან იჯარით მიეცათ გლეხისათვის".[1]

წიგნში ძალიან მოკლედ არის საუბარი აგრეთვე „ეროვნული ქონების" გადანაწილებაზე. „საფრანგეთის დიდებულმა რევოლუციამ საფრანგეთის მშრომელი ხალხი დაიხსნა ხარბი თავადაზნაურობის ბატონობისგან, მაგრამ ვერ დაიხსნა არანაკლებ ხარბი და გაუმაძღარი კაპიტალისტებისგან (ფულიანი კაცებისგან).

ამათ შეისყიდეს თითქმის ყველა თავადაზნაურისაგან ჩამორთმეული მიწები და შემდეგ ამ ჩარჩებმა ეს მიწები გადასცეს უცხოელ მდიდრებს დიდ ფასებში. ბევრი გაიძვერა და ხარბი კაპიტალისტი გამდიდრდა და გაჭირვებულ გლეხს მიწასთან ახლოსაც არ უშვებდნენ".[2] ეს მიამიტური, გულუბრყვილო, მსჯელობა შეიცავს რაციონალურ მარცვალს. აქ იმას ვგულისხმობთ, რომ „ეროვნული ქონების" ყიდვა-გაყიდვა ახლად გამდიდრებულთა ე. წ. „ნუვორიშების" შექმნის ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად იქცა.[3]

აქ ის უნდა გულისხმობდეს იმას, რომ ბურჟუაზიული საკუთრების დაკანონებას სოფლად თან მოყვა ბობოლა გლეხობის გაძლიერება-განმტკიცება. სწორედ მათ ხელში აღმოჩნდა მიწების დიდი ნაწილი, მაგრამ დამონავებაზე საუბარი გადაჭარბებული უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა გზით ფრანგმა გლეხმა

---

1 ნაუმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 16-17. დანვრილებით იხილეთ კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 174-175.

2 იქვე.

3 გ. კიღურაძე, „საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან", თბ., 1963, გვ. 294.

„ეროვნული ქონების" რაღაც ნაწილი მაინც მიიღო. ყოვლად უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქოს „ჩარჩებმა ეს მინები გადასცეს უცხოელ მდიდრებს დიდ ფასებში".[1]

ფრანგი გლეხისათვის საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგებისადმი ავტორის მიდგომა პესიმისტურად მიგვაჩნია. მართალია, უმიწობის პრობლემა ლიკვიდირებული არ ყოფილა, მაგრამ აშკარად შემცირდა. ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუ ამ თემას ცოტათი სხვა კუთხით შევხედავთ, მაშინ ოპტიმიზმის საფუძველი უფრო მეტი გვექნება. საქმე ეხება საკუთრების განმტკიცებას. მისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები მკვეთრად თვალშისაცემი იყო. ფეოდალური ვალდებულებების გაუქმების შედეგად გლეხი შეიქმნა მიწის სრული მესაკუთრე. გლეხმა თავი დააღწია მეათედს, რომელსაც უხდიდა ეკლესიას, შეინარჩუნა მოწეული მოსავლის ის ნაწილი, რომელსაც ადრე აძლევდა სენიორს (რენტა). ის გათავისუფლდა ყოველგვარი ფულადი გადასახადებისაგან. მას აღარც ის ჯარიმები უნდა გადაეხადა, რომელსაც სენიორალური სასამართლოსაგან იღებდა. სოციალურ ასპექტში გლეხმა მოიპოვა ყველა სამოქალაქო უფლებები და წოდებრივი პრივილეგიები წარსულს ჩაბარდა. ფრანგი გლეხი შეიქმნა ერის სრულუფლებიანი წევრი. სწორედ ამაში მდგომარეობდა მის მიერ მოპოვებული სრული, ბურჟუაზიული, საკუთრების პოლიტიკური მნიშვნელობა.[2]

1905-07 წლების რევოლუციის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული თემისადმი ინტერესმა მკვეთრად იკლო. ეს არცაა გასაკვირი და უწინარესად იმით აიხსნება, რომ ამ პრობლემამ დაკარგა თავისი უწინდელი სიმწვავე, აქტუალობა და სავსებით კანონზომიერი იყო, რომ ამ დაინტერესების ახალი ტალღის აზვირთება მოხდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

---

[1] ნაუმოვი, დასახ. ნაშრ.

[2] Люблинская А., Французские крестьяне в XVI-XVIII вв., М., 1978; Адо А., Крестьянское движение во франции во время великой буржуазной революции конца XVIII в., М., 1971; Лефевр, Аграрный вопрос в эпоху террора, Ленинград, 1936.

III თავი

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის შესწავლა დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული თემატიკით დაინტერესების გამოღვიძება, გამოცოცხლება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და თავისი რეალური საფუძველი გააჩნდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ფაქტორი: უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში კვლავ აქტუალური შეიქმნა აგრარული საკითხი. ვის ხელში იქნებოდა მიწა? დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას უნდა გაეტარებინა აგრარული რეფორმა. სავარაუდოა, რომ საქართველოში აგრარული რეფორმის გატარების დროს სოციალ-დემოკრატების ლიდერები, რომლებიც იცნობდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობას, გამოიყენებდნენ ამ გამოცდილებას და თავიანთ თეორიულ შეხედულებებს პრაქტიკულად შეასხამდნენ ხორცს, მიუსადაგებდნენ საქართველოს გამოცდილებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას წინ უსწრებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა. ასრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გაჩნდა წანამძღვრები, რომ მსოფლიო ისტორიის, მათ შორის საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლას მეცნიერული ხასიათი მიეცემოდა.

დამოუკიდებელ საქართველოში უნდა შეექმნათ ქართულ ენაზე სასკოლო სახელმძღვანელოები, მათ შორის ახალ ისტორიაშიც, სადაც საფრანგეთის დიდ რევოლუციას მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნებოდა. რევოლუციის მსვლელობის გადმოცემის დროს, ისეთ სერიოზულ თემას, როგორიც იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა, გვერდს ვერ აუვლიდნენ.

მშობლიურ ენაზე ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნა ადვილი არ იყო და ამ საქმეში მრავალი სერიოზული დაბრკოლება არსებობდა. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დამოუკიდებელი საქართველო მწვავედ განიცდიდა მსოფლიოს ისტორიის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების ნაკლებობას. საჭირო იყო ამ რთული სიტუაციიდან რაიმე გამოსავალის მოძებნა. ამ ვითარებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი რეალური საშუალება იყო სახელმძღვანელოების თარგმნა. 1918-1921 წლებში ქართულ ენაზე გამოვიდა ახალი ისტორიის საინტერესო სახელმძღვანელოები, რომლებიც უპირატესად ორიენტირებული იყო ევროპული, პირველ რიგში კი, რუსული ისტორიოგრაფიის საუკეთესო მიღწევებზე, პროგრესულ-ლიბერალურ ტრადიციებზე. ეს არის თვისობრივად წინ გადადგმული ნაბიჯი ცარიზმის დროს არსებულ ოფიციალურ სახელმძღვანელოებთან შედარებით, სადაც ახალი ისტორია ძირითადად განხილული იყო მონარქისტულ-კლერიკალური პოზიციებიდან.[1]

უსათუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დამოუკიდებელ საქართველოში დაინერა და გამოიცა ახალი ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელო. ეს იყო ევროპული მოდელი, რომელიც ემყარებოდა დემოკრატიას, პლურალიზმს, აზრთა სხვადასხვაობას. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სკოლაში ამ კარგი ტრადიციის გაგრძელება ვერ მოხერხდა. მოხდა ისტორიის სწავლების უნიფიცირება, რაც იმით გამოიხატა, რომ ახალ ისტორიას საშუალო სკოლაში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ასწავლიდნენ ერთი და იგივე ა. ეფიმოვის „ახალი ისტორიის" სახელმძღვანელოთი. ეს სავსებით შეესატყვისებოდა ერთი გაბატონებული ორთოდოქსულ-ბოლშევიკური, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ის წამონყება, რომელიც დემოკრატიულ საქართველოში გაჩნდა და შემდეგ საბჭოთა სკოლაში გაწყდა, უნდა აღსდგეს. ამას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ მთავარია როგორ გავაკეთებთ ყოველივეს. რა გზას ავირჩევთ. თუ შევეცდებით შევქმნათ კონკურენ-

[1] ქ. წერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში 1804-1917 წლებში, თბ., 1978.

ტუნარიანი გარემო, მაშინ მკვეთრად ავამაღლებთ სახელმძღვანელოების ხარისხს, თუ მოვისურვებთ პირადი ინტერესების ლობირებას, რომლის საშიშროებაც ამჟამად არსებობს, მაშინ ხელს შევუწყობთ უხარისხო სახელმძღვანელოების გამრავლებას. ეს კი თანამედროვე ქართული სკოლისათვის დამღუპველი იქნება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში პირველი გზა აირჩიეს და ქართულ საზოგადოებას მიაწოდეს კვალიფიცირებული სახელმძღვანელოები, რომელიც საკვანძოდ შეესატყვისებოდა ეროვნული სკოლის შექმნის საქმეს. თითქოსდა ყველაფერი ნათელია, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ხელმეორედ, ე. ი. XXI საუკუნის დასაწყისში სწორი არჩევანის გაკეთება ადვილი საქმე არ არის. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ სულ სხვა იყო XX საუკუნის დასაწყისის ქართული ინტელიგენციის იერსახე, სულიერი სამყარო და ფასეულობები და სრულიად სხვა ვითარებაა ასი წლის შემდეგ XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც 1921-1991 წლებში საბჭოთა ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა სახელმწიფო მანქანამ ცეცხლითა და მახვილით გადაუარა ქართულ ინტელიგენციას და ამავე დროს მისი რიგები სასტიკად დაანაგვიანა. ასე აღმოვჩნდით ყალბი ფასეულობების, სიცრუის ატმოსფეროში.

რა თქმა უნდა, დღევანდელი გადასახადებიდან ეს სახელმძღვანელოები ღიმილს იწვევს, მარტივია და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველ მკითხველს, პირველ რიგში კი მოსწავლეებს, ახალ ისტორიაზე ზოგად წარმოდგენას უქმნიდა.

ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხს და ვნახოთ როგორაა განხილული საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული თემატიკა დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემულ სახელმძღვანელოებში.

* * *

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების განხილვა უნდა დავიწყოთ გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ერნსტ ლავისის სახელმძღვანელოთი „ახალი ისტორია", რომელიც გამოიცა ქუთაისში 1918 წელს. მთარგმნელი იყო ტ. რუხაძე.

საინტერესოა სახელმძღვანელოს ნინასიტყვაობა, რომელსაც ხელს აწერს ტ. რუხაძე. „ეს სახელმძღვანელო დაწერილია გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ერნსტ ლავისის მიერ საფრანგეთის შკოლებისათვის. ეს წიგნი, ჩვენი შეხედულებით, ბევრი ღირსებით არის შემკობილი და შინაარსითა და სისტემით განსხვავებულია სხვა სახელმძღვანელოებისაგან; ამიტომ მისი შემოღება უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში სასურველად დავინახეთ.

ლავისის მიერ ერთ წიგნშია მოქცეული ძველი ისტორია, საშუალო საუკუნეები, ახალი ისტორია; მე მხოლოდ ახალი ისტორია ვთარგმნე, რადგან ძველი ისტორია და საშუალო საუკუნეები ავტორის მიერ ზედმიწევნით მოკლედ არის დაწერილი და უმაღლესი პირველდაწყებითი შკოლებისათვის იქ მოქცეული მასალა საკმაოთ ვერ ვსცანი; გარდა ამისა, ძველი და საშუალო საუკუნეების სახელმძღვანელო უკვე არის გამოცემული ჩვენი შვილებისთვის და, გამომცემლობის ახლანდელი სიძნელის გამო, მხოლოდ უსაჭიროეს ნაწილს ვბეჭდავთ.

ამ სახელმძღვანელოში ავტორი გაურბის ფაკტიური მხარეების თავის მოყრას და უმთავრეს ყურადღებას საზოგადო დამახასიათებელ მოვლენებს აქცევს. აქ მეტი ადგილი აქვს დათმობილი მეცხრამეტე საუკუნეს, და რადგან ავტორის მიერ ეს წიგნი გასული საუკუნის დამლევს არის დაწერილი და უკანასკნელი წლების შესახებ არაფერია მასში მოხსენიებული, ამიტომ მე საჭიროდ დავინახე ზოგიერთი თავისათვის ცოტა რამ დამემატებინა.

ამ სახელმძღვანელოს დართული აქვს თითოეული სახელმწიფოს განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა და მოწაფეების მიერ მათ შეთვისებას მასწავლებელმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს, რათა მოწაფეს წარმოდგენა ქონდეს ყველა სახელმწიფოს წარმოშობის და განვითარების შესახებ.

მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს აგრეთვე კითხვები, რომელიც დართული აქვს ყოველ თავს.

ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ჩვენ ამ წიგნს ვერ დავურთეთ სურათები და რუკები, მაგრამ, თუ შეიქმნა საჭირო, ამ ნაკლს მაშინ ავიცილებთ“.[1]

---

[1] ე. ლავისი, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 3.

შესანიშნავი ფრანგი ისტორიკოსის ერნსტ ლავისის სახელმძღვანელოს ქართულად თარგმნა დროული იყო და ის იმ პერიოდის ქართულ სკოლას, უდავოდ, დიდ სამსახურს გაუწევდა ახალი ისტორიის შესწავლის დროს.

ე. ლავისი სახელმძღვანელოში „ახალი ისტორია" მოკლედ ჩერდება საფრანგეთის რევოლუციაზე, მაგრამ იგი არ განიხილავს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობას, რაც უპირატესად იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ის ნინ წამოსწევდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოძახილს ევროპაში.[1] ასეთი მიდგომა არც მეთოდური თვალსაზრისით ჩანს გამართლებული. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ სახელმძღვანელოში უმჯობესია მოცემული იყოს ზოგადად საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია და არა რომელიმე ცალკეული საკითხის გადმოცემა.

თუ რუხაძემ ფრანგული სკოლისათვის განკუთვნილი ე. ლავისის სახელმძღვანელო თარგმნა და ამით, უდავოდ, სასარგებლო საქმე გააკეთა. სხვებმა ახლო საზღვარგარეთს მიაპყრეს ყურადღება და რუსი ავტორების სახელმძღვანელოების გადმოქართულებას მოჰკიდეს ხელი. ამ სახელმძღვანელოებში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა წარმოდგენილი იყო მეტ-ნაკლებად.

ი. გველესიანისა და დ. უზნაძის სახელმძღვანელო შედგენილი იყო ცნობილი რუსი ისტორიკოსის პავლე ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს მიხედვით. აქ ეკონომიკურ ფაქტორს შედარებით ნაკლები ყურადღება ჰქონდა დათმობილი და ქართულ სახელმძღვანელოში ეს შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნა. მეორეც, სახელმძღვანელოში შეტანილ იქნა რუსეთის ისტორიის ის მონაკვეთიც, რომელიც ამ პერიოდს მოიცავდა.[2]

მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნას ხელი მოჰკიდა შემდგომში ცნობილმა ისტორიკოსმა ალექსანდრე წერეთელმა. მან დაწერა ძველი ისტორიის, შუა საუკუნეების და

---

[1] ე. ლავისი, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 24-26.

[2] ი. გველესიანი, დ. უზნაძე, ახალი ისტორია (XV-XVII საუკუნე), თბ., 1920. წინასიტყვაობა.

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოები. ეს ყოფილა ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა. ის სახელმძღვანელოს პრაქტიკული შემოწმების შემდეგ, აპირებდა მის შემდგომ გადამუშავებას, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ამის საშუალება უკვე აღარ მისცემია.[1]

ქუთაისელი პედაგოგის თეიმურაზ ჭუმბურიძის „ახალი ისტორიის" სახელმძღვანელო უმთავრესად შედგენილია ცნობილი რუსი ისტორიკოსების ნიკოლოზ კარეევის და რომან ვიპერის სახელმძღვანელოების მიხედვით. თ. ჭუმბურიძის „ახალი ისტორია" შედგენილია სამინისტროს პროგრამის მიხედვით. მასში მასალა გაცილებით უფრო ფართოდაა გადმოცემული, ვიდრე ამას დაწყებითი სასწავლებლების IV კლასის პროგრამა ითვალისწინებდა. სახელმძღვანელო გათვლილი იყო ორივე კონცენტრისათვის. მასწავლებელს ურჩევდა, რომ პირველი კონცენტრის გავლის დროს მოსწავლეთა ასაკობრივი და ფსიქოლოგიური მომენტის გათვალისწინებით ზოგიერთი ნაწილი დაწყებით სასწავლებელთა IV კლასში გამოტოვონ და ეს მასალა შემდგომ მაღალ კლასებში შეისწავლონ.[2]

სიმონ ავალიანის მსოფლიო ისტორის სახელმძღვანელოს ასეთი წინასიტყვაობა არ აქვს დართული.

უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ქართველი ავტორები ორიენტირებული არიან ისეთ სოლიდურ სახელმძღვანელოებზე, რომლის ავტორები იყვნენ რუსული ისტორიოგრაფიის კორიფეები: პავლე ვინოგრადოვი, ნიკოლოზ კარეევი, რომან ვიპერი. ყველაფერი ეს იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ახალი ისტორიის ქართული სახელმძღვანელოების შექმნას ისინი სერიოზულად მოეკიდნენ. უსათუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათ მექანიკურად კი არ სურდათ ქართულ სკოლაში ამ სახელმძღვანელოების გადმოტანა, არამედ გარკვეულ შემოქმედებით ინიციატივას ამჟღავნებდნენ, რაც იმით გამოიხატება, რომ ისწრაფიან ეს სახელმძღვანელოები

---

[1] ალ. ნერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწ. III, თბ., 1920. წინასიტყვაობა.

[2] თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920. წინასიტყვაობა.

ქართული სკოლის მოთხოვნებს მიუსადაგონ. შეძლებისდაგვარად სურთ შეავსონ ის ხარვეზები, რომელიც, მათი შეხედულებით, ამ სახელმძღვანელოებში შეინიშნება.

უდავოდ მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული არა მარტო მეცნიერები, არამედ საშუალო სკოლის პედაგოგები. აქედანაც კარგად ჩანს თუ რაოდენ დიდი იყო ამ უკანასკნელთა პოტენციალი. აღსანიშნავია, რომ ახალი სახელმძღვანელოები იქმნებოდა, როგორც თბილისში, ისე ქუთაისში.

სახელმძღვანელოების ავტორების ღრმა რწმენით, საგნის სწავლებისას მასწავლებელი უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი, სუვერენული და არაა საჭირო მიეჯაჭვოს სკოლის პროგრამას.

ოთხივე სახელმძღვანელოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა შეძლებისდაგვარადაა განხილული. ამ თემისადმი მათი იდენტური დამოკიდებულება შემთხვევითი არაა და მისი გასაღები მათ მსოფლმხედველობაში, პროგრესულ-ლიბერალურ ორიენტაციაში უნდა ვეძიოთ.

სახელმძღვანელოებში კარგადაა განხილული 1789 წლის 4 აგვისტოს დეკრეტები. მისი დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერია, მაგრამ „ძველი წყობილების ძირფესვიანად შეცვლაზე" საუბარი ნაადრევი უნდა იყოს და გადაჭარბებული.[1]

გაუმართლებლად მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოებში უგულებელყოფილია იაკობინთა აგრარული კანონმდებლობა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ფრანგი გლეხის ყოფა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა შინაგანი კონტრრევოლუციის და ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთის არმიის მიერ მოპოვებული „სასწაულებრივი გამარჯვებები". რაც სახელმძღვანელოებში ჯეროვნად არაა ხაზგასმული — რაც იაკობინებისადმი მათი თავშეკავებული დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას.

„თუ ასეთი სისასტიკით ებრძოდნენ იაკობინები შინა მოწინააღმდეგეებს, არანაკლები გულმოდგინებით მოანყვეს მათ სა-

---

[1] ი. გველესიანი, დ. უზნაძე, ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნე), თბ., 1919, გვ. 88; ალ. წერეთელი, დასახ. ნაშრ. გვ. 68; ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 167; თ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 150.

ფრანგეთის თავდაცვა უცხოელთა შემოსევისგან. ამაში მათ მართლაც დიდი წვლილი მიუძღვით თავისი ქვეყნის წინაშე. ამ მხრივ მათ შეძლეს ეროვნული აღფრთოვანების გამოწვევა. მოკლე ხანში მათ შექმნეს ძლიერი ჯარი, რომელიც გამსჭვალული იყო დემოკრატიული სამშობლოს ღრმა სიყვარულით".[1] ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელმაც უზრუნველყო რევოლუციური არმიის წარმატებები იაკობინთა აგრარული კანონმდებლობა იყო. ფრანგმა გლეხმა მიიღო მიწა და იგი აქტიურად ჩადგა სამშობლოსა და რევოლუციის მონაპოვარის, მამულის დამცველთა რიგებში. ფრანგი გლეხი ინტერვენტების ხელყოფისაგან იცავდა თავის სამშობლოს და რევოლუციის მონაპოვარს, მამულს, მიწას.[2]

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისი, თითქოს დამოუკიდებელ საქართველოში პოზიტიური არაფერი გაკეთებულა, სინამდვილეს არ შეეფერება, სუბიექტური და ღრმად ტენდენციურია. ფრიად ნიშანდობლივია, რომ მშობლიურ ენაზე ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში პირველი მოკრძალებული ნაბიჯი, სწორედ, დამოუკიდებელ საქართველოში გადაიდგა 1918-1921 წლებში, რაც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის სერიოზული მიღწევაა და ამის წაყრუება სწორი არ იქნებოდა.

საბჭოთა ხანაში ამ სახელმძღვანელოებზე საუბარი, უმთავრესად წმინდა პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ტაბუდადებულ თემად იქცა და ეს სახელმძღვანელოები მივიწყებას მიეცა. კომუნისტური რეჟიმი წარსულს ჩაბარდა. დადგა ჟამი აღსდგეს სამართლიანობა. ეს სახელმძღვანელოები უნდა გამოვიყვანოთ იმ ჩრდილიდან, რომელშიც ისინი სრულიად დაუმსახურებლად აღმოჩნდნენ, საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმევით.

---

[1] ალ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

[2] გ. კიღურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბ., 1963; გ. კიღურაძე, საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792), თბ., 1982.

კარი II

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მეცნიერული შესწავლის მესაძირკვლეები

I თავი

XX საუკუნის ძნელბედობა საქართველოში. ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია

საქართველოს ისტორიაში ძნელბედობა, ალბათ, ძნელად თუ გააკვირვებს ვინმეს და მაინც, მიუხედავად ამისა, ამ ჟამთა სიავეში XX საუკუნეს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

XX საუკუნის საქართველოს ისტორიის სამი ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო: 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წლის 12 მარტს; 2. დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა; 3. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებდა, რომ საქართველომ არჩევანი გააკეთა დამოუკიდებლობაზე და დემოკრატიაზე, თავისუფალი მეწარმეობის განვითარებაზე. ეს იყო ძალზე ძნელი გზა, რომელიც შეცდომებით აღსავსე აღმოჩნდა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პოზიტიური გაცილებით უფრო მეტი გაკეთდა. აშკარა იყო, რომ თუ არა გარეშე ძალის უხეში ჩარევა, საქართველოს გასაბჭოება 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველო ძნელად, მაგრამ სწორი გზით განაგრძობდა სვლას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფინეთის მაგალითი, რომელმაც, საქართველოსგან განსხვავებით მოახერხა 1917 წლის დეკემბერში მოპოვებული დამოუკიდებლობის შე-

ნარჩუნება და საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე, მიუხედავად ამ უკანასკნელის არაერთგზის მცდელობისა, არ დაუშვა თავის საშინაო საქმეებში საბჭოთა კავშირის ჩარევა.[1] შედეგი კი ის არის, რომ დღეს ფინეთი ევროპის ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანაა, ხოლო საქართველო კი უსაშველოდ ჩამორჩა.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა ი. სტალინის და ს. ორჯონიკიძის ხელშეწყობით, მოახდინა საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ინტერვენცია, ოკუპაცია, ანექსია.[2] ი. სტალინის და ს. ორჯონიკიძის დანაშაული ქართველი ერის წინაშე მდგომარეობდა შემდეგში: 1. ი. სტალინმა და ს. ორჯონიკიძემ დაიპყრეს საქართველო. საქართველოს წაართვეს დამოუკიდებლობა. ი. სტალინმა თავისი პირადი ინტერესები სამშობლოზე მაღლა დააყენა. საქმე ისაა, რომ თუ საქართველო დამოუკიდებელი იქნებოდა ი. სტალინი იყო ჩვეულებრივი, რიგითი, ემიგრანტი. მან დაიპყრო საქართველო და გახდა მის მიერვე შექმნილი უნიტარული სახელმწიფოს მკვიდრი; 2. სტალინმა და ს. ორჯონიკიძემ თავისი სამშობლო ააცდინეს განვითარების სწორ გზას და ძალად მოახვიეს თავს ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფო. საძირკველი ჩაუყარეს კაზარმულ კომუნიზმს, რომელიც გულისხმობდა გათანაბრებას სიღატაკის დონემდე და ხელს უწყობდა, არა პროგრესს, არამედ განაპირობებდა რეგრესს, სტაგნაციას; 3. ი. სტალინმა და ს. ორჯონიკიძემ საქართველოს დაუტოვეს მეტად მძიმე მემკვიდრეობა, რაც იმით გამოიხატა, რომ ჩანასახშივე მოსპეს ის ნიადაგი (კერძო საკუთრება, საბაზრო ეკონომიკა), რომელიც უზრუნველყოფდა განვითარების ნორმალურ გზაზე დაბრუნებას. ფიზიკურად გაანადგურეს ან გადააგვარეს საქართველოს მონინავე ნაწილი, ქართული ინტელიგენცია. მნიშვნელოვანწილად დღეს, სწორედ, ამის შედეგს ვიმკით.[3]

---

[1] გ. ჭელიძე, ფინეთი XIX საუკუნეში, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1997, გვ. 20-21.

[2] ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991; ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II, თბ., 1998, გვ. 389-409.

[3] მ. კალანდაძე, თანამედროვე საქართველოს არასახარბიელო მემკვიდრეობა, „ახალი 7 დღე" 11-18 მარტი, 2005.

ბოლშევიკურ-ათეისტურ ხელისუფლებას არც ეკლესია დარჩენია უყურადღებოდ. ეკლესია-მონასტრები იავარჰყო, მიწასთან გაასწორა, დახურა. სამღვდელოების საუკეთესო ნაწილი მოსპო. მორწმუნე მრევლს დევნა დაუწყო. ერის სულიერი დაკნინება ამის ლოგიკური შედეგი იყო.

კომუნისტების რისხვას, ცხადია, ვერც ქართველი ერის სათაყვანებელი „ცოდნის ტაძარი", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაურჩა. მათ უნივერსიტეტს და პირველ რიგში ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს, ნაღებს, უსაშინლესი რეპრესიები დაატეხეს და ისტორიაში არნახული სისხლიანი კალო გალეწეს, ამ რეპრესიების ათვლის წერტილად შეიძლება აღებულ იქნას 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან დიდი ქართველი მეცნიერის და მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის დათხოვნა. უნივერსიტეტი დაშალეს ინსტიტუტებად. ამის ლოგიკური გაგრძელება იყო 1930 წლის დეკემბერში საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარებული დისკუსია, და 1936 წლის 23 მარტიდან — 2 აპრილამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული თავყრილობა, რომლის კრიტიკული ისრები მიმართული იყო ძველი პროფესურის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ.[1] ასე შეაბიჯებინეს ბოლშევიკებმა უნივერსიტეტში უზნეობას, უვიცობას, უსინდისობას და მის დამახასიათებელ

---

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიცსა). ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 4 და 5. პოლიტიკური პარტიების არქივი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილების დოკუმენტი — ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების და მეცნიერ-მუშაკთა დახასიათება — ფონდი 14, საქმე 7817, ფურცელი 15; ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მ. ვაჩნაძემ და პროფ. ვ. გურულმა, თბ., 2004. გარდა ამისა, ამ თემაზე არსებობს მდიდარი ლიტერატურა. გ. ციციშვილი, გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები, ჟურნ. „ცისკარი", № 2, 1995 და სხვა.

ატრიბუტებს. ყოველივე ამის შედეგი დღესაც, XXI საუკუნის დასაწყისში, სახეზეა.

ოთხასი წლით ადრე სულმნათი უილიამ შექსპირი წუხდა:

„ყველაფრისაგან დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა.
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსთ უსამართლოდ დაადგეს დაფნა“.

თუ შექსპირის დროს ამის ცალკეული გამოვლინებები იყო, რომელიც გენიალური ინგლისელის მზერას არ გამოპარვია, XX საუკუნეში ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალისხმევით ეს წანამძღვრები ცხოვრების ნორმად იქცა და ფეხქვეშ გათელა ბიბლიური პრინციპი „კეისარს, კეისარის“.

გამოითქვა მოსაზრება თითქოს „სტალინიზმის პირველი მსხვერპლი ფილოსოფია იყო“. ერთი რომელიმე უბანის, დარგის გამოყოფა უმართებულო იქნებოდა. სტალინმა ერთიანი ფრონტით შეუტია ჰუმანიტარულ მეცნიერებას. ჩვენ უფრო ვემხრობით მოსაზრებას, რომ სტალინიზმის პირველი მსხვერპლი ისტორია იყო. ანდაც, შესაძლოა, ისტორიაც და ფილოსოფიაც ერთდროულად.

ჯერ იყო და 20-იან წლებში ისტორია საერთოდ ამოიღეს სკოლის პროგრამიდან. მართალია, სამართლიანობა აღდგა და 30-იან წლებში ისტორია ისევ შემოიღეს სკოლებში, მაგრამ მისი სწავლება ცენზურის მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა. საძირკველი ჩაეყარა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას. დაიწყო ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია. ისტორიულ მოვლენებს და პროცესებს მიეცა სწორხაზოვანი, ორთოდოქსულ-ბოლშევიკური ინტერპრეტაცია და ამგვარ დოგმატურ მიდგომას მეცნიერებაში ადმინისტრაციული გზით ნერგავდნენ. ფართოდ მოიკიდა ფეხი კლასიკოსების შეხედულებების ციტატომანიამ. მეცნიერული ანალიზი სულ უფრო უკანა პლანზე გადადის. სავსებით კანონზომიერი იყო, რომ ასეთმა მიდგომამ ბოლოს და ბოლოს საბჭოთა ისტორიოგრაფია ჩიხში მოაქცია.

1921 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლის საქმეში გარკვეული მეტამორფოზი მოხდა და ერთი გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის არტახებში იქნა მოქცეული. თუ დამოუკიდებელ საქართველოში აღნიშნულ საკითხს უპირატესად პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან აფასებდნენ, ახლა მნვანე გზა მიეცა ამ პრობლემის მარქსისტულ ინტერპრეტაციას, მის ყველაზე უფრო უარეს ორთოდოქსულ-ბოლშევიკური, სტალინური, ფორმით. ისტორიული მოვლენისადმი მრავალვარიანტული მიდგომა პრაქტიკულად გამორიცხული იყო და განსხვავებული აზრი სასტიკად იდევნებოდა.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მეცნიერული შესწავლის მესაძირკვლეებად გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები პროფესორი გრიგოლ ნათაძე და პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე უნდა მივიჩნიოთ.

პროფ. გრ. ნათაძემ აგრარული საკითხის შესწავლის საკითხში შესანიშნავი სკოლა გაიარა, გამოჩენილ რუს ისტორიკოსებთან ივან ლუჩიცკისთან და რომან ვიპერთან, ხოლო ალ. ნამორაძემ კი მეორე ცნობილ რუს ისტორიკოსთან პავლე არდაშევთან. მათ ძალიან კარგად იცოდნენ თუ როგორი იყო ამ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, მაგრამ იმ პერიოდში, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ძალად თავს მოხვეული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატისათვის. ასეთი ორმაგი სტანდარტი ფრიად დამახასიათებელი შეიქმნა საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ერთს ფიქრობდი, სხვას წერდი. არჩევანის უფლება არ გქონდა. ან ისე უნდა დაგეწერა, როგორც ამას გაბატონებული იდეოლოგია ითხოვდა, ან საერთოდ არ უნდა დაგეწერა. ამიტომ მათ გააკეთეს ის, რისი გაკეთებაც იმ პოლიტიკურ ვითარებაში შესაძლებელი იყო, და ეს დიდ პატივს მიაგებს ამ მეცნიერებს.

II თავი

გრიგოლ ნათაძის შრომები საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობაზე

გრ. ნათაძის ნაშრომი „რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციისდროინდელი აგრარული კანონმდებლობისა“ წმინდა კვლევითი ხასიათისაა და, ჩვენი აზრით, გრ. ნათაძის მიერ ახალი ისტორიის პრობლემებზე დაწერილ საუკეთესო ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ. მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი დაწერილია ძველი ისტორიული სკოლის ტრადიციების, თავისუფალი აზროვნების პირობებში. ეს ადვილად გასაგებიცაა და იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველ ხანებში ბოლშევიკური იდეოლოგიის მარწუხები ისე მკაცრად არ იგრძნობოდა და გრ. ნათაძეს მოუსწრია მისი გამოქვეყნება. გრ. ნათაძის ნაშრომი ემყარება პირველწყაროების და საკვლევი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და იძლევა მათ ღრმა ანალიზს, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის მეცნიერულ ღირებულებას.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული და აქტუალური საკითხით, აგრარული პრობლემით გრ. ნათაძის დაინტერესება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გრ. ნათაძის მეცნიერული არჩევანი უმთავრესად ორი ფაქტორით იყო განპირობებული. ჯერ ერთი, იგი როგორც ესერთა პარტიის აქტიური წევრი, ბუნებრივია, დიდ ყურადღებას იჩენდა აგრარული პრობლემისადმი საქართველოში. და მეორეც, რა თქმა უნდა, ამ გატაცებას მძლავრი სტიმული მისცა „რუსულმა სკოლამ“, უპირველეს ყოვლისა კი ივან ლუჩიცკიმ, რომელსაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, კიევის უნივერსიტეტში სწავლის დროს ძალიან დაუახლოვდა გრ. ნათაძე. შეიძლება ითქვას, რომ მან აგრარული საკითხით გრ. ნათაძის დაინტერესებას კონკრეტული მიმართულება მისცა.

ამ თემაზე მუშაობა მან ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო ივ. ლუჩიცკის ხელმძღვანელობით და შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში რ. ეიპერის რჩევით განაახლა მასზე მუშაობა. მან ამ საკითხზე სადიპლომო ნაშრომი დაიცვა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, უმთავრესად გრ. ნათაძის პოლიტიკური საქმიანობის გამო, ვეღარ მოხერხდა, და გრ. ნათაძის მიერ დაწერილი ნაშრომი გამოქვეყნებული არ ყოფილა. ხოლო ივ. ლუჩიცკის კაპიტალური გამოკვლევის[1] გამოსვლის შემდეგ მისმა გამოცემამ, ცხადია დაკარგა მეცნიერული ღირებულება. თავისთავად ეს ფაქტი საგულისხმოა და, ვფიქრობთ, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში გრ. ნათაძე მეცნიერული გზით მიდიოდა. ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ ნაშრომის დროული გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, რაც ეჭვს გარეშეა, რომ ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა. წინამდებარე გამოკვლევა, როგორც თავად გრ. ნათაძე აღნიშნავს, წარმოადგენს ერთ პატარა ფრაგმენტს იმ სერიოზული ნაშრომისა, რომელიც დაწერილი ჰქონია გრ. ნათაძეს. უკვე XX საუკუნის დასაწყისში „ვიპერისაგან 1906-07 წლებში არაერთხელ გამიგონია, რომ ამგვარი შრომა (ე. ი. საფრანგეთის რევოლუციის საგლეხო კანონმდებლობა) დიდ საჭიროებას წარმოადგენს. ამიტომ ამ ხანებში, როდესაც პროფ. ი. ლუჩიცკის ჯერ ამგვარი შრომა დაბეჭდილი არ ქონდა, მე შევკრიბე მასალები ამ საკითხის გასაშუქებლად და შრომაც დავწერე, მაგრამ მაშინ სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო დაბეჭდვა ვერ მოვახერხე, ხოლო ლუჩიცკის ყოველმხრივ სრული შრომის გამოქვეყნების შემდეგ, ჩემი შრომის დაბეჭდვას, რასაკვირველია, აზრი არ ქონდა. მიუხედავად ამისა, ჩემს მიერ შეკრებილ მასალებში არის თითო-ოროლა ისეთი რამ, რაც პროფ. ი. ლუჩიცკის წვრილმანად ჩაუთვლია და არ გამოუქვეყნებია. ამ მასალებს

---

[1] Лучицкий Ив., Крестьяне и крестьянская реформа во Франции во время революции – Книга для чтения по новой историй, т. 3, Киев, 1912.

წარმოადგენს ოქმები დამფუძნებელი კრებისა, მისი კომისიებისა, ეგრეთ წოდებული ფეოდალური კომიტეტისა და სხვა კრებათა ანგარიშები, ცალკე ორატორთა სიტყვები".[1] ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მართალია წვრილმანში, მაგრამ გრ. ანთაძის ნაშრომი გარკვეულ სიახლეებს მოკიდებული როდია და მას სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ზოგიერთი ახალი მასალა.

„საფრანგეთის რევოლუცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი შორეულ წარსულს არ განეკუთვნება დღემდე მაინც სათანადოდ გამოკვლეული არ არის, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ მასალა ნაკლები იყოს, არამედ პირიქით, სწორედ იმით, რომ მასალა ძლიერ ბევრია, რომ ბოლო დროს საფრანგეთის რევოლუციის სხვადასხვა საკითხს თავისი მკვლევარები გამოუჩნდა. წინანდელი გეგმა ამ შესანიშნავი დროის კვლევის წესისა, რომლის მიხედვითაც მას იკვლევდნენ, ამ ბოლო დროს უარყოფილია, ვინაიდან ყველა დარწმუნდა, რომ ევროპის ისტორიის ამ ხანას მრავალი რთული და სპეციალური მხარე აქვს. მაგალითად, ვიცით, რომ პოლიტიკური მხარე რევოლუციისა შეადგენს სპეციალური კვლევა-ძიების საგანს ოლარისა, რომლის შრომამაც სრულიად ცხადყო, თუ რაოდენ რთული საქმეა საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკური ისტორიის გამოკვლევა, მაგრამ არა ნაკლებ რთულია სოციალური მხარე, რომლის კვლევა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ამ საქმის გამოკვლევაში, სხვათა შორის, ძალზე დიდი წვლილი მიუძღვით რუსეთის მეცნიერებს. მახსოვს 1900 წელს საფრანგეთის მეცნიერებმა პერიოდულ პრესაში საჭიროდ სცნეს აღენიშნათ ეს ღვაწლი რუსეთის მეცნიერებისა, განსაკუთრებით კი აწგანსვენებულ პროფ. ივ. ლუჩიცკისა, რომელმაც მრავალი შრომა დასწერა საფრანგეთის რევოლუციის დროს გლეხთა მდგომარეობის შესახებ".[2]

---

[1] გრ. ნათაძე, რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი კანონმდებლობისა, უნივერსიტეტის მოამბე, 1922, გვ. 158.

[2] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156-157.

არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმის თაობაზე, რომ გრ. ნათაძე სერიოზულად ჩახედული ჩანს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიაში და, ვფიქრობთ, კარგად გაიცნობიერა ის მოთხოვნები, რომელსაც ახალი ეპოქა უყენებდა საფრანგეთის რევოლუციის მკვლევარებს. იგი მშვენივრად ხედავს, რომ ტრადიცია, რომელსაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ჩაუყარეს საფუძველი რესტავრაციის ეპოქის ფრანგმა ისტორიკოსებმა, როდესაც წერდნენ მთლიანად რევოლუციის ისტორიას, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ამიერიდან წინა პლანზე წამოინია კონკრეტული პრობლემების გამოკვლევამ. სავსებით ვეთანხმებით გრ. ნათაძეს, რომ ეს სულაც არაა იოლი საქმე და რომ საკითხი არის საკმაოდ რთული და მრავალწახნაგოვანი. ვფიქრობთ, სწორედ ამ ცვლილებებში ხედავს გრ. ნათაძე იმ წინგადადგმულ ნაბიჯს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიოგრაფიაში.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ისტორიკოსებს, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, გრ. ნათაძეს და ალ. ნამორაძეს, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული საფრანგეთის აგრარული განვითარების მთავარი სპეციფიკა. იურიდიულად თავისუფალი გლეხი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი არ იყო. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მინაზე სენიორული უფლებები კვლავ ძალაში დარჩა. „თავისუფალი გლეხი იჯდა არათავისუფალ მინაზე". სწორედ ეს უმნვავესი საკითხი უნდა გადაეწყვიტა რევოლუციას. ამ რთული პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა შემ ხვევითი არ იყო და მასში უწინარესად წყაროების ზედმიწევნით კარგ ცოდნას და „რუსული სკოლის" გავლენის ლოგიკური შედეგი უნდა დავინახოთ.

ამის შემდეგ გრ. ნათაძე ეხება და სათანადოდ წარმოაჩენს ივ. ლუჩიცკის წვლილს აგრარული საკითხის შესწავლის საქმეში.[1] ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ნ. კარეევისა და მ. კოვოლევსკის შესახებ, რომლებმაც თავისი სიტყვა თქვეს ამ პრობლემის დამუშავების საქმეში. მით უმეტეს,

[1] იქვე, გვ. 157-158.

ეს საინტერესო იქნებოდა იმიტომ, რომ ისინი ივ. ლუჩეკის ოპონენტები იყვნენ და არ იზიარებდნენ მის მიერ მიღებულ დასკვნებს. ამ საკითხის წინ წამოწევა შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა გრ. ნათაძის ნაშრომს.

გრ. ნათაძე თავის გამოკვლევაში დიდ ადგილს უთმობს 1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტების განხილვას. საკითხის ასეთი დეტალური ანალიზი და დაწვრილებითი განხილვა მისასალმებელი უნდა იყოს და ამ საკითხის გაშუქების პირველი მეცნიერული მცდელობაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. გრ. ნათაძის მიერ 1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტის მნიშვნელობის შეფასება ქართულ სინამდვილეში სერიოზულ, წინგადადგმულ ნაბიჯად გვეელინება. საქმე ისაა, რომ მისი წინამორბედები შეიძლება ითქვას, რომ 4 აგვისტოს დეკრეტს ცოტათი შელამაზებული სახით ჭვრეტდნენ და აჭარბებდნენ მისი ისტორიული მნიშვნელობის შეფასებას, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მას აღიქვამდნენ როგორც ფეოდალიზმის სრული და საბოლოო ლიკვიდაციის აქტს, რაც ევროპული ისტორიოგრაფიის, ამ შემთხვევაში ა. ოლარისა და ვ. ბლოსის გავლენის ლოგიკური შედეგია.[1]

დეკრეტის მიხედვით, ფეოდალური ვალდებულებები და გადასახადები ორ კატეგორიად დაიყო: „პირადი უფლებები" და „რეალური უფლებები". პირველ კატეგორიაში შედიოდა მემამულესა და გლეხს შორის არსებული პირადი დამოკიდებულება, ხოლო მეორე კატეგორია დაკავშრებული იყო მიწის საკუთრებასთან და ეკონომიკურ ურთიერთობებთან.[2] ცხადია, ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო არსებითი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პირველი. აგვისტოს დეკრეტების თანახმად, გაუქმებულ იქნა პირველი კატეგორიის ვალდებულებები „მარადიული უფლებები", რომელიც აქა-იქ თუ იყო შემორჩენილი. დეკრეტმა იურიდიულად დააკანონა რეალურად არსებული სიტუაცია. ამიტომ სავსებით ვეთანხმებით

---

[1] ვ. ლორთქიფანიძე, საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ნაწ. 1, (1789-1792), თბ., 1906, გვ. 43; ნოე ჟორდანია, საფრანგეთის ისტორია, დიდი რევოლუცია, თბ., 1906, გვ. 19-20.

[2] Ф. Саньяк, Гражданское законодательство французской революции, М., 1928.

გრ. ნათაძეს, რომ ამ ფაქტის ისტორიული მნიშვნელობის გაზვიადება არ ღირს. მეორე კატეგორიის გადასახადები „რეალური უფლებები" უფრო ბევრი და გაცილებით უფრო მძიმე იყო, და დეკრეტის თანახმად, გამოსასყიდად იქნა გამოცხადებული.[1] ამიტომ, ფეოდალიზმის სრულ და საბოლოო ლიკვიდაციაზე საუბარი ნაადრევია. მართალია აქ გრ. ნათაძე არ იმოწმებს ივ. ლუჩიცკის, მაგრამ იზიარებს მის თვალსაზრისს, რომ „4-11 აგვისტოს დეკრეტის თანახმად გაუქმებული სენიორალური რეჟიმი მთელი თავისი არსებით ძალაში დარჩა. და ამდენად მისი მოსპობა მხოლოდ ქაღალდზე მოხდა".[2]

გრ. ნათაძის მსჯელობის მინუსად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ იგი რატომღაც არაფერს ამბობს მეათედის გაუქმებაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რომლის მოსპობამ შესამჩნევად შეუმსუბუქა მდგომარეობა ფრანგ გლეხს. თუ რამდენად კმაყოფილი იყო ფრანგი გლეხი, ეს კარგად ჩანს ერთი მაგალითიდან, რომელიც ფრანგ ისტორიკოს ჟან ჟორესს მოყავს. როდესაც მტერი შემოიჭრა საფრანგეთში და კითხა გლეხს „რატომ გიყვართ რევოლუციონერებიო", მათი პირველი პასუხი ასეთი იყო „მათ გააუქმეს მეათედი".[3] ამიტომ აღნიშნული დეკრეტების შეფასებისას გრ. ნათაძე მეტად პესიმისტურად ჩანს განწყობილი.

კიდევ ერთი სერიოზული საკითხი, რომელსაც ეხება თავის ნაშრომში გრ. ნათაძე, არის 1790 წლის 15 მარტის და 3 მაისის დეკრეტები. ამ კანონებისადმი გრ. ნათაძის სკეპტიკური დამოკიდებულება საკამათო უნდა იყოს. 15 მარტის დეკრეტის თანახმად ნაწილობრივ გაუქმებულ იქნა ტრიაჟის კანონი. ეს კი აგრარული საკითხის გადაწყვეტის საქმეში უკვე წინგადადგმული ნაბიჯი იყო.[4] ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამფუძნებელმა კრე-

---

[1] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159-168.

[2] Ив. Лучицкий, Состояние земледельческих классов во Франции накануне революции и аграрная реформа 1789-1793 гг., Киев, 1912, გვ. 91.

[3] Ж. Жорес, Социалистическая история французской революции, т. 1., книга 1, 1976, გვ. 378.

[4] 15 მარტის და 3 მაისის დეკრეტების ტექსტი იხ. "Archives Porlamentares", სერია 1, ტ. XII, გვ. 172-177 და ტ. XV, გვ. 364-365.

ბამ ფეოდალურ გადასახადთა და ვალდებულებათა გამოსყიდვის იმდენად მაღალი ნიხრი დააწესა, რომ ამ ვალდებულებისაგან თავის დახსნა არსებითად შეუძლებელი შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ გლეხკაცობა იმდენად განბილებული დარჩა ამ დეკრეტით, რომ თავის გამოსყიდვა არც კი სურდა. როგორც ერთი თანამედროვე აღიშნავს ამ გადასახადებისგან გამოსყიდვა იმდენად ძნელი იყო, რომ თუნდაც ერთისგან, რომ გაგეთავისუფლებინა თავი ყველაფერი უნდა გაგეყიდა. გრ. ნათაძე ასკვნის, რომ „დამფუძნებელი კრების საქმიანობა სოციალურ სფეროში სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა. ის დეკრეტებს იღებდა ცხოვრება კი თავისით მიდიოდა".[1]

მორიგი სერიოზული საკითხი, რომელსაც ეხება გრ. ნათაძე თავის ნაშრომში, არის საკანონმდებლო კრების მიერ გლეხთა საკითხის გადაწყვეტა. საკანონმდებლო კრების აგრარული კანონმდებლობებისადმი გრ. ნათაძის ნეგატიური დამოკიდებულება საკამათო შეიძლება იყოს. საფიქრებელია, რომ აღნიშნულ საკითხში საკანონმდებლო კრებას სწორი კურსი ჰქონდა აღებული, მაგრამ პოლიტიკური გართულებების გამო, ომი ევროპასთან, რომლის ლოგიკური შედეგი იყო 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება, მას თავისი ჩანაფიქრის განხორციელება არ დასცალდა. აღნიშნული საკითხის პესიმისტური შეფასება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ იგი დუმილით უვლის გვერდს 1792 წლის აგვისტოს დეკრეტებს, რომლის მიღება აგრარულმა კრებამ სულ ბოლო წამს მოასწრო. ამ საკითხის განხილვით, გრ. ნათაძის გამოკვლევის გასრულება ალბათ, ყველაზე უპრიანი იქნებოდა.[2]

ნაშრომში განხილულია 1792 წლის ივნისის კანონები. მისი დედააზრი ასე გამოიყურება: ყველა სენიორს აქვს უფლება საბუთის მაგივრად წარადგინოს სამი ხელწერილი თავისი უფლებისა, კანონიერების და სამართლიანობის დასამტკიცებლად, რითაც საკანონმდებლო კრებას უნდოდა მემამულის მდგომარეობა ფეოდა-

---

[1] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164-170.

[2] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 170-175.

ლური გადასახადების გაუქმების საკითხში ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა.[1]

„სამაგიეროდ, მათ მუშაობაში იყო რამოდენიმე მომენტი, რომელთაც ხელი შეუწყვეს გლეხთა საკითხის გადაწყვეტას საკანონმდებლო კრების შეუმჩნეველად, რადგან ისინი ამ მომენტებში გლეხთა საკითხის გადაწყვეტას არ ისახავდნენ მიზნად. მაშასადამე, ისტორიის მსვლელობამ თვითონ გამოიყენა თავისი, ასე ვთქვათ, მიზნისათვის ის, რაც პოლიტიკურ მოღვაწეებს თავისი მიზნისათვის უნდოდათ. მე მხედველობაში მაქვს ჯერ ერთი საეკლესიო მამულების გაყიდვა და მერე ემიგრანტთა მამულისა. ამ ორმა აქტმა გლეხკაცობის დიდი ნაწილი დააკმაყოფილა და სოფელში შექმნა თავისუფალი გლეხკაცობის კადრი, ვინაიდან მამულის შეძენის გარდა, თავადაზნაურობის გაქცევამ და გაძევებამ თავისთავად მოსპო ფეოდალური გადასახადები და ვალდებულებები“.[2] ამგვარმა გადაწყვეტამ ახალი საკითხები წამოჭრა. „გლეხკაცობის ერთი ნაწილი, რომ სოფლად დარჩა და მეურნეობიას მოკიდა ხელი, მეორე ნაწილი, რომელმაც მიწის შესყიდვა ვერ მოახერხა, თუმცა პირადად განთავისუფლდა, მაგრამ სრულიად გაღატაკდა. ვინაიდან მაშინდელ სიძვირეში თავისი რჩენა იმისთვისაც ვისაც თავისი მეურნეობა, ან მუდმივი სამუშაო არ ჰქონია, ყოვლად შეუძლებელი იყო. გაჩნდა მრავალი უმუშევარი, ამიტომ სოციალური საკითხი ახალი (განსაკუთრებით კონვენტის დროს) ხშირად სხვა სახით წამოიჭრა.[3] გრ. ნათაძის ეს დასკვნა უპირველეს ყოვლისა, იმ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას, რომ უპირისპირდება მისი მასწავლებლის ივ. ლუჩეცკის მოსაზრებას, რომელიც ფიქრობდა, რომ თითქოს საფრანგეთში ადგილი არ ჰქონია გლეხობის უმიწოდ დატოვებას.[4] ამ შემთხვევაში იგი უფრო ნ. კარეევის და მ. კოვალევსკის შეხედულებისაკენ იხრე-

---

[1] იქვე.

[2] იქვე, გვ. 176-177.

[3] იქვე, გვ. 177.

[4] Ив. Лучицкий, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

ბა, რომლებიც ხაზს უსვამენ რევოლუციის წინ გლეხთა გაბოგანოების, ექსპროპრიაციის, უმიწოდ დატოვების შემთხვევებს.[1]

გრ. ნათაძე თავის გამოკვლევაში საინტერესო დასკვნამდე მიდის. მისი აზრით, გლეხთა საკითხის გადაწყვეტისას საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში მიღწეული წარმატებები საკანონმდებლო კრების დამსახურება კი არ იყო იმდენად, რამდენადაც რეალური ცხოვრებისა. „ჯერჯერობით კი ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხთა საკითხი პოლიტიკური მოღვაწეების ნებისყოფის გარეშე ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ დასახული მიზნებისა და გეგმების გარეშე, თვით ისტორიულმა პროცესმა გადაწყვიტა ისე, როგორც ამას ძალთა ურთიერთობა მოითხოვდა და არ წარმოადგენს მათ მიერ დასახული მიზნების განხორციელებას".[2] მიგვაჩნია, რომ გრ. ნათაძე დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარულ პოლიტიკას პესიმისტურად უყურებდა და შეიძლება ცოტა ამუქებდა რეალურ სინამდვილეს, რაც იმით გამოიხატება, რომ იგი ცდილობს დააკნინოს დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების როლი რევოლუციის დასაწყისში აგრარული საკითხის გადაწყვეტის საქმეში, ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარული პოლიტიკა არ პასუხობდა გრ. ნათაძის პოლიტიკურ იდეალს. დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარული პოლიტიკა ოპტიმიზმის საფუძველს უფრო მეტად იძლევა, ვიდრე პესიმიზმის. ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის ისეთი კომპეტენტური მკვლევარი როგორიც იყო პ. კროპოტკინი, მიუთითებდა, რომ დამფუძნებელი კრების წინაშე აგრარული პრობლემის გადაჭრის ორი გზა არსებობდა. 1. ის შეიძლება შესდგომოდა ფეოდალური უფლებების შესახებ კანონპროექტის შემუშავებას, რომლის განხილვას მოუნდებოდა მთელი თვეები, უფრო სწორად, წლები და მათ

---

[1] Н. Караев, крестьяне и крестьянский вопрос во франции в последней четверти XVIII в., М., 1979, გვ. 115-117; М. Ковалевскии, Прохождение современной демократии, т. 1, გვ. 171, 179, 195-197.

[2] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანდა, გარდა განხეთქილებისა კრების შიგნით, რაც გამოიწვევდა მეფის მიერ მის დათხოვნას. (ეს შეცდომა დაუშვა რუსეთის დუმამ 1905 წელს მიწის საკითხის განხილვის დროს). ანდაც 2. მას შეეძლო გამოეცხადებინა ზოგიერთი მთავარი საწყისი, რომელიც მომავალში გახდებოდა კანონების შედგენის საფუძველი. კრებამ ეს მეორე გზა აირჩია და იგი გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იყო, ვიდრე პირველი.[1] პრაქტიკაში „სოფლად კრების ეს პრინციპიალური დადგენილებანი აღიქვეს როგორც ფეოდალური უფლება-ვალდებულებების რევოლუციური გზით გაუქმება და ამან იმდენად შეარყია მთელი ფეოდალური სისტემა, რომ ოთხი წლის შემდეგ კონვენტს შეეძლო გაეტარებინა კანონი ფეოდალური ვალდებულებების სრული ლიკვიდაციის შესახებ"[2] — დასძენს იგივე პ. კროპოტკინი. 1789 წლის აგვისტოს დეკრეტებს თან მოყვა საკუთრების თავისუფლება, რაც პირველ ყოვლისა გამოიხატა იმით, რომ დასაბამი მისცა საკუთრების ახალ გაგებას, სათავე დაუდო მიწით სარგებლობის თავისუფლებას, აგრარული ინდივიდუალიზმის ტრიუმფს.[3] მეათედის გაუქმება, ტრიაჟის გაუქმება, გაბელის გაუქმება (1790 წლის 21 მარტი) სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს ნარმოადგენდა აგრარული საკითხის გადაჭრის გზაზე და დამფუძნებელი კრების აქტივს უნდა მიეკუთვნოს. გრ. ნათაძე როგორც ესერთა პარტიის წევრი აგრარულ საკითხში უფრო რადიკალურად იყო განწყობილი და ამიტომ მიუღებლად მიაჩნდა დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარული პოლიტიკა, რომელიც რევოლუციის ამ წვავე საკითხის გადაჭრას ცდილობდა თანდათან ევოლუციური გზით.

ამრიგად, ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საფრანგეთის რევოლუციის საგლეხო კანონმდებლობის მეცნიერული შესწავლის საკითხში პირველი სერიოზული ნაბიჯი უკვე

---

[1] П. Кропоткин, великая французская революция 1789-1793 гг., М., 1979, გვ. 111.

[2] П. Кропоткин, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

[3] Ж. Жорес, დასახ. ნაშრ., გვ. 513.

გრ. ნათაძემ გადადგა, რაც ახალი ისტორიის პრობლემების კვლევის სფეროში მის ერთ-ერთ სერიოზულ დამსახურებად მიგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ შემდგომში ეს ხაზი განაგრძო და კიდევ უფრო გააღრმავა ალ. ნამორაძემ. შესაძლოა, მის დაინტერესებას ამ პრობლემით სტიმული მისცა გრ. ნათაძემაც.

* * *

საფრანგეთის პირველი რევოლუციის აგრარულ საკითხს დიდი ადგილი აქვს დათმობილი გრ. ნათაძის სახელმძღვანელოში „კაპიტალიზმის ისტორიიდან. თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია". ეს ადვილი გასაგებიცაა. ის ამ საკითხის კარგად მცოდნე იყო და სახელმძღვანელოშიც ფართოდ გააშუქა. ამიტომ ამ თემაზე მსჯელობა გრ. ნათაძის აღნიშნული სახელმძღვანელოს განხილვით უნდა განვაგრძოთ.

საფრანგეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდა გლეხობა. ამიტომ სახელმძღვანელოში განსაკუთრებით დეტალურადაა განხილული აგრარული საკითხი. აღსანიშნავია, რომ ეს თემა მას ყველაზე უფრო ხელეწიფებოდა, ვინაიდან საკითხი საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი უკვე სტუდენტობის დროს, გამოჩენილი მეცნიერების ივ. ლუჩიცკის და რ. ვიპერის ხელმძღვანელობით. მან ამ თემაზე მოსკოვის უნივერსიტეტში დაიცვა სადიპლომო ნაშრომი, რომლის დროულად გამოქვეყნება ვერ მოახერხა და მხოლოდ 1922 წელს, მას შემდეგ რაც 1912 წელს გამოვიდა ივ. ლუჩიცკის ფუნდამენტალური გამოკვლევა, რომელსაც არსებითად დაემთხვა სადიპლომო ნაშრომში გრ. ნათაძის მიერ მიღებული დასკვნები, მან გამოაქვეყნა შემოკლებული სახით თავისი შრომა ამ პრობლემაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გრ. ნათაძემ ისარგებლა იმ მასალით, რომელიც დაგროვებული ჰქონდა და თავის სახელმძღვანელოში ფართოდ წარმოაჩინა ეს საკითხი.

თავის სახელმძღვანელოში გრ. ნათაძე ეხება შემდეგ პრინციპულ საკითხებს: 1. რა იყო ცენზივა, 2. როგორი იყო ფრანგი გლეხის ყოფა რევოლუციის წინ, 3. მიწის ახალმა მესაკუთრემ რა სიახლეები შეიტანა მეურნეობაში. რით განსხვავდება არაპრივილე-

გირებული ნოდების წარმომადგენელი თავისი წინამორბედისაგან, როდესაც ის ხდება მიწის მფლობელი.

გრ. ნათაძე მიმოიხილავს საკითხს გლეხობის მიწისმფლობელობის შესახებ რევოლუციამდელ საფრანგეთში. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხის ისტორიოგრაფიაში ჩახედულება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გრ. ნათაძის მსჯელობის ღირებულებას. მიგვაჩნია, რომ იმ ისტორიკოსების ჩამოთვლა, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ პრობლემის შესწავლის საქმეში ავტორს ა. ტოკვილით უნდა დაეწყო, ვინაიდან ტოკვილი იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა რევოლუციამდელ საფრანგეთში წვრილი გლეხური მეურნეობის არსებობა, მაგრამ უფრო მეტიც, გრ. ნათაძე რატომღაც არც კი მოიხსენიებს ტოკვილს.[1] გრ. ნათაძე შესანიშნავად იცნობს ტოკვილის თხზულებას „ძველი რეჟიმი და რევოლუცია". ამიტომ, ვფიქრობთ, მას უნებლიეთ გამორჩა ფრანგი ისტორიკოსის დასახელება, რაც ლაფსუს კალამი შეიძლება იყოს.

„თანამედროვე მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში წარმოებდა კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად იყო გავრცელებული საფრანგეთში წვრილი გლეხური მიწისმფლობელობა რევოლუციის წინ. ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა ძალიან გავრცელებული იყო და მეორე კი პირიქით ამტკიცებდა, რომ თავადაზნაურობა და სამღვდელოება ფლობდა მიწის უდიდეს ნაწილს. პროფ. ლუჩიცკი ოდესღაც აუარებელი ციფრებით ხელში ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის სხვადასხვა ოლქებში ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად, ძალიან გავრცელებული იყო წვრილი საკუთრება. მისი აზრით, ზოგიერთ ოლქში საგლეხო მიწების რაოდენობა აღემატებოდა კიდეც დანარჩენი წოდებების ხელში მყოფი საკუთრების რაოდენობას, მაგრამ ეს მას გლეხობის მნიშვნელობის გაზვიადების გამო მოსდიოდა, ნამდვილად კი რა მნიშვნელობა აქვს იმას, ფლობდა თუ არა გლეხობა საკუთრებას, როდესაც სულ ერთია საკუთრებაც ისეთი გაუმართლებელი და მეურნეობის მიერ აუნაზღაურებელი გადასახადებით იყო დაბე-

[1] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16-17.

გრილი, რომ ეს საკუთრება სრულიადაც არ გავდა საკუთრებას".[1] რა თქმა უნდა, გ. ნათაძეს მხედველობაში აქვს გახმაურებული დისკუსია მის მასწავლებელ ივ. ლუჩიცკის და მ. კოვალევსკის შორის. შეიძლება ითქვას, რომ მას კარგად აქვს გაცნობიერებული ის ძირითადი საკითხები, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობდა დავა ამ ორ დიდ რუს ისტორიკოსს შორის: 1. იყო თუ არა რევოლუციამდელ საფრანგეთში ნვრილი გლეხური მიწისმფლობელობა, 2. გლეხთა დიფერენციაცია რევოლუციის წინ, 3. იყო თუ არა ცენზივა საკუთრება.[2]

გრ. ნათაძემ სტუდენტებს გააცნო თუ როგორი იყო საკითხის დასმა იმ პერიოდის ისტორიულ ლიტერატურაში და რომელი პრობლემები იწვევდა ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას, კამათს, რაც სახელმძღვანელოსათვის საკმარისად მიგვაჩნია.

გრ. ნათაძე მხარს უჭერს ივ. ლუჩიცკის თეზისს, რომლის თანახმადაც მთელ საფრანგეთში რევოლუციამდე არსებობდა ნვრილი გლეხური მიწათმფლობელობა და არ იზიარებს მ. კოვალევის თვალსაზრისს, რომელიც ძალზე აახლოებდა ინგლისისა და საფრანგეთის აგრარულ განვითარებას და ხაზს უსვამდა პრივილეგირებული ნოდების მსხვილი მიწის საკუთრების გაფართოებას. გრ. ნათაძემ, ვფიქრობთ, კარგად დაინახა თუ რით იყო გამოწვეული აზრთა ეს სხვადასხვაობა და დამაჯერებლად ახსნა მისი მიზეზები. გრ. ნათაძე მას, პირველ რიგში, წყაროთმცოდნეობის სფეროში ხედავს თუ ლუჩიცკი დიდ ყურადღებას უთმობდა ხუთპროცენტიან გადასახადების სიას, მისი ოპონენტი პირიქით, ძირითადად ეყრდნობოდა საჩივართა რვეულებს, თუმცა ის მ. კოვალევსკის რატომღაც, აქ არსად მოიხსენიებს.[3] ჟ. ლევერის, ნ. ლუკინის, ს. სკაზკინის გამოკვლევებმა დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ ტოკვილ-ლუჩიცკის ეს მოსაზრება, რომ რევოლუციამდელ საფრანგეთში არსებობდა ნვრილი გლეხური საკუთრება, უფრო ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან. უკვე ა. ტოკვილი შენიშნავდა, რომ

---

[1] იქვე, გვ. 9.
[2] იქვე, გვ. 9-19.
[3] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

„რევოლუციამ კი არ შექმნა წვრილი გლეხური საკუთრება, არამედ გაათავისუფლა ფეოდალური ვალდებულებებისაგან“.[1]

რა თქმა უნდა, გრ. ნათაძეს მხედველობიდან არ გამოეპარებოდა, რომ ივ. ლუჩიცკისა და მ. კოვალევსკს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო გლეხთა დიფერენციაციის საკითხშიც, მაგრამ იგი ამ საინტერესო თემას რატომღაც დუმილით უვლის გვერდს, რაც მისი მსჯელობის მინუსად მიგვაჩნია. როგორც მეცნიერების უმრავლესობა ფიქრობს, ამ შემთხვევაში მ. კოვალევსკი უფრო ახლოს მივიდა რეალობასთან, ვიდრე — ლუჩიცკი. რევოლუციამდელ საფრანგეთში გლეხთა დიფერენციაცია გაცილებით შორსაა წასული, ვიდრე ამას ივ. ლუჩიცკი ფიქრობდა.[2] ვფიქრობთ, ორიოდე სიტყვის თქმა ამ თემაზე ურიგო არ იქნებოდა.

და ბოლოს, ალაბთ, ყველაზე უფრო ძნელი საკითხი, რა არის ცენზივა? ბუნებრივია, გრ. ნათაძე გვერდს ვერ აუვლიდა ამ თემას და მისი დამოკიდებულება ცენზივასადმი ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. „იმ შემთხვევაში, როდესაც მემამულეს სალენო მიწის დამუშავება სურდა, მას გლეხს გადასცემდა, მაგრამ რაკი საკუთრებად მიწის შეძენა გლეხს არ შეეძლო, ის ჩირშს, ანუ ლენს უხდიდა, ცენზიტარი გლეხი ე. ი. ცენზის გადამხდელი, თვით გლეხთა შორისაც კი ყველაზე დაბლა მდგომი და უუფლებო იყო. ცენზი წარმოადგენდა სამარადისო რენტას, ისე რომ ეს გლეხი თითქმის სრულიად დამოუკიდებელი იყო ბატონისაგან ეს იყო ყმა. მართალია, მას იურიდიულად უფლება ჰქონდა მიწის სხვისთვის გადაცემისა, მაგრამ თუ წინდანინ ბატონის თანხმობა არ იქნებოდა, ესეც არ შეიძლებოდა.[3]

---

[1] А. Токвиль, Старий порядок и революция, СПБ 1861, გვ. 22-33.

[2] Н. Кареев, Крестьяне ис крестьянский вопрос во Франции, თავი II. "Историография нового времени стран Европи и Америки", часть I, М., 1967 г., გვ. 357; Б. Вебер, Историографические проблемы, М., 1974 г., გვ. 277; С. Сказкин, Спорные вопросы аграрной истории Франции XVIII вска - вк: "Европп в новое и новеишее время", М., 1966, გვ. 101.

[3] М. Ковалевский, Происхождение современной, т. 1, გვ. 28, 58-60 და სხვ.

„რუსული სკოლის“ ყურადღების ცენტრში იდგა საკითხი, იყო თუ არა ცენზიტარი მესაკუთრე და თუ არ იყო მესაკუთრე, მაშინ ხომ არ იყო არენდატორი? ივ. ლუჩიცკი ამტკიცებდა, რომ ცენზიტარი იყო მესაკუთრე.[1] ამ საკითხში მას არ ეთანხმება მ. კოვალევსკი. თავდაპირველად ის ფიქრობდა, რომ ცენზივა იყო უბრალო, ჩვეულებრივი არენდა,[2] დასაწყისში ამ შეხედულებას იზიარებდა ნ. კარეევი, მაგრამ ივ. ლუჩიცკის გამოკვლევების შედეგად, ის უფრო ახლოს გაეცნო საქმის ვითარებას.[3] მეცნიერთა უმრავლესობა (კარე, ს. სკაზკინი) ძალიან ფრთხილად უფრო იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ივ. ლუჩიცკი შედარებით ახლოს მივიდა სინამდვილესთან, ვიდრე მისი ოპონენტი. ვუწოდოთ ცენზიტარებს არენდატორები, როგორც ამას მ. კოვალევსკი ჩადიოდა, მთლიან მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს. თვით ცენზიტარები თავის მიწას ცენზივას განიხილავდნენ, როგორც საკუთრებას. ცენზიტარი და ცენზივა კი ფეოდალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ფორმებია. ცენზივა არ იყო გლეხური საკუთრება. ასეთად იგი სწორედ საფრანგეთის რევოლუციის შედეგად გადაიქცა და სწორედ ეს იყო საფრანგეთის რევოლუციის დამსახურება.[4] გრ. ნათაძე უფრო იმ დასკვნამდე მიდის, რომ ცენზივა წარმოადგენდა „სამარადისო რენტას“ და ამ საკითხში მ. კოვალევსკის მომხრეთა ბანაკს უნდა მივაკუთვნოთ.

გრ. ნათაძე თავის სახელმძღვანელოში პირველწყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით განიხილავს ფრანგი გლეხის მდგომარეობას რევოლუციის წინ. აი როგორ ახასიათებდა იგი მათ ყოფას ამ პერიოდში. „გლეხი რჩებოდა გაღატაკებული, მისი ხვალინდელი დღე არ იყო უზრუნველყოფილი, მოკლებული იყო ადამიანურ ცხოვრებას, ჭამა-სმისა და ჩაცმა-დახურვის მხრივ და გარ-

---

1 Ив. Лучицкии, Состояние земледельчсеских классов во Франции... გვ. 50-51.

2 М. Ковалевский, Происхождение современной демократии, СПБ, 1895, გვ. 133-135; М. Ковалевский, Происхождение мелкой крестянской собственности во Франции, СПБ, 1912.

3 Н. Кареев, Ккрестьяне и крестьянский вопрос во Франции, II თავი.

4 С. Сказкин, დასახ. ნაშრ., გვ. 100-109.

და ამისა, მეტისმეტად ბნელი და უკულტურო იყო. ისე, რომ არავითარი ბრძოლის უნარი არ გააჩნდა მას ბუნების ძალების წინააღმდეგ. ამიტომ მოუსავლიანობა ხშირი იყო და მაშინ გლეხი სიცოცხლის სიტკბოებას ვერაფერში ხედავდა, მზად იყო ამბოხებისთვის. ეს გარემოება გლეხობაში ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა რევოლუციაში მონაწილეობისათვის.[1] უნდა დავეთანხმოთ გრ. ნათაძეს, როდესაც ფრანგი გლეხის რევოლუციური განწყობილების მიზეზს პირველ ყოვლისა, მის შეჭირვებულ მდგომარეობაში ეძებს. ფრანგი გლეხის ესოდენ შეჭირვებული ყოფის ერთ-ერთი სერიოზულ ფაქტორს გრ. ნათაძე ფეოდალურ, ანუ სენიორალურ გადასახადებში ხედავს.[2] მართლაც XVIII საუკუნის შუა ხანებიდან ფეოდალური ვალდებულებები მკვეთრად გაიზარდა. დაიწყო „სენიორალური რეაქცია".[3] ამიტომ რევოლუციის წინ სენიორალური რეჟიმის შესუსტებაზე საუბარი, როგორც ამას ტოკვილი ფიქრობდა, დიდ სიფრთხილეს საჭიროებს. და მაინც, გრ. ნათაძის მსჯელობის გაცნობის დროს გიჩნდება ერთი კითხვა, ცოტა ცალმხრივად ხომ არ წარმოაჩენდა იგი ფრანგი გლეხის ყოფას რევოლუციის წინ. საქმე ისაა, რომ ამ დროს ფრანგი გლეხობის ერთი ნაწილის მდგომარეობა უმჯობესდება და ამ საკითხისადმი გვერდის ავლა გამუქებულ ვითარებას დაგვიხატავდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარის პ. კროპოტკინის მოსაზრება, რომ „სინამდვილეში სოფელში შეინიშნებოდა ორგვარი მოვლენა, გლეხთა მასების გაღატაკება და ზოგიერთი გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება".[4] აი ეს ასპექტი, ვფიქრობთ, გრ. ნათაძის სახელმძღვანელოში სათანადოდ არაა გაშუქებული.

გრ. ნათაძე თავის წიგნში წამოჭრის ერთ ფრიად აქტუალურ საკითხს, რომლის ირგვლივ ისტორიკოსთა შორის დიდი კამათი იყო. საქმე ეხება რევოლუციამდელი საფრანგეთის სოფლის მეურ-

---

[1] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24-25.

[2] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11-16.

[3] З. Шерэ, Падение старого режима (1787-1789), т. 1-2, СПБ 1907-1908.

[4] П. Кропоткин, Великая французская революция, М., 1978 г., გვ. 18.

ნეობაში ახალი პროგრესული ტენდენციების შეღწევის პროცესს. თავის დროზე გრ. ნათაძის მასწავლებელი, ივ. ლუჩიცკი უგულ-ვებელყოფდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური განვითარე-ბის ელემენტების შეღწევას.[1] მისმა მთავარმა ოპონენტმა მ. კოვ-ალევსკიმ დამაჯერებლად ცხადყო, რომ XVIII საუკუნის მიწურულს ფრანგულ სოფელში სიახლეები თანდათან, ნელ-ნელა, იკვლევს გზას, თუმცა, შესაძლოა, იგი ცოტათი აჭარბებდა მის მნიშვნელო-ბას და ადგილს საფრანგეთის აგრარულ განვითარებაში, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ იგი ძალიან აახლოებდა, თითქმის აიგივებ-და საფრანგეთის და ინგლისის აგრარულ ყოფას.[2] ვფიქრობთ, გრ. ნათაძეს კარგად აქვს გაცხადებული ის შემაფერხებელი გარემოე-ბები, რომელიც მოჰყვა ახალ ძვრებს სოფლის მეურნეობაში. „ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზია მიწას ყიდულობდა და ამასთან არც ისე იშვიათი იყო, მაგრამ ის მიწას ყიდულობდა უმეტეს შემთხვევაში არა იმისათვის, შიგ კაპიტალი ჩაეყარა და გაუმჯობესებული მეურნეობა შემოეღო, არამედ მხოლოდ იმის-ათვის, რომ მიწები დაენაწილებინა, იჯარით გაეცა და აეღო მი-წის მუშისაგან იმგვარივე გადასახადი, როგორსაც თავადაზნაურო-ბა იღებდა და მიწა ისევ გაეყიდა დიდის მოგებით“.[3] მაგრამ მხო-ლოდ ამის აღნიშვნა საკმარისი არ იქნებოდა და მივიღებდით გამუქებულ სურათს, რომელსაც საკითხის ნეგატიურ შეფასებამ-დე მივყავართ. რეალური სინამდვილე კი უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი პესიმიზმის საფუძველს ნაკლებად იძლევა, მიუხედავად რიგი შემაფერხებელი გარემოებებისა, საფრანგეთის სოფლის მეურნეობა მაინც აღმავალი ხაზით ვითარდება. როგორც თანამედ-როვეები აღნიშნავდნენ ინგლისელებს თვალს ჭრიდა ჩრდილო-აღმოსავლეთის აყვავებული, უხვმოსავლიანი მიწები, რაც ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ახალი პროგრესული ტენდენციების შეღწე-ვის ლოგიკური შედეგი იყო. როგორც დამაჯერებლად უჩვენა

---

[1] Ив. Лучицкии, დასახ. ნაშრ.

[2] М. Ковалевский, Происхождение соврсменной демократии, გვ. 175, 194-195.

[3] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 23-24.

მ. კოვოლევსკიმ, ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებამ მძლავრი სტიმული მისცა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას. მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოში სათანადოდ არაა ხაზგასმული კონკრეტულად რაში მდგომარეობდა მეურნეობის გაუმჯობესება XVIII საუკუნის მიწურულს.[1]

გრ. ნათაძე ჩერდება მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებაზე რევოლუციამდელ საფრანგეთში. ხაზგასმულია, რომ განვითარებულია ვაჭრობა და მრეწველობა, მაგრამ წარმოება ძლიერ არის რეგლამენტირებული სახელმწიფოს მიერ, რაც მას უქმნის დიდ სიძნელეებს, თუნდაც ექსპორტის მხრივ. ეს კი წარმოშობს საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის უარყოფით სალტოს. აქედან იღებს სათავეს ვაჭართა და ხელოსანთა უკმაყოფილება სახელმწიფოთი.[2]

გრ. ნათაძის სახელმძღვანელოში ხომ არ შეიმჩნევა რევოლუციამდელი საფრანგეთის კაპიტალისტური განვითარების ტენდენციების შეუფასებლობა, რაც, შესაძლოა, „რუსული სკოლის" გავლენის შედეგი იყო. რევოლუციამდელი საფრანგეთის კაპიტალისტური განვითარების შეუფასებლობის შესახებ ჯერ კიდევ ვ. დალინი გვაფრთხილებდა.[3] რუსი მოგზაური დ. ფონვიზინი, რომელიც რევოლუციის წინ ეწვია საფრანგეთს აღნიშნავდა „თუ მე საფრანგეთში რამე ვნახე აყვავებულ მდგომარეობაში ეს, ცხადია, იყო მათი ფაბრიკები და მანუფაქტურები". ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ინგლისელი მოგზაური არტურ იუნგი, რომელიც ესტუმრა საფრანგეთს შედარებით მოგვიანებით, 1787-1790 წლებში.

ძნელი სათქმელია, რომ თითქოს „საფრანგეთის ვაჭრობა რევოლუციამდე უფრო უკეთესად იყოს გამოკვლეული, ვიდრე

---

[1] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22-25.

[2] იქვე, გვ. 25-32, 32-40.

[3] Далин В., Мануфактурная стадия капитализма во Франции XVIII века в освещении "русской школы" – в кн: Далин В., Людиы и Идеи", М., 1970.

მრეწველობა".[1] ორივე ეს თემა საკმაოდაა დამუშავებული ანრი ოზეს, ანრი სეს, ალბერ მატიეზის, ჟან ჟორესის შრომებში.

საფრანგეთის ვაჭრობისა და წარმოების შემაფერხებელი მიზეზების განხილვისას გრ. ნათაძე გვერდს უვლის ერთ სერიოზულ ფაქტორს. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ 1685 წელს ნანტის ედიქტის გაუქმებას თან მოჰყვა საფრანგეთიდან კაპიტალის გადინება უცხოეთში, რამაც, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის ვაჭრობასა და მრეწველობაზე. ქვეყანა დატოვა მაღალკვალიფიცირებული ვაჭრების და ხელოსნების ფართო კონტინგენტმა.

[1] გრ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

III თავი

ალ. ნამორაძის შრომები საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ საკითხზე

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ალ. ნამორაძის კიდევ ერთ დამსახურებას წარმოადგენს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის (სათემო მინების განანილების) შესნავლა. ფაქტობრივად ეს იყო მეორე დიდი პრობლემა, ადმინისტრაციული მეურვეობის შემდეგ, რომელსაც სერიოზულად ჩაულრმავდა ალ. ნამორაძე.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში აგრარული საკითხი იყო ყველაზე უფრო მწვავე და აქტუალური. ეს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილს. მათი განწყობილება კარგად გამოხატა რუსმა ისტორიკოსმა კ. კაველინმა, „რუსეთის მომავალი, მისი შინაგანი სიმშვიდე, მისი სიმდიდრე, განათლება, თავისუფლება, პროგრესი, საშინაო და საგარეო პოლიტიკური ძლიერება — ყველაფერი ეს დამოკიდებულია აგრარული საკითხის სწორ და სამართლიან გადაწყვეტაზე, რომელიც ჩვენთან (რუსეთში — მ. კ.) პირველ ადგილზე დგას".[1] ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ რუსი ისტორიკოსები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ აგრარული საკითხის მიმართ (ნ. კარეევი, ივ. ლუჩიცკი, მ. კოვალევსკი, პ. ვინოგრადოვი, ა. სავინი). თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ პრობლემით დაინტერესება მემკვიდრეობით გადაეცა რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას. (ნ. ლუკინი, ს. სკაზკინი, ა. ადო, ა. ლიუბლინსკაია და სხვ.), რაც იმით იყო განპირობებული, რომ აგრარულ საკითხს თავის სიმწვავე არც საბჭოთა ეპოქაში დაუკარგავს.

---

[1] Кавелин К., Разговор социялистом революционером – в кн: Кавелин К., наш умственный строй, статьий по философии, русской истории и культурс, М., 1989, გვ. 439.

ალ. ნამორაძის დაინტერესება საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხით სავსებით კანონზომიერი იყო და მნიშვნელოვანწილად ორი ფაქტორითაა განპირობებული: 1. რუსული სკოლის გავლენა, 2. 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში, არსებულ რეალურ სინამდვილეში, როდესაც აგრარული საკითხი გადაწყვეტილი იქნა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის მიერ ძალისმიერი მეთოდებით, კოლექტივიზაციის დროს. ასეთი გამოსავალი, ცხადია, ალ. ნამორაძეს პანაცეად არ მიაჩნდა. ალ. ნამორაძე საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხით კიდევ იმიტომ დაინტერესდა, რომ ეძებდა მისი გადაჭრის რეალურ გზებს საქართველოში. ამიტომ ალ. ნამორაძის მიერ თემის არჩევანი არა მარტო წმინდა მეცნიერული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც ფრიად აქტუალურად მიგვაჩნია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ. ნამორაძის შრომებმა ამ საკითხზე არა მარტო ქართველი ისტორიკოსების ყურადღება მიიპყრო, არამედ მას გამოეხმაურა რუსული, საბჭოთა ისტორიოგრაფია. აქ მხედველობაშია მისაღები ცნობილი ისტორიკოსის ო. ვაინშტაინის დადებითი შეფასება. იგი თავის ნაშრომში „საფრანგეთის რევოლუციის შესწავლა საბჭოთა კავშირში" ხაზს უსვამს რევოლუციის აგრარული პრობლემის გაშუქების საქმეში ქართველი ისტორიკოსების, პირველ რიგში კი პროფ. ალ. ნამორაძის და მისი მოწაფის მ. ეფრემიძის, წვლილს.[1]

ამ თემის კვლევის დროს კიდევ ერთხელ იჩინა თავი იმ კეთილისმყოფელმა გავლენამ, რომელიც მოახდინა ალ. ნამორაძის მეცნიერულ მოღვაწეობაზე 1912 წლის სამეცნიერო მივლინებამ საფრანგეთში. აქ ის გაეცნო არა მარტო მუნიციპალური წყობილების პირველწყაროებს, არამედ „ჩივილთა (საწადელთა) რვეულებს". ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თუ არა 1912 წლის სამეცნიერო მივლინება საფრანგეთში არ გვეყოლებოდა ისეთი თვითმყოფადი, საკუთარი ხელწერის მქონე ისტორიკოსი, როგორიც იყო ბ-ნ ალექსანდრე ნამორაძე.

---

[1] Воинштаин О., изучение Французской революции в СССР – "Французскии ежегодник 1958", М., 1959, გვ. 491, 499-501.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა ისტორიკოსი ძალიან გაიტაცა საფრანგეთის ისტორიის ორმა პრობლემამ: ადმინისტრაციულმა მეურვეობამ და საფრანგეთის რევოლუციის აგრარულმა საკითხმა. პ. არდაშევის გავლენამ, ეტყობა, მაინც თავისი გააკეთა და საბოლოოდ ალ. ნამორაძეს ყურადღება ადმინისტრაციულ მეურვეობაზე შეაჩერა, ხოლო რევოლუციის აგრარულმა პრობლემამ ცოტა ხნით მეორე პლანზე გადაინაცვლა.

ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხიდან ალ. ნამორაძემ გამოყო მეტად მტკივნეული და ფრიად აქტუალური თემა სათემო მიწების განაწილება. ფრანგი ისტორიკოსის ანრი სეს აზრით, „ძველი საფრანგეთის საზოგადოებრივ ეკონომიკაში სათემო მიწები უაღრესად დიდ როლს თამაშობდნენ". გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ივ. ლუჩიცკის თანახმად, „სათემო მიწების საკითხი რევოლუციამდე (ძველი წყობილების) საფრანგეთისათვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა".[1]

ამ მიმართულებით ალ. ნამორაძემ საკმაოდ სოლიდური შრომა გასნია და აღნიშნულ საკითხს ექვსი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა, რომელიც პოლემიკური ხასიათისაა და მიმართულია ს. კუნიისკის კონცეფციის წინააღმდეგ. შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე უფრო მიზანშენონილი იქნებოდა მათი შემდეგი თანამიმდევრობით დალაგება:

1. ლეჟისლატივი[2] და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს.

2. აველინის მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მიწების შესახებ, წარდგენილი ლეჟისლატივში 1792 წელს.

3. შარლ დანტონის მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მიწების გაყოფის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამინათმოქმედო კომიტეტში.

---

[1] Лучицкий Ив., Состояние земледелческих классов во Франции накануне революции и аграрная реформа 1789-1793 годов, Киев, 1912, გვ. 119.

[2] საკანონმდებლო კრება.

4. ფაბრის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების გაყოფის შესახებ საფრანგეთში, წარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 წელს.

5. მარენის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ საფრანგეთში (წარდგენილი 1793 წელს ეროვნულ კონვენტში).

6. სუეს მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ საფრანგეთში (წარდგენილი 1793 წელს ეროვნულ კონვენტში).[1]

ეს შრომები მკითხველთა ფართო წრისათვის თითქმის უცნობია და მას მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრე იცნობდა. საქმე ისაა, რომ ამ ექვსი შრომიდან გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ორი: „ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს" და „შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამინათმოქმედებო კომიტეტში".

მართალია, ალ. ნამორაძეს ცალკეულმა შრომებმა მიიპყრეს სპეციალისტთა ყურადღება, მაგრამ მისი წვლილი აგრარული საკითხის (სათემო მიწების განაწილება) გაშუქების საქმეში სიღრმისეულად შესწავლილი არ ყოფილა.

რა თქმა უნდა, ეს ექვსი ნაშრომი არსებითად წარმოადგენს იმ სოლიდური მონოგრაფიის ცალკეულ მონაკვეთებს, რომლის

---

[1] გრ. ნათაძე, გამოხმაურება ალ. ნამორაძის ნაშრომზე „კონვენტი და სათემო მიწები 1789 წლის რევოლუციის დროს საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. სრუიცსა ფონდი 2079, ანაბეჭდი, 1. საქმე 30; გ. ჟორდანია, რეცენზია ალ. ნამორაძის ნაშრომზე სუეს მოხსენება და პროექტი ... სრუიცსა ფონდი 2079, ან. 1, ს. 234, ფ. 1; გ. კიღურაძე, რეცენზია ალ. ნამორაძის ნაშრომზე მარენის მოხსენება და პროექტი ... სრუიცსა ფონდი 2079, ან. 1, ს. 258, ფ. 1. ამ თვალსაზრისით ფასეულია ის შეფასება, რომელსაც ალ. ნამორაძის შრომებს საფრანგეთის რევოლუციის აგრარულ საკითხზე აძლევდა რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია; Ваинштаин О., დასახ. ნაშრ., გვ. 491 499-500. შედარებით უფრო ვრცლად ამ საკითხს შეეხო კ. ანთაძე. ალ ნამორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. გვ. 163-164. მ. კალანდაძე, ფუძემდებელი. (ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ., 1990, გვ. 6; მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში — „საქართველოს კომუნისტი", 1989, № 7.

დაწერაც ჩაფიქრებული ჰქონდა ალ. ნამორაძეს საფრანგეთში სათემო მიწების განაწილების შესახებ, XVIII საუკუნის მიწურულს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობის დასრულება ალ. ნამორაძემ ვეღარ მოასწრო და მიუხედავად ამისა, მისი ექვსი ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად რჩება. ამიტომ, მათი სრული სახით გამოქვეყნება მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ალ. ნამორაძის დაინტერესება საფრანგეთის რევოლუციის აგრარული პრობლემით, კონკრეტულად კი სათემო მიწების განაწილებით, ამ ექვსი ნაშრომით არ ამოიწურება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას კიდევ ჰქონდა რამდენიმე საინტერესო ჩანაფიქრი, რომლის ბოლომდე მიყვანაც, როგორც ჩანს, ვეღარ მოასწრო. ერთი სიტყვით, უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძეს სათემო მიწების განაწილების საკითხის შესწავლა დაუსრულებელი დარჩა, ხოლო დაუმთავრებელ ნაშრომზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, ძნელია.

1936 წლის 15 მარტს ალ. ნამორაძემ კათედრის ღია სხდომაზე წაიკითხა მოხსენება აქტუალურ თემაზე „ეროვნული კონვენტი და სათემო მიწები". ეს გამოსვლა თავისთავად საგულისხმოა და საშუალებას გვაძლევს ორი საინტერესო დასკვნა გავაკეთოთ: 1. სათემო მიწების განაწილების პრობლემის შესწავლას ალ. ნამორაძე შესდგომია ჯერ კიდევ ომამდე 30-იანი წლების შუა ხანებში, ადმინისტრაციულ მეურვეობაზე მუშაობის დამთავრებისთანავე და საქართველოს სრულ კოლექტივიზაციაზე გადასვლის პერიოდში. ამ საკითხის კვლევას, მან თითქმის მთელი 40-იან წლები მოანდომა და 40-იან წლების მიწურულს, 50-იან წლების დასაწყისში ზედიზედ დაწერა ექვსი სერიოზული ნაშრომი სათემო მიწების განაწილების შესახებ საფრანგეთის რევოლუციის დროს. 2. როგორც ჩანს, ალ. ნამორაძე საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხით, კონკრეტულად კი, გლეხობის დიფერენციაციით, ცნობილი ისტორიკოსის ს. სკაზკინის პარალელურად დაინტერესებულა.[1]

---

[1] Сказкин С., диференциация крестьянство во франции накануне революции 1789 года "Пахари" и "паденшики" в Шампани в XVIII вска - в кн: С. Сказкин, Избранные труди по истории, М., 1973, გვ. 318-341. პირველად დაიბეჭდა "Истории марксист", 1936, 2, გვ. 22-43.

სათემო მინების შესახებ ალ. ნამორაძის გამოკვლევების ერთ-ერთი სერიოზული ღირსება, რომელიც ამ მოხსენებაში უკვე გამოიკვეთა, არის პირველწყაროების საფუძვლიანი ცოდნა და ღრმა გააზრება. იგი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ფრანგულ პირველწყაროებს ეყრდნობა. ეს არის ჟორჟ ბურჟენის მიერ შედგენილი სპეციალური დოკუმენტების კრებული, 1792 ნლის საფრანგეთის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესახებ. „ჩივილის (სანადელის) რვეულები", შარლ შმიტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები და სათანადო ადგილები მრავალტომეულიდან „საპარლამენტო არქივი". ვფიქრობთ, სასარგებლო იქნებოდა ფილიპ სანიაკის წიგნში მოთავსებული დოკუმენტების უფრო ფართოდ გამოყენება.[1]

შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნამორაძის მოხსენებამ უმალ მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა პროფ. გრ. ნათაძის გამოხმაურება, სადაც ის ხაზს უსვამს თემის აქტუალობას და აღნიშნავს, რომ ავტორი სვამს პრინციპულ საკითხს გლეხობის რომელი ფენა იყო დაინტერესებული ყველაზე უფრო სათემო მიწების გაყოფით და გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ გადაწყვიტა კონვენტმა ეს საკ-

---

[1] Саняк Ф., Гражданское законодательство Французской революции 1789-1804, М., 1928. როგორც ვხედავთ, სანიაკი საფრანგეთის რევოლუციას ამთავრებს კონსულობის ეპოქით 1804 ნელს, რაც საკამათო შეიძლება იყოს. რევოლუციას ნერტილი დაესვა 1799 ნლის 18 ბრიუმერის გადატრიალების შედეგად. დეკემბრის დეკლარაციაში ჩაწერილი ფრაზები „რევოლუცია დასრულებულია", ლიტონი სიტყვები არ იყო. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საფრანგეთის რევოლუცია დამთავრდა; გ. კილურაძე, 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ — თსუ-ს შრომები, თბ., 1964, ტ. 107, გვ. 191-27; მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ისტორია და გეოგრაფია სკოლაში", 1989 ნ., 1, გვ. 65-66. ამ საკითხში, სანიაკი შეიძლება ითქვას, რომ მისი მასნავლებლის ა. ოლარის მიმდევარია. Оларь А., Политическая история Французской революции. Происхождение и развитие демократии и республики. 1789-1804 гг., М., 1938.

ითხი.[1] ჩვენ მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძემ არა მარტო დასვა ეს პრობლემები, რაც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია, არამედ შეეცადა თუ ვერ გადაჭრიდა, გადაწყვეტის გზები მაინც დაესახა.

ალ. ნამორაძემ თავის გამოსვლაში 1936 წლის 15 მარტს ჩამოაყალიბა ის ძირითადი დებულებები, რომელიც შემდგომში განავითარა თავის ექვს ნაშრომში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის გლეხობის დიფერენციაციის საკითხი და რომელი ფენის სასარგებლოდ გადაწყდა საფრანგეთის რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილება, ეს ორი პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ურთიერთთან. თუ გვინდა ნათელი მოვფინოთ გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ გადაწყვიტა რევოლუციამ სათემო მიწების განაწილება, პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ გლეხთა დიფერენციაცია. ფაქტობრივად თავის მოხსენებაში ალ. ნამორაძემ დასახა ის მაგისტრალური ხაზი, რომელსაც მისდევდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის (სათემო მიწების განაწილების) შესწავლის დროს. ეს მოსაზრებები მას თავის ექვს ნაშრომში კიდევ უფრო დაკონკრეტებული აქვს. ამ კუთხით მისი მოხსენება, უდავოდ, საგულისხმოა. ალ. ნამორაძის გამოსვლა საინტერესოა და, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სათემო მიწების განაწილების საკითხში მან სწორი გზა აირჩია.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის წინ გლეხთა დიფერენციაციის საკითხი თითქმის დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე რთულ და სადისკუსიო საკითხად. ამიტომ ალ. ნამორაძის შეჭიდება ამ პრობლემისადმი მრავლისმეტყველი უნდა იყოს. მისასალმებელია, რომ იგი შეეცადა თავისი სიტყვა ეთქვა ამ რთული თემის ირგვლივ. დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ საფრანგეთის რევოლუციის წინ გლეხობა წარმოადგენდა ერთგვაროვან, ერთფეროვან, მასას. ამ თემის ერთ-ერთი ფუძემდებელია ფრანგი ისტორიკოსი გრაფი ალექსის დე ტოკვილი. ეს აზრი აქვს მას გატარებული თავის წიგნში „ძველი რეჟიმი და რევოლუცია". ამ ხაზის გამგრძელებლად მოგვეევლინა რუსი ისტორიკოსი ივან ლუ-

---

[1] გრ. ნათაძის გამოხმაურება — სრუიცსა ფონდი 2079 ან. 1. 30.

ჩიცკი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს რევოლუციამდელ საფრანგეთში გლეხობის დიფერენციაციას,[1] ს. სკაზკინის აზრით, „ეს იყო რუსი ისტორიკოსის კონცეფციის აქილევსის ქუსლი".[2] ივ. ლუჩიცკის კონცეფციის მიმართ კრიტიკულად ჩანს განწყობილი ალ. ნამორაძე. უნდა ვიფიქროთ, რომ მას მოხსენებაში ეს საკითხი უფრო არგუმენტირებულად და გაშლილად ექნებოდა წარმოჩენილი, ხოლო კონსპექტის მიხედვით მასზე მსჯელობა ძნელია.[3]

აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში ახალი სიტყვა თქვეს რუსმა ისტორიკოსებმა ნიკოლოზ კარეევმა და მაქსიმ კოვალევსკიმ. მათ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარეს მეორე მიმდინარეობას ისტორიოგრაფიაში და დამაჯერებლად უჩვენეს თუ რაოდენ შორს იყო წასული რევოლუციის წინ გლეხთა დიფერენციაცია. ჯერ კიდევ ნ. კარეევმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ „რევოლუციის წინ საფრანგეთის გლეხობა მკაფიოდ გაიყო ორ კლასად" ერთი აღმოჩნდა „სოფლის მეურნეობის გვერდით, ხოლო მეორე შეუერთდა ღარიბებს".[4] უფრო მეტიც, როგორც ნ. კარეევის ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფი ვ. ზოლოტარევი ფიქრობს მან საფრანგეთის გლეხობა გაყო ოთხ ჯგუფად: მდიდარი გლეხობა, საშუალო გლეხობა, ღარიბი გლეხობა და უღარიბესი გლეხობა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა ბოლო ორი ჯგუფის ყოფისა და ცხოვრების გაშუქებას.[5] სოფლად არსებული

---

[1] Лучицкии Ив., დასახ. ნაშრ., გვ. 13-15.

[2] Сказкин С., спорние вопросы аграрной истории франции XVIII в - в кн: "Европа в новой и новеишее время", М., 1966, გვ. 112.

[3] ალ. ნამორაძე, ეროვნული კონვენტი და სათემო მიწები — სრუიცსა ფონდი 2079, ან. 1, ს. 28, ფ. 2.

[4] Н. Караев, Крестьяне и крестянский вопрос во франции ... გვ. 104, 143, 186.

[5] Золотарев В., Историческая концепция, Кареева Н. И., содержание и эволюция, Л., 1988, Золотарев В., Николаи Иванович Кареев (1850-1931) - "Новая и новеишая история", 1992, № 4. ამ საკითხს ეხება აგრეთვე Фролова И., Значение исследование Кареева Н. И. для разработки Французского крестьянство в средние века - "Средние века, VII, 1953.

სოციალური დიფერენციაცია დამაჯერებლად ცხადყო მეორე შესანიშნავმა რუსმა ისტორიკოსმა მ. კოვალევსკიმ „მინათმოქმედებაში ახალი წესრიგის დამყარებას (იგულისხმება აგრარული გადატრიალება — მ. კ.) თან ახლდა გლეხთა შორის კონტრასტების წარმოშობა. ერთის მხრივ, ყალიბდებოდა მდიდარი ფენა ფერმერები, ხოლო მეორეს მხრივ, ღარიბები — მოჯამაგირე-პროლეტარები". შესაძლოა, მ. კოვალევსკი ცოტათი აჭარბებდეს საფრანგეთის სოფელში კაპიტალისტური განვითარების ტენდენციებს, მაგრამ დამაჯერებლად ცხადყოფდა გლეხობის დიფერენციაციას და ფერმერული მეურნეობის შექმნაში ხედავდა საფრანგეთის სოფლის პროგრესის მთავარ საწინდარს.[1] ეს ხაზი რუსულ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განაგრძო ს. სკაზკინმა.[2] ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს ალ. ნამორაძის დასკვნა თითქოს „გლეხობის მდგომარეობა საფრანგეთის რევოლუციის წინ არ არის საკმაოდ გარკვეული საისტორიო ლიტერატურაში".[3] ამ მიმართულებით გამოსარკვევი რომ ბევრი იყო, ამაში ალ. ნამორაძე, რა თქმა უნდა, ცამდის მართალია, მაგრამ, ცხადია, ვერც იმას ვერ ვიტყვით, რომ მის წინამორბედ ისტორიკოსებს არაფერი გაუკეთებიათ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა — რომელ ბანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ ალ. ნამორაძე? ლუჩიცკის თუ კარეევ-კოვალევსკის? მიგვაჩნია, რომ იგი ამ მეორე ბანაკისაკენ უფრო უნდა იხრებოდეს, რადგან ფიქრობს, რომ რევოლუციის ნინ მიმდინარეობდა გლეხთა დიფერენციაციის პროცესი. „როგორც სოფლად გლეხებს

---

1 Ковалевски М., Происхождение современной демократии, т. 1, ч. 2, изд. 2, М., 1901, გვ. 167-168, 160-179. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი სხვა ნაშრომი М. Ковалевски, Происхождение мелкой крестьянской собственности во Франции, СПБ, 1912, Г. Сологфров, Ковалевски как социала, М., 1960, Вебер Б., Историографические проблемы М., 1974, გვ. 201-231. "Историография нового времени стран Европи и Америки", М., 1967, გვ. 512-520.

2 С. Сказкин, Диференциация... Избранные труды, М., 1973.

3 ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., სრუიცსა ფონდი 2079, ან 1. ს. 28. ფ. 2.

შორის, ისე თვით კონვენტში და მის სამინათმოქმედო კომიტეტში, რომელსაც უნდა შეესწავლა სათემო მიწების საკითხი და ამავე საკითხის შესახებ შეემუშავებინა დეკრეტის სათანადო პროექტი. თანდათანობით მწვავდება ბრძოლა სათემო მიწების გამო. ეს ბრძოლა მაჩვენებელია იმის, რომ იმ დროისათვის საკმაოდ დიფერენციული ყოფილა საფრანგეთის გლეხობა".[1]

„ალ. ნამორაძეს არასაკმარისად მიაჩნდა გლეხობის დაყოფა სამ ფენად (მდიდარი, საშუალო, ღარიბი გლეხობა). იგი მიზნად ისახავდა წასულიყო შემდგომი დეტალიზაციის გზით, და ამ ფენებში დაედგინა ქვეფენები, გამოეძებნა ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა ამა თუ იმ დეპარტამენტის გლეხობის ცალკეული კატეგორიების სათანადო ქვეფენისადმი მიკუთვნება. მას განზრახული ქონდა ეჩვენებინა გლეხთა ქვეფენების სამეურნეო მდგომარეობა, სოციალ-პოლიტიკური მისწრაფებანი საფრანგეთის პირველი რევოლუციის დროს და ამ მისწრაფებათა ობიექტური შედეგები, მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება მან ვეღარ მოასწრო".[2]

ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად, ვფიქრობთ, ალ. ნამორაძის მოხსენება „ეროვნული კონვენტი და სათემო მიწები" შეიძლება მივიჩნიოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ თავის გამოსვლაში ალ. ნამორაძე ამ საკითხზე საკმაოდ დეტალურად და ვრცლად ჩერდებოდა. სხვათა შორის ეს ძალიან კარგად ჩანს კონსპექტიდან, სადაც გლეხთა ქვეფენების საკითხი საგანგებოდ აქვს მონიშნული. „აქვე მოტანილი უნდა იქნას ჩემი ანალიზი ქვეფენების შესახებ".[3] ის სერიოზულობა და სიღრმე, რომლითაც ალ. ნამორაძე გლეხობის დიფერენციაციის საკითხს არკვევდა, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მას აღნიშნული პრობლემის შესახებ საგანგებო ნაშრომის დაწერა შეიძლება ჰქონოდა ჩაფიქრებული, რომელიც უნდა ყოფილიყო სათემო მიწების განაწილების შესახებ, მისი დიდი მონოგრაფიის ერთ-ერთი სოლი-

---

[1] ალ. ნამორაძე, ეროვნული კონვენტი... — სრუიცსა ფონდი 2079, ან. 1, ს. 28, ფ. 2.

[2] კ. ანთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 165.

[3] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

დური მონაკვეთი, მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა, როგორც ეტყობა, ვერ მოასწრო.

უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძე მკვეთრად გაემიჯნა მარქსიზმის იმ თეორეტიკოსებს, რომლებიც გლეხობას ტრავიალური სქემის თანახმად სამ ფენად ყოფდნენ. (მდიდარი, საშუალო, ღარიბი). ვფიქრობთ, მნიშვნელოვანნილად შესაძლოა, სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ალ. ნამორაძე რაღაცნაირად არ ჩქარობდა გლეხობის დიფერენციაციის თაობაზე თავის საინტერესო ნაშრომის გასრულებას და პუბლიკაციას. იქნებ უფრო უკეთეს პერიოდს ელოდებოდა, როდესაც დაიწყებოდა ტოტალიტარული რეჟიმის ლიბერალიზაცია, რაც, სხვათა შორის მოხდა კიდეც ნ. ხრუშჩოვის დროს, მაგრამ, სამწუხაროდ, ალ. ნამორაძე უკვე ვეღარ მოესწრო ამას. იგი 1958 წელს გარდაიცვალა.

გლეხობის დიფერენციაციის საკითხში ალ. ნამორაძემ ის ხაზი გააგრძელა, რომელმაც თავი იჩინა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე პროგრესულ რუსულ ისტორიოგრაფიაში. იგი, ნ. კარეევის მსგავსად, შესაძლებლად მიიჩნევს რევოლუციის წინ საფრანგეთის გლეხობის ოთხ კატეგორიად დაყოფას: 1. შეძლებული გლეხი, 2. საშუალო გლეხი, 3. ღარიბი გლეხი, 4. უღარიბესი გლეხი.[1] აღსანიშნავია, რომ იგი ამას აკეთებს თავისი გამოსვლის კონსპექტში, მაგრამ გამოქვეყნებულ შრომებში ეს აზრი მკაფიოდ არაა გამოხატული. ეს ადვილი გასაგებიცაა. ბოლშევიკურ იდეოლოგიასთან არანაირი დაპირისპირება არ შეიძლებოდა, ცენზურა ამას არ დაუშვებდა.

უთუოდ, საინტერესო იქნებოდა ალ. ნამორაძის მოხსენებაში ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, რომელსაც, როგორც კონსპექტიდან ჩანს, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა.[2] ალბათ, ალ. ნამორაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა სათემო მინების განაწილების საკითხზე არსებული ლიტერატურის საგანგებოდ შესწავლა და ეს იქნებოდა მისი სოლიდური მონოგრაფიის სერიოზული შესავალი,

---

[1] ალ. ნამორაძე, ეროვნული კონვენტი — სნფიცსა ფონდი 2070 ან. 1, ს. 28, ფ. 3.

[2] იქვე, ფ. 1-4.

მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ალ. ნამორაძე საკმაოდ კარგად იცნობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის ისტორიოგრაფიას.

ალ. ნამორაძეს სურდა კიდევ უფრო გაეღრმავებინა „რუსული სკოლის", პირველ ყოვლისა კი ნ. კარეევის და მ. კოვალევსკის დაწყებული საქმე და საფუძვლიანად შეესწავლა საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაცია 1789 წლის რევოლუციის წინ. კონკრეტულად კი სურდა გამოერკვია გლეხთა ქვეფენები, მათი სამეურნეო მდგომარეობა და სოციალ-ეკონომიკური მისწრაფებანი. რა გააკეთა ამ მხრივ ალ. ნამორაძემ. კონკრეტულად რა სიახლეებს გვთავაზობს ის ძნელი სათქმელია. როგორც კონსპექტიდან ჩანს, მას ჰქონდა გაკეთებული ამ საკითხის საკუთარი ანალიზი და გააჩნდა თავისი მოსაზრებები, რომლებიც საფიქრელია, რომ გაშლილი სახით ექნებოდა წარმოდგენილი მოხსენებაში, მაგრამ კონსპექტის მიხედვით სერიოზული მსჯელობა შეუძლებელია.

როგორც კონსპექტიდან ჩანს, ალ. ნამორაძე თავის გამოსვლაში დიდ ყურადღებას იჩენდა საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხის ისტორიოგრაფიისადმი და ვრცლად ჩერდება „რუსული სკოლის" შეხედულებებზე (ივ. ლუჩიცკი, მ. კოვალევსკი, ნ. კარეევი), მაგრამ ამ ისტორიოგრაფიული ექსკურსის შემდგომი სრულყოფა გამორიცხული არ უნდა იყოს. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ მას შევსება ესაჭიროება. (შესაძლოა, ამას ალ. ნამორაძეც გრძნობდა, მაგრამ კონსპექტიდან ეს არ ჩანს). პირველ ყოვლისა საჭირო იყო ალბერ მატიეზის შეხედულებებზე შეჩერება, რომელიც ს. სკაზკინს გარკვეულ უკანგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია „რუსული სკოლის" შემდეგ.[1] კონსპექტში მონიშნული არაა გერმანელი ისტორიკოსის ფრიც ვოლტერსის და ფრანგი ისტორიკოსის ჟორჟ ლეფევრის საინტერესო გამოკვლევები საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხის შესახებ. საფიქრელია, რომ ის თავის მოხსენებაშიც ამ ისტორიკოსების შეხედულებებს არ შეხებია, შესაძლოა, ის გაცნობილი არ იყო ამ გამოკვ-

[1] Сказкин С., Избранные труды, М., 1973, გვ. 318.

ლევებს.[1] ორივე ამ ნაშრომს მისთვის ძვირფასი ინფორმაციის მიცემა შეეძლო. ვფიქრობთ საინტერესო იყო ალ. ნამორაძის დამოკიდებულება ს. სკაზკინის გამოკვლევებისადმი. შესაძლოა, მოხსენებაში ამის თაობაზე იყო გაშლილი მსჯელობა, მაგრამ გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძემ უბრალოდ ვერც მოასწრო ს. სკაზკინის პოზიციის სათანადო სიღრმეზე გააზრება, ვინაიდან მისი გამოსვლა უნივერსიტეტში 1936 წლის 15 მარტს და ს. სკაზკინის გამოკვლევების გამოქვეყნება ფაქტობრივად ერთდროულად მოხდა. ცოტა უფრო მოგვიანებით, ფაბრის მოხსენებასა და პროექტზე დაწერილ ნაშრომში, იგი აღნიშნულია: „მართალია ამ უკანასკნელ ხანებში გადადგმულია სათანადო ნაბიჯები ამ მიმართულებით (გლეხთა დიფერენციაციის შესწავლის საკითხში — მ. კ.) ს. სკაზკინის და ე. პეტროვის მიერ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ცდებია. არა სრული და აქედან ვერავითარ დასკვნებს ვერ გამოვიტანთ". ე. პეტროვის და ს. სკაზკინის წვლილის ამგვარი შეფასება, ჩვენი აზრით, ძალიან მკაცრად ჟღერს და საკამათო შეიძლება იყოს.[2] ალ. ნამორაძის მსჯელობაში კონკრეტულად არ ჩანს თუ რა არ მოენონა მას ამ ორი ისტორიკოსის მსჯელობაში. გლეხთა ქვეფენების გამორკვევა, მათი სამეურნეო მდგომარეობა და სოციალ-ეკონომიკური მისწრაფებები მეტად რთული გამოსარკვევია და თანამედროვეების საკმაოდ ძუნწ და წინააღმდეგობრივ ცნობებს იძლევიან გლეხობის ქვეფენების შესახებ. ამას ალ. ნამორაძე მეტად პესიმისტურ დასკვნამდე მიჰყავს „ამგვარად, XVIII საუკუნის საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაცია (ე. ი. მისი ქვეფენები — მ. კ.) ჩვენთვის გაურკვეველი რჩება.[3] როგორც ჩანს, საჭირო იყო ამ მიმართულებით საფრანგეთის არქივებში კვლავაც საჭირო იყო დაუღალავი მუშაობა, მაგრამ ტო-

---

1 Ф. Волтерс, Исследование по аграрной истории Франции в XVIII век, М, 1923, Лефевр Ж.. аграрный вопрос в эпоху террора, М-Л, 1936.

2 Гутнова Е., Академик Сергей Данилевич Сказкин (1890-1973) - "Новая и новеишая история", 1993, № 2.

3 ალ. ნამორაძე, ფაბრის მოხსენება და პროექტი... — ს. რ. უ. ი. ცენტრალური სახელმწიფო ფონდი 2079, ანაწერი 1, ს. 14, ფ. 45.

ტალიტარული რეჟიმის პირობებში ამის საშუალებას ის მოკლებული იყო.

მეორე პრინციპული საკითხი, რომელიც ალ. ნამორაძემ დასვა თავის გამოსვლაში 1936 წლის 15 მარტს იყო, გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ გადაწყვიტა საფრანგეთის პირველმა რევოლუციამ სათემო მიწების განაწილების საკითხი. ამ თემის გაშუქების დროს ისტორიკოსების განკარგულებაშია ისეთი ძვირფასი პირველწყარო, როგორიცაა „ჩივილის (საწადელთა) რვეულები".

აღნიშნულ საკითხს ნათელი რომ მოვფინოთ, პირველ რიგში საჭიროა გამოვარკვიოთ თუ როგორი იყო გლეხობის ცალკეული ფენების დამოკიდებულება სათემო მიწების გაყოფისადმი. ამ თემის ირგვლივ ალ. ნამორაძის მსჯელობა პოლემიკური ხასიათით გამოირჩევა და საინტერესოა. ალ. ნამორაძე არ იზიარებს ს. კუნისკის მოსაზრებას, თითქოს მდიდარი გლეხობა საერთოდ წინააღმდეგი იყო სათემო მიწების განაწილების.[1] გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ნ. კარეევის მოწაფე ე. პეტროვი გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას, რომ სათემო მიწების განაწილების საკითხში საშუალო და მდიდარი გლეხობა (კულაკობია) დიფერენცირებული იყო და იცვლებოდა ეკონომიკური მოტივების და თემის შიგნით არსებულ ძალთა თანაფარდობის მიხედვით.[2] ამ თვალსაზრისისაკენ იხრება ცნობილი მკვლევარი ა. ადო.[3] უნდა ვივარაუდოთ, რომ ალ. ნამორაძეს სწორედ ამ მიმართულებით ჰქონდა ჩაფიქრებული მუშაობის წარმართვა. ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ შეძლებული გლეხობა დაინტერესებული იქნებოდა სათემო მიწების გაყოფით, ვინაიდან მას შედარებით მეტი ნილი ერგებოდა, ვიდრე იმ გლეხს, რომელსაც საკუთარი მინა ცოტა ჰქონდა. ამ გზით ის

---

[1] Куниский С., Подняков В., Обшинные землыи в эпоху великой французской революции, М., 1927.

[2] Петров Е., Социальная роль обшинного землевлаления во франции перед революции - "Исторический Журнал", 1936, № 5.

[3] Адо А., Крестьянское движение во франции во время великой французской революции, М., 1971, გვ. 192 და 197.

ალ. ნამორაძე ეროვნული კონვენტი... — სრუიცსა ფონდი 2079, ან. 1, ს. 28, ფ. კ.

კიდევ უფრო გააფართოვებდა თავის ადგილ-მამულს.[1] მაგრამ კატეგორიულად არც იმის თქმა შეიძლება, რომ მდიდარი გლეხობა მთლიანად მხარს უჭერდა სათემო მიწების გაყოფას. მდიდარი გლეხობა ყველგან, გარდა მეჯოგეობის რაიონებისა, მომხრე იქნებოდა სათემო მიწების გაყოფისა თუ გაყოფა მოხდებოდა თანასწორად ე. ი. კომლობრივად, ანდა სულობრივად და ესეც იმ პირობით თუ, ხვედრი წილი სათემო მიწებიდან დაურიგდებოდათ გლეხებს კერძო სამუდამო საკუთრებად. ასეთ შემთხვევაში მდიდარ გლეხს იმედი ექნებოდა შეესყიდა მიწის ნაკვეთი გაჭირვებული, ღარიბი გლეხისგან და ამ გზით გაეფართოებინა თავისი საკუთრება.

მდიდარი გლეხობა დაინტერესებული იქნებოდა სათემო მიწების გაყოფით იმ შემთხვევაშიც, თუ გაყოფა იწარმოებდა პირდაპირი პროპორციით ქონებისადმი, თუმცა მეჯოგეობის რაიონის მსხვილი გლეხობა შეიძლებოდა ამ შემთხვევაში წინააღმდეგი ყოფილიყო სათემო მიწების გაყოფისა. მსხვილი გლეხობა არ იქნებოდა თანახმა სათემო მიწების გაყოფისა იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩატარდებოდა ქონებისადმი შებრუნებული პროპორციით, როგორც ამას მარენი მოითხოვდა.

როგორი იყო სათემო მიწების გაყოფისადმი საშუალო გლეხობის დამოკიდებულება, ვფიქრობთ, ამ საკითხში ალ. ნამორაძე იმ ხაზს აგრძელებს, რომლის სათავეებთან დგანან ცნობილი ისტორიკოსები პ. კროპოტკინი და ნ. ლუკინი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ საშუალო გლეხი სათემო მიწების გაყოფის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო.[2] „ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ საშუალო გლეხი დაინ-

---

[1] ალ. ნამორაძე, ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 ნელს, — ალ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949, გვ. 196-197.

[2] Кропоткин П., Великая французская революция 1789-1793 г., М., 1979, გვ. 320-326. Далин В., Кролоткин - история великой французской революции – вк: Далин В., Историки Франции XIX-XX веков, М., 1981, გვ. 36-129. Старостин Е., К истории изучения П. А. Кролоткиным великой французской революции. – "Фронцузский Ежегодник" 1967, М., 1968 г., Лукин Н., Избр. Труды, т. 1, М., 1960, გვ. 195, 481-482.

ტერესებული არ იქნებოდა სათემო მიწების გაყოფით, ისე როგორც ღარიბი გლეხი. ავტორს ამის დასამტკიცებლად შემდეგი არგუმენტები მოყავს. საშუალო გლეხი იმდენს ვერ მიიღებდა სათემო მიწებიდან, თუნდაც შებრუნებული პროპორციით მომხდარიყო გაყოფა და მას შესაძლებლობა მისცემოდა გამოეკვება თავისი შინაური პირუტყვი საკუთარი საძოვარი ადგილებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სათემო მიწების გაყოფის შემთხვევაში საშუალო გლეხი ვეღარც საერთო საძოვრებით ისარგებლებდა. ისინი ცოცხალი ინვენტარის შენახვასაც ვერ შეძლებდნენ და მეურნეობისათვის ძალაუნებურად თავი უნდა მიენებებინათ. უარი ეთქვათ კერძო მეურნეობის წარმოებაზე. საშუალო გლეხი ყველგან და ყოველთვის სათემო მიწების გაყოფის წინააღმდეგი იქნებოდა — დაასკვნის ალ. ნამორაძე. შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში ზოგიერთი საშუალო გლეხი, რომელიც თავისი ქონებით არ ჩამოუვარდებოდა მდიდარ გლეხს, მომხრე ყოფილიყო გაყოფისა, ზუსტად იმავე მოტივებით, რა მიზეზითაც მომხრე იყო გაყოფისა მდიდარი გლეხი: ა. პირდაპირი პროპორციით, რის შედეგადაც ის მიიღებდა სათემო მიწებიდან საკმაოდ მნიშვნელოვან ნაკვეთს. ბ. ან, 10 წლის შემდეგ შესაძლებლობა ექნებოდა შეესყიდა მიწის ნაკვეთი ღარიბი გლეხისაგან, როგორც ამას ფაბრის პროექტი მოითხოვდა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ნამორაძეს საკამათოდ ესახება პ. კროპოტკინის დებულება თითქოს ღარიბი გლეხობა წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო სათემო მიწების გაყოფის. გადაჭრით იმის თქმა, რომ კროპოტკინი ღარიბ გლეხობას სათემო მიწების გაყოფის მონინააღმდეგედ მიიჩნევს, ძნელია და ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე საკამათოა. ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ ღარიბი გლეხობა მომხრე იქნებოდა სათემო მიწების გაყოფის მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ გაყოფა მოხდებოდა ქონებისადმი შებრუნებული პროპორციით. სხვა რამ სახით გაყოფა მისთვის სასურველი არ იყო. ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ თუ მეჯოგეობის რაიონის ღარიბი გლეხობა წინააღმდეგი იქნებოდა სათემო მიწების გაყოფისა, სამიწათმოქმე-

დო და სამრეწველო რაიონების ღარიბი გლეხობის ნაწილი პირიქით, სათემო მიწების განაწილებას მხარს დაუჭერდა.[1]

ალ. ნამორაძეს, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩა ერთი საინტერესო საკითხი, საჭირო იყო ორიოდე სიტყვა თქმულიყო სათემო მიწების გაყოფისადმი მემამულეთა დამოკიდებულებაზე. როგორც წყაროებიდან ჩანს, ისინი მხარს უჭერდნენ სათემო მიწების გაყოფას, რაც იმით იყო არგუმენტირებული, რომ ეს ღონისძიება წესრიგში მოიყვანდა აქამდე უპატრონოდ მიტოვებული მიწების მდგომარეობას, ოღონდ სენიორთა ინტერესები, ბუნებრივია, არ უნდა შელახულიყო.[2]

სენიორებისაგან დატაცებული მიწების დაბრუნებით დაინტერესებული იყო მთელი გლეხობა, მაგრამ მისი გაყოფით უმთავრესად დაინტერესებული იყო მდიდარი გლეხობა და ისიც არა მთლიანად აღებული. მათ შორის მოიპოვებოდა ერთი ფენა, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ სათემო მიწების გაყოფისა.

სათემო მიწების გაყოფის, როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგეები, შეიძლება ვიპოვოთ, როგორც მდიდარ, ისე საშუალო და ღარიბ გლეხებს შორის. შეიძლებოდა, რომ ნაწილი მდიდარი, საშუალო და ღარიბი გლეხობისა სათემო მიწების გაყოფის მომხრე ყოფილიყო, მეორე ნაწილი კი მოწინააღმდეგე. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რომელ რეგიონს ეკუთვნოდა გლეხი სამეურნეო მიწათმოქმედების, მეჯოგეობის თუ სამრეწველო.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ალ. ნამორაძემ ამ პრობლემის ირგვლივ სრულიად განსხვავებული მოსაზრებები განავითარა და ახლებურად სცადა გაეშუქებინა ეს ფრიად საინტერესო და რთული თემა. ფაქტობრივად ეს იყო ახალი სიტყვა საკითხის ისტორიოგრაფიაში, რაც სათემო მიწების განაწილების კვლევის საქმეში მის ერთ-ერთ სერიოზულ დამსახურებად მიგვაჩნია.

---

[1] ალ. ნამორაძე, ეროვნული კონვენტი ... ს. რ. უ. ი. ც. ს. ა. ფ. 2079. ან. 1, ს. 28, ფ. 3-5. ალ ნამორაძე, ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი, გვ. 197.

[2] Лукин Н., Судьба общинных земель во Франции в последнюю пору старого порядка – в кн: Н. Лукин, Избр. труда, т. 1, М., 1960.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ალ. ნამორაძეს საფრანგეთის რევოლუციის დროს სათემო მიწების განანილების შესახებ საგანგებო მონოგრაფიის დაწერა ჰქონდა განზრახული. მან ამ სერიოზული ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელება შესძლო და ექვსი ნაშრომის დაწერა მოასწრო, რომელთაგანაც მხოლოდ ორია გამოქვეყნებული. კონკრეტულად რა გეგმები ჰქონდა შემდგომში გამოჩენილ მეცნიერს ძნელი სათქმელია. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, საფრანგეთის რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესახებ წიგნის ჩანაფიქრი, შესაძლოა, ასეთი ყოფილიყო. შესავალი, რომელიც, ბუნებრივად, მოიცავდა წყაროების და ლიტერატურის განხილვას. თავი პირველი: სათემო მიწების მდგომარეობა საფრანგეთის რევოლუციის წინ, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, საფიქრებელია, შეადგენდა გლეხთა დიფერენციაცია რევოლუციის წინ და გლეხთა ქვეფენების მისეული ანალიზი, მეორე თავი: სათემო მიწების საკითხი საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში (1789-1792 წწ.), რომლის ძირითად ბირთვს, ბუნებრივია, შეადგენდა მისი სამი ნაშრომი „ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს", „აველინის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ, წარდგენილი ლეჟისლატივში 1792 წელს" და „შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში", მაგრამ ეს ციკლი გასრულებულად არ მიგვაჩნია და მისი დაგვირგვინება იქნებოდა 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობის განხილვა, რითაც ფაქტობრივად საკანონმდებლო კრებამ დაასრულა კიდეც თავისი არსებობა (სავარაუდოა, რომ ამ საკითხის შესახებ ალ. ნამორაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა ნაშრომის დაწერა, მაგრამ ამის გაკეთება ვეღარ მოასწრო). მესამე: სათემო მიწების განანილების საკითხი კონვენტის დროს. მან მოასწრო ამ პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილის დამუშავება ეს არის ფაბრის, მარენის და სუეს მოხსენებების განხილვა, მაგრამ მათი გამოქვეყნება, ეტყობა, ვეღარ შესძლო. არც ეს თემა ჩანს, ბოლომდე მიყვანილი და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ალ. ნამორაძეს მისი დასრულება ენადა 1793 წლის 10 ივნისის დეკრეტის განხ-

ილვით. თავისთავად იგულისხმება, რომ ნაშრომს ექნებოდა თავისი დასკვნა, სადაც პატივცემული მკვლევარი შეაჯამებდა ჩატარებული სამუშაოს შედეგებს. ეს მონოგრაფია, ალ. ნამორაძეს რომ მოესწრო მისი დამთავრება, უთუოდ, ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა.

* * *

ალ. ნამორაძის არჩევანის მეცნიერული ღირებულება მნიშვნელოვანნილად იმან განაპირობა, რომ მან ხელი მოკიდა საფრანგეთის რევოლუციის აგრარული პრობლემის ერთ-ერთ ყველაზე რთულ, მტკივნეულ და აქტუალურ თემას, სათემო მიწების განაწილებას, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად იყო შესწავლილი, როგორც ჯერ კიდევ ნ. ლუკინი აღნიშნავდა, ეს პრობლემა თვით ფრანგულ ისტორიოგრაფიაშიც კი შეიძლება შედარებით ნაკლებად შესწავლილად იქნას მიჩნეული.[1] საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვით რუსული ისტორიოგრაფიის კორიფეებიც კი, რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღვით საფრანგეთის რევოლუციის აგრარული საკითხის შესწავლის საქმეში, სათემო მიწების საკითხს შედარებით სუსტად აშუქებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხარვეზის შევსება მოინდომეს ისტორიკოსებმა ს. კუნისკიმ და ვ. პოზნიკოვმა თავის ნაშრომში „სათემო მიწები საფრანგეთის რევოლუციის დროს".[2] არსებითად ეს იყო რუსულენოვან ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემის წარმოჩენის პირველი სერიოზული მცდელობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ პირველმა ცდამ ალ. ნამორაძე, ეტყობა, ვერ დააკმაყოფილა და მას პირველ წყაროებიდან გამომდინარე ს. კუნისკისა და ვ. პოზნიაკოვის წიგნში გამოთქმული ძირითადი დებულებები მიუღე-

---

[1] Н. Лукин, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

[2] С. Куниский, В. Позняков, დასახ. ნაშრ., პირველი თავი სათემო მიწები საკანონმდებლო კრების დროს ვ. პოზნიაკოვის დანერილია (გვ. 24-79) დანარჩენი დანერა ს. კუნისკიმ.

ბლად ესახება და ამიტომ იყო, რომ ალ. ნამორაძემ გადაწყვიტა ხელი მოეკიდა ამ პრობლემის საფუძვლიანი შესწავლისათვის.

ახლა, ალბათ, დროა კონკრეტულად განვიხილოთ ის ექვსი ნაშრომი, რომელიც ჩვენს ხელთაა. მათი ანალიზი, როგორც უკვე ითქვა, უნდა დავიწყოთ ალ. ნამორაძის ნაშრომით „ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს", რომელიც დაიბეჭდა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის შრომებში. იგი შედგება ოთხი ნანილისაგან: პირველი ნაწილი წარმოადგენს პატარა შესავალს, სადაც ალ. ნამორაძე ასაბუთებს არჩეული თემის აქტუალობას. მეორე ნანილი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და ნაშრომში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა. მესამე ნანილში ძალზედ მოკლედ არის მოთხრობილი თუ როგორ წყვეტდა სათემო მინების განანილების საკითხს დამფუძნებელი კრება (1789-1791), ხოლო მეოთხე ნანილში განხილულია ამ საკითხისადმი საკანონმდებლო კრების (1791-1792) დამოკიდებულება.

ალ. ნამორაძე უკვე ნაშრომის პირველსავე გვერდზე ხაზს უსვამს პირველი თემის აქტუალობას და ამის საილუსტრაციოდ იმოწმებს საფრანგეთის ისტორიის ორ კომპეტენტურ მკვლევარს, ფრანგ ანრი სეს და რუს ივან ლუჩიცკის.[1] ცნობილი რუსი ისტორიკოსი მ. კოვალევსკი XVIII საუკუნის ფრანგული საზოგადოების მთავარ პრობლემად აგრარულ საკითხს ასახელებდა.[2]

ამის შემდეგ ალ. ნამორაძე ეხება ერთ ფრიად აქტუალურ თემას, გლეხთა გაბოგანოების საკითხს, რომლის თაობაზეც ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ფრანგ გლეხს ყოველთვის აწუხებდა მიწის პრობლემა. განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეს პრობლემა რევოლუციის წინ. როგორი იყო ამ საკითხისადმი ალ. ნამორაძის დამოკიდებულება? პირველ ყოვლისა მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძე არ გაურბის ასეთი რთული საკითხების დასმას და თავის შესაძლებლობის ფარგლებ-

---

[1] ალ. ნამორაძე, ლეჟისლატივი და სათემო მინების საკითხი საფრანგეთში, გვ. 177.

[2] М. Ковалевский, Происхождение современной демократии, т. 1, М., 1895, გვ. 436.

ში ცდილობს პასუხი გასცეს მას, გამოთქვას თავისი მოსაზრება, რაც მნიშვნელოვანნილად განაპირობებს მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. პირველ რიგში, საჭიროა გავარკვიოთ ამ საკითხის თაობაზე ამტყდარ დისკუსიაში რა ადგილი უჭირავს ალ. ნამორაძეს? ისტორიკოსთა რომელ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ იგი? რუსი ისტორიკოსი ივ. ლუჩიცკი უამრავი ფაქტებით ხელში ცდილობს მოხსნას გლეხობის უმიწოდ დატოვების საკითხი და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ გაბოგანოებას, რაც გლეხობის უმიწოდ დატოვების ლოგიკური შედეგი იყო.[1] ეს ნანილობრივ იმით აიხსნება, რომ იგი ეჭვის თვალით უყურებდა „საჩივრის (სანადელის) რვეულებს" როგორც ისტორიულ წყაროს. ივ. ლუჩიცკის ამ დებულებამ სპეციალისტთა შორის გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია და ყველამ როდი გაიზიარა. რუსულ და შეიძლება ითქვას ევროპულ ისტორიოგრაფიაშიც, მეორე მიმართულებას საფუძველი ჩაუყარეს ნ. კარეევმა და მ. კოვალევსკიმ. მათ ივ. ლუჩიცკის მიერ უგულებელყოფილი „საჩივრის (სანადელის) რვეულებზე" დაყრდნობით, უჩვენეს, რომ რევოლუციის წინ ადგილი ჰქონდა გლეხობის უმიწოდ დატოვებას და ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა სამივე წოდება. აქედან გამომდინარეა, პარალელი საფრანგეთსა და ინგლისს შორის.[2] შესაძლოა, ეს ისტორიკოსები ცოტათი აჭარბებდნენ საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების ჩასახვა განვითარებას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მათი თვალსაზრისი გაცილებით უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ივ. ლუჩიცკის მტკიცება. როგორც ჩანს, ალ. ნამორაძეც იქეთ უნდა იხრებოდეს და მასში, შეიძლება კარეევ-კოვალევსკის ბანაკის წარმომადგენელიც კი დავინახოთ. აი რას წერს ალ. ნამორაძე „სათემო მიწების საკითხი, რა თქმა უნდა, არ მიიღებდა ისეთ გამნვავებულ ხასიათს იმ შემთხვევაში, თუ ფრანგ გლეხს (მხედველობაშია უმთავრესად ღარიბი და საშუალო გლეხი) საკუთარი მიწა ექნებოდა იმ რაოდე-

---

[1] Ив. Лучицкий, დასახ. ნაშრ., გვ. 13 და 27-89.

[2] Кареев Н., Крестьяние, გვ. 150-153. Ковалевский М., Происхождение мелкой ... 1912.

ნობით, რაც მას საშუალებას მისცემდა ოჯახიც გამოეკვება და ცოცხალი ინვენტარიც შეენახა".[1] აქედან დასკვნის გამოტანა ადვილია. ალ. ნამორაძეს მიაჩნდა, რომ საფრანგეთში რევოლუციის წინ ადგილი ჰქონდა გლეხთა გაბოგანოების პროცესს და იგი კარეევ-კოვალევსკის პოზიციისაკენ უფრო იხრება. ვფიქრობთ, აქ საჭირო იყო ყურადღების გამახვილება იმის თაობაზე, რომ შემოღობვებვს, შესაძლოა, იმ მასშტაბით არა, როგორც ინგლისში, მაგრამ ადგილი ჰქონდა საფრანგეთშიც.[2] რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰფენდა გლეხთა გაბოგანოების საკითხს.

ალ. ნამორაძის ნაშრომის მეორე ნაწილი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მის ერთ-ერთ საუკეთესო მონაკვეთს წარმოადგენს. იგი ფრიად სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს და ემყარება საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას. ავტორი ივ. ლუჩიცკის კვალდაკვალ ეკამათება ფრანგ ისტორიკოსებს შამპიონსა და მარიონს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რევოლუციის წინ საფრანგეთში ადგილი ჰქონდა მიწების კონცენტრაციას.[3] საინტერესოდ არის განხილული ივ. ლუჩიცკის შეხედულებები, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საფრანგეთში აგრარული საკითხის შესწავლის საქმეში. ალ. ნამორაძე მიუთითებს, რომ ივ. ლუჩიცკიმ საკითხის შესწავლის საქმეში ტოკვილის ხაზი გააგრძელა და მის კვალდაკვალ ამტკიცებდა, რომ რევოლუციის წინ საფრანგეთში ადგილი ჰქონდა წვრილ გლეხურ საკუთრებას. ჩვენი აზრით სასურველი იქნებოდა აქ ე. ტარლეს მოხსენიება, რომელიც ივ. ლუჩიცკის გავლენას განიცდიდა, თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ ბოლშევიკების რეჟიმის პირობებში იგი ამის ხაზგასმას მოერიდა.

ალ. ნამორაძეს არც ის დისკუსია დარჩენია მხედველობის გარეშე, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსულ ისტორიოგრაფიაში ივ. ლუჩიცკსა და მ. კოვალევსკს შორის. მართალია, იგი ყოველნაირ-

---

[1] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 181.
[2] Лукин Н., Избр. труды, т. 1, გვ. 180-181.
[3] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 181-183.

ად ცდილობს არ ჩაერიოს ამ კამათში, რაც მოტივირებულია იმით, რომ ეს საკითხი არ წარმოადგენს მისი კვლევის უშუალო ობიექტს. „ამჟამად, ვეხებით რა სათემო მიწების საკითხს, ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს იმ საკითხს, თუ რას წარმოადგენს ის მიწა, რომელიც ხელთ ჰქონდა რევოლუციამდელ ფრანგ გლეხს — სრულ საკუთრებას თუ იჯარით აღებულ მიწას".[1] ტოკვილი და მის კვალდაკვალ ლუჩიცკი ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო სრული საკუთრება, ხოლო კარეევი და განსაკუთრებით კოვალევსკი ფიქრობდნენ, რომ ეს იყო იჯარით აღებული მიწა. სრულ საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ალ. ნამორაძე კარგად გაერკვა იმ პოლემიკის არსში, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსულ ისტორიოგრაფიაში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე. მიუხედავად იმისა, რომ ალ. ნამორაძე ცდილობს გვერდი აუაროს ამ კამათს, მაინც, იგი ძალზე ფრთხილად ტოკვილ-ლუჩიცკის თეზისისაკენ უფრო მეტად იხრება და თავისი პოზიციის განმტკიცების მიზნით იმონმებს ფრანგ ისტორიკოსს ანრი სეს, რომელიც ფიქრობდა, რომ „საფრანგეთში მრავლად მოიპოვებოდა გლეხი მესაკუთრე, რასაც ადგილი არ ჰქონდა სხვა ქვეყანაში".[2] ნ. ლუკინის, ჟ. ლეფვერის და ს. სკაზკინის[3] გამოკვლევებმა ფაქტობრივად დაადასტურეს ტოკვილის დაკვირვება და ამ შრომების დამონმება, ცხადია, კიდევ უფრო გაამაგრებდა ალ. ნამორაძის პოზიციას.

ერთი წამითაც არ ვაყენებთ რა ეჭვ ქვეშ ამ ისტორიოგრაფიული მიმოხილვის პროფესიულ ღირსებებს, ჩვენი აზრით, მკითხველისათვის გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა ძალიან მოკლედ ორიოდე სიტყვით გაცნობოდა კონკრეტულად სათემო მიწების ისტორიოგრაფიას, რომლის დანერაც ალ. ნამორაძეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ განზრახული ჰქონდა. ამ ჩანაფიქრის

---

[1] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 188, 190.

[2] იქვე.

[3] Лефевр Ж., დასახ. ნაშრ., М-А 1936, Лукин Н., Новая работа по аграрной истории великой французской революции - в кн: Избранные. труды, т. I, М., 1960 г, გვ. 307-332. პირველად გამოქვეყნდა 1933 წელს. Сказкин С., Февдист Эрве и его учение о цензиве - "Средние века", вып. 2, 1942.

განხორციელება სწორედ აქ ჩანდა ყველაზე უფრო რეალური. რა არის გაკეთებული სათემო მიწების შესახებ ფრანგულ ისტორიოგრაფიაში? რა გააკეთეს ამ მიმართულებით რუსული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა! რა მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში? რა სიახლეების შეტანას აპირებს ამ საკითხის კვლევის სფეროში ქართველი ისტორიკოსი? ალბათ, ეს კონკრეტული მიმოხილვა უფრო უპრიანი და სასარგებლო იქნებოდა მკითხველისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ნაკვეთი ისტორიოგრაფიული მიმოხილვისა, რომელიც წინ წარუძღვებოდა, შესავლის სახით, მის მონოგრაფიას.

ნაშრომის მესამე ნაწილის ყურადღების ცენტრში დგას აქტუალური პრობლემა სათემო მიწების განაწილების საკითხი დამფუძნებელი კრების დროს. ალ. ნამორაძე შედარებით ვრცლად განიხილავს ორ სერიოზულ საკითხს. 1790 წლის 15 მარტის კანონი ტრიაჟის გაუქმების შესახებ და 1791 წლის 13 აპრილის კანონი. ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტისას დამფუძნებელი კრება ბოლომდე თანამიმდევრული ვერ იყო და იგი ძირითადად მემამულეების სასარგებლოდ გადაწყვიტა. 1790 წლის 15 მარტის დეკრეტით ტრიაჟის კანონი გაუქმებული იქნა, მაგრამ ეს ვერ წყვეტდა გლეხების მთავარ სატკივარს. საქმე ისაა, რომ მათი მთავარი მოთხოვნა სენიორთა მიერ დატაცებული მიწების დაბრუნების თაობაზე განუხორციელებელი დარჩა. სენიორთა მიერ რევოლუციამდე მითვისებული მიწები დამფუძნებელმა კრებამ არ დაუბრუნა გლეხებს. პირიქით, 1791 წლის 13 აპრილის კანონის თანახმად, სენიორებს დაუკანონა რევოლუციამდე მიტაცებული მიწები.[1] მიგვაჩნია, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს მხოლოდ ერთ ფრაგმენტს ისეთი დიდი პრობლემისა, როგორიც არის სათემო მიწების განაწილება დამფუძნებელი კრების დროს. ვფიქრობთ, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ალ. ნამორაძის ნაშრომში ღიად რჩება მთელი რიგი საკითხები (1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტი, 2 ნოემბრის დეკრეტი, 1790-91 წლის აგრარული კანონმდებლობა).

---

[1] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

ნაშრომის მეოთხე ნაწილში განხილულია, თუ როგორ წყვეტდა სათემო მიწების განაწილების საკითხს საკანონმდებლო კრება. ამ დროს ჩამოყალიბდა ორი კომიტეტი. სამინათმოქმედო და ფეოდალური კომიტეტი. „როგორც სათანადო წყაროებიდან ირკვევა ფეოდალურ კომიტეტს ნაწილობრივ ხელი აუღია სათემო მიწების საკითხზე და ეს უკანასკნელი უმთავრესად სამინათმოქმედო კომიტეტის განსახილველი ობიექტი გამხდარა".[1] ავტორის აზრით, მისი სოციალური შემადგენლობა გაცილებით უფრო პროგრესული ყოფილა და მის ძირითად ბირთვს მესამე წოდება შეადგენდა.

ხაზგასმულია, რომ საკანონმდებლო კრების წინაშე გაცილებით უფრო რთული ამოცანა იდგა, საქმე ისაა, რომ „მას არამარტო უნდა გადაეწყვიტა სენიორთა მიერ დატაცებული მიწების საკითხი, არამედ მას უნდა გაერკვია, თუ რა სახით უნდა გადაეცა დაბრუნებული სათემო მიწები თემისათვის — საერთო სარგებლობაში თუ ინდივიდუალურ მფლობელობაში".[2] უნდა დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს, რომ სათემო მიწების განაწილების საქმეში დამფუძნებელ კრებასთან შედარებით საკანონმდებლო კრებამ სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ. აქ დასმული საკითხის გადაწყვეტას ეხება ალ. ნამორაძის შემდეგი ორი ნაშრომი, აველინისა და შარლ დანტონის მოხსენების და პროექტის შესახებ.

* * *

როგორც უკვე ითქვა, ზემოთ აღნიშნულს შინაარსობრივად მოსდევს აველინის მოხსენება და პროექტი და ამიტომ საუბარს ამ ნაშრომის განხილვით გავაგრძელებთ. ალ. ნამორაძემ მოგვცა აველანის მოსაზრებების საინტერესო ანალიზი და აქედან საკუთარი დასკვნების გამოტანა სცადა, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას (ნათქვამი, ბუნებრივია, ვრცელდება მის დანარჩენ ოთხ ნაშ-

---

[1] იქვე, გვ. 195.
[2] იქვე, გვ. 196.

რომზე დანტონის, ფაბრის, მირენის და სუეს მოხსენებასა და პროექტზე).

შემთხვევითი არ იყო, რომ მოხსენების და პროექტის საბოლოო ჩამოყალიბება სამინათმოქმედო კომიტეტმა მიანდო აველინის, რომელიც ამავე კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი იყო.[1] რა მოდუსით მიაჩნდა აველინს შესაძლებლად სათემო მიწების გაყოფა? გლეხობის რომელი ფენების ინტერესებს გამოხატავდა მისი მოხსენება და პროექტი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახავდა მიზნად ალ. ნამორაძე თავის ნაშრომში.

აველინს მიზანშეწონილად მიაჩნია სათემო მიწების განანილება. მისი შეხედულებით ეს არგუმენტირებული არის ორი ფაქტორით: 1. პირველ ყოვლისა, ეს არის საფრანგეთის სოფლის მეურნეობის გარაციონალება, რაც დიდ მოგებას მოუტანდა სახელმწიფოს 2. მეზობელი ქვეყნების, ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიის, შვედეთის, გერმანიის, შვეიცარიის გამოცდილება.[2]

„თუ აველინი ღარიბი და ნანილობრივ საშუალო გლეხობის ინტერესებს იცავდა, ამ შემთხვევაში მას არ უნდა მოეთხოვა სათემო მიწების გაყოფა, მაგრამ იგი თავის მოთხოვნას კატეგორიულად იცავს".[3] ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული საძოვრების პრობლემასთან, რადგან ამ შემთხვევაში გლეხობა საძოვრების გარეშე დარჩებოდა. ეტყობა, ეს საკითხი აველინს ნაკლებად აღელვებს, ამიტომ ძნელი იქნება დავინახოთ მასში საშუალო ან ღარიბი გლეხობის ინტერესების დამცველი. აველინის ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ ღარიბი გლეხობა წინ არ აღუდგებოდა სათემო მიწების გაყოფას, ვინაიდან სათემო მიწების გაყოფის შედეგად შეიქმნებოდა საერთო კეთილდღეობა და ამიტომ გლეხობას აღარ დაჭირდებოდა სათემო მიწები. უნდა დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს, როდესაც აველინის მსჯელობას ილუზიებად მიიჩნევს.[4]

---

[1] ალ. ნამორაძე, მარენის მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მინების შესახებ, ნარდგენილი ლეჟისლატივში 1792 წელს — სრუიცსა ფონდი 2079. ან 1, ს. 10, ფ. 2.

[2] იქვე, ფ. 3-4.

[3] იქვე, ფ. 5.

[4] იქვე, ფ. 7-8.

მართალია, აველინი წინააღმდეგია სათემო მიწების გასხვისების, გაყიდვის, მაგრამ ეს დასაშვებად მიაჩნია ოთხ შემთხვევაში: 1. თუ მიწის მელიორაცია შეუძლებელია, 2. თუ მიწა ან სრულიად უნაყოფოა, ან უაღრესად მცირემოსავლიანია მომხმარებელთა უმრავლესობისათვის, 3. თუ მიწა ძალიან დაშორებულია თემის საცხოვრებელი ადგილიდან და ამიტომ მიუვალი ადგილია, 4. როდესაც მიწის ნაკვეთი იმდენად მცირეა, რომ მისი გაყოფის შედეგად ყოველი მონაწილე მიიღებს არაუმეტეს ნახევარი არპანისა ან მეოთხედისა.[1] მიწის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები, აველინის მიხედვით, უნდა მოხმარდეს თემს.[2]

აველინი ერთი შეხედვით თითქოსდა ძალიან ბევრს ზრუნავს ღარიბ გლეხობაზე, მაგრამ ალ. ნამორაძის ღრმა რწმენით, ეს აზრი კარგად გაანგარიშებული პოლიტიკური რევერანსია, რადგან აველინს ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი, ღარიბი გლეხი დაუყოვნებლივ გაყიდის მიწას, რომელიც უმალ მდიდარი გლეხის ხელში აღმოჩნდება. ამ გზით აველინს სურს მიაღწიოს საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აყვავებას და დარწმუნებულია, რომ თუკი მიწა თავს მოიყრის მდიდრების ხელში, შესაძლებელი გახდება სოფლის მეურნეობის გარაციონალება, გაინტენსიურება.[3]

აველინის წინაშე იდგა ორი გზა: თემური მიწების ლიკვიდაცია (სათემო მიწების განაწილებისა და მათი კერძო საკუთრებად გადაქცევის გზით) და საფრანგეთის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება. ალ. ნამორაძის აზრით, აველინი მეორე გზას ამჯობინებს და გულახდილად აღიარებს „რა უყოთ თუ ზოგიერთი გლეხი დაზარალდა“.[4]

ალ. ნამორაძე აველინის პროექტის სერიოზულ ნაკლს იმაში ხედავს, რომ „იგი ანგარიშს არ უწევს არც გლეხობის სურვილს და არც ამათუიმ რეგიონის სპეციფიკას. იგი იძლევა გაყოფის ერთ მთლიან საერთო წესს მთელი საფრანგეთისათვის“.[5]

---

1 ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 6-7.
2 იქვე.
3 იქვე, ფ. 11.
4 იქვე, ფ. 10.
5 იქვე, ფ. 15.

არანაკლებ პრინციპული მნიშვნელობა აქვს აველინის მოსაზრებებს გაყოფის მოდუსის შესახებ. საინტერესოა გაყოფის რა მოდუსს გვთავაზობს იგი. მას მშვენივრად ესმოდა, რომ ორივე ეს საკითხი, როგორც სათემო მიწების გაყოფა, ისე მათი განაწილება ძალზე მწვავე და აქტუალური იყო. როგორც მისი მოხსენებიდან ჩანს, იგი ინდივიდუალური პრინციპის მომხრეა. ამის შემდეგ მის წინაშე წამოიჭრება საკითხი, თუ როგორ ჯობია განხორციელდეს ეს, კომლობრივი თუ სულობრივი გაყოფით. აველინი რჩევას აძლევს ლეჟისლატივს, რომ უფრო უმჯობესია კომლობრივი დაყოფა და ცდილობს დაასაბუთოს ის უპირატესობა, რომელიც მისი შეხედულებით, გააჩნდა ამ პრინციპს.[1] ალ. ნამორაძე აღნიშნავს, რომ „აველინი თავისი რთული მოდუსით უმთავრესად მესაკუთრეებზე ზრუნავს და მხედველობაში არ იღებს საკუთრების გარეშე დარჩენილი მოიჯარეებისა და სოფლის მუშების ინტერესებს".[2]

ნაშრომის დასასრულს ყურადღებას იპყრობს პოლემიკა ისტორიკოს ს. კუნისკისთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ აველინის პროექტი გამოხატავდა ბობოლა გლეხების ინტერესებს.[3] ალ. ნამორაძეს ეს მოსაზრება საკამათოდ მიაჩნია და ხაზს უსვამს შემდეგ არგუმენტებს 1. იგი ფიქრობს, რომ, როდესაც ს. კუნისკი ამას ამტკიცებდა, სათანადოდ არ ითვალისწინებდა საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაციას რევოლუციის წინ. საქმე ისაა, რომ მესაკუთრე, რომელიც მხედველობაში ყავს აველინს, მხოლოდ ბობოლა გლეხი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს იყო საშუალო და ღარიბი გლეხიც. 2. სათემო მიწების განაწილების წინააღმდეგი იქნებოდა არა მარტო მეჯოგეობის რაიონის ბობოლა გლეხობა, არამედ სამინათმოქმედო რაიონის ბობოლეებიც, რომლებიც ფაქტობრივად ფლობდნენ სათემო მიწების მონოპოლიას და მის გაყოფას, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდნენ. მოწინააღმდეგეთა რიცხვს, შეიძლება დაემატოს აფეჟისტებიც, რომლებსაც ასევე აღელვებდათ სათემო მიწების გაყოფა, რადგან ხელიდან ეცლე-

---

[1] იქვე, ფ. 19, 20-25.
[2] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.
[3] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

ბოდათ გემრიელი ლუკმა. ამიტომ ძნელია ვამტკიცოთ, რომ აველინი ბობოლა გლეხობის ინტერესების გამომხატველი იყო. 3. ეს იქედანაც კარგად ჩანს, რომ მოდუსი, რომელსაც გვთავაზობს აველინი ყველაზე ნაკლებად პასუხობდა ბობოლა გლეხობის ინტერესებს, რომელთაც ყველაზე უფრო მეტად აწყობდათ სათემო მიწების გაყოფა საკუთრებისადმი პირდაპირი პროპორციით.[1]

ამრიგად, ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ აველინი არ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ბობოლა გლეხობის ინტერესების დამცველი, რადგან მესაკუთრე, რომელიც მხედველობაში ყავს აველინს და რომელზეც ზრუნავს იგი, შეიძლებოდა გარდა ბობოლა გლეხისა ყოფილიყო საშუალო და ღარიბი გლეხიც.

ამ საინტერესო ნაშრომის გაცნობისას, ბუნებრივია, გაგვიჩნდა ზოგიერთი მოსაზრება, სურვილი. ა. ნაშრომის სიუჟეტის დახვენა, გამორიცხული არ უნდა იყოს. ხომ არ აჯობებდა გამოკვლევის დაწყება ს. კუნისკისთან დისკუსიით, რასაც საკითხის ისტორიოგრაფიის ელფერი მიეცემა და ბ. ზოგიერთი საკითხი, ჩვენი აზრით, საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს. აქ, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ვგულისხმობთ მის მსჯელობას ღარიბი და უღარიბესი გლეხობის შესახებ და სათემო მიწების განაწილებისადმი მათი დამოკიდებულების განხილვას.[2] ალ. ნამორაძის მსჯელობის წმინდა პროფესიული ღირებულება, რა თქმა უნდა, არავითარ ეჭვს არ ინვევს, მაგრამ რა კავშირი აქვს მას აველინის პროექტთან? ხომ არ გვაშორებს იგი ძირითად თემას?

* * *

ამის შემდეგ შინაარსობრივად მოდის ალ. ნამორაძის ნაშრომი „შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამინათმოქმედო კომიტეტში“. შარლ დანტონი იაკობინთა პარტიის თვალ-

---

[1] Кунисский С., Позняков В., დასახ. ნაშრ., გვ. 94-95.

[2] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

საჩინო ლიდერის ჟორჟ ჟაკ დანტონის (1759-1794) მოგვარეა. იგი დაიბადა ვენაში.

კონიუნქტურული რევერანსის შემდეგ, სადაც ის ხარკს უხდის არსებული ბოლშევიკური იდეოლოგიის მონოპოლიას,[1] ალ. ნამორაძე გადადის მთავარ თემაზე. როგორც ფრანგი ისტორიკოსი ჟორჟ ბურჟენი აღნიშნავდა „შარლ დანტონის მოხსენება არაა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც აველინის, რომელიც გამოვიდა არა მარტო თავისი პირადი მოსაზრებებით, არამედ მთელი სამინათმოქმედო კომიტეტის სახელით. დანტონის მოხსენება საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი გვთავაზობს სათემო მიწების განანილების ახალ გზას, მათ გაყიდვას".[2] აღსანიშნავია, რომ დანტონს სათემო მიწების შესახებ თავისი სიტყვის წარმოთქმის საშუალება არ მისცემია და თავისი შეხედულებები წერილობით წარუდგენია სამინათმოქმედო კომიტეტში.

განიხილავს რა საკითხის შესახებ არსებულ წყაროებს, ალ. ნამორაძეს განსაკუთრებულად მტკივნეულად მიაჩნია ის გარემოება, რომ სამინათმოქმედო კომიტეტის ოქმები მეტად მშრალია და სრულყოფილ წარმოდგენას ვერ იძლევა იმ კამათის შესახებ, რომელიც აქ სუფევდა, მაგრამ სხვა სახის დოკუმენტური მასალა შესამჩნევად ავსებს ამ ინფორმაციულ ვაკუუმს.[3]

სათემო მიწების შესახებ ალ. ნამორაძის შრომებს წითელ ხაზად გასდევს პოლემიკა საბჭოთა ისტორიკოს ს. კუნიისკისთან. ეს უკანასკნელი თავის ნაშრომში ამტკიცებდა, რომ შარლ დანტონი ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი იყოო. ს. კუნისკის ეს მტკიცება, ალ. ნამორაძის შეხედულებით, ორ არგუმენტს ემყარება: 1. შარლ დანტონის ნეგატიური დამოკიდებულება არაინდივიდუალური საკუთრებისადმი, რაშიც ის ხედავს სოფლის მეურნეობის ჩავარდნის მთავარ მიზეზს. 2. სათემო მიწების

---

[1] ალ. ნამორაძე, შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამინათმოქმედო კომიტეტში — თსუ-ს შრომები, ტ. 65, თბ., 1954, გვ. 162-163.

[2] იქვე, გვ. 166.

[3] Куниский С., Позняков В., დასახ. ნაშრ., გვ. 95-98.

გაყიდვით, ს. კუნისკის თანახმად, ყველაზე უფრო მეტად მოგებული დარჩებოდა ბურჟუაზია. ალ. ნამორაძეს ორივე ეს არგუმენტი არადამაჯერებლად მიაჩნია და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე ცდილობს მის გაბათილებას. ჯერ ერთი არაინდივიდუალური საკუთრებისადმი სიძულვილი განა მარტო ქალაქის ბურჟუაზიისთვისაა ნიშანდობლივი? და მეორეც ერთი, სათემო მიწების გაყიდვით დიდ მოგებას ნახავდა არა მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზია, არამედ სოფლის ბურჟუაზიაც.[1] ალ. ნამორაძემ კარგად მიაგნო იმ ლოგიკურ წინააღმდეგობას, რომელსაც ს. კუნისკის კონცეფცია შეიცავდა და ეს მისი ანალიზის ძლიერ მხარედ მიგვაჩნია. „თუ დეპუტატი აველინი მოითხოვდა სათემო მიწების გაყოფას გლეხებს შორის, რასაც საბოლოოდ იგივე შედეგები მოყვებოდა ღარიბი გლეხობისათვის, რაც მიწების გაყიდვას, რასაც არ უარყოფს თვით კუნისკი და ამასთანავე, თუ კუნისკის აზრით, აველინი წარმოადგენდა სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებს (ბობოლა გლეხობის ინტერესებს), გაუგებარი რჩებოდა, რატომ უნდა იყოს დანტონი, იმავე კუნისკის აზრით, ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენელი“.[2]

აველინიც და დანტონიც სოციალურად ერთი და იგივე ფენის წარმომადგენლები არიან, თუმცა სათემო მიწების განაწილების საკითხს სხვადასხვა გზით წყვეტენ. ეს განსხვავება უფრო მეტად სტრატეგიული და არა ტაქტიკური ხასიათისაა. ალ. ნამორაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დანტონმა უფრო ფართოდ შეხედა საკითხს, ვიდრე აველინიმ. „დანტონი საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით წყვეტს სათემო მიწების საკითხს. მისი აზრით, სათემო მიწები თემური საკუთრება როდია, იგი ნაციონალური ქონებაა, სახელმწიფო საკუთრებაა, განსხვავებით დეპუტატ აველინისგან, რომლისთვისაც სათემო მიწები თემის საკუთრებაა“.[3]

დანტონი სხვა დეპუტატების მსგავსად მიუთითებს, რომ სათემო მიწები არის გავერანებული, მოუვლელი და გაპარტახებული.

---

[1] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164-165.
[2] იქვე, გვ. 168.
[3] იქვე, გვ. 173.

ის ამის მიზეზს ხედავს მათი სარგებლობის წესში. მისი ღრმა რწმენით, ამ უთავბოლობას ბოლო მოეღება მაშინ, როდესაც რადიკალურად შეიცვლება მათი მოხმარების წესი, ანუ მოისპობა თემური მფლობელობა, აქ დანტონი უნდა გულისხმობდეს კერძო და კოლექტიურ საკუთრებას და დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს იმისი გამოცნობა, რომ მისი სიმპათიები სულ მთლიანად პირველისაკენ იხრება. დანტონის თანახმად, მესაკუთრეს უფრო მეტი სტიმული გააჩნდა. იგი ყოველთვის ცდილობს უფრო მეტი ნაყოფი მიიღოს თავის საკუთარ მიწაზე, კარგად უვლის მას და მუდამ აუმჯობესებს მის მოსავლიანობას. გლეხი, რომელიც სათემო მიწით სარგებლობს უსულგულოდ ეპყრობა მას და ამიტომ იგი უფრო ცუდადაა მოვლილი.[1] დანტონის ეს მსჯელობა ალ. ნამორაძეს, უთუოდ ენიშნებოდა და უეჭველად გაახსენებდა კოლექტივიზაციის შემდგომდროინდელ, მის თანამედროვე ქართულ სოფელს. აღსანიშნავია, რომ დანტონის მოსაზრება აქტუალური იყო არა მარტო XVIII საუკუნის მიწურულისათვის, არამედ XX საუკუნის შუა ხანებშიც, როდესაც ალ. ნამორაძის ეს ნაშრომი დაინერა. ჩვენი ღრმა რწმენით, ალ. ნამორაძე აქ მეტად ფრთხილად, სტრიქონსა და სტრიქონს შორის, ეზოპეს ენით გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირში აგრარული საკითხის გადაწყვეტის, კოლექტივიზაციის მიმართ (მიგვაჩნია, რომ ამ საკითხს თავისი აქტუალობა არც დღეს არ დაუკარგავს, როდესაც საქართველო კვლავ დგას მიწის რეფორმის წინაშე).

შარლ დანტონი კატეგორიული წინააღმდეგი იყო სათემო მიწების გაყოფის და ფიქრობდა, რომ იგი ვერ მისცემდა ღარიბებს ხანგრძლივ და ეფექტურ ანაზღაურებას. მიწების გაყოფა დროებით შვებას მოუტანდა ღარიბების მხოლოდ ერთ თაობას, მაგრამ სულ ცოტა ხანში ისინი იძულებული იქნებოდნენ გაეყიდათ სათემო მიწებიდან მიღებული წილი. ამიტომ მათს შთამომავლობას არსებითად აღარაფერი დარჩებოდა. დანტონს არც კომლობრივი გაყოფა ესახებოდა გამართლებულად, რასაც იმით ხსნის, რომ 12 შვილის მამას, ცხადია, უფრო მეტი მიწა ჭირდება, ვიდრე ერთი

[1] იქვე, გვ. 171.

შვილის მამას. ამიტომ პირველს უფრო მეტის მიღების უფლება აქვს, ვიდრე მეორეს. დანტონი გამოსავალს ვერც სულობრივ გაყოფაში ხედავს. მისი შეხედულებით ეს იქნებოდა მოტყუება, ვინაიდან ღარიბები იძულებული შეიქმნებიან დაუთმონ თავიანთი მიწა თავიანთ კრედიტორს, ანდაც გაყიდონ, გაასხვისონ. სათემო მიწების გაყიდვის წინააღმდეგი, როგორც ალ. ნამორაძე აღნიშნავს, დანტონი კიდევ იმიტომ იყო, რომ მასში მონაწილეობას მიიღებდნენ ისეთი ადამიანებიც (მკერავები, ხარაზები, დურგლები, კალატოზები), რომლებიც შორს იყვნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისგან, ხვნა-თესვისგან.[1]

ბუნებრივია იბადება კითხვა, მაშ რას მოითხოვდა დანტონი თუ სათემო მიწების არც გაყოფა შეიძლებოდა და არც ხელუხლებელი დატოვება. დანტონის მიხედვით, ყველაზე უფრო უკეთეს გამოსავალს წარმოადგენდა სათემო მიწების გაყიდვა. ცხადია, ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო მოგებული მდიდარი გლეხობა დარჩებოდა, რომლის ხელშიც მოექცეოდა მიწების დიდი ნაწილი, მაგრამ მიღებული თანხა, დანტონის შეხედულებით, შეიძლება მოხმარდეს სხვადასხვა სასარგებლო დაწესებულებების მოწყობას, ქველმოქმედებას.

შემთხვევითი არაა, რომ დანტონი ძალიან ბევრს ლაპარაკობს და დიდ ყურადღებას უთმობს ღარიბ გლეხობას, ვინაიდან კარგად იცის, რომ სათემო მიწების გაყიდვის შემთხვევაში ყველაზე უფრო მეტად, სწორედ, ეს სოციალური ფენა დაზარალდებოდა. კომპენსაცია, რომელზეც დანტონი ლაპარაკობს, ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ პალიატური და ზედაპირულია. ნაშრომში ვრცლად არის განხილული დანტონის მოსაზრებები სათემო მიწების გაყიდვის წესის შესახებ.[2]

ახლა გადავიდეთ დანტონის პროექტზე. იგი შედგება 29 მუხლისაგან. მიწების დახარისხების შემდეგ დაიწყება მათი გაყიდვა აუქციონის საშუალებით. პროექტის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა მიწების გაზომვას და მის შეფასებას უმაღლესი ფასის მიხედვით. „ეს თავისთავად გამორიცხავდა რაიმე შეღავათს ღარი-

---

[1] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 174-175.

[2] იქვე.

ბი გლეხებისათვის, როგორც სააუქციონო ვაჭრობის დროს, ისე შესყიდული მიწის ფასის გასტუმრების შემთხვევაში".[1] ნიშანდობლივია, რომ დანტონი მოითხოვს სათემო მიწების დაყოფას მსხვილ ნაკვეთებად, რომელსაც პროექტის ავტორის შეხედულებით, მაღალი ფასი უნდა დაედოს. ასეთ სიტუაციაში საშუალო და ღარიბი გლეხი, ბუნებრივია, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამ კუთხით ყურადღებას იპყრობს პროექტის მეექვსე მუხლი. დანტონი კატეგორიული წინააღმდეგი იყო სათემო მიწების მცირე მიწიანი გლეხის ხელში გადასვლისა.[2] დანტონის პროექტის სუსტ მხარეს ალ. ნამორაძე ხედავს მსხვილი მეჯოგეებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, რომლებიც სათემო მიწების გაყოფის შემთხვევაში კარგავდნენ სათემო საძოვრებს.[3] „საინტერესოა აღინიშნოს, რომ შარლ დანტონის გზას არ გაყვა არც ლეჟისლატივი და არც ეროვნული კონვენტი. ორივე მათგანმა მიიღო გადაწყვეტილება გლეხებს შორის სათემო მიწების გაყოფის და არა გაყიდვის შესახებ"[4] — დასძენს ალ. ნამორაძე.

ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ალ. ნამორაძე ღრმად ჩაწვდა შარლ დანტონის პროექტის არსს და ნათლად წარმოაჩინა მისი ძირითადი მიზანი, შეიცვალოს სათემო მიწების კოლექტიური მფლობელობა კერძო საკუთრებით, ვინაიდან, დანტონის ღრმა რწმენით, ეს უკანასკნელი უფრო ნაყოფიერი და ეფექტურია, ვიდრე პირველი. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. შარლ დანტონი ფიზიოკრატების მიმდევარია, სოფლის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველია და ფიქრობს, რომ მსხვილი სამეურნეო ერთეული უფრო მომგებიანია ვიდრე წვრილი.[5] ალ. ნამორაძე საკითხის გულდასმით შესწავლის შედეგით იმ დასკვნამდე მიდის, რომ შარლ დანტონის სახით საქმე გვაქვს სოფლის ბურჟუაზიის ტიპიურ წარმომადგენელთან.[6]

---

[1] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 180.
[2] იქვე, გვ. 181.
[3] იქვე, გვ. 182.
[4] იქვე, გვ. 179.
[5] იქვე, გვ. 181-182.
[6] იქვე, გვ. 183, 185.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ალ. ნამორაძის მოსაზრებები აველინისა და დანტონის მოხსენების და პროექტის ირგვლივ წარმოადგენს სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ახალ სიტყვად გვევლინება.

ნაშრომის ბოლო გვერდებზე შეიმჩნევა ერთგვარი ტავტალოგია, განმეორება, რომლის თავიდან აცილება, ცხადია, ადვილად შეიძლებოდა. დასკვნა ცოტათი გაწელილია და მისი ორ ნაწილად გაყოფა შეიძლება საკამათო იყოს.

როგორც უკვე ითქვა, პრობლემა სათემო მიწების განაწილების საკითხი საფრანგეთის რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792) დასრულებულად არ მიგვაჩნია და, ჩვენი აზრით, ალ. ნამორაძეს კიდევ დარჩა გადასადგმელი ერთი სერიოზული ნაბიჯი აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ამ თემის დასრულებული სახით წარმოჩენისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონების განხილვა, რითაც საკანონმდებლო კრებამ ფაქტობრივად კიდეც დაასრულა თავისი მუშაობა. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ ალ. ნამორაძეს ამ პრობლემის შესახებ ცალკე ნაშრომის დაწერაც ჰქონოდა განზრახული, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა ვეღარ მოასწრო. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ალ. ნამორაძის მომავალი მონოგრაფიის მეორე თავის გეგმა შეიძლება ასე გამოიყურებოდა. თემა, სათემო მიწების განაწილების საკითხი საფრანგეთის რევოლუციის პირველ ეტაპზე შედგებოდა ორი ქვეთავისაგან: ა. სათემო მიწების განაწილების საკითხი დამფუძნებელი კრების დროს (1789-1791) და ბ. სათემო მიწების განაწილების საკითხი საკანონმდებლო ერების (ლეჟისლატივის) დროს (1791-1792).

* * *

ალ. ნამორაძის შემდგომი სამი ნაშრომი წარმოადგენს საფრანგეთის რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესახებ გამოკვლევების ახალ ციკლს, რომლის ყურადღების ცენ-

ტრში დგას ეროვნული კონვენტის პოლიტიკა სათემო მიწების განანილების საკითხში. ეს მორიგე ციკლი უნდა დავიწყოთ ალ. ნამორაძის ნაშრომით „ფაბრის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების გაყოფის შესახებ საფრანგეთში, წარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 წელს“.

ეროვნული კონვენტის მისწრაფებას სათემო მიწების განანილებისაკენ ალ. ნამორაძე ორ ფაქტორს უკავშირებს. საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და რაც მთავარი იყო, გლეხობის გულისმოგების მიზნით, რათა მტკიცედ ჩაეყენებინა ისინი რევოლუციის ბანაკში“.[1] ავტორი ხაზს უსვამს, რომ ეროვნულმა კონვენტმა აღნიშნული საკითხის გადაჭრის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა, რაც საფრანგეთის რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარების ლოგიკური შედეგი იყო, რომელსაც ზოგიერთი თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი (ფ. ფიურე, დ. რიშე) ცოტა ეჭვის თვალით უყურებს და კითხვის ნიშნის ქვეშ სურს დააყენოს. ფაქტობრივად იაკობინელებმა დაასრულეს ის საქმე, რომელიც დაიწყო დამფუძნებელმა კრებამ და განაგრძო ლეჟისლატივმა.[2]

1792 წლის 1 ოქტომბერს არჩეულ იქნა სამინათმოქმედო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 23 კაცი. თავდაპირველად მას ხელმძღვანელობდა ცნობილი ჟირონდისტი რაბოსენ-ეტიენი. ცოტა ხნის შემდეგ ამ ადგილზე აურჩევიათ რაბო პომიერი, მაგრამ არც ამ უკანასკნელს დასცალდა თავმჯდომარის სავარძელში დიდხანს ყოფნა. როგორც 1793 წლის 29 იანვრის სხდომის ოქმიდან ვგებულობთ, იგი ძალიან დაკავებული ყოფილა თორმეტთა კომიტეტში მუშაობით და ამიტომ მოხსენების წარდგენა დაევალა ფაბრს.[3]

სხვადასხვა საქმიანობით დაკავებულ კომიტეტს ორი თვე დაჭირდა, რათა საბოლოოდ შეემუშავებინა სათემო მიწების გაყ-

---

[1] ალ. ნამორაძე, ფაბრის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების გაყოფის შესახებ საფრანგეთში, წარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 ნელს — სრუიცსა ფონდი 2079, ან. 1, ს. 14, ფ. 2.

[2] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

[3] იქვე, გვ. 3-4.

ოფის პროექტი. 24 მარტს ფაბრს ნაუკითხავს თავისი მოხსენება ჯერ სამინათმოქმედო კომიტეტში, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, 2 აპრილს ეროვნულ კონვენტში.[1] როგორც ჩანს, ფაბრის გამოსვლას გულგრილი არავინ დაუტოვებია და უმალ გახდა მსჯელობის საგანი. აქ ვგულისხმობთ მარენისა და სუეს კონტრმოხსენებებს.

რას მოითხოვდა ფაბრი? ამ კითხვაზე პასუხი, ბუნებრივია, ფაბრის მოხსენებაში უნდა ვეძიოთ და ამიტომ ალ. ნამორაძე დაწვრილებით ჩერდება მასზე. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრი სასტიკი წინააღმდეგია დატოვოს სათემო მიწები თემის საკუთრებაში და მხარს უჭერს მათ გაყოფას გლეხებს შორის, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელს სათემო მიწის გაყიდვის უფლება არ უნდა მიეცეს ათი წლის მანძილზე.[2] რა სურდა ამით ფაბრს? მისი ჩანაფიქრით ამით თავიდან აიცილებდნენ ღარიბი გლეხის მიერ გაჭირვების, ან სხვა შემთხვევის გამო, მიწის გაყიდვას. ფაბრის სავსებით რეალურად მიაჩნდა, რომ ამ შემთხვევაში მიწების დიდი ნაწილი მოექცეოდა მდიდრების ხელში. ცხადია, საკითხის ასეთი გადაწყვეტა პანაცეა არ იყო და საკამათოა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვეებმა უმალ შენიშნეს ეს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მარენისა და სუეს მოხსენება.

ფაბრი ცდილობს წინდახედულება გამოიჩინოს და გაითვალისწინოს ბობოლა გლეხების ოინები. იმ მიზნით, რომ მოუსპოს მდიდარ გლეხს საშუალება თავის ნებაზე ეთამაშებინა თემის საბჭო, ფაბრი მოითხოვს, სათემო მიწების გაუყოფლობისათვის თემის საბჭოს ხმების ორ მესამედს.[3]

ამის შემდეგ ნაშრომში განხილულია ფაბრის თვალსაზრისი სათემო მიწების „გაყოფის" შესახებ. საინტერესოა რა პოზიცია ეკავა მას ამ პრინციპულ საკითხში. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი მსჯელობის კრიტიკული პათოსი. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ იგი კატეგორიულად უარყოფს სათემო მიწების გაყოფის სამივე მოდუსს: სათემო მიწების კომლობრივ

---

1 იქვე, გვ. 5.
2 იქვე, გვ. 8.
3 იქვე.

გაყოფას, გაყოფას პირდაპირი პროპორციით საკუთრებისადმი და უკუპროპორციულ გაყოფას იმავე კერძო საკუთრებისადმი. ალ. ნამორაძე ვრცლად ჩერდება ფაბრის არგუმენტაციაზე.[1] მაშ როგორ გაყოფას მოითხოვს ფაბრი? იგი მხარს უჭერს სათემო მიწების სულობრივად გაყოფას, რადგან მას მიაჩნია, რომ ღარიბი გლეხის ინტერესები ამ შემთხვევაში უფრო მეტად იქნებოდა დაცული, ვინაიდან ღარიბი გლეხი უფრო მრავალშვილიანია, ვიდრე მდიდარი გლეხი. იგი მოამრავლებს მესაკუთრეებს, რაც წარმოადგენს კანონის მიზანს.[2]

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ფაბრისა და მარენის პროექტების შედარებას. ალ. ნამორაძე, უნდა ითქვას, რომ მისთვის ჩვეული სიღრმისეულობით აანალიზებს ამ რთულ საკითხს და ცდილობს საკუთარი დასკვნების გამოტანას. ეს მისასალმებელია, მაგრამ აქ წამოიჭრება ერთი საკითხი — რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ თემაზე საუბარი ფაბრისადმი მიძღვნილ ნაშრომში? მკითხველი ჯერ ხომ არ იცნობს მარენის მოსაზრებებს სათემო მიწების გაყოფის შესახებ და გთავაზობთ მის შედარებას ფაბრის შეხედულებებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ფაბრის მოხსენება წინ უსწრებდა მარენისას. მათი პროექტების შედარება, უდავოდ, საინტერესოა, მაგრამ ამის გაკეთება ფაბრისადმი მიძღვნილ ნაშრომში საკამათოდ მიგვაჩნია და, ალბათ, უფრო უპრიანი და თანამიმდევრული იქნებოდა მარენის მოხსენებისადმი მიძღვნილ ნაშრომში.[3]

რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძე დეტალურად განიხილავს ფაბრის პროექტს და გვაძლევს მის შეფასებას.[4] ფაბრის პროექტი ითვალისწინებდა სათემო მიწების სულობრივად გაყოფას და იგი დიდად შეუწყობდა ხელს წვრილი გლეხური საკუთრების ჩასახვასა და მომრავლებას. ფაბრის პროექტს აქვს თავისი კონკრეტული მიზანი. გლეხობა ჩააყენოს რევოლუციის ბანაკში. ბუნებრივია,

---

[1] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9-10.
[2] იქვე, გვ. 10-11.
[3] იქვე, გვ. 13-14.
[4] იქვე, გვ. 10-11.

კარი I

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლის სათავეებთან

I თავი

ქართველი სამოციანელები და აგრარული საკითხი საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ

ქართველი სამოციანელები, ანუ როგორც მათ ხშირად უწოდებენ „თერგდალეულები", ღრმა ჩახედულებას ამჟღავნებდნენ არა მარტო მშობლიურ ისტორიაში, არამედ კარგად იცნობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების წარსულს და მათ გამოცდილებას, იმარჯვებდნენ ქართველი ხალხის გამოფხიზლების, გამოღვიძების საქმეში. ისინი ცდილობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიაში მოეძებნათ „ჭკუის სასწავლებელი" მაგალითები. ქართველ პუბლიცისტებს სურდათ მიეღოთ პასუხი იმ რთულ პრობლემებზე, რომელიც მათი სამშობლოს წინაშე იდგა. ეპოვათ მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზები და საშუალებები. სწორედ მათ გადადგეს პირველი მოკრძალებული ნაბიჯი საქართველოში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაციის და პროპაგანდის საქმეში.[1]

[1] ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები, თბ., 1962; ვ. დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970; ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978; ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებები, თბ., 1987; ვ. დონაძე, ილია ჭავჭავაძე და მსოფლიოს ახალი პერიოდის აქტუალური პრობლემები, თბ., 1986.

რომ ფაბრის პროექტი არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას და მას გააჩნია თავისი მინუსები, აქ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იგულისხმება ის, რომ მიწების გაყიდვის აკრძალვა 10 წლის ვადით შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არაა, ათი წლის შემდეგ გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხს სრული უფლება ჰქონდა გაეყიდა მიწა. იგი, ცხადია, კვლავ მდიდარი გლეხის ხელში აღმოჩნდებოდა, ხოლო ღარიბი გლეხი ისევ მშრალზე დარჩებოდა. დასახული მიზანი კვლავ განუხორციელებელი აღმოჩნდებოდა.[1] ალ. ნამორაძე დანვრილებით განიხილავს, თუ როგორ უნდა წარმოებულიყო, ფაბრის პროექტის მიხედვით, სათემო მიწების გაყოფა და ვის ჰქონდა და ვის არა, ფაბრის აზრით, მასში მონაწილეობის უფლება.[2]

ჩვენი აზრით, ნაშრომის ერთი მონაკვეთი საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს, თუმცა ფრიად აქტუალურ თემას ეხება და წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, უდავოდ, მაღალ დონეზეა შესრულებული, რევოლუციის წინ გლეხთა დიფერენციაციაზე შეჩერება ძირითად საკითხს ფაბრის მოხსენების და პროექტის შეფასებას საკმაოდ გვაშორებს, ამიტომ ამ ნაშრომში მისი განხილვა უმართებულოდ მიგვაჩნია.[3]

ამ ნაშრომში, რა თქმა უნდა, კვლავ გრძელდება პოლემიკა ისტორიკოს ს. კუნისკისთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ფაბრის პროექტი გამოხატავდა უმთავრესად საშუალო გლეხობის ინტერესებს“.[4] ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს. იგი ეყრდნობა რა საფრანგეთის გლეხობის ქვეფენების საკუთარ ანალიზს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამინათმოქმედო კომიტეტი, ფაბრის პროექტით, სათემო მიწების განაწილების საკითხს წყვეტდა მდიდარი, საშუალო და უღარიბესი გლეხობის სასარგებლოდ და ვფიქრობთ, დამაჯერებლად გვიხსნის ამის მიზეზებს.[5]

---

1 ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17.
2 იქვე, გვ. 23-26.
3 იქვე, გვ. 35-52.
4 Куниский С., Позняков В., დასახ. ნაშრ., გვ. 153-154.
5 ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56..

* * *

ალ. ნამორაძის მომდევნო ორი ნაშრომი ეძღვნება მარენისა და სუეს მოხსენებას. ისინი უმთავრესად იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ წარმოადგენს სამინათმოქმედო კომიტეტის, ფაბრის პროექტის, კონტრმოხსენებას. მარენის მოხსენებიდან კარგად ჩანს, რომ იგი პოლემისტურადაა განწყობილი და არ იზიარებს სამინათმოქმედო კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ პროექტს სათემო მინების განაწილების თაობაზე.

ალ. ნამორაძის ნაშრომი იწყება დისკუსიით ს. კუნისკისთან. იაკობინთა აგრარული პოლიტიკის შეფასების საკითხში იგი მას ორ სერიოზულ ბრალდებას უყენებს. 1. არათანმიმდევრულობა (ს. კუნისკი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ერთ ადგილას ხაზს უსვამს, რომ იაკობინთა აგრარული პოლიტიკა მიზნად ისახავდა საშუალო გლეხობის ინტერესების დაცვას, ხოლო მეორე ადგილას დასძენს, რომ იაკობინელები ამ საკითხს წყვეტდნენ საშუალო და ნაკლებად შეძლებული გლეხობის სასარგებლოდ). 2. სათანადოდ არაა ხაზგასმული საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაცია. მკაფიოდ არ ჩანს თუ რას გულისხმობს ს. კუნისკი ამა თუ იმ ფენის ქვეშ.[1] მარენზე ნაშრომის დაწყება ამ პასაჟით ცოტა საკამათო შეიძლება იყოს. ეს საკითხი, როგორც ისტორიული ფონი, ჩვენი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა ფაბრზე ნაშრომის დასაწყისში, ვინაიდან პირველი სწორედ მისი მოხსენება იყო. ის რაც არადამაჯერებლად გამოიყურებოდა მარენზე ნაშრომში, ლოგიკური იქნებოდა მის ნაშრომში ფაბრზე.

მარენის მოხსენებასა და პროექტზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ წყვეტდა იგი სათემო მინების განაწილების საკითხს? რამდენად შეესატყვისებოდა მარენის პროექტი იაკობინთა აგრარულ პოლიტიკას? რით განსხვავდებოდა იგი სამინათმოქმედო კომიტეტის, ანუ ფაბრის პროექტისაგან? და ბოლოს რაც მთავარია, რატომ უარყო იგი ეროვნულმა კონვენტმა? აი საკითხების კასკადი,

---

[1] Куниский С., Позняков В., დასახ. ნაშრ., გვ. 161-169.

რომელიც ალ. ნამორაძის ყურადღების ცენტრში დგას და რომელზე პასუხის გაცემას ეძღვნება ქართველი ისტორიკოსის გამოკვლევა.

მარენი თავისი მოხსენების პირველივე სიტყვებში ხაზს უსვამს, რომ სადისკუსიოდაა განწყობილი და მისი კრიტიკული ისრები უმთავრესად მიმართულია სამინათმოქმედო კომიტეტის, ფაბრის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მარენის ღრმა რწმენით, „არ შეესატყვისებოდა კონვენტის ქველმოქმედებას და მის შეხედულებებს სამართლიანობაზე".[1]

უპირველეს ყოვლისა მარენი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მიწების გაყოფის შესახებ სამინათმოქმედო კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ მოდუსს. მას, სათემო მიწების სულობრივი გაყოფა, რასაც გვთავაზობს ფაბრი, მიუღებლად მიაჩნია. მარენს ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ ეს მოდუსი სულაც არ გააუმჯობესებდა ღარიბთა მდგომარეობას. სათემო მიწები უპირატესად თავს მოიყრიდა მდიდრების ხელში.

მარენის მეორე არგუმენტს ნარმოადგენს ის, რომ სულობრივი გაყოფის შედეგად მოგებული აღმოჩნდებოდა მრავალწევრიანი ოჯახები, ხოლო მცირეწევრიანი ოჯახები, სულობრივი გაყოფის შედეგად, სათემო მიწებიდან ძალიან მცირე ნაწილს მიიღებდნენ. აღსანიშნავია, რომ მარენს ზედაპირულად ეჩვენება ფაბრის ჩანაფიქრი აკრძალოს მიწის გაყიდვა 10 წლის ვადით. იგი ფიქრობს, რომ ეს საქმეს ვერ უშველიდა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ღარიბი გლეხი ბოლოს და ბოლოს მაინც გაყიდდა თავის წილ მიწას, რის შედეგადაც კვლავ სიღატაკის კლანჭებში აღმოჩნდებოდა.[2]

აღსანიშნავია, რომ მარენი წინდახედულობას იჩენს და ცდილობს თავიდან აიცილოს მეორე უკიდურესობა და არ გააუარესოს მესაკუთრეთა ინტერესები, ისე რომ აღმოჩნდეს იმაზე უარეს

---

[1] ალ. ნამორაძე, მარენის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების გაყოფის შესახებ საფრანგეთში, ნარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 ნელს — სრუიცსა ფონდი 2079, ან. 1, ს. 13, ფ. 4.

[2] იქვე, გვ. 18.

პირობებში, ვიდრე ის ფენა, რომელსაც არაფერი მოეპოვებოდა.[1] მარენის მოხსენების ეს ტენდენცია საინტერესოა და განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერდა XX საუკუნის შუა ხანებში, როდესაც იწერებოდა ალ. ნამორაძის ეს ნაშრომი. აქ ვგულისხმობდით იმას, რომ მსგავს შეცდომას თავი ვერ დააღწიეს კოლექტივიზაციის დროს, როდესაც მოსპეს ე. წ. კულაკობა, შეძლებული გლეხობა და მოხდა გათანაბრება უკიდურესი სიღატაკის დონემდე.

მარენი განსაკუთრებით აღშფოთებულია იმით, რომ ფაბრის პროექტი საშუალებას აძლევს კონტრრევოლუციონერებს სარგებელი ნახონ სათემო მიწების გაყოფით და ართმევს თავის შანსს შრომისმოყვარე მეურნეს მიიღოს სათანადო ნანილი სათემო მიწებიდან.

ბუნებრივია იბადება კითხვა, მაშ რა სურს მარენს? მის მიერ შემოთავაზებული სათემო მიწების გაყოფის მოდუსი იმ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას, რომ იგი ითვალისწინებს ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ინტერესებს. მისი აზრით, უფრო მიზანშენონილი იქნებოდა არა სულობრივად გაყოფა, როგორც ამას ფაბრა გვთავაზობს, არამედ კომლობრივად გაყოფა.[2]

მარენი ფიქრობს, რომ საჭიროა სათემო მიწების გაყოფა საკუთრებისადმი უკუპროპორციით. ასეთ პირობებში, მისი აზრით, მოგებული დარჩებოდა ღარიბი და უღარიბესი გლეხობა, რომლებიც მიიღებდნენ მიწას.[3]

საინტერესოა მარენის მსჯელობა იმის თაობაზე, თუ ვინ არ შეიძლება დაშვებულ იქნას სათემო მიწების გაყოფაში და ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მასში. მარენის თანახმად, არის ისეთი ოჯახები, რომლებიც თავს ირჩენენ ხელოსნობით და მათი მონაწილეობა სათემო მიწების გაყოფაში, მიაჩნია, რომ სამართლიანი არ იქნებოდა.[4]

ფაბრისგან განსხვავებით მარენი ფიქრობს, რომ კერძო საკუთრების გასხვისება, გაყოფა დაუშვებელია. ამავე დროს ის

---

[1] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 8.
[3] იქვე, გვ. 8-9.
[4] იქვე, გვ. 9.

კარგად გრძნობს, რომ ეს ღონისძიება პანაცეა არაა და მას განიხილავს, როგორც დახმარებას, ეროვნულ ქველმოქმედებას. ასეთ საშუალებას მარენი ხედავს საკომუნალო ფონდებში, რომელმაც, მისი ჩანაფიქრით, უნდა შემოინახოს მიწის რესურსები ღარიბებისათვის.[1]

ფაბრსა და მარენზე ალ. ნამორაძის ნაშრომის ლიტერატურული დახვეწა გამორიცხული არ უნდა იყოს. წმინდა კომპოზიციური ხასიათით იგი წინააღმდეგობრივ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც იმით გამოიხატება, რომ მარენის პროექტი განხილულია ვრცლად ალ. ნამორაძის წინა ნაშრომში ფაბრზე, ხოლო თვით მარენისადმი მიძღვნილ ნაშრომში მისი პროექტი ძალზე მკრთალადაა წარმოჩენილი. ეს ერთგვარ უხერხულობას ქმნის და ალ. ნამორაძის შრომების სერიოზულ ნაკლად მიგვაჩნია.

მარენის პროექტი გლეხებს სათემო მიწებს აძლევდა დროებით სარგებლობაში, ვიდრე რომელიმე ოჯახი გაჭირვებული იქნებოდა. იგი სასტიკი წინააღმდეგია, როგორც სათემო მიწების გასხვისების, ისე მათი სამუდამოდ გაცემის. მარენს სურს გაღატაკებული გლეხების მაგივრად კერძო მესაკუთრე გლეხობის შექმნა. იგი იმედოვნებს, რომ უღარიბესი გლეხობა შეინარჩუნებს სათემო მიწებიდან დროებით მიღებულ ნაკვეთს, როგორც კერძო საკუთრებას. ალ. ნამორაძე ხაზს უსვამს, რომ „მარენი სათემო მიწების გაყოფას უყურებდა არა წვრილი საკუთრების შექმნის მიზნით, როგორც ამას ფაბრი ფიქრობდა, არამედ გაჭირვებულისათვის დახმარების მიზნით".[2]

როგორც მარენის პროექტის მეექვსე მუხლიდან ჩანს მისი ყურადღების ცენტრში დგას და დიდ მზრუნველობას იჩენს უღარიბესი გლეხობის მიმართ. მისი შეხედულებით, მათ პირველ რიგში უნდა მივცეთ კუთვნილი წილი სათემო მიწებიდან, თანასწორი იმისა, რაც ყოველს ერგებოდა მთელი მიწების თანასწორი გაყოფის შედეგად. აღსანიშნავია, რომ მარენი მარტო ამ დახმარებით არ კმაყოფილდება და მოითხოვს, რომ უღარიბეს გლეხებს დამატებით მიეცეთ სათემო მიწების ის ნაწილი, რომელიც არ

---

[1] იქვე, გვ. 10-12.

[2] ალ. ნამორაძე, ფაბრის მოხსენება და პროექტი... გვ. 17-18.

მიეცათ მინის მესაკუთრეებს. ეს არაფრისმქონე გლეხს საკმაოდ uzr unvel yof da[1]

საგულისხმოა, რომ ასევე ყურადღებიანი იყო და ზრუნავდა მარენი მცირე მინიან გლეხებზე. მისი პროექტი აქაც ითვალისწინებდა გარკვეულ შეღავათიან პირობებს, თუმცა მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღოთ იმაზე მეტი სათემო მინებიდან, ვიდრე ერგებოდა უღარიბეს გლეხს.[2]

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარენი თავის პროექტში პრაქტიკულად ცდილობს თავიდან აიცილოს იმის საშიშროება, რომ შეძლებულმა გლეხმა არ მოინდომოს სათემო მიწების უზურპაცია ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ხარჯზე.[3]

ალ. ნამორაძემ, ვფიქრობთ, დამაჯერებლად უჩვენა ის პრინციპული განსხვავება, რომელიც ფაბრისა და მარენის პროექტს შორის იყო და შეეცადა აეხსნა ამის მიზეზები. ამ მოტივებს, რა თქმა უნდა, კიდევ მეტ ნათელს მოჰფენდა ის ფაქტი, ფაბრისა და მარენის პიროვნების და პოლიტიკური მრწამსის შესახებ ნყაროებში სარწმუნო ცნობები რომ მოგვეპოვებოდეს.

მარენისადმი მიძღვნილი ნაშრომის დასასრულს ალ. ნამორაძე განიხილავს ორ საკითხს: 1. რატომ არ მიიღო მარენის პროექტი კონვენტმა. 2. მარენის პროექტის შეფასების საკითხში ეკამათება ს. კუნისკის.

შეიძლება დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს, როდესაც ფიქრობს, რომ მარენის პროექტის უგულებელყოფის ერთ-ერთი მიზეზი იაკობინთა ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. (იაკობინთა შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს, თუმცა სავსებით შეესატყვისები ისტორიული მეცნიერების განვითარების ძირითად ტენდენციებს საბჭოთა კავშირში XX საუკუნის შუა ხანებში. ეს პირველ რიგში ეხება ია-

---

1 იქვე, გვ. 20-21.
2 იქვე, გვ. 21.
3 იქვე, გვ. 22.

კობინების, როგორც წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურის დახასიათებას).[1]

საინტერესოა ალ. ნამორაძის დისკუსია ს. კუნისკისთან, რომელსაც მიაჩნდა, რომ მარენს სურს ფაკულტატიური გაყოფა ფაქტობრივად სავალდებულო გახადოს და სათემო მიწების გაყოფას იმპერატიული ხასიათი მისცეს. ალ. ნამორაძე მარენის პროექტიდან ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს ვერ ხედავს და ეს მოსაზრება საკამათოდ ესახება „სათემო მიწების გაყოფა ვერ გადაიქცეოდა სავალდებულოდ და ვერ მიიღებდა იმპერატივულის ხასიათს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საჭირო იყო სადისტრიქტო ადმინისტრაციის მხრივ დანიშნული ექსპერტების მიერ შემოწმება სათემო მიწების გაყოფის შესაძლებლობის შესახებ მუნიციპალურ ორგანოს ერთი ან ორი მოხელის თანდასწრებით, მეორეც ერთი და რაც მთავარია, საჭირო იყო აგრეთვე სადეპარტამენტო ადმინისტრაციის საბოლოო დასტური. ამ პირობებში სათემო მიწების გაყოფა, რა თქმა უნდა, ვერ გადაიქცეოდა სავალდებულოდ. იგი ვერ მიიღებდა იმპერატივულობის ხასიათს".[2]

დასასრულს, ალ. ნამორაძე გაგვაცნობს ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს. ისინი მეცნიერულად ღირებულია და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ალ. ნამორაძემ თავისი სიტყვა თქვა მარენის მოხსენების და პროექტის ირგვლივ, მაგრამ დასკვნა ცოტათი გაჭიანურებული ჩანს და დიდია. იგი, ჩვენი აზრით, უფრო სამეცნიერო ნაშრომის თეზისებს გვაგონებს, ვიდრე დასკვნას. ზოგიერთი მუხლის გაერთიანება, ვფიქრობთ, გამორიცხული არ უნდა იყოს. ამით დასკვნა უფრო კომპაქტურ სახეს მიიღებდა.

---

[1] Манфред А., о природе Якобинской диктатуры – "Вопросы истории", 1969, № 5, Проблемы якобинской диктатуры, "Французский Эжегодник", 1970 г., М., 1972, გვ. 278-314; Черняк Е., 1794 год, Некоторые актуальние вопросы проблемы исследования великой французскои революции - "Новие и новеишая история", 1989, № 3, № 1. Ревуненков В., Марксизм и проблема якобинской диктатуры, Л. 1966, Ревуненков В., Санкюлоты и якобинцы - "Новая и новеишая история", 1969, № 3.

[2] ალ. ნამორაძე, დასახ., ნაშრ., გვ. 58-59.

* * *

სუეს მოხსენების და პროექტის განხილვით მთავრდება სათემო მიწების განაწილებისადმი მიძღვნილი ის შრომები, რომლის დაწერაც ალ. ნამორაძემ მოასწრო. ეს ბოლო ნაშრომი შედგება ოთხი ნაწილისაგან: 1. შესავალი, რომელიც უპირატესად ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს, 2. სუეს მოხსენების განხილვა, 3. სუეს პროექტი, 4. მიღებული დასკვნები.

სუეს, რომელიც ამავე დროს სამინათმოქმედო კომიტეტის წევრიც იყო, წარუდგენია კონვენტისათვის თავისი მოხსენება და პროექტი სათემო მიწების განაწილების შესახებ. იგი გამოვიდა კონვენტში თანამომხსენებლად 1793 წლის 23 აპრილს.[1]

შესავალში, ალ. ნამორაძე ს. კუნისკისთან კამათში ცდილობს გამოკვეთოს თავისი პოზიცია სუეს მოხსენების და პროექტის ირგვლივ, რაც ნაშრომში ყველაზე უფრო საინტერესოდ მიგვაჩნია. ს. კუნისკი ფიქრობს, რომ „სუე სოფლის შეძლებული გლეხობის იდეოლოგი იყო და თავისი სოციალური ფიზიონომიით ჟირონდისტებს ენათესავება.[2] როგორც ალ. ნამორაძე ვარაუდობს, ასეთი მტკიცება ორ არგუმენტს ემყარება: 1. სუეს მთიანი ვოგეზების დეპარტამენტიდანაა, სადაც მეჯოგეობაა განვითარებული და ამიტომ იგი მსხვილი მეჯოგეობის ინტერესების დამცველია. 2. სუეს პროექტის მიხედვით სათემო მიწები უნდა განაწილდეს კომლობრივად, რაც მრავალშვილიან, შეძლებულ და საშუალო გლეხს აძლევდა ხელს.[3]

უნდა დავეთანხმოთ ალ. ნამორაძეს, როდესაც მიიჩნევს, რომ სუეს მიკუთვნება ჟირონდისტების პარტიისადმი საკამათო შეიძლება იყოს. მას მიაჩნია, რომ ამისათვის საკმარისი არაა ის ფაქტი, რომ სუემ ხმა მისცა, ჟირონდისტების მსგავსად განევადებინათ მეფის სიკვდილით დასჯა და მიემართათ აპელაციით ხალხისათვის. ამის დასამტკიცებლად უფრო მეტი არგუმენტაციის მოხ-

---

[1] ალ. ნამორაძე, სუეს მოხსენება და პროექტი სათემო მიწების განაწილების შესახებ — სრუიცსა ფონდი 2079, ან. 1. ს. 9, ფ. 1.

[2] Куниский С., Позняков В., დასახ. ნაშრ., გვ. 157.

[3] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

მობა იყო საჭირო. ალ. ნამორაძის აზრით, მისი პოლიტიკური მრწამსის გამოსარკვევად ყველაზე უკეთეს მასალას წარმოადგენს მისი მოხსენება. აქედან გამომდინარე კი სუეს ჟირონდისტთა პარტიისადმი მიკუთვნება გაძნელდებოდა.[1]

ს. კუნისკისთან კამათის დროს ალ. ნამორაძეს შეიძლება ითქვას, რომ მტკიცედ უპყრია ხელთ ლოგიკური ძაფი და მიყვება მას, რაც მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. უპირველეს ყოვლისა, ალ. ნამორაძე ლოგიკურად სვამს საკითხს მთავრიანი დეპარტამენტებიდან სამინათმოქმედო კომიტეტის სხვა დეპუტატებიც იყვნენ, თუნდაც იგივე აველინი, მაგრამ არავინ არ ამტკიცებს, მათ შორის კუნისკი, რომ ისინი მეჯოგეობის ინტერესებს იცავდნენო. თუ სუე ამგვარ პოზიციაზე იდგა, ალ. ნამორაძის მოსაზრებით, ლოგიკური იქნებოდა მოეთხოვა, რომ სათემო მიწები ხელუხლებლად დაეტოვებინა თემის საერთო საკუთრებაში, მაგრამ იგი ასე არ იქცევა და მოითხოვს, რომ სათემო მიწების გაყოფას ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონოდა და არა იძულებითი. ალ. ნამორაძეს მიაჩნია, რომ რადგან სუე მოითხოვს სათემო მიწების კომლობრივად გაყოფას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი საშუალო და შეძლებული გლეხობის ინტერესების დამცველი იყოს. ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ ს. კუნისკი ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს მთელ რიგ გარემოებებს: ა. სუე არ სპობს თემურ მფლობელობას სათემო მიწებზე. მას მიაჩნია, რომ მათ გაყოფას უნდა ჰქონდეს დროებითი ხასიათი და არა საბოლოო. ბ. თვით დროებითი გაყოფა უნდა ყოფილიყო ფაკულტატიური და არა იმპერატივული, როგორც სამინათმოქმედო ისე მეჯოგეობის რაიონებისათვის. გ. გაყოფის პრინციპი, იქნებოდა კომლობრივი თუ სულობრივი, გამომდინარეობდა ერთსა და იმავე თანასწორობის პრინციპიდან. ამიტომ, დაასკვნის ალ. ნამორაძე, ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი ეს ბობოლა გლეხობის წისქვილზე ასხამდა წყალს.[2]

ს. კუნისკისთან კამათის გაგრძელება ფაბრისა და სუეს შეხედულებების შედარების გზით, ჩვენი აზრით, ზედმეტი შეიძლება

---

[1] იქვე, გვ. 3.
[2] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 4-6.

იყოს. მისი პოზიცია ს. კუნისკისთან დავაში სუეს მოხსენების და პროექტის ირგვლივ, ვფიქრობთ, მკაფიოდაა გამოხატული. ამიტომ ტექსტის ზედმეტი გადატვირთვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ცოტათი აძნელებს მკითხველისათვის მთავარი სათქმელის აღქმას.[1]

ალ. ნამორაძის ნაშრომის მეორე მონაკვეთი მიზნად ისახავს სუეს მოხსენების განხილვას და ანალიზს. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ სუეს მოხსენება და პროექტი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ის გაგვაცნობს იმ ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონვენტის კომიტეტში სათემო მიწების განაწილების გარშემო.[2] სუეს მიხედვით, სათემო მიწები ნამდვილი საჩუქარია, რომლებიც დაუტოვებიათ წინაპრებს თემისათვის. ამიტომ იგი სასტიკად ეწინააღმდეგება სათემო მიწების ლიკვიდაციას. სუე მოითხოვს სათემო მიწების გაყოფას, რომლითაც სარგებლობის უფლებას დესპოტიზმი დიდი ხნის განმავლობაში უსპობდა ღარიბ-ღატაკებს.

ალ. ნამორაძემ, ვფიქრობთ, დამაჯერებლად ცხადყო ის პრინციპული განსხვავება, რომელიც სუესა და ფაბრის შეხედულებებს შორის იყო. ერთ-ერთი პრინციპული საკითხი, რომელსაც სუე აყენებს თავის მოხსენებაში, არის სათემო მიწების განაწილება გლეხებს შორის. როგორ ხასიათს უნდა ატარებდეს იგი? დროებითი უნდა იყოს, თუ საბოლოო და სრული, ე. ი. მიეცეს თუ არა გლეხს მისი კუთვნილი ნილი სრული სამუდამო საკუთრებად. ამ საკითხებზე სუეს მსჯელობა პოლემისტური ტონით გამოირჩევა და მისი ისრები უმთავრესად მიმართულია სამიწათმოქმედო კომიტეტის, ფაბრის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ითვალისწინებდა სათემო მიწების გადაცემას გლეხებისათვის სრულ და საბოლოო საკუთრებად. სუე სულ სხვაგვარად ფიქრობს და შესაძლებლად მიაჩნია სათემო მიწების განაწილება იყოს დროებითი და პერიოდულად მოხდეს მისი ხელახალი გადანაწილება, წინასწარ დადგენილ ვადებში. სუეს ჩანაფიქრის

---

[1] იქვე, გვ. 7-10.
[2] იქვე, გვ. 14.

მიხედვით, საერთო მფლობელობისა და საერთო სარგებლობის პრინციპი უნდა შერწყმოდა კერძო მფლობელობისა და ინდივიდუალური სარგებლობის პრინციპს. ინტერესსმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ფრანგი გლეხი, რომელი სოციალური ფენიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი, სხვა მესამე პრინციპს ვერ წამოაყენებდა. ასე რომ სუეს მოთხოვნა გლეხობის ყველა ფენისათვის მისაღები იყო და ამიტომ ვერ გამოვიტანთ დასკვნას, რომ სუე მხოლოდ შეძლებული გლეხობის ინტერესებს გამოხატავდა.[1]

ალ. ნამორაძემ, ვფიქრობთ, კარგად დაინახა ის მოტივები, რომლის გამოც სუე ასე თავგამოდებით იცავდა ღარიბთა ინტერესებს. ალ. ნამორაძის თანახმად, სუეს ზრუნვა ღარიბ გლეხებზე უმთავრესად პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი, მას სურდა თავიდან აეცილებინა რევოლუციის შემდგომი გაღრმავება. აღსანიშნავია, რომ სუე კარგად გრძნობს, რომ რევოლუციის შემდგომი გაღრმავების მთავარ ინიციატორად, სწორედ ღარიბი გლეხობა შეიძლება მოგვევლინოს. (უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მას პოლიტიკური ალღო ნამდვილად არ ღალატობდა). სუე კარგად ხვდება, რომ თუ მათი ინტერესები დაკმაყოფილებული არ იქნა, ისინი იარაღს მოკიდებენ ხელს. სუეს მიხედვით, რევოლუციას ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ ამ მხრიდან ელის. ამიტომ საჭიროა გლეხობის რევოლუციის მხარეზე გადმოყვანა. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად მას სათემო მიწების გაყოფა ესახება. გლეხობის მატერიალურ მდგომარეობაზე დიდადაა დამოკიდებული რევოლუციის ბედი. სუეს მიაჩნია, რომ სათემო მიწების გაყოფით მიღწეული იქნება პოზიტიური შედეგები. ღარიბებს შესამჩნევად შეუმსუბუქდებათ მდგომარეობა. ეს კი, ფიქრობს სუე, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია. გლეხი, რომელიც მიიღებს მიწას თავდადებული იქნება სამშობლოსათვის და რაც მთავარია მთლიანად რევოლუციის მხარეზე დადგება. არის სხვა მნიშვნელოვანი მომენტებიც. უკეთეს პირობებში ჩაყენებული გლეხი, ბუნებრივია, მეტ დოვლათს შექმნის და რიცხობრივადაც მომრავლდება. ყველაფერი ეს კი სასარგებლო იქნება ფრანგი ხალხისათვის.

---

[1] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15-16.

სუე კერძო საკუთრების მოტრფიალეა.[1] ეჭვს გარეშეა, რომ სუე რევოლუციის შემდგომი გაღრმავების მოწინააღმდეგეა და იმისათვის, რომ ეს თავიდან აიცილოს მიზანშეწონილად მიაჩნია ღარიბ გლეხებზე ზრუნვა. ამიტომ, მისი კავშირი იაკობინთა პარტიის მემარცხენე ფრთასთან გამორიცხული უნდა იყოს. ვერ ვიტყვით, რომ იგი უანგაროდ ზრუნავდა ღარიბებზე, მაგრამ ობიექტურად, განსხვავებით თავისი სუბიექტური ჩანაფიქრისა დემოკრატიის წისქვილზე ასხამდა წყალს.[2]

აქტუალურია სუეს მოსაზრებები მთიან რაიონებში სათემო მიწების განაწილების შესახებ. ის გამოთქვამს იმედს, რომ კონვენტის დეპუტატები არ მოისურვებდნენ საძოვრების საბოლოოდ გაყოფას, რაც, მისი აზრით, აუნაზღაურებელ ზარალს მიაყენებდა მეჯოგეობას.[3]

სუე, მარენის მსგავსად, სასტიკად ილაშქრებს, ფაბრის პროექტის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც ათი წლის განმავლობაში ღარიბ გლეხს უფლება არ ჰქონდა გაეყიდა ან გაესხვისებინა რაიმე სახით თავისი წილი მიწის ნაკვეთი, სუე, მარენთან ერთად, ფიქრობს, რომ ეს გამოსავალი არ იყო და გაღატაკებისგან ვერ გადაარჩენდა ღარიბ გლეხს.[4]

ალ. ნამორაძის ნაშრომის მესამე მონაკვეთი მიზნად ისახავს სუეს პროექტის ანალიზს. იგი ოთხი მუხლისაგან შედგება: პირველ მუხლში სუე აღნიშნავს, რომ სათემო მიწების გაყოფა უნდა მოხდეს კომლობრივად და ამას უნდა ჰქონდეს დროებითი ხასიათი. მის ვადებს განსაზღვრავს სათემო ყრილობები. შემდგომში შეიძლება კვლავ მოხდეს გადანაწილებები ადგილმდებარეობის და მცხოვრებთა მატერიალური პირობების მიხედვით. ეს სუეს პროექტის მესამე მუხლია. მეორე მუხლში საუბარია იმის თაობაზე, თუ ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სათემო მიწების გაყოფაში. მეოთხე მუხლი ეხება მეტად მტკივნეულ საკითხს. რა ვუყოთ საძოვრებს და ისეთ მიწებს, რომლებიც დროგამოშვებით დას-

---

[1] იქვე, გვ. 20.
[2] ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 18, 22.
[3] იქვე, გვ. 26.
[4] იქვე, გვ. 29.

ვენებას საჭიროებს. სუეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს მიწები დარჩეს თემის სარგებლობაში.[1]

სუეს პროექტის თანახმად, თემებს თავისით უნდა გადაეწყვიტათ გაეყოთ სათემო მიწები, თუ კვლავ თემის საკუთრებაში დაეტოვებინათ. აღსანიშნავია, რომ სუეს ეს წინადადება, ბობოლა გლეხების გარდა, ყველასთვის მისაღები უნდა ყოფილიყო.[2] კიდევ ამიტომ ვერ ჩაითვლება სუე ბობოლა გლეხობის ინტერესების დარაჯად. „ნიშანდობლივია, რომ სუე თვითონაც კარგად გრძნობს თავისი მოთხოვნების რეტროგრადიულობას, მაგრამ იგი ამას აკეთებს საერთო მომენტიდან გამომდინარე და უპირატესობას ანმყოს ანიჭებს და არა მომავალს".[3]

დასკვნის შესახებ უნდა გავიმეოროთ ყველაფერი ის, რაც უკვე ითქვა მარენის მოხსენების განხილვის დროს. არ იწვევს რა არავითარ ეჭვს მისი მეცნიერული ღირებულება, რა თქმა უნდა უმჯობესი იქნებოდა მათი უფრო შეკრული სახით, კომპაქტურად, გადმოცემა. ეს მკითხველს, ცხადია, უფრო გაუადვილებდა დასკვნის აღქმას და გააზრებას.[4]

უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძემ თავისი სიტყვა თქვა სუეს მოხსენების და პროექტის ირგვლივ. რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი ნაშრომის მეცნიერული ღირებულება და ორიგინალობა. ს. კუნისკისგან განსხვავებით ის იმ დასკვნამდე მიდის, რომ სუე არის წვრილი ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენელი, რომელიც არსებული რეჟიმის სტაბილიზაციის მომხრეა. თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი იცავს რევოლუციის მონაპოვარს, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ძალების ხელყოფისაგან და სურს თავიდან აიცილოს სამოქალაქო ომის შემდგომი ესკალაცია. ჩვენი აზრით, საინტერესო და ანგარიშგასაწევი შეიძლება იყოს ალ. ნამორაძის ძალიან ფრთხილი ვარაუდი, რომ შესაძლოა სუე იყოს მემარჯვენე იაკობინელი, დანტონისტი".[5]

---

1 იქვე, გვ. 33-34.
2 იქვე, გვ. 38.
3 იქვე, გვ. 39.
4 ალ. ნამორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 40-43.
5 იქვე, გვ. 40. მინაწერი არის გაკეთებული ფანქრით.

არსებითად ამით მთავრდება იმ ექვსი ნაშრომის მიმოხილვა, რომელიც ალ. ნამორაძემ დაწერა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესახებ. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევაჯამოთ მისი დისკუსია ისტორიკოს ს. კუნისკისთან.

ეჭვს გარეშეა, რომ ალ. ნამორაძე გულდასმით გაეცნო ამ გამოკვლევას, მაგრამ, ეტყობა, არ მოეწონა, რაც იმით გამოიხატა, რომ ძირითადი დასკვნები საკამათოდ მიიჩნია და არ გაიზიარა, სავარაუდოა, რომ იგი სკეპტიკურად უყურებდა იმ მაღალ შეფასებას, რომელსაც ს. კუნისკის და ვ. პოზნიაკოვის წიგნს აძლევდა ახლად ფეხადგმული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ახალი ლიდერი აკად. ნ. ლუკინი.

ს. კუნისკისთან ალ. ნამორაძის პოლემიკა ატარებს პრინციპულ ხასიათს და ამ დისკუსიაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი ისტორიკოსი უფრო ახლოს მივიდა ჭეშმარიტებასთან. ს. კუნისკის მიერ მიღებული დასკვნები ცოტათი სწორხაზოვნად და ზედაპირულად მიგვაჩნია, ხოლო ალ. ნამორაძე, ჩვენი აზრით, შეეცადა უფრო მეტი სიღრმე მიეცა ამ პრობლემის კვლევისათვის და ხაზი გაესვა, რომ ისტორიული სინამდვილე იყო გაცილებით რთული და მრავალფეროვანი.

1. ს. კუნისკისთან ალ. ნამორაძის დისკუსია შეიძლება ითქვას, რომ იწყება პირველი პრინციპული საკითხით, რომელიც გლეხობის დიფერენციაციას შეეხება. ალ. ნამორაძეს საკმარისად არ მიაჩნია გლეხობის სამ კატეგორიად — მდიდარი, საშუალო და ღარიბი — დაყოფა, რომელსაც მხარს უჭერდა ს. კუნისკი და რომელიც საერთოდ მიღებული იყო მარქსისტულ ლიტერატურაში, ალ. ნამორაძეს მიზანშეწონილად მიაჩნია კვლევის კიდევ უფრო გაღრმავება და გლეხთა სხვადასხვა ქვეფენების გამოყოფა. ეს სერიოზულად წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

2. ალ. ნამორაძე ეკამათება ს. კუნისკის სათემო მიწების გაყოფისადმი, გლეხთა ცალკეული ფენების დამოკიდებულების საკითხში, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს იმ აზრთა სხვადასხვაობიდან, რომელიც მათ შორის სუფევს გლეხობის დიფერენციაციის საკითხში.

3. აღსანიშნავია, რომ ალ. ნამორაძე ს. კუნისკისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს და თითოეულ მომხსენებელს (აველინის, დანტონს, ფაბრს, მარენს და სუეს) სულ სხვადასხვა სოციალურ ნრეს მიაკუთვნებს. ეს ფაქტობრივად სრულიად ახალი სიტყვა იყო საკითხის ისტორიოგრაფიაში.

4. ალ. ნამორაძე ეკამათება ს. კუნისკის სათემო მიწების განაწილების საკითხში კონვენტის პოზიციის შეფასების საკითხში და გამოთქვამს თავის არგუმენტირებულ მოსაზრებას აღნიშნულ თემაზე.

5. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დისკუსია გაგრძელდებოდა 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობის და 1793 წლის 10 ივნისის დეკრეტის შეფასების დროს, თუმცა კონკრეტულად თუ რა საკითხებზე იქნებოდა დავა, ამის თქმა ძნელია, რადგან ამ პრობლემების შესახებ სპეციალური ნაშრომის დაწერა ალ. ნამორაძემ სამწუხაროდ ვერ მოასწრო. ასეთი ვარაუდი ემყარება იმ აზრთა სხვადასხვაობას, რომელიც ამ ორ ავტორს შორის არსებობს გლეხობის დიფერენციაციის საკითხში.

6. ჩვენი აზრით, ს. კუნისკის კონცეფცია გაცილებით პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებულია, ვიდრე ალ. ნამორაძის შრომები საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების შესახებ, რაც მის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

7. ალ. ნამორაძე წიგნის ავტორებთან პოლემიკაში არ შედის საკანონმდებლო და დამფუძნებელი კრების აგრარული პოლიტიკის შეფასების საკითხში. ვერ ვიტყვით, რომ მას ეს მონაკვეთი ძალიან მოეწონა, მაგრამ ამ საკითხზე კამათი ცილდებოდა წმინდა აკადემიურ ინტერესებს და იდეოლოგიის სფეროში გადადიოდა, რასაც ღვაწლმოსილი მეცნიერი, საფიქრებელია, მოერიდა. (აქ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია „იაკობინოცენტრისტული" იყო და დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების მოღვაწეობას გულგრილად უყურებდნენ).

ალ. ნამორაძის შრომების ციკლი, კონვენტის დამოკიდებულება სათემო მიწების განაწილებისადმი, დასრულებულად არ მიგვაჩ-

ნია. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ მას გადასადგმელი დარჩა კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი, ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ ამ ციკლის გასრულება ალ. ნამორაძეს განზრახული ჰქონდა 1793 წლის 10 ივნისის დეკრეტის განხილვით, როდესაც კონვენტმა საბოლოოდ გადაწყვიტა სათემო მიწების საკითხი, ამ დეკრეტის თანახმად კონვენტმა დაუბრუნა გლეხებს ფეოდალების მიერ მიტაცებული სათემო მიწები და დაადგინა მათი სულობრივი გაყოფა.[1]

დასასრულს გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ საინტერესო საკითხს. თუ კარგად ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ ალ. ნამორაძე დაკმაყოფილდა იმ ზოგადი სქემით, რომლის მიხედვითაც დამფუძნებელმა და საკანონმდებლო კრებამ თანმიმდევრულად ვერ გადაწყვიტა სათემო მიწების განაწილების საკითხი და მისი საბოლოო გადაჭრა მხოლოდ ეროვნულმა კონვენტმა შესძლო. აღსანიშნავია, რომ ეს თვალსაზრისი მაშინ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული და აღიარებული იყო.[2] რა თქმა უნდა, ალ. ნამორაძეს მშვენივრად ესმოდა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არსებული „იაკობოცენტრიზმის" პირობებში, ამ საკითხის შედარებით უფრო ობიექტურად წარმოჩენის უფლებას არავინ მისცემდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შეფასება გარკვეულ გადასინჯვას საჭიროებს. აქ, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ფეოდალიზმის რადიკალური რღვევის გაიდიალება დიდ სიფრთხილეს

---

[1] "Archives parlamentaires", serie 1, t. 66, p 222-229, t. 69, p. 98, Саньяк Ф., დასახ. ნაშრ., М., 1928; Лефевр Ж., Аграрный вопрос в эпоху террора (1792-1793), М-Л. 1936; Адо А., Крестьянское движение во франции... М. 1971; Петров Е., борьба за общинние земли и декрет конвента 10 июня 1793 г. - "Учсные записки Лгу", № 52 серия истории, вип. 6, 1940 г.

[2] Французская буржуазная революция 1789-1794, под. ред. Волгина В. и Тарле Э., М-Л., 1941, Манфред А., великая Французская буржуазная революция, М., 1956; История Франции, т. 2, М., 1973; ეს თვალსაზრისი დომინირებს მრავალრიცხოვან საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებშიც. "Новая история", ред. Юровская, М., 1972.

მოითხოვს, რადგან მას გააჩნდა თავისი პლიუსებიც და მინუსებიც.

პირველ რიგში საჭიროა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის საქმეში დამფუძნებელი, ან საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის დაკნინება ან უგულებელყოფა მართებული არ იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის სწორ გზას უკვე დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრება ადგა. პრობლემისადმი მათი მიდგომა სახელმწიფოებრივი იყო, მაგრამ მათ უბრალოდ ვერ მოასწრეს ამ საკითხის იურიდიული გაფორმება. ეს არცაა გასაკვირი. ეს იყო საკმაოდ მწვავე, აქტუალური, რთული თემა, რომლის გადაწყვეტა სულაც არ იყო ადვილი საქმე. ამიტომ ძნელია ვუსაყვედუროთ მას, რომ იგი ამ საკითხის გადაწყვეტას აჭიანურებდა. მორიგ სერიოზულ ნაბიჯს ამ საკითხის გადაწყვეტის გზაზე წარმოადგენდა 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობა, რომლის მიმართ პ. კროპოტკინის თავშეკავებული დამოკიდებულება საკამათო უნდა იყოს.[1] ვფიქრობთ, რომ 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობა ყველაზე კარგი საბუთი იყო იმისა, რომ საკანონმდებლო კრება ამ პრობლემის გადაწყვეტის საკითხში სწორ გზას ადგა, მაგრამ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების შემდეგ პოლიტიკურ ძალთა განლაგება საფრანგეთში მკვეთრად შეიცვალა. კონსტიტუციური მონარქია დაემხო და საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. ალბათ, საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია კიდევ დიდხანს იარსებებდა, რომ არა საგარეო პოლიტიკური გართულებები, 1792 წლის 20 აპრილს დაწყებული ომი ევროპასთან.

ის რაც დამფუძნებელმა კრებამ და საკანონმდებლო კრებამ ვერ გააკეთა სამ წელინადში (1789-1792) კონვენტმა გადაწყვიტა ექვს კვირაში. იაკობინები აგრარულ საკითხს მიუდგნენ ნმინდა პრაგმატულად და გადაჭრეს კონიუნქტურულად. მათ აგრარული საკითხის რადიკალური გზით გადაწყვეტით სურდათ რევოლუცი-

---

[1] საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება იგრძნობა პ. კროპოტკინის შრომებში, რომელსაც ბუნებრივია მარქსისტად ვერ მივიჩნევთ. Кропоткин П., დასახ. ნაშრ., М., 1979.

ის სამსახურში ჩაეყენებინათ გლეხობა. ამ კონკრეტულ მიზანს მათ მიაღწიეს, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მათი წარმატებები 1793 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე, მაგრამ ამ გზით აგრარული საკითხის გადაჭრის პერსპექტივა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. რა მისცა ფრანგ გლეხს აგრარული საკითხის რადიკალური გზით გადაწყვეტამ?

როგორც დამაჯერებლად ცხადყო ფრანგმა ისტორიკოსმა ჟორჟ ლეფევრმა თავის წიგნში „აგრარული საკითხი ტერორის დროს", მინების განაწილების საერთო ბალანსი სულაც არ აღმოჩნდა ღარიბი გლეხის სასარგებლოდ. ყველაზე უფრო კარგი, ნაყოფიერი მიწები ხელში ჩაიგდეს მემამულეებმა, შეძლებულმა გლეხობამ, სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზიამ. აგრარული საკითხის რადიკალური გზით გადაჭრის შედეგად ღარიბი გლეხის მიერ მიღებული მიწა იყო გაცილებით ცოტა. უმიწობის პრობლემა შემცირდა, თუმცა არ გამქრალა.[1] აგრარული საკითხის რადიკალური, დემოკრატიული გადაწყვეტა როდი განაპირობებდა მის უცილობელ პროგრესულობას. სწორედ ამ კუთხით შეხედა საკითხს გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟორჟ ლეფევრმა. იგი, ხაზს უსვამს, რომ „მართალია გლეხებმა მოსპეს ფეოდალური რეჟიმი, მაგრამ ამას თან მოყვა საფრანგეთის აგრარული განვითარების კონსერვატორული სტრუქტურის განმტკიცება, რომელმაც განაპირობა საფრანგეთის კაპიტალისტური ევოლუციის ნელი ტემპი.

უნდა დავეთანხმოთ, ა. ლიუბლინსკაიას, რომ „სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ფრანგული ვარიანტის შედარება ევროპულთან და ამერიკულ ვარიანტთან ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური პრობლემაა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ შესწავლას".[2] აღსანიშნავია, რომ ამ საკითხით ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში ინტერესდებოდა ნ. ფრეიბერგი, მაგრამ იგი 1935

---

[1] ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოლემიკა ა. ლიუბლინსკაიასა და ა. ადოს შორის. Люблинская А., Французские крестьяне XVI-XVIII вв. Л. 1978, გვ. 224-248.

[2] Люблинская А., დასახ. ნაშრ., გვ. 247.

წელს, სრულიად ახალგაზრდა 40 წლის ასაკში, უეცრად გარდაიცვალა და ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.[1]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის შესწავლის საქმეში ალ. ნამორაძის წვლილი, ვფიქრობთ, ამით არ ამოინურება. უთუოდ მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მან ამ რთული და საინტერესო თემისადმი ინტერესი გაუღვიძა თავის მონაფეებს, რომლებმაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაწერეს რამდენიმე საინტერესო ნაშრომი საფრანგეთის პირველი რევოლუციის აგრარული საკითხის შესახებ.[2]

* * *

ამ თემაზე საუბარი ამით შეიძლებოდა დაგვესრულებინა, რომ არა ერთი გარემოება. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ს. ძიმისტარიშვილის წიგნი „საფრანგეთის დიდი რევოლუცია", რომელიც გამოვიდა 1931 წელს. ეს არის პოპულარული ხასიათის ნაშრომი, რომლის ღირებულებას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს მისი შემეცნებითი დანიშნულება. იმ პოლიტიკურ ვითარებაში ამ მოკრძალებულ მისიას ს. ძიმისტარიშვილმა ურიგოდ როდი გაართვა თავი.[3]

---

[1] Гавриличев В., из истории изучения в СССР великой французской рсволюции. Наталия Павловна Фрейбург - в кн: Европа в новой и новсишея время, М., 1966 г., გვ. 173-174.

[2] გ. კიღურაძე, საგლეხო მინათმფლობელობა საფრანგეთში 1789 ნ. რევოლუციის წინ — ხელმძღვანელი პროფ. ალ. ნამორაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია (24-27 აპრილი), მუშაობის გეგმა და მოხსენების თეზისები, თბ., 1946, გვ. 11-13. რ. სიკინჭალაშვილი, საგლეხო მინათმოქმედება საფრანგეთში 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ და „რუსული სკოლა" — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა შრომები, კრებული, ნიგნი 1, თბ., 1950; მ. ეფრემიძე, სენიორალური გადასახადის მოსპობის საკითხი საფრანგეთში და 1790 წლის მარტის დეკრეტები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა შრომების კრებული, ნიგნი 1, თბ. 1950.

[3] გ. კიღურაძე, ახალი ისტორია, ნან. 1, თბ., 1970, გვ. 365; მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში — „საქართველოს კომუნისტი" 7, 1989, გვ. 91.

ბუნებრივია, როდესაც ს. ძიმისტარიშვილი პოპულარულ ენაზე გადმოგვცემს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიას, გაკვრით ეხება აგრარულ კანონმდებლობას. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნებოდა ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, შევჩერდეთ ამ თემაზე.

პირველ ყოვლისა, ავტორი განიხილავს საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობას რევოლუციის წინ. ეხება გლეხთა მდგომარეობას, გლეხთა გადასახადებს. ხაზს უსვამს საფრანგეთის აგრარული განვითარებისათვის ნიშანდობლივ შტრიხს. მართალია, ფრანგი გლეხი პირადად თავისუფალია, მაგრამ მიწა არ აქვს. მიწა დაბეგრილია სენიორალური გადასახადებით. „არ არსებობს მიწა უსენიოროდ". გლეხი მიწით სარგებლობისათვის იხდის სხვადასხვა გადასახადებს. განიხილავს ამ გადასახადებს.

ნაშრომში ყურადღებას იპყრობს ერთი მონაკვეთი „მუშათა და გლეხთა საკითხი დამფუძნებელ კრებაში". რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ის ეხება 1789 წლის აგვისტოს. დეკრეტებს, შემდეგ კი განიხილავს 1790 წლის 15 მარტის და 3 მაისის დეკრეტს.[1] დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობის შეფასების დროს ავტორის მკაცრი ტონი ადვილი გასაგები იყო და სავსებით შეესატყვისებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის განწყობილებას.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ს. ძიმისტარიშვილი კრინტს არ ძრავს იაკობინთა აგრარულ პოლიტიკაზე, მათ აგრარულ კანონმდებლობაზე, 1793 წლის ივნისის და ივლისის დეკრეტებზე, რაც, აღნიშნულ საკითხზე, მისი მსჯელობის „აქილევსის ქუსლად" მიგვაჩნია.[2] ამიტომ წიგნში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის განხილვა ფრაგმენტალურ ხასიათს ატარებს და აღნიშნული პრობლემის შესახებ სრულყოფილ სურათს ვერ გვიქმნის.

---

[1] ს. ძიმისტარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 30-31.
[2] იქვე, გვ. 55.

კარი III

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა ალ. ნამორაძის მოწაფეების მიერ

შესავალი

ალექსანდრე ნამორაძის მოწაფეებმა ღირსეულად გააგრძელეს წინამორბედების მიერ დაწყებული საქმე. მათი გატაცება საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობით შემთხვევითი არ ყოფილა და უპირველეს ყოვლისა, ალ. ნამორაძის კეთილისმყოფელი გავლენით აიხსნება. ახალგაზრდა ისტორიკოსთა ამ შრომების მეცნიერ-ხელმძღვანელი, სწორედ, ალ. ნამორაძე იყო.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს შემდეგი შრომები: გივი კიღურაძის მოხსენება 1789 წლის რევოლუციის წინ საგლეხო მიწათმფლობელობა, რომელიც წაკითხულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა 1946 წლის სამეცნიერო კონფერენციაზე. (დაიბეჭდა მუშაობის გეგმა და მოხსენების თეზისები.) 1950 წელს ასპირანტთა სამეცნიერო ნაშრომების კრებულში, წიგნი 1, გამოქვეყნდა ალ. ნამორაძის მოწაფეების რ. სიკინჭალაშვილის და მ. მურადოვის (ეფრემიძის) ორი საინტერესო სტატია: პირველის კალამს ეკუთვნის „საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ და „რუსული სკოლა“, ხოლო მეორემ დაწერა სტატია „სენიორული გადასახადების მოსპობის საკითხი საფრანგეთში და 1790 წლის მარტის დეკრეტი“. და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ 1954 წელს ალ. ნამორაძის მოწაფემ მირიან მურადოვმა (ეფრემიძემ) წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „საფრანგეთის დამფუძნე-

ბელი კრების აგრარული კანონმდებლობა 1789-1791 წლებში", რაც ასპირანტებთან ამ მიმართულებით ალ. ნამორაძის მიერ გაწეული შრომის ლოგიკური დაგვირგვინება იყო.

I თავი

გივი კიღურაძის მოხსენება 1789 წლის რევოლუციის წინ საგლეხო მიწათმფლობელობაზე

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ საკითხზე ალ. ნამორაძის ასპირანტების მიერ გაწეული შრომის მიმოხილვა მიზანშეწონილი იქნებოდა დავიწყოთ გივი კიღურაძის მოხსენებით, რომელიც წმინდა ქრონოლოგიური თვალსაზრისით წინ უსწრებს ყველას, პირველია და გამოქვეყნებულ იქნა 1946 წელს.

უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდა ისტორიკოსის და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ხელი მოკიდეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აქტუალურ თემას საგლეხო მიწათმფლობელობას საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ. თემა არის რთული და მრავალნახნაგოვანი. ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პრობლემის ირგვლივ გამოთქმულია არა მხოლოდ განსხვავებული, არამედ მრავალი, დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრება. ამიტომ ამ რთული პრობლემით დამწყები მკვლევარის დაინტერესება, უდავოდ, მისასალმებელი უნდა იყოს.

საფიქრებელია, რომ ალ. ნამორაძემ თავის ასპირანტებს დაავალა დაეწერათ რეფერატები საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ პრობლემაზე და შეურჩია კიდეც კონკრეტული თემები. ალ. ნამორაძის ეს ნაბიჯი ადვილი გასაგებია. ის ძალიან კარგად იცნობდა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობას. მას სურდა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო ისინი, როგორც მომავალი ლექტორები, თუ როგორ გაართმევდნენ თავს

ამ ამოცანას და როგორ შეძლებდნენ სტუდენტებისათვის, პოპულარულ ენაზე, რთული, სადაო მეცნიერული პრობლემატიკის გადაცემას.

გ. კიღურაძემ თავის მოხსენებაში გამოავლინა დიდი შრომისუნარიანობა და მეცნიერული კვლევის უნარი. საკითხის საფუძვლიანი ცოდნა. აი როგორ შეაფასა ასპირანტ გივი კიღურაძის ამ ნაშრომის მნიშვნელობა მისმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა პროფ. ალექსანდრე ნამორაძემ. „მოხსენება შინაარსიანი იყო. მასში ჩანდა, რომ ასპირანტი გივი კიღურაძე კარგად იცნობს საგნის სპეციალურ მონოგრაფიულ ლიტერატურას. ნათლად აქვს გათვალისწინებული თუ როგორ დგას აღნიშნული საკითხი არსებულ საისტორიო ლიტერატურაში".[1] პრაქტიკულად ეს იყო გივი კიღურაძის დებიუტი მეცნიერებაში და უნდა ითქვას, რომ მან ეს პირველი ბარიერი წარმატებით დაძლია, რაც ახალბედა, დამწყები მკვლევარის სერიოზული მიღწევა იყო.

გივი კიღურაძის მოხსენება პირობით ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: საკითხის წინარე ისტორია, ანუ ისტორიული ფონი და საკუთრივ საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ.

თავდაპირველად ის ეხება საფრანგეთის აგრარულ ყოფას. ცდილობს გაერკვეს საფრანგეთის აგრარული განვითარებისათვის ნიშანდობლივ თავისებურებებში. საფრანგეთის აგრარული განვითარების თავისებურებების არსი იმაში მდგომარეობდა, მართალია ფრანგი გლეხი იურიდიულად თავისუფალი იყო, ეკონომიკურად ის დამოუკიდებელი არაა. ფრანგმა ისტორიკოსმა მარკ ბლოკმა დამაჯერებლად ცხადყო საფრანგეთის აგრარული განვითარების ძირითადი მახასიათებელი ტენდენციები. ბატონყმობა კი გაუქმდა, გლეხი განთავისუფლდა, მაგრამ დარჩა მიწაზე სენიორის უფლებები.[2] აი ეს საკითხი უნდა გადაეწყვიტა რევოლუციას. „აბსოლუ-

---

[1] კ. ანთაძე, გივი კიღურაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1983, გვ. 21-22. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 723, ფ. 7-8. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კიღურაძე, უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, ტ. 359, თბ., 2005.

[2] Блок И., Характерные четры Французской аграрной истории, М., 1957.

ტიზმის განვითარების შედეგად სენიორებმა დაკარგეს პოლიტიკური უფლებები, მაგრამ დარჩათ სოციალური პრივილეგიები და რაც მთავარია, უფლება მინაზე. სენიორის უფლებაში მყოფი მინით სარგებლობისათვის გლეხი იხდიდა მრავალი სახის და მეტად მძიმე გადასახადს, რაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო გლეხობის აუტანელი ცხოვრებისა და მათი უკმაყოფილების",[1] — დასძენს გივი კიღურაძე.

მოკლედ არის განხილული საფრანგეთში რევოლუციის წინ არსებული მინათმფლობელობის ფორმები.[2]

გ. კიღურაძის მოხსენების მეორე მონაკვეთი მისი გამოსვლის ყველაზე უფრო წონიან ნაწილს წარმოადგენს და მთლიანად ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. იგი ამ საკითხში ღრმა ჩახედულებას ამჟღავნებს, რაც მისი მსჯელობის ერთ-ერთი დიდი ღირსებაა. იგი მიუთითებს, რომ „რევოლუციამდელი საფრანგეთის საგლეხო მინათმფლობელობის საკითხი ისტორიაში დღევანდლამდე გადაუჭრელია. არსებობს ორი, ურთიერთ დიამეტრულად მოწინააღმდეგე აზრი. ერთი ჯგუფი ისტორიკოსებისა ამტკიცებს, რომ რევოლუციის წინ მიწის უმეტესი ნაწილი გლეხობას ეკუთვნოდა, წვრილი გლეხური მინათმფლობელობის სახით. ისტორიკოსთა მეორე მოპირდაპირე ჯგუფის მიხედვით მიწების უმრავლესობა ეკლესიის, თავადაზნაურობის და ტახტის ხელთ იყო".[3] აქ, ცხადია, გ. კიღურაძეს მხედველობაში აქვს ის მწვავე დისკუსია, რომელსაც ადგილი ჰქონდა „რუსული სკოლის" კორიფეებს, პირველ რიგში კი, ივანე ლუჩიცკის და მაქსიმ კოვალევსკის შორის.

ამ თემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც გ. კიღურაძე ეხება, არის დავა „ცენზიტარი" გლეხის გარშემო.

გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ი. ლუჩიცკი ცენზიტარ გლეხს მესაკუთრედ მიიჩნევდა, ხოლო მეორე სახელმოხვეჭილი რუსი

---

[1] გ. კიღურაძე, საგლეხო მინათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა 1946 წლის სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1946, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 12.

[3] გ. კიღურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

ისტორიკოსი მ. კოვალევსკი ამტკიცებდა, რომ ცენზიტარი გლეხი არ ყოფილა მინის საკუთრებაში მფლობელი. გ. კიღურაძე ხაზს უსვამს, რომ ამ დავას საფუძვლად ედო „საკუთრების" გაგება. ერთის მხრივ ლაპარაკია „საკუთრებაზე" ზოგადად, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცნებაზე, ხოლო მეორეს მხრივ საქმე ეხება კონკრეტულად ფრანგული მინათმფლობელობის ხასიათს. მთავარია, რომელი პოსტულატიდან გამოვალთ. „თუ მინას, რომელიც უჭირავს გლეხს, სენიორისადმი მთელი რიგი ვალდებულებების გაღების პირობით მივიჩნევთ საკუთრებად, მაშინ ლუჩიცკის და მისი მიმდევრების თვალსაზრისზე დავდგებით, ხოლო თუ ასეთ მფლობელობას მინისას ვერ ვუწოდებთ „საკუთრებას", მაშინ კოვალევსკის უნდა დავეთანხმოთ".[1] მაინც რომელი თვალსაზრისია ჭეშმარიტებასთან უფრო ახლო? რა თქმა უნდა, ამის გარკვევა ადვილი საქმე არაა. „საკითხი რევოლუციამდელი გლეხური მინათმფლობელობის შესახებ თავისი ბუნებით ისეთია, რომ სუბიექტურ მიდგომას დიდი გასაქანი ეძლევა. პროფ. ლუჩიცკის მოსაზრება უფრო მყარი და საფუძვლიანია, თუმცა აღნიშნული პრობლემის გადაჭრა მომავალს ეკუთვნის"[2] — დაასკვნის გივი კიღურაძე.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორს, რომელიც მეტად ფრთხილად, მაგრამ მაინც ივ. ლუჩიცკის თეზისისაკენ უფრო იხრება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ აღნიშნულ პრობლემაზე დავა დასრულებულია. კამათი მომავალშიც გაგრძელდება. თანამედროვე ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა".

გ. კიღურაძე ხაზს უსვამს ფრანგი გლეხის შეჭირვებულ ყოფას რევოლუციის წინ. ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ ამ დებულების გავრცელება მთელ გლეხობაზე, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. საფრანგეთის რევოლუციის კომპეტენტური მკვლევარი პეტრე კროპოტკინი აღნიშნავდა, რომ „სინამდვილეში

---

[1] გ. კიღურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12.
[2] იქვე, გვ. 13.

სოფელში შეინიშნება ორგვარი მოვლენა. გლეხთა მასების გაღატაკება და ზოგიერთი გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება".[1]

ჩვენი აზრით, ნაშრომში მოკლედ უნდა ყოფილიყო ნახსენები ცნობილი რუსი ისტორიკოსის ნიკოლოზ კარეევის თვალსაზრისი აღნიშნულ თემაზე. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში მას მეტად საინტერესო პოზიცია ეკავა. ეტყობა, ეს საკითხი მხედველობიდან გამორჩა მის მეცნიერ-ხელმძღვანელს პროფ. ალექსანდრე ნამორაძეს.

ვფიქრობ, კიდევ უფრო ხაზგასმით უნდა ყოფილიყო აღნიშნული ამ სფეროში გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის გრაფ ალექსის დე ტოკვილის წვლილი. ვინაიდან, სწორედ, ტოკვილი იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც წამოჭრა და სცადა გადაეჭრა გლეხური მიწათმფლობელობის საკითხი საფრანგეთში დიდი რევოლუციის წინ.[2] ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა გივი კილურაძის საინტერესო მოხსენებას. მით უმეტეს, რომ ნ. კარეევი უფრო მ. კოვალევსკის თვალსაზრისისკენ იხრება, ხოლო ი. ლუჩიცკის ა. ტოკვილის სახით სერიოზული წინამორბედი ყავდა. აქ. ალ. ნამორაძემ დიდი ნდობა აღმოუჩინა თავის მოწაფეს, როდესაც მისცა ეს თემა. მოწაფემ სავსებით გაამართლა ეს ნდობა და დაწერა საინტერესო ნაშრომი.

დასკვნის სახით, გივი კილურაძემ თავის მოხსენებაში გამოამჟღავნა დიდი მეცნიერული პოტენციალი და სცადა გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება ამ აქტუალური საკითხისადმი, რაც ახალგაზრდა დამწყები მკვლევარის სერიოზულ წარმატებად მიგვაჩნია.

---

[1] Кропоткин П., Великая Французская революция 1789-1793 гг., М., 1979, გვ. 18.

[2] Токвиль А., Старый порядок и революция, СПБ, 1861.

* * *

აღნიშნული საკითხის განხილვა ამით შეიძლებოდა დაგვემთავრებინა, რომ არა ერთი გარემოება. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობაზე გაკვრით ჩერდება პროფ. გივი კილურაძე თავის წიგნში „საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან" (არმიის პრობლემა), რომელიც გამოვიდა 1963 წელს და მისი სადოქტორო დისერტაციის უმნიშვნელოვანეს ფრაგმენტს წარმოადგენდა.

იგი საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული პრობლემის განხილვის დროს ამჟღავნებს წყაროების და საკვლევი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას. იყენებს მეტად მდიდარ ლიტერატურას რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ყველაფერი ეს ამ თემაზე მის მსჯელობას სოლიდურ მეცნიერულ სახეს აძლევს. ნაშრომში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია და უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა ამის ლოგიკური შედეგია. ბუნებრივია, რომ ამ პრობლემის განხილვას მარქსისტულ სქემაზე აგებს და ამით ფაქტობრივად ხარკს უხდის გაბატონებულ მარქსისტულ იდეოლოგიას. მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნება მისი შედარებით სკეპტიკური დამოკიდებულება დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარული კანონმდებლობისადმი და კეთილგანწყობილება იაკობინთა აგრარული პოლიტიკისადმი.[1]

გ. კილურაძემ დამაჯერებლად ცხადყო, რომ საფრანგეთის რევოლუციური არმიის, „სასნაულებრივი გამარჯვებები" დიდად იყო გამოწვეული იაკობინთა აგრარული ღონისძიებებით. ფრანგმა გლეხმა მიიღო მიწა და იგი აქტიურად ჩადგა მამულისა და სამშობლოს ერთგულ დამცველთა რიგებში. ის იცავდა მამულს, მშობლიურ ტერიტორიას და რევოლუციის სოციალურ მონაპოვარს. აგრარული საკითხის რევოლუციური გადაწყვეტა პანაცეა როდია. ეს არ ნიშნავს მის უცილობელ პროგრესულობას. თემა არის რთუ-

[1] გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (არმიის პრობლემა), თბ., 1963, გვ. 285-294.

ლი და აქტუალური, რომელიც საბჭოთა ბელადების მიერ სნორხ-აზოვნად, მარტივად, იქნა გაგებული.

სასურველად მიგვაჩნია, რომ გ. კიღურაძის ნიგნში მოხსენიებული ყოფილიყო საფრანგეთის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლის საქმეში ქართველი ისტორიკოსების შრომები, მით უმეტეს, რომ ამ სფეროში მათ გარკვეული წვლილი მიუძღვით.

აქ ყურადღებას მივაქცევდით ორ გარემოებას. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ასპირანტ გივი კიღურაძესთან, რომელსაც თემას აძლევს ხელმძღვანელი. მეორე შემთხვევაში კი ჩვენს წინაშეა დოქტორანტი გივი კიღურაძე, რომელიც თვითონ განიხილავს თემას მისთვის სასურველ რაკურსში, არმიასთან დაკავშირებით. თუ პირველ შემთხვევაში ახალგაზრდა მკვლევარი ეცნობოდა, უღრმავდებოდა საკითხს და ავლენდა დიდ მეცნიერულ პოტენციალს, მეორე შემთხვევაში ის გვევლინება სერიოზულ მკვლევრად, რომელიც ამჟღავნებს დიდ ერუდიციას, წყაროების და ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას, იძლევა მათ ღრმა ანალიზს. აქ მისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი სრულად იქნა რეალიზებული, თუმცა, რა თქმა უნდა, იძულებულია ანგარიში გაუწიოს გაბატონებულ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას.

II თავი

რემი სიკინჭალაშვილის ნაშრომი საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობაზე

გივი კიღურაძის მოხსენების თეზისების განხილვის შემდეგ მიზანშეწონილია საუბარი გავაგრძელოთ რემი სიკინჭალაშვილის სტატიაზე „საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ და „რუსული სკოლა". ასეთი გადაწყვეტილება, ცხადია, შემთხვევითი არაა და უპირატესად იმითაა გამოწვეული, რომ ეს სტატია თემატურად მეტად ახლოა გივი კიღურაძის მოხსენებასთან.

გივი კიღურაძე განიხილავს საგლეხო მიწათმფლობელობას საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ და, რა თქმა უნდა, მოკლედ ჩერდება საკითხის ისტორიოგრაფიაზე, მათ შორის „რუსული სკოლის" წვლილზე ამ პრობლემის გაშუქების საქმეში. რემი სიკინჭალაშვილის სტატია წმინდა ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და სპეციალურად ეძღვნება „რუსულ სკოლას". კონკრეტულად კი „რუსული სკოლის" კორიფეების შეხედულებებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ საგლეხო მიწათმფლობელობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მეცნიერ-ხელმძღვანელმა ალ. ნამორაძემ თავის ასპირანტებს მაინც სხვადასხვა ამოცანები დაუსახა. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გივი კიღურაძის მიდგომა საკითხისადმი იყო ფართო და მას ზოგადად უნდა წარმოეჩინა ეს პრობლემა. რ. სიკინჭალაშვილის წინაშე იდგა კონკრეტული ამოცანა, გამოერკვია „რუსული სკოლის" დამოკიდებულება საფრანგეთის რევოლუციის წინ საგლეხო მიწათმფლობელობისადმი. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს პირველი მიდგომა უფრო ადვილია, მაგრამ რეალურად, საკითხის რთული ბუნებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ეს ასე არაა და არც ერთი ამოცანა იოლი გზით სიარულის საშუალებას არ იძლევა. მით უფრო, ისეთი ხელმძღვანელის ხელში, როგორიც ალ. ნამორაძე იყო.

რ. სიკინჭალაშვილის ეს ნაშრომი კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის მდიდარ მეცნიერულ პოტენციალს. ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მისი შესაძლებლობები, ნიჭი, პრაქტიკულად ნაკლებად იქნა რეალიზებული. მას არც საკანდიდატო და არც სადოქტორო დისერტაცია არ დაუცავს, რისი გაკეთებაც ისეთი მონაცემების მეცნიერს, როგორიც ბ-ნ რემი ბრძანდებოდა, სავსებით ხელეწიფებოდა. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. გარდა ამ სტატიისა, რ. სიკინჭალაშვილს დანერილი აქვს საინტერესო ნაშრომი ფრანსუა ნოელ ბაბეფზე, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან ცოტა მოძველებული შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ სავსებით შეესატყვისებოდა იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. ბაბეფზე ეს ნაშრომი იყო პროფ. ალ. ნამორაძის მიერ ასპირანტისათვის შერჩეული საკანდიდატო დისერტაციის ერთი მონაკვეთი, რომელიც მას, სამწუხაროდ, არ დაუცავს.

* * *

რ. სიკინჭალაშვილის საინტერესო ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში დამაჯერებლად არის ნაჩვენები „რუსული სკოლის" დამსახურების დიდი აღიარება ფრანგულ ისტორიოგრაფიაში. რევოლუციამდელი საფრანგეთის სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის საქმეში „რუსულ სკოლას" დიდ ავტორიტეტად მიიჩნევდნენ ისეთი გამოჩენილი ფრანგი მკვლევარები, როგორებიც იყვნენ ალფონს ოლარი, ფილიპ სანიაკი, ანრი სე. მეორე ნაწილში განხილულია საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ გლეხთა მიწათმფლობელობის საკითხი, ხოლო მესამე ნაწილში საუბარია „რუსული სკოლის" მიერ აღნიშნული პრობლემის გაშუქებაზე.

ნაშრომის არქიტექტონიკის, სტრუქტურის, შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. აქ, რა

---

[1] რ. სიკინჭალაშვილი, გრაკხუს ბაბეფის რევოლუციური შეხედულებების შესახებ „უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები", ტ. 11-12. თბ., 1972.

თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმას, რომ ნაშრომი ძალიან ბევრს მოიგებდა თუ პირველი და მეორე ნაწილი ოდნავ შემცირდებოდა, ხოლო ძირითადი მესამე ნანილი შესაბამისად გაფართოვდებოდა. უხერხულად მიგვაჩნია, რომ მთავარ თემას და ისტორიულ ფონს თანაბარი ადგილი აქვს დათმობილი.

ავტორი თავის ამოცანას ასე აყალიბებს. „წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმ შეხედულებათა კონსტანტირება, რომელიც შეიმუშავა „რუსულმა ისტორიულმა სკოლამ" საგლეხო მინათმფლობელობის შესახებ, საფრანგეთში 1789 ნლის რევოლუციის წინ".[1]

მართალია ავტორი მოკრძალებულად აცხადებს, რომ მისი მთავარი ამოცანაა იმ შეხედულებების კონსტატირება, რომელსაც ავითარებდნენ „რუსული სკოლის" ისტორიკოსები, მაგრამ ამ თემაზე მისი მსჯელობა სცილდება ამ ფარგლებს და არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ის ცდილობს შეაფასოს, გააანალიზოს, „რუსული სკოლის" ისტორიკოსთა ნვლილი.

საფიქრებელია, რომ ეს იყო რეფერატი, რომლის დამუშავება ალ. ნამორაძემ დაავალა თავის ასპირანტს, რომელმაც ამ ამოცანას, ეტყობა, ურიგოდ არ გაართვა თავი, რომელიც შემდეგში გაფართოვდა, სამეცნიერო სახე მიიღო და დაიბეჭდა ასპირანტთა სამეცნიერო შრომებში.

უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ქართველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს „რუსული სკოლის" დამსახურებას. „რუსულმა სკოლამ" ახლებურად დააყენა და ორიგინალურად გადაწყვიტა, შემდგომი მნიშვნელოვანი პრობლემები: 1. საგლეხო საკუთრების და მიწის განაწილების პრობლემა რევოლუციის წინ. 2. გლეხობის უფლებრივი მდგომარეობა. 3. გლეხობის დიფერენციაცია. 4. „სენიორული რეჟიმი" და ე. წ. „ფეოდალური რეაქციის" საკითხი. ჩვენი მიზანია მხოლოდ პირველი პრობლემის განხილვა. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა დავინყებთ აქედან, ფაქტიურად თუ რა სახით გვევლინება იგი რევოლუციამდელ საფრანგეთში".[2]

---

[1] რ. სიკინჭალაშვილი, საგლეხო მინათმფლობელობა საფრანგეთში 1789 ნლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ და „რუსული სკოლა" — ასპირანტთა სამეცნიერო შრომები. წიგნი 1, თბ., 1950, გვ. 136.

[2] იქვე, გვ. 140.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ავტორი იყენებს ტერმინს „ფეოდალური რეაქცია“, უფრო უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ტერმინი „სენიორული რეაქცია“, რომელიც ემე შერეს წიგნის გამოსვლის შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდა ფრანგულ ისტორიოგრაფიაში?[1]

მეორე ნაწილში რ. სიკინჭალაშვილი განიხილავს აქტუალურ თემას საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ საგლეხო მიწათმფლობელობის საკითხს. პრაქტიკულად ეს ის პრობლემაა, რომელიც წამოჭრა გივი კიღურაძემ თავის მოხსენებაში. ამიტომ ყოველივე ამის შემდეგ ამ საკითხზე ასე დეტალურად შეჩერება რამდენად იყო გამართლებული და ღია კარის მტვრევა ხომ არ იქნებოდა? ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იყო ეს თემა განხილულიყო ძალზე ლაკონურად, მოკლედ, ძირითადი დებულებების სახით და აქ საკმარისი იქნებოდა გ. კიღურაძის მოხსენების დამონმება. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ თემაზე მათ შორის პრინციპული ხასიათის არავითარი განსხვავება არაა. ეს არცაა გასაკვირი და მას ორგვარი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ჯერ ერთი, ორივეს მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო პროფ. ალ. ნამორაძე და მეორეც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არსებობდა ერთი გაბატონებული, მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლია.

რ. სიკინჭალაშვილი კარგად გაერკვა საფრანგეთის აგრარული განვითარების მახასიათებელ ნიშან-თვისებებში, საგლეხო მიწათმფლობელობის ფორმებში, გლეხთა გადასახადებში რევოლუციის წინ.

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ რ. სიკინჭალაშვილის ნაშრომში ფრანგი გლეხის ყოფა რევოლუციის წინ ცოტა სწორხაზოვნადაა დანახული. რევოლუციამდე გლეხობის ერთი ნაწილის მდგომარეობა მართლაც გაუარესდა, რაც იმით იყო გამონვეული, რომ XVIII საუკუნის შუა ხანებიდან ფეოდალური ვალდებულებები შესამჩნევად გაიზარდა. ამიტომ, საფრანგეთის რევოლუციის წინ სენიორული რეჟიმის შემსუბუქებაზე საუბარი, როგორც ამას ტოკვილი და ლუჩიცკი ფიქრობდნენ, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. საკითხი არის რთული. რევოლუციის წინ ფრანგი გლეხის მცირე ნაწილის მდგომარეობა გაუმჯობესდა და ამას ან-

[1] Шерэ Э., Падение старого режима (1787-1789 гг), т. 1-2, СПБ, 1907-08 г.

გარიში უნდა გაეწიოს. საბჭოთა ისტორიოგრაფიას ძალიან უყვარდა სხვა ქვეყნის მშრომელების გაჭირვებაზე ლაპარაკი, თითქოს ამ მხრივ საბჭოთა კავშირში ყველაფერი წესრიგში იყო და არ არსებობდა გულაგი და ტერორი. სწორედ ამაზეა ნათქვამი „სხვის თვალში ბეწვს ეძებენ და საკუთარში კი დირეს ვერ ხედავენო".

რ. სიკინჭალაშვილის ნაშრომში ხშირადაა ნახსენები ფეოდალურ-აბსოლუტისტური მონარქია და აღნიშნულია თითქოს აბსოლუტიზმი თავისი არსით, ბუნებით, ფეოდალური სახელმწიფო ორგანიზაცია იყო.[1] საბჭოთა ისტორიოგრაფია რევოლუციამდელ საფრანგეთს განიხილავდა, როგორც „ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სახელმწიფოს".[2] ასეთი განსაზღვრება აშკარად რეტროგრადულად გამოიყურებოდა და იმდროინდელი ფრანგული ისტორიოგრაფიის მიღწევების ფონზე მკვეთრ დისონანს ჰქმნიდა. უფრო მისაღები ჩანს, შედარებით ელასტიური ტერმინი „ძველი რეჟიმი". ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა გაცილებით ადეკვატურ წარმოდგენას გვიქმნის რევოლუციამდელი საფრანგეთის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ყოფაზე.[3]

რამდენად მართლზომიერი იქნება აბსოლუტური მონარქია აღვიქვათ, როგორც „ფეოდალური სახელმწიფო ორგანიზაცია". ასეთი კლასობრივი მიდგომა დამახასიათებელია საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის და აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. აბსოლუტიზმი ახალი დროის ნაყოფია და ნიშანდობლივია გარდამავალი ეპოქისათვის, როდესაც სახელმწიფო ცდილობს დაიცვას წონასწორობა არისტოკრატიასა და თავისუფალ მეწარმეებს შორის.[4]

---

[1] რ. სიკინჭალაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

[2] Манфред А., Великая французская буржуазная революция, М., 1956, გვ. 8.

[3] კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.

[4] Ардашев П., Абсолютная монархия на Западе, СПБ, 1902, Кареев Н., Западноевропейская абсолютная монархия XVI, XVII, XVIII веков, СПБ, 1908, Савини А., Век Людовика XIV, М., 1930, Копосов Н., Абсолютная монархия во франции – "Вопросы истории", 1989, № 1.

რ. სიკინჭალაშვილის ნაშრომის მესამე მონაკვეთი წმინდა ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და ყველაზე საინტერესო ჩანს. აქ ავტორი კონკრეტულად არჩევს რევოლუციამდელ საფრანგეთში საგლეხო მიწათმფლობელობის საკითხზე „რუსული სკოლის" ისტორიკოსების შეხედულებებს. თემა არის რთული და აქტუალური. მით უმეტეს, რომ ეს საკითხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჯეროვნად დამუშავებული.

ალ. ნამორაძემ, ცხადია, დიდი ნდობა გამოუცხადა თავის ასპირანტს, როდესაც, ასეთი რთული ისტორიოგრაფიული საკითხი მისცა დასამუშავებლად, რასაც უნდა ითქვას, რომ ასპირანტმა არც ისე ურიგოდ გაართვა თავი.

რ. სიკინჭალაშვილმა ძალიან კარგად იცის არა მარტო ემპირული, ფაქტოგრაფიული მხარე საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ, არამედ თეორიული, „რუსული სკოლის" წარმომადგენელთა შეხედულებები ამ საკითხზე, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. ამ თემის განხილვის დროს ის იყენებს მისთვის ხელმისაწვდომ წყაროებსა და ლიტერატურას რუსულ და ფრანგულ ენაზე და რაც ყველაზე უფრო მთავარია, მან ძირითადში სწორად წარმოაჩინა „რუსული სკოლის" ისტორიკოსების შეხედულებები და ხაზი გაუსვა ამ სფეროში მათ დამსახურებას, რაც ახალგაზრდა, დამწყები ისტორიკოსის, ასპირანტის, დიდ წარმატებად მიგვაჩნია. თუმცა ზოგიერთი საკითხის შემდგომი დახვენა სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა ჩანდეს.

„რუს ისტორიკოსებს ნ. კარეევს, ივ. ლუჩიცკის, მ. კოვალევსკის აერთიანებდა საფრანგეთის რევოლუციის სოციალ-ეკონომიურ პრობლემათა კვლევის ერთი და იგივე ინტერესი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემის კვლევისას მათ გამოთქვეს სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებანი, როგორც საერთოდ, ისე საგლეხო მიწათმფლობელობის ირგვლივ".[1] პირველ რიგში ავტორს აინტერესებს თუ რა იყო იმ აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი, რომელიც „რუსული სკოლის" ისტორიკოსებს შორის არსებობდა.

---

[1] რ. სიკინჭალაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

თუ ამ თემაზე მის მსჯელობას მარქსისტულ ფრაზეოლოგიას ჩამოვაშორებთ, მასში რაციონალური მარცვალი უეჭველად დარჩება. ამ აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი მათ მსოფლმხედველობაში და წყაროთმცოდნეობის სფეროში უნდა ვეძიოთ. კოვალევსკი ლიბერალი და კონსტიტუციური მონარქიის მომხრეა, ლუჩიცკი კი წვრილბურჟუაზიულ-ნაროდნიკული სულისკვეთებითაა განმსჭვალული.[1] ლუჩიცკი უმთავრესად ეყრდნობა საგადასახადო სიებს, კოვალევსკი „ჩივილის რვეულებს".[2] რამდენად გვიქმნის ეს მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ წარმოდგენას ძნელი სათქმელია. როგორც ეტყობა, ასპირანტის და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის თვალსაწიერის მიღმა დარჩა ამ აზრთა სხვადასხვაობის მნიშვნელოვანი მხარე. ტოკვილი და ლუჩიცკი გლეხურ საკუთრებას განიხილავენ სამართლებრივ-იურიდიულ ჭრილში, ხოლო კარეევი და კოვალევსკი კი სოციალ-ეკონომიკური რაკურსით.

„უადგილობის გამო ჩვენ ვერ შევეხებით როგორც კოვალევსკის არგუმენტაციას საგადასახადო სიების და სხვა ანალოგიური დოკუმენტების წინააღმდეგ, ისე ლუჩიცკის არგუმენტაციას „ჩივილის რვეულების" წინააღმდეგ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს არგუმენტაცია არსებითად ერთი და იმავე ხასიათისაა და თუ შეიძლება ლაპარაკი რაიმე ნაკლზე ლუჩიცკისა და კოვალევსკის შრომებში, ეს ნაკლი, უნინარესად ყოვლისა, დოკუმენტური მასალის ცალმხრივ გამოყენებაშია".[3]

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ ამ არგუმენტაციის ვრცლად განხილვა საინტერესო იქნებოდა და ეს შეიძლებოდა გაკეთებულიყო მეორე მონაკვეთის შეკვეცის ხარჯზე. აქვე დავძენთ, რომ ეს საკითხი უნდა განხილულიყო კომპაქტურად, ერთ ადგილზე და არა გაფანტულად, სხვადასხვა გვერდებზე, როგორც ეს ნაშრომშია. რაც აბნევს მკითხველს.

„რუსული სკოლის" კორიფეებს შორის კამათი იწყება იქიდან, თუ ვის ეკუთვნოდა მიწა რევოლუციამდელ საფრანგეთში. ი. ლუ-

---

[1] იქვე, გვ. 150.
[2] იქვე, გვ. 156.
[3] რ. სიკინჭალაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156-157.

ჩიცკი ამტკიცებდა, რომ რევოლუციის წინ მინების უდიდეს ნაწილს გლეხობა ფლობდა. განსაკუთრებით ფართოდ მოიკიდა ფეხი ნვრილმა გლეხურმა მინათმფლობელობამ, რომელიც ი. ლუჩიცკის ღრმა რწმენით, კიდევ უფრო გაფართოვდა.

დიამეტრალურად საპირისპირო აზრის იყო მეორე ცნობილი რუსი ისტორიკოსი მ. კოვალევსკი. ის ამტკიცებდა, რომ რევოლუციამდე მინა იყო არა გლეხის, არამედ თავადაზნაურობის, ეკლესიის და სამეფო ტახტის საკუთრებაში. ი. ლუჩიცკისაგან განსხვავებული აზრი ჰქონდა მას გლეხურ მინათმლობელობაზე და მას უმნიშვნელო როლს აკისრებდა.[1]

ამ თემას მჭიდროდ უკავშირდება კიდევ ერთი პრინციპული საკითხი. ფრანგი გლეხი მიწის მესაკუთრე რევოლუციამდე იყო თუ რევოლუციის შემდეგ? ი. ლუჩიცკის თანახმად, ფრანგი გლეხი მიწის მესაკუთრე იყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ხოლო მ. კოვალევსკის მიხედვით, ასეთად ფრანგი გლეხი აქცია რევოლუციამ. ქართველმა მკვლევარმა სწორად წარმოაჩინა, თუ რა საკითხებზე იყო დავა „რუსული სკოლის" წარმომადგენლებს შორის.

ეტყობა, ამ დავაში ივ. ლუჩიცკი უფრო ახლოს მივიდა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე მისი სახელმოხვეჭილი ოპონენტი. ყოველ შემთხვევაში შემდგომმა გამოკვლევებმა (ჟ. ლეფევრი, ნ. ლუკინი, ს. სკაზკინი) გვიჩვენებს, რომ რევოლუციამდელ საფრანგეთში უკვე არსებობდა ნვრილი გლეხური საკუთრება. ფაქტობრივად ამან კიდევ უფრო გაამყარა ტოკვილ-ლუჩიცკის პოზიცია, რომლის თანახმად, ნვრილ გლეხურ საკუთრებას საძირკველი ჩაეყარა უკვე „ძველი რეჟიმის" დროს. „დეფაქტო" ნვრილი გლეხური საკუთრება რევოლუციამდე არსებობდა. რევოლუციის შედეგად ეს უკვე „დე იურედ" იქცა. შესაძლოა, ტოკვილი და მის კვალდაკვალ ი. ლუჩიცკი ნებსით თუ უნებლიეთ აკნინებდნენ ფრანგი გლეხის სენიორული გადასახადებიდან განთავისუფლების საქმეში საფრანგეთის დიდი რევოლუციის მნიშვნელობას. „რევოლუციამ კი არ შექმნა ნვრილი გლეხური საკუთრება, არამედ გაათავისუფლა

[1] იქვე, გვ. 149-150.

ფეოდალური ვალდებულებებისაგან".[1] რევოლუციამ კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა წვრილი გლეხური მეურნეობის განთავისუფლება სენიორული გადასახადებისაგან. ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ რ. სიკინჭალაშვილს, როდესაც წერს, რომ „ლუჩიცკის საერთო თვალსაზრისი წვრილი გლეხური მეურნეობის, როგორც საგლეხო საკუთრების შესახებ, უსათუოდ, მცდარია".[2] ასეთი კატეგორიული ტონი მიუღებელია და რაც მთავარია სადაოა.

ამ პრობლემის არსია „ცენზიტარული მიწათმფლობელობა". ვის ეკუთვნოდა რევოლუციამდე მიწა და არსებობდა თუ არა რევოლუციამდე გლეხური საკუთრება.

რ. სიკინჭალაშვილი სწორად გადმოგვცემს „ცენზიტარული მიწათმფლობელობის" შესახებ რუსი ისტორიკოსების შეხედულებებს და ამ საკითხის საფუძვლიან ცოდნას ავლენს, რაც ასპირანტისათვის საკმარისი უნდა იყოს.

„თუ „ცენზივას" საკუთრებად ვაღიარებთ, მაშინ უნდა გავიზიაროთ ლუჩიცკის თვალსაზრისი, რომ საფრანგეთში რევოლუციამდე მიწის უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა საგლეხო საკუთრებას. პირიქით, თუ უარვყოფთ „ცენზივას", როგორც საკუთრებას, მაშინ უნდა გავიაზროთ კოვალევსკის თვალსაზრისი, რომ საფრანგეთში რევოლუციამდე მიწების უდიდესი ნანილი წარმოადგენდა პრივილეგირებულთა საკუთრებას".[3]

რა გზას ირჩევს ქართველი მკვლევარი? იგი ფიქრობს, რომ „საკითხის კლასიკური გადაწყვეტა მოგვცა კ. მარქსმა თავის ნაშრომში „ლუი ბონაპარტის თვრამეტი ბრიუმერი", სადაც მარქსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ცენზიტარი გლეხი არ შეიძლება ჩაითვალოს მესაკუთრედ და ის იყო ნახევრად ყმა. ანალოგიური აზრი არის გატარებული მის ფუძემდებლურ ნაშრომში „კაპიტალი", თუმცა ამაზე სტატიაში არაფერია ნათქვამი.

---

[1] Сказкин С., Спорные вопросы аграрной истории франции XVIII в – в кн: Европа в новое и новеишее время: Памяти Н. М. Лукина, М., 1966, გვ. 104.

[2] რ. სიკინჭალაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

[3] რ. სიკინჭალაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ პრინციპულ საკითხში ქართველი მკვლევარი მ. კოვალევსკის თვალსაზრისისაკენ უფრო იხრება და თავის შეხედულებას, ბუნებრივია, მარქსისტულ სამოსელში ახვევს. რაც სავსებით შეესატყვისებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს, თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა მართალია ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც იმ აზრისაკენ იხრება, რომ ცენზიტარული მინათმფლობელობის საკითხში ივ. ლუჩიცკი უფრო ახლოს მივიდა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე მისი ოპონენტი.

ივ. ლუჩიცკი მართალია, როდესაც ცენზიტარ გლეხს მესაკუთრედ მიიჩნევს, მაგრამ ისინი არ იყვნენ მიწის სრული მესაკუთრეები. ცენზივა წარმოადგენს გლეხური საკუთრების ფეოდალურ ფორმას.[1]

ჩვენი აზრით, გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ნიკოლოზ კარეევის შეხედულებების განხილვა, რ. სიკინჭალაშვილის ნაშრომის აქილევსის ქუსლად უნდა მივიჩნიოთ. უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ამ სფეროში ნ. კარეევის დამსახურებას მეტად მცირე ადგილი ეთმობა და გაშუქებულია მკრთალად, სუსტად. საკმარისია ითქვას, რომ ნაშრომში ნ. კარეევის სახელი სულ ორჯერაა ნახსენები. ეს კი ძალიან ცოტაა. ამას ავტორი ადგილის უქონლობით ხსნის. „უადგილობის გამო ჩვენ არ გვაქვს საშუალება კვალდაკვალ მივყვეთ კარეევის თვალსაზრისის განვითარებას და ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გადმოვცეთ იგი. ამიტომ დავკმაყოფილდებით ლუჩიცკის და კოვალევსკის შეხედულებების გადმოცემით და შევეცდებით ნათელვყოთ სახელდობრ რაში გამოიხატა კარეევის თვალსაზრისის მერყეობა".[2] ეს განცხადება ვერ გვარწმუნებს ასეთი გადაწყვეტილების მართებულებაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნაშრომი ბევრად მოიგებდა თუ შესავალი ნაწილი ოდნავ შეიკვეცებოდა, ხოლო მესამე ნაწილი გაიზრდებოდა, მათ შორის კარეევის შეხედულებების განხილვის ხარჯზე.

---

[1] Сказкин С., Спорные вопросы аграрной истории франции накануне рсволюции XVIII в. Европа в новое и новеишее время. сб. статеи памяти академика Лукина Н. М., М., 1966, Сказкин С., февдист эвре и его учение о цензиве - "Средние веки" вып., 2, М., 1942.

[2] რ. სიკინჭალაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 150

რ. სიკინჭალაშვილმა თავის ნაშრომში, ვფიქრობთ, დამაჯერებლად ვერ აჩვენა თუ რაში მდგომარეობდა ნ. კარეევის მერყეობა. ნ. კარეევის თვალსაზრისმა საგლეხო მინათმფლობელობის საკითხში გარკვეული ევოლუცია განიცადა. მის მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოთქმული შეხედულებანი (მხედველობაში გვაქვს კარეევის ნაშრომი „Крестьяне и крестьянский вопрос во франции в последнеи четверти XVIII века", რომელიც გამოიცა 1879 წელს). ძირითადად ემთხვევა კოვალევსკის შეხედულებებს. შემდგომში კარეევმა ნანილობრივ გაიზიარა ლუჩიცკის შეხედულებები და დაიკავა „მერყეევი პოზიცია ლუჩიცკის და კოვალევსკის შეხედულებათა შორის. განსხვავებით კარეევისგან ლუჩიცკი და კოვალევსკი ძირითადად იმ შეხედულების „ერთგული" დარჩნენ, რომელიც დასაწყისში გამოთქვეს".[1]

რ. სიკინჭალაშვილის ღრმა რწმენით, ნ. კარეევს „რუსულ სკოლაში" საშუალედო პოზიცია უკავია ი. ლუჩიცკსა და მ. კოვალევსკს შორის. ნ. კარეევის ადგილის ამგვარი განსაზღვრა საკამათოდ მიგვაჩნია. მართალია, „ცენზიტარული მინათმფლობელობის" საკითხში ნ. კარეევის შეხედულებებმა განიცადეს გარკვეული სახეცვლილება, საქმე ისაა, რომ თუ დასაწყისში ნ. კარეევი იზიარებდა მ. კოვალევსკის შეხედულებებს. შემდგომში იგი ლუჩიცკის გამოკვლევების გაცნობის შედეგად, უფრო კარგად გაერკვა საქმის ვითარებაში, მაგრამ ეს ფერისცვალება უმთავრესად ეხება ნ. კარეევის შეხედულებების დეტალებს და არა მთლიანად მის კონცეფციას. მისი პოზიცია რევოლუციამდელი საგლეხო მინათმფლობელობის საკითხში ძალიან უახლოვდებოდა მ. კოვალევსკის თვალსაზრისს. ნ. კარეევი, მ. კოვალევსკის მსგავსად, ამტკიცებდა, რომ რევოლუციამდე მიწების უდიდესი ნანილი წარმოადგენდა პრივილიგირებული წოდების საკუთრებას".[2]

---

[1] რ. სიკინჭალაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

[2] Вебер Г., Историографические проблемы, М., 1974, გვ. 256-281; Историография нового времени стран Европы и Америки, т. 1., М., 1967, გვ. 256-261; Золотарев В., Историческая концепция Кареева Н. И., Содержание и эволюция, Л., 1988; Золотарев В., Кареев Н. И., (1850-1931) – "Новая и новейшая история", 1992, № 4; Фролова И., Значение исследовании Кареева Н. И. для разработки истории французского крестьянство в эпоху феодализма - "Средние века", вып., 7, М., გვ. 195.

„რაში გამომჟღავნდა კარეევის მერყეობა? იმაში, რომ მან „ცენზიტარული მიწათმფლობელობა“ აღიარა შეზღუდულ, არათავისუფალ, დამოუკიდებელ საკუთრებად, იმაში, რომ იგი გადაჭრით არ დამდგარა ლუჩიცკის ან კოვალევსკის თვალსაზრისზე. მაგრამ დამოუკიდებლად იმისგან, სურდა თუ არა ეს კარეევს, იგი მაინც კოვალევსკის პოზიციაზე დარჩა. ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, უფრო მნიშვნელოვანი იყო ალოდიალური საკუთრების უარყოფა, ვიდრე შეზღუდული, არათავისუფალი საკუთრების ცნობა“.[1]

რ. სიკინჭალაშვილის არგუმენტები ვერ გვარწმუნებს იმაში თუ რაში გამომჟღავნდა ნ. კარეევის მერყეობა. პირადად ჩვენ აქ ვერავითარ მერყეობას ვერ ვხედავთ. ნ. კარეევი მკაფიოდ აყალიბებს თავის აზრს. „ცენზივა“ წარმოადგენს შეზღუდულ, არათავისუფალ, დამოკიდებულ საკუთრებას“ და მაქსიმ კოვალევსკის თვალსაზრისს ემხრობა.

ამრიგად, ალ. ნამორაძემ დიდი ნდობა გამოუცხადა თავის ასპირანტს, როდესაც ასეთი რთული თეორიული, ისტორიოგრაფიული საკითხის დამუშავება დაავალა. ასპირანტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ ამოცანას ურიგოდ არ გაართვა თავი და დაწერა საინტერესო ნაშრომი „საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ და „რუსული სკოლა“. ამით მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის დამუშავების საქმეში და გამოამჟღავნა დიდი შრომისმოყვარეობა. წყაროებისა და ლიტერატურის ცოდნა. რთულ მეცნიერულ პრობლემებში გარკვევის უნარი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ეს ნაშრომი იყო კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი მეცნიერული კვლევა-ძიების უნარ-ჩვევების გამომუშავების გზაზე. ცხადი იყო მისი, როგორც მკვლევარი ისტორიკოსის პერსპექტიულობა.

---

[1] რ. სიკინჭალაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

III თავი

მირიან ეფრემიძე დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობის შესახებ

ალ. ნამორაძის მოწაფეებიდან აღნიშნულ საკითხს საგანგებოდ ჩაუღრმავდა გორელი ისტორიკოსი მირიან მურადოვი (ეფრემიძე). მან ამ პრობლემას მიუძღვნა საინტერესო ნაშრომი „სენიორალური გადასახადების მოსპობის საკითხი საფრანგეთში და 1790 წლის მარტის დეკრეტი". მან 1954 წელს ალ. ნამორაძის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობა საფრანგეთში 1789-1791 წლებში".

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ეს თემა ალ. ნამორაძემ თავის მოწაფეს მისცა როგორც რეფერატი, მაგრამ მან, როგორც ეტყობა, ამ დავალებას წარმატებით გაართვა თავი და გადაწყვიტეს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობა 1789-1791 წლებში საგანგებო შესწავლის საგნად გაეხადათ. 1950 წელს ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებულში მან გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი „სენიორალური გადასახადების მოსპობის საკითხი საფრანგეთში და 1790 წლის მარტის დეკრეტი", რომელიც სავარაუდოა, რომ რეფერატის გაფართოებულ ვარიანტს წარმოადგენდა და მისი საკანდიდატო დისერტაციის ერთ-ერთი მოზრდილი ფრაგმენტი იყო.

ეს სტატია ავტორს სამ მონაკვეთად აქვს დაყოფილი, და თითოეულ მათგანში განიხილავს შემდეგ პრინციპულ საკითხებს. 1. 1789 წლის რევოლუციის წინ არსებული სენიორალური გადასახადები საფრანგეთში და გლეხობის მოთხოვნები, 2. დამფუძნებელი კრება გლეხთა გახანგრძლივებული მღელვარებების ნინაშე,

3. სენიორული გადასახადების გაუქმების წესისა და მისი შედეგების შესახებ.[1]

ასეთი კონკრეტული საკითხის არჩევა ყოველთვის მომგებიანია და მეცნიერული კვლევისათვის ხელსაყრელი. საკითხისადმი ავტორის მიდგომა არის მეცნიერული. ეყრდნობა წყაროებისა და საკვლევი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და გააზრებას. ამჟღავნებს მეცნიერული კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს და დიდ ერუდიციას.

* * *

მირიან მურადოვმა (ეფრემიძემ) განაგრძო დაწყებული საქმე და ამ თემაზე მუშაობა ლოგიკურ დაგვირგვინებამდე მიიყვანა. 1954 წელს, ღვაწლმოსილი მეცნიერის ალ. ნამორაძის ხელმძღვანელობით, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რაც ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი მიღწევა იყო.

სადისერტაციო ნაშრომის არქიტექტონიკა ასე გამოიყურება. შესავალი, პირველი თავი: გლეხთა მდგომარეობა და მოთხოვნები 1789 წლის რევოლუციის წინ. მეორე თავი: დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობა. ის სამი ნაწილისაგან შედგება: 1. კანონმდებლობა სენიორული უფლებების შესახებ, 2. კანონმდებლობა სათემო მიწების და სერვიტუტების შესახებ 3. გლეხობის პასუხი დამფუძნებელი კრების აგრარულ კანონმდებლობაზე. დასკვნა, გამოყენებული წყაროების და ლიტერატურის სია, ბიბლიოგრაფია.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალი კონიუნქტურულ ხასიათს ატარებს, რაც უპირატესად იმით გამოიხატება, რომ აგებულია საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის

[1] მ. მურადოვი (ეფრემიძე), სენიორალური გადასახადების მოსპობის საკითხი საფრანგეთში და 1790 წლის მარტის დეკრეტები — ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი 1, თბ., 1950, გვ. 121-126.

სტალინურ შეფასებაზე.[1] ამგვარი მიდგომა ადვილი გასაგებია და ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამის გარეშე მაშინ სადისერტაციო ნაშრომი არ იწერებოდა. ამ შემთხვევაში ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ არა რომელიმე ისტორიკოსს, არამედ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც აიძულებს მეცნიერს გარკვეულ შეზღუდულ ჩარჩოებში მოექცეს.

„ამ ნაშრომს არ აქვს საფრანგეთის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მთლიანად შესწავლის პრეტენზია. ავტორი მიზნად ისახავს მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული თეორიის საფუძველზე გააშუქოს რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მხოლოდ ერთი ნაწილი — დამფუძნებელი კრების (კონსტიტუანტის) კანონმდებლობა სენიორული უფლებების, სათემო მიწების და სათემო სერვიტუტების შესახებ".[2] ამგვარი მიზანდასახულობა სავსებით შეესატყვისებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და დღევანდელი გადასახედიდან მისი განსჯა მკაცრი განაჩენი იქნებდა.

დიდ ინტერესს იწვევს ნაშრომის შესავალი, რომელიც ჩვეულებრივ იყოფა ორ ნაწილად. ჯერ წყაროების მიმოხილვაა, ხოლო შემდეგ გარჩეულია საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა.

სადისერტაციო ნაშრომში დაწვრილებითაა გარჩეული ის დოკუმენტები, რომელიც ასახავს რევოლუციის წინ გლეხთა მდგომარეობას და მოთხოვნებს. შემდეგ განხილულია ის წყაროები, რომელიც უშუალოდ დამფუძნებელი კრების აგრარულ კანონმდებლობას ეხება და ბოლოს საუბარია იმ მასალებზე, რომელიც ასახავდა გლეხთა მოძრაობას.[3]

---

1 მ. მურადოვი, დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობა საფრანგეთში 1789-1791 წლებში, საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1954, გვ. 238. Мурадов М., Аграрное законодательство учередительного собрания во франции в 1789-1790 гг. - Автореферат диссертации на соискание ученой степенни кандидата исторических наук, Тб., 1954, გვ. 3.

2 Мурадов М., Аграрная законадательство... გვ. 3.

3 მ. მურადოვი, დამფუძნებელი კრების აგრარული ..., გვ. 6-11.

როგორც დისერტანტი აღნიშნავს, საკითხის ირგვლივ არსებული წყაროებიდან, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს 1912 წელს ფრანგი ისტორიკოსების ფილიპ სანიაკის და პიერ კარონის რედაქციით გამოცემული კრებული. დისერტანტი აქ გამოქვეყნებული წყაროების ღირსებას იმაში ხედავს, რომ ის საშუალებას იძლევა გავაშუქოთ სენიორული რეჟიმის წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლის ცალკეული ეპიზოდები და გამოვარკვიოთ გლეხობის რეაქცია დამფუძნებელი კრების აგრარულ კანონმდებლობაზე, როგორც მთლიანად, ასევე ცალკეულ დეკრეტებზე. გარდა ამისა, კრებულში გვხვდება მასალები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან გლეხობის მდგომარეობაზე რევოლუციის წინ.[1]

ქართველი ისტორიკოსი არ შემოიფარგლა მხოლოდ „ჩივილის (სანადელის) რვეულების" განხილვით, რომელიც თავისთავად საინტერესო წყაროა და როგორც გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი გრაფი ალექსის დე ტოკვილი შენიშნავდა, წარმოადგენს „ძველი რეჟიმის ანდერძს". მან ისარგებლა რენის საშენესალოს, ტრუას და ბარ-სიურ-სენის ბალიაჟის მოთხოვნებით. საგულისხმოა, რომ დისერტანტი ამ მასალებს ეყრდნობა მაშინაც, როდესაც ცდილობს ნათელი მოჰფინოს საფრანგეთის გლეხობის მოთხოვნებს აგრარულ საკითხზე რევოლუციის წინ.[2] ეს გასაგებიცაა, ვინაიდან საფრანგეთის რევოლუციის წინ გლეხობის მდგომარეობა წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ფონს და მისი უგულისყუროდ დატოვება გამართლებული არ იქნებოდა.[3]

კონკრეტულად დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობის გაშუქების მიზნით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დეზანის მიერ გამოცემულ საფრანგეთის მთავრობის აქტებს, სადაც რევოლუციის მთელი აგრარული კანონმდებლობა თავმოყრილია მერვე ტომში.[4] გარდა ამისა, როგორც დისერტანტი დასძენს „ჩვენი

---

[1] Мурадов М., Аграрное законадательство ..., გვ. 3-4.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] Мурадов М., Аграрная законодательство..., გვ. 4.

თემისთვის საკმაოდ ძვირფასი მასალებია მოთავსებული დოკუ
მენტების ცნობილ გამოცემაში „არქივეს პარლამენტარეს“ და
ფილიპ ბუშეს და პოლ რუს მიერ გამოცემულ „საფრანგეთის რევ-
ოლუციის საპარლამენტო ისტორიაში“. ცხადია, გამოყენებულია
სხვა საინტერესო მასალები“.[1]

მას, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, არ
ჰქონია საფრანგეთის წიგნთსაცავებსა და არქივებში მუშაობის
საშუალება, მაგრამ საბედნიეროდ ძირითადი წყაროები ფრანგი
ისტორიკოსების მიერ გამოქვეყნებული იყო და დისერტანტს
მასზე ხელი მიუწვდებოდა. შესაძლოა, შემდგომში აღმოჩნდა ახა-
ლი წყაროები, მაგრამ ეს ზოგად სურათს მკვეთრად, რადიკალუ-
რად არ ცვლიდა და უპირატესად ნიუანსებს შეეხებოდა.

ეს სოლიდური წყაროთმცოდნეობითი ბაზა სადისერტაციო ნაშ-
რომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად გვევლინება და მნიშვნელო-
ვანნილად განაპირობებს მის მეცნიერულ ღირებულებას.

წყაროების განხილვის შემდეგ, ცხადია, დისერტანტი იწყებს
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას. ამ თემაზე მისი მსჯელო-
ბა საყურადღებოა. ბუნებრივია, რომ ამ საკითხს დისერტანტი
მარქსისტული თვალთახედვით აშუქებს, რაც დღევანდელი გადა-
სახედიდან, მოძველებულია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ
აუცილებელი იყო იმ სიტუაციაში.

დიდი ხნის მანძილზე საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის
აგრარული კანონმდებლობა ფრანგულ ისტორიოგრაფიაში პერიფე-
რიულ თემად რჩებოდა და მხოლოდ 1874 წელს, ფრანგმა ისტორი-
კოსმა ანრი დონიოლმა მიაქცია პირველმა ყურადღება ამ პრობ-
ლემას და სპეციალურად დაამუშავა ეს საკითხი. ქართველი მეც-
ნიერი ფრანგ ისტორიკოსს ორ რამეზე ეკამათება: 1. ავტორის
ღრმა რწმენით, დონიოლი ამოდის იმ მცდარი დებულებიდან, რომ
რევოლუციის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე საფრანგეთის გლეხ-
ობის ერთი ნაწილი ფლობდა მიწის საკუთრებას. 2. გარდა ამისა,
ფრანგი მკვლევარი კრინტს არ ძრავს არც დამფუძნებელი კრებ-

[1] იქვე.

ის სოციალურ შემადგენლობაზე და არც მის კანონმდებლობაზე სათემო მიწების და სათემო სერვიტუტების შესახებ".[1]

უპირველეს ყოვლისა დავიწყოთ იმით, რომ კატეგორიულად იმის მტკიცება თითქოს ფრანგი ისტორიკოსის მოსაზრება, რომ რევოლუციის წინ საფრანგეთის გლეხობის ერთი ნაწილი ფლობდა მიწის საკუთრებას, მცდარია, ძალზე ძნელია. ვფიქრობთ, უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო. საკითხი არის რთული, მრავალფეროვანი და ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას ნაკლებად იძლევა.

მეორე შენიშვნის პირველი ნაწილი უფრო მარქსისტულ ხასიათს ატარებს და ყურადღებას ამახვილებს დამფუძნებელი კრების კლასობრივ შემადგენლობაზე, თუმცა მოსაზრება, რომ ფრანგი ავტორი გვერდს უვლის დამფუძნებელი კრების აგრარულ კანონმდებლობას სათემო მიწების განანილების შესახებ, ანგარიშგასაწევი უნდა იყოს.

შემდგომი მეცნიერი, რომლის ნაშრომზეც ჩერდება ჩვენი დისერტანტი არის ფრანგი იურისტის ემილ შენონის გამოკვლევა, მაგრამ მას, ქართველი ისტორიკოსის შეხედულებით, როგორც იურისტს ძირითადად აინტერესებდა მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმები და აგრარული კანონმდებლობა.[2]

დისერტანტი მაღალ შეფასებას აძლევს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის ფილიპ სანიაკის წიგნს „საფრანგეთის რევოლუციის სამოქალაქო კანონმდებლობა". ეს ნაშრომი მას საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიაჩნია, მაგრამ ამავე დროს, იძულებულია ანგარიში გაუწიოს გაბატონებულ იდეოლოგიას და მარქსისტული პოზიციებიდან ეკამათება ფრანგ ისტორიკოსს. აი რას წერს იგი: „ეს წიგნი სავსეა წინააღმდეგობებით. ავტორი აღიარებს, რომ გამოსასყიდი ფასი გლეხთა უდიდესი ნანილისათვის მიუწვდომელი იყო, მაგრამ ეს არ უშლის ხელს მას ამტკიცოს, რომ დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობა შეესატყვისებოდა ხალხის ინტერესებს".[3]

---

[1] Мурадов М., Аграрное законодательство... გვ. 5-6.

[2] იქვე, გვ. 5.

[3] იქვე.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო კრების აგრარული კანონმდებლობის პოზიტური ასპექტების წინ წამოწევა, როგორც ეს სანიაკის წიგნშია, გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი ჩანს, ვიდრე ეს დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიას ეგონა. მეორეც. როგორც წყაროები აღნიშნავენ, მიუხედავად მთელი რიგი სირთულეებისა, ბობოლა გლეხებთან ერთად მიწის შეძენა ხელეწიფებოდა საშუალო, და ასე განსაჯეთ ღარიბი გლეხობის ნაწილსაც. მთავარი ის კი არ იყო, რომ ფასები მაღალია. ეს დროებითია. გლეხს იმედი გაუჩნდა, რომ მიწა შეიძლება რაღაც მომენტში მისი გახდეს. დაირღვა ცნობილი პრინციპი „არ არსებობს მიწა უსენიოროდ". დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობის დამსახურებაც ეს იყო.

მეორე შენიშვნა ტრადიციულია და ეხება საგლეხო მიწათმოქმედებას. დისერტანტი არ ეთანხმება ფრანგ ისტორიკოსს იმაში, რომ საფრანგეთში რევოლუციამდე გლეხური საკუთრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო.[1] კვლავ გავიმეორებთ. ასე კატეგორიულად იმის მტკიცება, თითქოს ეს მოსაზრება მცდარია, ძალიან ძნელია. ამ შეხედულებას არსებობის უფლებას ვერავინ წაართმევს და მას საკმაოდ ბევრი მომხრეები ჰყავს.

აღნიშნული პრობლემის დამუშავების საქმეში დისერტანტი ძალიან მოკლედ ეხება გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის, ლიბერალური ისტორიოგრაფიის პატრიარქის ალფონს ოლარის დამსახურებას და დასძენს, რომ მისთვის საინტერესო თემას გაკვრით შეეხო ა. ოლარი ნაშრომში „საფრანგეთის რევოლუცია და სენიორალური რეჟიმი". სადისერტაციო ნაშრომის რეფერატში ა. ოლარის წიგნზე საუბარი არის მშრალი და მისი წვლილი აღნიშნული საკითხის დამუშავების საქმეში სათანადოდ არ არის ნაჩვენები.[2]

სადისერტაციო ნაშრომში ა. ოლარის წერილი უფრო ფართოდაა განხილული. ოლარი ხაზს უსვამს, რომ სენიორული უფლებების გამოსასყიდად მაღალი ფასების დანესებით დამფუძნებელმა კრებამ ფაქტიურად არ შეამსუბუქა გლეხის ხვედრი. ვერ დააკმაყ-

---

[1] Мурадов М., Аграрное законадательство... გვ. 5.

[2] იქვე.

ოფილა ფრანგი გლეხობა და ამით საფრანგეთი გლეხთა აჯანყებების ცეცხლში გაახვია. გლეხთა ამ აჯანყებების ცალკეული ეპიზოდების აღწერა ოლარის ნაშრომის დადებითი მომენტია. ნაშრომის ნაკლი ის არის, რომ დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობა განხილულია უაღრესად სქემატურად. ოლარს, სანიაკის მსგავსად, მიაჩნია ცენზიტარი გლეხი მესაკუთრედ. და ბოლოს ოლარი არაფერს ამბობს დამფუძნებელი კრების აგრარულ კანონმდებლობაზე სათემო მიწების და სათემო სერვიტუტების შესახებ.[1]

დისერტანტი არაფერს ამბობს საგლეხო მინათმფლობელობის დამუშავების საქმეში, მეორე დიდი ფრანგი ისტორიკოსის გრაფ ალექსის დე ტოკვილის ღვაწლზე, რაც მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, იმით აიხსნება, რომ ტოკვილს რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობაზე სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია. მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ა. ტოკვილის დამსახურება საკმაოდ დიდია. საქმე ისაა, რომ მან პირველმა ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქვა მოსაზრება, რომ რევოლუციამდელ საფრანგეთში არსებობდა გლეხური საკუთრება.[2] ასე რომ ის ისტორიკოსები, რომელსაც ეკამათება ღრმად პატივცემული დისერტანტი, სწორედ ა. ტოკვილს ეყრდნობოდნენ. ამიტომ ა. ტოკვილის დამსახურებისათვის გვერდის ავლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

დისერტანტი არ შემოიფარგლა მხოლოდ ფრანგი ისტორიკოსების შრომების განხილვით და მოკლედ შეჩერდა ამ სფეროში დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების, პირველ რიგში კი გერმანელი ისტორიკოსების დამსახურებაზე. დასავლეთ ევროპელი სხვა ისტორიკოსების შრომებიდან ის გამოყოფს გერმანელი ისტორიკოსის ჰაინრიხ ფონ კუნოვის წიგნს. „კლასებისა და პარტიების ბრძოლა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს". რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ იგი კუნოვს რატომღაც მარქსისტად

---

[1] მ. მურადოვი, დამფუძნებელი კრების აგრარული ..., გვ. 14-15.

[2] Токвиль А., Старый порядок и революция, СПБ, 1911.

მიიჩნევს.[1] ასეთი მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს და ძნელი სათქმელია, საიდან მივიდა დისერტანტი ასეთ დასკვნამდე. როგორც დისერტანტი აღნიშნავს, კუნოვი დამფუძნებელი კრების აგრარულ კანონმდებლობას განიხილავს გლეხთა აჯანყებებთან მჭიდრო კავშირში, მაგრამ, ქართველი მეცნიერის აზრით, კუნოვი ამას აკეთებს მეტად სქემატურად და რაც კიდევ უფრო მთავარია, არ უკავშირებს საფრანგეთის გლეხობისრევოლუციამდელ მდგომარეობას.[2]

დისერტანტის აზრით, „რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მოწყვეტა რევოლუციამდელი ფრანგი გლეხის მდგომარეობისაგან წარმოადგენს დასავლეთ ევროპელი ისტორიკოსების შრომების მთავარ ნაკლს. ამ ხარვეზის თავიდან აცილება შესძლეს მხოლოდ რუსმა ისტორიკოსებმა".[3] მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დისერტანტი ცალკე გამოჰყოფს რუსი ისტორიკოსების ღვაწლს და საგანგებოდ უსვამს ხაზს მათ დამსახურებას.[4] ვფიქრობთ, სასურველი იყო, რეფერატში ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, ერთ აბზაცში, თქმულიყო იმ აზრთა სხვადასხვაობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა „რუსული სკოლის" კორიფეებს შორის.

საბჭოთა ისტორიკოსების შრომებიდან ის გამოჰყოფს კუნისკისა და პოზნიაკოვის წიგნს, სადაც შედარებით დაწვრილებითაა განხილული დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობა სათემო მიწების განაწილების შესახებ.[5]

დისერტანტი რატომღაც არ ახსენებს და სათანადოდ არ განიხილავს ვ. ვოლგინის და ე. ტარლეს რედაქციით გამოცემულ წიგნს „საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია", სადაც ფაქტობრივად შეჯამებულია დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობისადმი სტალინური ეპოქის საბჭოური ისტორიოგრაფიის

---

1 მ. მურადოვი, დამფუძნებელი კრების აგრარული ..., გვ. 15.
2 Мурадов М., Аграрное законодательство ..., გვ. 5.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 6.
5 იქვე.

დამოკიდებულება, რაც ამ საინტერესო ისტორიოგრაფიული მიმოხილვის სერიოზულ ნაკლად მიგვაჩნია. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ შესაძლოა ეს იმით აიხსნებოდა, რომ მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფ. ლ. ნამორაძე ამ ნაშრომს სკეპტიკურად უყურებდა.

ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომის რეფერატში მოხსენიებული ყოფილიყო ამ სფეროში ქართველი ისტორიკოსების მოკრძალებული წვლილი. მით უმეტეს, რომ ეს თემა სადისერტაციო ნაშრომში სათანადოდაა ხაზგასმული და მხოლოდ გივი კიღურაძის მოხსენება არაა მითითებული.[1]

სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ხაზს უსვამს გამოკვლევის მეცნიერულ სიახლეს: 1. ეს პრობლემა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჯერ არ ყოფილა დამუშავებული და რაც მთავარია 2. საკითხი განხილულია მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის სწორი პოზიციებიდან. „რაც შეეხება დამფუძნებელი კრების კანონმდებლობას და საერთოდ, 1789 წლის რევოლუციას სენიორული უფლებების სფეროში, ამ მიმართულებით საბჭოთა ისტორიკოსებს ჯერ ძალიან ცოტა რამე აქვთ გაკეთებული. ცალკეული სტატიები, რომელიც მოგვეპოვება საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაში, ვერ ავსებს ამ ხარვეზს".[2]

მ. მურადოვის (ეფრემიძის) სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი ორი ნაწილისაგან შედგება: თავდაპირველად დისერტანტი განიხილავს ფრანგი გლეხის მდგომარეობას რევოლუციის წინ, შემდეგ კი ჩერდება გლეხთა მოთხოვნებზე აგრარულ საკითხებში. ორივე პრობლემა არის საინტერესო და აქტუალური.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ დისერტანტი კარგად გაერკვა რევოლუციამდელი საფრანგეთის აგრარული ყოფის მთავარ მახასიათებელ თავისებურებაში, მართალია ფრანგი გლეხი იურიდიულად თავისუფალი იყო, მაგრამ ეკონომიკურად ის კვლავ

---

[1] მ. მურადოვი, დამფუძნებელი კრების აგრარული..., გვ. 24-25.

[2] Мурадов М., Аграрное законодательство..., გვ. 6.

დამოკიდებულია. „თავისუფალი პიროვნება იჯდა არათავისუფალ მიწაზე“.[1]

ქართველმა მკვლევარმა დამაჯერებლად უჩვენა რევოლუციის წინ ფრანგი გლეხის მძიმე ყოფა და მისი ასეთი შეჭირვება სენიორული გადასახადების გაზრდას დაუკავშირა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ ფრანგი გლეხის ყოფა იყო მრავალფეროვანი და დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. რევოლუციის წინ გლეხთა დიდი ნაწილის მდგომარეობა მართლაც ძალიან გაუარესდა, რაც განპირობებული იყო „სენიორალური რეაქციით“, მაგრამ XVIII საუკუნის მიწურულს ფრანგი გლეხის ცხოვრებაში არის პოზიტიური მომენტებიც და ეს უგულისყუროდ არ უნდა დაგვრჩეს. საქმე ისაა, რომ რევოლუციის წინ ფრანგი გლეხობის ერთი ნაწილის მდგომარეობა გაუმჯობესდა. საბჭოთა ისტორიოგრაფია ცოტათი ამუქებდა ფრანგი გლეხის გაჭირვებას. „სენიორული რეაქციის“ განსაზღვრა 80-იანი წლებით მართებული არ იქნებოდა.[2] ფრანგი ისტორიკოსები „სენიორული რეაქციის“ ხანას XVIII საუკუნის შუა ხანებიდან იწყებენ.[3]

დისერტანტი ჩერდება ისეთ რთულ საკითხზე, როგორიცაა „საგლეხო მიწათმფლობელობა“, „ცენზივა“. ცხადია, ის მოკლედ ეხება იმ დისკუსიას, რომელიც აღნიშნულ საკითხზე არსებობდა „რუსული სკოლის“ კორიფეებს შორის და აღნიშნულ საკითხში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს, რაც მისასალმებელია.

დისერტანტი ეკამათებოდა იმ მკვლევარებს, რომლებიც მთელ ამ პოლემიკას წმინდა აკადემიურ დავად აღიქვამდნენ და ფიქრობდა, რომ ეს არის მხოლოდ საკითხის ფორმალური მხარე. მთავარი, ქართველი მკვლევარის თვალსაზრისით, ისაა, რომ ისინი, ვინც ცენზივას განიხილავენ გლეხურ საკუთრებად, თავისე-

---

[1] Карсев Н., Крестьяне и крестьянский вопрос во франции в последней четверти XVIII века, СПБ, 1879. გვ. 15.

[2] მ. მურადოვი, სენიორალურული გადასახადების მოსპობის საკითხი ..., გვ. 124.

[3] Шерэ Э., Падение старого режима (1787-1789), т. 1-2, СПБ, 1907-1908.

ბურად უგულებელყოფენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის მნიშვნელობას ფრანგი გლეხის მიწის მესაკუთრედ გადაქცევის საქმეში, ხოლო ისინი ვინც არ ეთანხმებიან იმ შეხედულებას, რომ ცენზივა არ არის საკუთრება, აღიარებენ რევოლუციის მნიშვნელობას თავისუფალი მესაკუთრე-გლეხის ჩამოყალიბების საქმეში.[1]

ეს არის ფრანგი გლეხის განთავისუფლების საქმეში საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელობაზე, სნორხაზოვანი, მიამიტური წარმოდგენა. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მასში უწინარესად საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხისადმი ორთოდოქსულ-მარქსისტული, ბოლშევიკური, სტალინური მიდგომის გავლენა იგრძნობა, რომელსაც მტკიცედ ნერგავდა საბჭოთა იდეოლოგია. რეალურად კი საქმის ვითარება სხვაგვარადაა. „საფრანგეთის რევოლუციამ კი არ შექმნა გლეხური საკუთრება, არამედ გაათავისუფლა ფეოდალური ვალდებულებებისაგან".[2] ეს იყო საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ რევოლუციამ რევოლუციამდელ საფრანგეთში დე ფაქტოდ არსებული ვითარება დე იურედ აქცია.

დისერტანტი, რ. სიკინჭალაშვილის მსგავსად, აღნიშნავს, რომ „ცენზივის" პრობლემის კლასიკური გადაწყვეტა მოცემული აქვს კარლ მარქსს „კაპიტალის" 47-ე თავში, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ცენზიტარი" გლეხი არ შეიძლება მივიჩნიოთ მესაკუთრედ.[3] ეს იყო წმინდა მარქსისტული მიდგომა. კ. მარქსის მოსაზრებამ გარკვეული გავლენა მოახდინა მაქსიმ კოვალევსკის შეხედულების ჩამოყალიბებაზე და ის ამტკიცებს, რომ „ცენზივა" არ იყო საკუთრება. მეცნიერთა დიდი ნაწილი, მეტად ფრთხილად, ჰაგრამ მაინც იმ აზრისაკენ იხრება, რომ ივ. ლუჩიცკი უფრო

Мурадов М., Аграрное законодательство ..., გვ. 7.

Сказкин С., Спорные вопросы ..., გვ. 104.

Мурадов М., Аграрное законадательство... გვ. 7. მ. მურადოვი, დამფუძნებელი კრების აგრარული ..., გვ. 49-53.

ახლოს მივიდა რეალობასთან, ვიდრე მისი ოპონენტი მ. კოვალევსკი და „ცენზივა" არის გლეხური საკუთრება.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს დისერტანტი ნაშრომის პირველ თავში, არის საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში ახალი ტენდენციების შეღწევა და რევოლუციამდელ საფრანგეთში გლეხთა დიფერენციაცია. საკითხი არის საინტერესო და მისი გადაწყვეტა ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას ინვევს.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ივან ლუჩიცკი კატეგორიულად უარყოფდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში ახალი ტენდენციების, კაპიტალის შეღწევის ფაქტს და ამას იმით ხსნიდა, რომ „საფრანგეთში საერთოდ კაპიტალი არ არსებობდა".[1]

სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებდა მეორე გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი მაქსიმ კოვალევსკი. იგი ირწმუნება, რომ საფრანგეთის რევოლუციის წინ სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს ნოვაციებს, სიახლეებს, რომელიც, თანდათან, ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. ჩნდება ფერმერული ტიპის გლეხური მეურნეობა. შესაძლოა, რუსი ისტორიკოსი ცოტათი აზვიადებდა მათ მნიშვნელობას და ადგილს საფრანგეთის სამეურნეო ცხოვრებაში. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს მ. კოვალევსკის შრომებისათვის ნიშანდობლივი მიდგომა, როდესაც ის ძალიან აახლოებს, თითქმის აიგივებს, ინგლისის და საფრანგეთის აგრარულ განვითარებას.[2]

დისერტანტი ხაზს უსვამს რევოლუციის წინ საფრანგეთის სოფელში მიმდინარე ცვლილებებს და ამ თემას, ბუნებრივია, მარქსისტული პოზიციებიდან აშუქებს. იგი აღნიშნავს, რომ „მიუხედავად ახალი ტენდენციებისა, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობდა ნელი ტემპით და საწარმოო ძალთა შემდეგი წინსვლა ახდენდა მთელი ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემის ლიკვიდაციას და გლეხობისათვის ესოდენ საძულველი

---

[1] Лучицкий Ив., Состояние земледельческого классов во франции, Киев, 1912, გვ. 27-28.

[2] Ковалевский М., Происхождение современной демократии. т. 1, часть 1, издание 2, М., 1901.

სენიორული რეჟიმის მოსპობას, ყველა მისი პრივილეგიების და გადასახადების ჩათვლით".[1] და ამ მოსაზრების გამყარების მიზნით მოჰყავს კ. მარქსის მოსაზრება ნაშრომიდან „ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერი".

დისერტანტმა კარგად დაინახა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესებს და გლეხთა დიფერენციაციას შორის იყო. იგი გლეხთა დიფერენციაციას იმ ნოვაციების ლოგიკურ შედეგად მიიჩნევს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთის სოფელში.

როგორც ეტყობა, ქართველი ისტორიკოსი არ იზიარებს ივ. ლუჩიცკის თეზისს, რომელიც უგულებელყოფდა რევოლუციის წინ საფრანგეთის სოფელში მიმდინარე გლეხთა დიფერენციაციის პროცესს და უფრო მ. კოვალევსკის და ნ. კარეევის თვალსაზრისისკენ იხრება, რომლებმაც დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ გლეხობა რამდენიმე სოციალურ ფენად დაიყო. ქართველი ისტორიკოსი რევოლუციამდელ საფრანგეთში სამ ძირითად სოციალურ ფენას გამოყოფს. ბობოლა გლეხები, საშუალო გლეხი და ღარიბი გლეხი.[2]

დისერტანტი ეკამათება ცნობილ რუს ისტორიკოსს ალექსანდრე სავინის, რომელიც ამტკიცებდა, რომ აჯანყებული ფრანგი გლეხობის მოთხოვნები XVI-XVII საუკუნეებში გაცილებით მკაცრი და პრინციპული იყო, ვიდრე რევოლუციის წინ. დისერტანტი სულ სხვაგვარად ფიქრობს და დასძენს. „გლეხთა მოთხოვნების კრიტიკული შესწავლა უგულებელყოფს ამ შეხედულებას".[3]

ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა ავტორს საილუსტრაციოდ ერთიორი არგუმენტი მაინც მოეყვანა, რაც დაგვარწმუნებდა მისი დებულების სისწორეში. აქ საჭირო იყო მეტი საბუთიანობა. მტკიცების თვალსაზრისით ეს მსჯელობა მოიკოჭლებს და უფრო დეკლარაციულ ხასიათს ატარებს.

რევოლუციის წინ ფრანგი გლეხის უმთავრესი ამოცანა იყო სენიორალური გადასახადების სრული გაუქმება. თემისათვის ყვე-

---

[1] Мурадов М., Аграрное законодательство ..., გვ. 8-9.
[2] Мурадов М., Аграрное законадательство ..., გვ. 8-9.
[3] იქვე, გვ. 9.

ლა მიტაცებული მიწის უკან დაბრუნება და მისი განაწილება გლეხებს შორის. თუ რა პრინციპით უნდა განხორციელებულიყო ეს გლეხთა რიგებში, აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ეს რთული საკითხი უნდა გადაეწყვიტა დამფუძნებელ კრებას.[1]

სადისერტაციო ნაშრომის ყველაზე უფრო წონიანი მონაკვეთია მეორე თავი, სადაც კონკრეტულად განხილულია დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობა. ამ გამოკვლევის მეცნიერულ ღირებულებას მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ აღნიშნული პრობლემა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად შეუსწავლელი იყო და ქართველმა მკვლევარმა სცადა თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა ამ ხარვეზის გამოსწორების საქმეში. ბუნებრივია, რომ ის იძულებულია მოგვცეს ამ საკითხის მარქსისტული ინტერპრეტაცია.

მკაცრი ტონი დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობის განხილვის დროს დისერტანტის მსჯელობის მთავარ ლაიტმოტივად გვევლინება. ის თავიდანვე ხაზს უსვამს დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობის პროსენიორულ ხასიათს და ცდილობს ახსნას ამის მიზეზები. „თავისი მოღვაწეობის დასაწყისში დამფუძნებელი კრება დაადგა გლეხთა მოთხოვნების იგნორირების გზას. სამი თვის მანძილზე მას არ გაუკეთებია აბსოლუტურად არაფერი, რათა დაეკმაყოფილებინა მათი (ე. ი. გლეხობის — მ. კ) მოთხოვნები"[2]. დისერტანტი დამფუძნებელი კრების პოლიტიკის გასაღებს, მის სოციალურ, კლასობრივ შემადგენლობაში ეძებს.[3] ბრალი დავდოთ დამფუძნებელ კრებას პასიურობაში მართებული არ იქნებოდა. ის ამ რთულ საკითხს უდგებოდა სახელმწიფოებრივად და მის გადაწყვეტას ცდილობდა თანდათანობით, ნელ-ნელა, ევოლუციური გზით. საკითხისადმი ამგვარ მიდგომას მოქალაქეობის უფლებას ვერ წავართმევთ, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია აკეთებდა. ძნელია დავეთანხმოთ ინგლისელ ისტორიკოს ტ. კარლაილს, როდესაც დამფუძნებელ კრებას არაპრაქტიკულობას საყვედურობდა.

---

[1] Мурадов М., Аграрное законодательство... გვ. 9.
[2] Мурадов М., Аграрное законодательство... გვ. 9.
[3] იქვე, გვ. 10-11.

1789 წლის 14 ივლისს ბასტილიის აღებას ფართო რეზონანსი ჰქონდა მთელს საფრანგეთში. ქვეყანას გადაუარა გლეხთა მღელვარებების ტალღამ. დისერტაციაში მოკლედ არის საუბარი გლეხთა ამ გამოსვლებზე და ხაზგასმულია მისი შედეგები. გლეხობა თვითონ, საკუთარი ინიციატივით, უსწორებს ანგარიშს მისთვის ესოდენ საძულველ სენიორულ რეჟიმს. წვავს და ანადგურებს ფეოდალურ სიგელ-გუჯრებს. ფეოდალური ვალდებულებების ამსახველ დოკუმენტებს. თანამედროვეებმა ამას „დიდი შიშიანობა" უწოდეს. ამის თანაგრძნობა და დამფუძნებელი კრების აგრარული საქმიანობის დაგმობა ფრიად ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის.

სადისერტაციო ნაშრომში დაწვრილებით არის საუბარი საკანონმდებლო კრების აგრარულ კანონმდებლობაზე. განხილულია 1789 წლის აგვისტოს და 1790 წლის მარტის და მაისის დეკრეტები. დისერტანტი ძალიან კარგად იცნობს ფაქტობრივ მასალას და საკითხის არსში გარკვეულობას იჩენს, რაც იმით აიხსნება, რომ ის საფუძვლიან ჩახედულობას ამჟღავნებს თემის ირგვლივ არსებულ პირველწყაროებსა და საკვლევ ლიტერატურაში. აქედანაა მისი მსჯელობის ღირებულება, მაგრამ იგი იძულებულია ამ მასალის მარქსისტული ინტერპრეტაცია მოგვცეს.

დავიწყოთ 1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტებით, რომელმაც თანამედროვეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და რომელსაც „სასნაულების ღამე" უწოდეს. ჩვენი აზრით, ეს თემა სტატიაში ძალიან ზოგადად, მეტად მკრთალადაა, წარმოჩენილი, რაც შესაძლოა, მნიშვნელოვანწილად იმით იყო, განპირობებული, რომ ეს ნაშრომი სპეციალურად ამ დეკრეტებს არ ეხებოდა და ავტორი 1789 წლის აგვისტოს დეკრეტებზე მხოლოდ გაკვრით ჩერდება და ამით ერთგვარ ისტორიულ ფონს ქმნის 1790 წლის მარტის დეკრეტის განსახილველად.[1] სადისერტაციო ნაშრომში იგი საგანგებოდ ჩერდება აგვისტოს დეკრეტებზე და დაწვრილებით განიხილავს მას.

---

[1] მ. მურადოვი (ეფრემიძე), სენიორალური გადასახადების მოსპობის საკითხი საფრანგეთში და 1790 წლის მარტის დეკრეტი — ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი 1, თბ., 1950, გვ. 128.

სადისერტაციო ნაშრომში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ აგვისტოს კანონმდებლობა იყო დამფუძნებელი კრების პასუხი იმ სახალხო მღელვარებებზე, რომლის ტალღამ გადაუარა მთელს საფრანგეთს. რუსი ისტორიკოსის ნიკოლოზ კარეევის თქმით, „4 აგვისტო იყო ლოგიკური შედეგი გლეხთა მღელვარებისა".[1]

ნაშრომში ხაზგასმულია ის ღონისძიებები, რომლის ცხოვრებაში გატარებას ისახავდა მიზნად აგვისტოს დეკრეტები. ის სენიორულ გადასახადებს ორ კატეგორიად ყოფდა: პერსონალური უფლებები, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაუქმებულიყო და რეალური უფლებები, რომელიც გლეხს უნდა გამოესყიდა. მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ დისერტანტი გაკვრით ჩერდება საკითხის ისტორიოგრაფიაზე. მას მიუღებლად მიაჩნია აგვისტოს დეკრეტების შეფასებისას ორივე უკიდურესობა. მისი ისტორიული მნიშვნელობის შელამაზება, ვარდისფერ ფერებში დახატვა, ანდაც პირიქით, დაკნინება. დისერტანტი აღნიშნავს, რომ „დამფუძნებელ კრებას 1789 წლის აგვისტოს დეკრეტებით არ უფიქრია აგრარული საკითხის გადაჭრა და ამით მას სურდა უმნიშვნელო დათმობების გზით მოეტყუებინა და პირობებით დაემშვიდებინა გლეხობა. დამფუძნებელი კრების ეს ტაქტიკა ბურჟუაზიული ისტორიკოსების მოწონებას იმსახურებდა". ამავე დროს, დისერტანტს მიუღებლად ესახება აგვისტოს დეკრეტების მნიშვნელობის დაკნინება, რასაც ის საყვედურობს გერმანელ ისტორიკოსს ჰაინრიხ ფონ კუნოვს და რუს მეცნიერს ივან ლუჩიცკის.[2] ეს უკანასკნელი წერდა: „4 და 11 აგვისტოს გაუქმებული სენიორული რეჟიმი მთელი თავისი არსებით კვლავ ძალაში დარჩა და, ამდენად, მისი მოსპობა მხოლოდ ქაღალდზე მოხდა.[3]

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მცდელობას გამოეძებნა საშუალედო ხაზი, დამაჯერებლობა აკლდა და მაინც, აგვისტოს დეკრეტების შეფასებისას სკეპტიკური დამოკიდებულება დომინირებდა.

---

[1] Кареев Н., Крестьяни и крестьянский вопрос во франции в последней четверти XVIII века, М., 1879, გვ. 406.

[2] Мурадов М., Аграрное законодательство..., გვ. 12.

[3] Лучицкий Ив., Состояние земледельческих классов во Франции накануне революции и аграрная реформа 1789-1793 гг., გვ. 91.

ცხადია, ამ განწყობილებას თავს ვერც ქართველი ისტორიკოსი აღწევს. „მიუხედავად თავისი შეზღუდულობისა აგვისტოს დეკრეტებმა უეჭველად შეასრულა გარკვეული დადებითი როლი აგრარული საკითხის გადაწყვეტის საქმეში. საფრანგეთის ისტორიაში პირველად ამბოხებულმა გლეხებმა აიძულეს გაბატონებული კლასები ოფიციალურად ეღიარებინათ ფეოდალური რეჟიმის გაუქმება. გარდა ამისა, მართალია, აგვისტოს დეკრეტებით გაუქმებულ იქნა მესამე ხარისხოვანი სენიორული უფლებები... დაარწმუნა გლეხები სენიორალური რეჟიმის რევოლუციური გზით მოსპობის შესაძლებლობაში".[1]

ეს მსჯელობა აგვისტოს დეკრეტების ისტორიულ მნიშვნელობაზე ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. აგვისტოს დეკრეტები, უდავოდ, სერიოზულად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა აგრარული საკითხის თანდათან, ნელ-ნელა გადაჭრის გზაზე. 1789 წლის აგვისტოს დეკრეტებს თან მოჰყვა საკუთრების თავისუფლება, რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ დასაბამი მისცა კერძო საკუთრების ახალ გაგებას, სათავე დაუდო მიწით სარგებლობის თავისუფლებას, აგრარულ ინდივიდუალიზმს.[2] მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ როიალისტური წრეები აგვისტოს დეკრეტებს მეტად მტრულად შეხვდნენ, მას პუბლიცისტმა ლა-რივაროლმა „კერძო საკუთრების ბართლომეს ღამე" უწოდა.

1789 წლის 9 ოქტომბერს აგვისტოს კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარების მიზნით ჩამოყალიბდა „ფეოდალურ უფლებათა კომიტეტი". საფრანგეთის გლეხობის ძირითადი მოთხოვნა იყო სენიორული უფლება-ვალდებულებებისა და გადასახადების გაუქმება. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ალბერ მატიეზი თავის წიგნში „საფრანგეთის რევოლუცია" შენიშნავდა „ბურჟუები, რომლებსაც გლეხები ვერსალში გზავნიდნენ, ეუბნებოდნენ მათ, რომ საჭიროა მოთმინებით აღიჭურვონ, რომ მოთხოვნები, რომელიც მათ თავიანთ „ჩივილის რვეულებში" ნამოაყენეს, მალე განხორციელება".[3]

---

[1] Мурадов М., Аграрное законодательство..., გვ. 12

[2] Жорес Ж., Социалистическая история Французской революции, т. 1, кн. 1, М., 1976, გვ. 464.

[3] Матьез А., Французская революция, т. 1, М., 1925, გვ. 73.

ახლადჩამოყალიბებულმა „ფეოდალური უფლებების კომიტეტმა“ თავისი საქმიანობა სენიორული გადასახადების კლასიფიკაციით დაიწყო. ამის შემდეგ „ფეოდალურ უფლებათა კომიტეტი“ იწყებს გამოსყიდვის წესის შემუშავებას. სწორედ ამ მიზნით იქნა მიღებული 1790 წლის 15 მარტის და 3 მაისის დეკრეტები, რომელიც წარმოადგენდა დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობის ღერძს.[1]

„ფეოდალურ უფლებათა კომისია“ პრაქტიკულად ახორციელებდა დამფუძნებელი კრების აგრარულ კანონმდებლობას. რუსი ისტორიკოსის ივან ლუჩიცკის თანახმად „ეს კომისია წმინდა იურიდიულ ასპექტში მოქმედებდა და ანგარიშს არ უწევდა ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობას და საერთაშორისო ვითარებას“. ასეთი ტონი მეტად მკაცრი ხომ არ იქნებოდა?

1790 წლის 15-28 მარტის დეკრეტი აგვისტოს კანონმდებლობის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. აგვისტოს დეკრეტიდან გამომდინარე სენიორული გადასახადები ორ ჯგუფად იქნა გაყოფილი. პერსონალური უფლებები და რეალური გადასახადები. პირველი გაუქმებულ იქნა, მათ სენიორალური პრივილეგიების გაუქმების შემდეგ აზრი აღარ ჰქონდათ. სულ სხვა იყო რეალური გადასახადები. სენიორისთვის ეს გადასახადი მატერიალურ მოგებასთან იყო დაკავშირებული და დეკრეტის მიხედვით გამოსასყიდად იქნა გამოცხადებული.[2]

ქართველი ავტორი არ უარყოფს 1790 წლის მარტის დეკრატის კავშირს აგვისტოს კანონმდებლობასთან, მაგრამ მას აგვისტოს დეკრეტის შემდეგ ნინგადადგმულ ნაბიჯად არ აღიქვამს და ფიქრობს, რომ ეს ახალი დეკრეტები ბევრ შემთხვევაში უკანგადადგმული ნაბიჯი იყო აგვისტოს დეკრეტის პრინციპებიდან. „აგვისტოს დეკრეტი აღიარებდა რეალური და მისი შემცვლელი ყველა გადასახადის გამოუსყიდველად გაუქმებას, მაშინ, როდესაც მარტის დეკრეტის III განყოფილების მე-4 მუხლის მიხედვით,

---

[1] მ. მურადოვი (ეფრემიძე), დასახ. ნაშრ., გვ. 131.

[2] 15 მარტის და 3 მაისის დეკრეტების სრული ტექსტი, იხ. "Archives parlamentares", სერია 1, ტ. XII, გვ. 172-177; ტ. XV, გვ. 364-365.

შემცვლელი გადასახადი უნდა გამოესყიდათ".[1] შესაძლოა, ცალკეულ დეტალებში ეს ასეც იყოს, მაგრამ არა მთლიანობაში. პრინციპში მარტის დეკრეტი სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა სენიორული რეჟიმის ლიკვიდაციის გზაზე. ასეთი პესიმისტური განწყობა შემთხვევითი არ უნდა იყოს, და ვფიქრობთ მნიშვნელოვანნილად იმით აიხსნება, რომ ქართველი მკვლევარი რატომღაც აკნინებს ტრიაჟის გაუქმების მნიშვნელობას. მასში დისერტანტი ხედავს რევოლუციის მსვლელობით შექმნილი რეალური ვითარების ფიქსირებას.

„გლეხობამ ძალით გაუსწორა ანგარიში სენიორულ რეჟიმს და ასეთ პირობებში როგორღა შეეძლო სენიორს შეენარჩუნებინა ტრიაჟით სარგებლობის უფლება?!"[2] არსებითად იგი უგულებელყოფს ტრიაჟის გაუქმების საქმეში დამფუძნებელი კრების როლს. ეს კი საკამათოა.

ქართველი მეცნიერი საკანონმდებლო კრების მარტის დეკრეტზე მაღალი აზრის არ ჩანს და თავისი მოსაზრების გამყარების მიზნით მას მოყავს თანამედროვეთა უკმაყოფილება. იგი იმოწმებს კუტონის სიტყვებს „კონსტიტუანტის დეკრეტები ისეა შედგენილი, თითქოს ისინი სენიორების მიერ იყოს ნაკარნახევი". „გამოსყიდვის უფლება მინიჭებული ცენზივის მფლობელისათვის, აბსოლუტურად ილუზორულია". თანამედროვეები შეშფოთებულები არიან, რომ „ის იჯარები და სენიორული გადასახადები, რომლებიც 1790 წლის 15 მარტის დეკრეტით შენარჩუნებულ და განკუთვნილ იქნენ გამოსასყიდად, სამოქალაქო ომს გამოიწვევენ".[3]

საკითხის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა მარტის დეკრეტებზე დემოკრატიული ბანაკის რეაქციის გვერდით, განხილულიყო მათი ოპონენტების თვალსაზრისი, მაგრამ ეს ასე არ ხდება, რაც იმით აიხსნება, რომ ის-

---

[1] მ. მურადოვი, სენიორული გადასახადების მოსპობის საკითხი ... გვ. 131.

[2] Мурадов М., Аграрное законодательство... გვ. 14-15.

[3] მ. მურადოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 134-135.

ტორიისადმი მრავალვარიანტული მიდგომა საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის მიუღებელი იყო.

„მარტის დეკრეტმა არ გადაჭრა გლეხობის სასარგებლოდ სენიორული გადასახადების საკითხი... მარტის დეკრეტის პროსენიორულმა შინაარსმა დონიოლოც კი დააეჭვა იმაში, რომ კონსტიტუანტს (ე. ი. დამფუძნებელ კრებას — მ. კ.) ჭეშმარიტად სურდა სენიორული გადასახადების გაუქმება“.[1]

1790 წლის მარტის დეკრეტის ამგვარი შეფასება შემთხვევითი არ ყოფილა და საკანონმდებლო კრების აგრარული კანონმდებლობისადმი გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია. მიუხედავად უამრავი სიძნელისა, მესაკუთრე გლეხობის რაოდენობა იზრდება და ეს იყო მთავარი.

„1790 წლის მარტის და მაისის დეკრეტები ძირითადად განსაზღვრავდა დამფუძნებელი კრების კანონმდებლობა სენიორული უფლებების საკითხში. დამფუძნებელი კრების ყველა დანარჩენი დეკრეტები არის ამ დეკრეტების უბრალო დამატება, რომელიც ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება: გლეხობისაგან მოითხოვენ დაემორჩილონ რეალურ უფლებებს, მის გამოსყიდვამდე და ამავე დროს გლეხობის დამშვიდების მიზნით გაკეთებული იქნა ზოგიერთი დათმობები“.[2]

ვფიქრობთ, ინტერესსმოკლებული არ იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო საკითხის ისტორიოგრაფიაზე. როგორ აფასებდნენ ისტორიკოსები 1790 წლის მარტის დეკრეტს. მით უმეტეს ამ საკითხში ისტორიკოსთა შორის ერთსულოვნება არ სუფევს. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს და ის კიდევ უფრო მეტად მოიგებდა.

---

[1] მ. მურადოვი (ეფრემიძე), სენიორული გადასახადების მოსპობის საკითხი... გვ. 134, 1790 წლის მარტის დეკრეტზე; Жорес Ж., Социалистическая революция т. 2, М., 1978. გვ. 10-16; Кропоткин П., Великая Французская революция 1789-1793 гг., გვ. 153-169; Кареев Н., Крестьяне и крестьянский вопрос во Франции... გვ. 423-454.

[2] Мурадов М., Аграрное законодательство... გვ. 14.

და ბოლოს, დისერტანტი ეხება ორ აქტუალურ საკითხს. დამფუძნებელი კრების აგრარულ კანონმდებლობას სათემო მიწების განაწილებისა და სათემო სერვიტუტების საკითხში.

თავდაპირველად დამფუძნებელმა კრებამ 1789 წლის 11 დეკემბრის დეკრეტით უფლება არ მისცა გლეხებს გადაეჭრათ სათემო მიწების განაწილების საკითხი რევოლუციური გზით, ხოლო შემდეგ 1790 წლის 15 მაისის დეკრეტის მიხედვით მფარველობის კალთა გადააფარა სათემო მიწების ყველა უზურპატორს. კიდევ უფრო მეტიც, 1791 წლის 13 აპრილის კანონით დამფუძნებელმა კრებამ პრაქტიკულად დააკანონა სათემო მიწების მიტაცების ყველა ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1789 წლის 4 აგვისტოს დეკრეტამდე.[1]

დისერტანტი დამფუძნებელი კრების პოლიტიკას სათემო მიწების განაწილების საქმეში იმით ხსნის, რომ „სათემო მიწების მოტაცებით დაინტერესებული იყვნენ, არა მხოლოდ სენიორები, არამედ მდიდარი, შეძლებული ფენაც. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ უზურპირებული სათემო მიწების დაბრუნება თემისათვის უშუალოდ ემუქრებოდა ამ სოციალური წრეების ინტერესებს.[2]

დისერტანტი ვრცლად ჩერდება სათემო სერვიტუტების გაუქმების საკითხზე. იგი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ ძირითადად სამი სახის სერვიტუტი იყო: 1. საქონლის ძოვის უფლება, 2. საქონლის გარეკვის უფლება, 3. თავთავის შეგროვების უფლება.[3]

სრულიად განსხვავებული პოზიცია ეკავა დამფუძნებელ კრებას სათემო სერვიტუტების გაუქმების საკითხში. 1791 წლის 28 სექტემბრის დეკრეტის თანახმად სათემო სერვიტუტები ლიკვიდირებულ იქნა, რაც, ქართველი მკვლევარის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ეს არ ბღალავდა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს.[4]

---

1 Мурадов М., Аграрное законодательство ... გვ. 14-15.
2 იქვე, გვ. 15.
3 მ. მურადოვი, დამფუძნებელი კრების აგრარული... გვ. 178-204.
4 Мурадов М., Аграрное законодательство ... გვ. 15.

დისერტანტი გამოდის ვ. ი. ლენინის დებულებიდან და აღნიშნავს, რომ არსებობდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ორი გზა: რეფორმების გზით მისი გაჯანსაღება და რევოლუციური გარდაქმნა. ავტორი კარგად შენიშნავს, რომ დამფუძნებელმა კრებამ აირჩია რეფორმების გზით სიარული. კურსი აიღო ფეოდალიზმის თანდათან, ნელ-ნელა ლიკვიდაციისაკენ.[1] დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობისადმი ქართველი ისტორიკოსის სკეპტიკური დამოკიდებულების გასაღებიც სწორედ აქ ძევს. დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფია რეფორმებს, განვითარების ევოლუციურ გზას, მეტად ალმაცერად უყურებდა, რომელიც თურმე ჩამოაშორებდა ხალხის ყურადღებას მთავარისაგან — რევოლუციური ბრძოლისგან. ცხადია, რეფორმების მომხრე დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებულობა საბჭოთა იდეოლოგიისათვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს თვალსაზრისი ძალით მოახვია თავს ისტორიოგრაფიას. ისტორიკოსები, მათ შორის ქართველი მკვლევარები, იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ გაბატონებული იდეოლოგიის დიქტატისათვის. ეს ტოტალიტარულ სახელმწიფოში ჩვეულებრივი ამბავია.

კერძო საკუთრების პრინციპის დაცვის გამო, საკანონმდებლო კრების აგრარული კანონმდებლობის კლასობრივ შეზღუდულობაზე საუბარი, საბჭოთა იდეოლოგიის საყვარელი არგუმენტია, მაგრამ მას დღეს აშკარად ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაჰკრავს. მაშინ ისტორიკოსებს სხვა არჩევანი არ ჰქონდათ.

დისერტანტის დასკვნა ასეთია „დამფუძნებელმა კრებამ ვერ გადაჭრა სენიორული გადასახადების მოსპობის საკითხი, ამ საკითხის გადაჭრა შესძლო მხოლოდ იაკობინთა კონვენტმა".[2] ეს შეხედულება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო.

---

[1] იქვე.

[2] Мурадов М., Аграрное законадательство ... გვ. 16. მ. მურადოვი (ეფრემიძე), სენიორული გადასახადების მოსპობის საკითხი საფრანგეთში ... გვ. 135; მ. მურადოვი, დამფუძნებელი კრების აგრარული ... გვ. 224-228.

აგრარული პრობლემის რევოლუციური გზით გადაწყვეტა პანაცეა არაა და უცილობლად მის პროგრესულობას არ ნიშნავს.

ამრიგად, ალ. ნამორაძის კიდევ ერთმა მოწაფემ მირიან მურადოვმა (ეფრემიძემ) შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლის საქმეში. მან დაწერა სოლიდური მეცნიერული ნაშრომი საკანონმდებლო კრების აგრარულ კანონმდებლობაზე, რომელიც ემყარება წყაროების და საკვლევი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას. დისერტანტი ამჟღავნებს ამ რთულ საკითხში ჩახედულობას და ცდილობს დაეუფლოს მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ვფიქრობთ, შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ ამ სფეროში ქართველი ისტორიკოსების აქტიურობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და მას გამოეხმაურა ცნობილი ისტორიკოსი ო. ვაინშტაინი. თავის ნაშრომში „საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესნავლა საბჭოთა კავშირში" ის ხაზს უსვამს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლის საქმეში ქართველი ისტორიკოსების, პირველ რიგში კი, ალ. ნამორაძის და მისი მოწაფის მირიან ეფრემიძის წვლილს.[1] ასეთი შეფასება ქართული ისტორიოგრაფიისათვის განსაკუთრებით ფასეულია და ამ სფეროში მათი მოღვაწეობის საკავშირო, დღევანდელი გადასახედიდან კი საერთაშორისო აღიარებად მიგვაჩნია. ეს შეხედულება ამ სფეროში ბატონ მირიანის საქმიანობის თავისებური რეზიუმეა.

* * *

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ საკითხს გაკვრით ეხებოდა ალ. ნამორაძის კიდევ ერთი მოწაფე კოტე ანთაძე თავის საკანდიდატო დისერტაციაში 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1955 წელს, რომლის

---

[1] Вайнштаин О., Изучение Французской революции в СССР — Французский Ежегодник 1958, М., 1959, გვ. 499.

შემოკლებული ვარიანტი 1978 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა „ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან“.

ქართველმა ისტორიკოსებმა გულდასმით შეისწავლეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის პირველი ტალღა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მეორე ტალღას, საკანონმდებლო კრების აგვისტოს დეკრეტებს, 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების განხილვის დროს შეეხო კოტე ანთაძე, თუმცა ის არ განიხილავს ამ თემაზე, სხვა ავტორების აზრებს და არ განიხილავს როგორ ხორციელდებოდა ცხოვრებაში 1792 წლის აგვისტოს დეკრეტები.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს კანონმდებლობა იყო საკანონმდებლო კრების გამოხმაურება 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე. მან მკვეთრად შეიცვალა პოზიცია, შეეშვა ყოყმანს და ასე განსაჯეთ, შედარებით რადიკალური შინაარსი მისცა აგრარულ კანონებს, რომ მკვეთრად გასცილდა ამ სფეროში ჟირონდისტების სურვილებს.

1792 წლის 14 აგვისტოს დეპუტატი ფრანსუა ნევშატო საკანონმდებლო კრებაში შევიდა წინადადებით, რომ ეროვნული ქონების ნვრილი ნაკვეთები, სულ 2–4 არპანი, წლიური რენტის ფასად გადაეცათ გლეხებისათვის უვადო მფლობელობაში. ეს იყო სერიოზულად წინგადადგმული ნაბიჯი. თუ ადრე ეროვნული ქონების, ძირითადად, კონფისკაციაქმნილი მიწების გაყიდვა ხდებოდა დიდი ნაკვეთების საჯაროდ გაყიდვით და უმთავრესად მოგება მოჰქონდა შეძლებული, ბობოლა გლეხობისათვის, ახლა ამ საქმეში ჩაბმული იქნებოდა საშუალო და ღარიბი გლეხობა. ამიტომ 1792 წლის 14 აგვისტოს დეკრეტისადმი პ. კროპოტკინის სკეპტიკური დამოკიდებულება საკამათო ჩანს.[1] ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა ავტორს პოლემიკა გაემართა პ. კროპოტკინთან. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ

[1] Кропоткин П., Великая французская революция 1789-1793 гг., М., 1979, გვ. 219.

თემაზე მის მსჯელობას და მას პოლემიკურ მუხტს შესძენდა, თუმცა, შესაძლოა, ასეთ მიზანს ავტორი არ ისახავდა.

20 აგვისტოს დეკრეტის თანახმად, საფრანგეთის გლეხობა უფლებამოსილი შეიქმნა თანდათანობით, ნელ-ნელა დაეხსნა თავი ჯერ ისევ შემორჩენილი ფეოდალური ვალდებულებებისაგან. ახლა გლეხს უფლება ჰქონდა ინდივიდუალურად გათავისუფლებულიყო.

მეტად დიდი მნიშვნელობის იყო 25 აგვისტოს დეკრეტი. მან არსებითად წერტილი დაუსვა ყველაზე უფრო მთავარ სენიორულ პრეროგატივას, რომლის მიხედვით „არ არსებობს მინა უსენიოროდ". საფრანგეთში ფეოდალურ ვალდებულებათა უმრავლესობა პრაქტიკულად უსასყიდლოდ იქნა გაუქმებული. ამიერიდან მხოლოდ იმ სენიორებს ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ გამოსასყიდი გლეხობისაგან რომელიმე ვალდებულების გაუქმებისათვის, რომლებიც დოკუმენტურად დაამტკიცებდნენ, რომ ეს უფლებები მათი კუთვნილება იყო. ამის დამტკიცება კი, ცხადია, ადვილი საქმე არ იქნებოდა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა იჯარა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საკანონმდებლო კრება გამოექომაგა მესაკუთრე ბურჟუაზიის და ბობოლა გლეხობის ინტერესებს, რომელიც იჯარით აძლევდა მიწას გლეხს.

28 აგვისტოს დეკრეტი აუქმებდა ტრიაჟს. გლეხობის საკუთრებაში გადავიდა სენიორთა მიერ მიტაცებული მიწები, თუ სენიორი ვერ მოახერხებდა დოკუმენტურად, ან 40 წლის ხანდაზმულობის ფაქტით დაემტკიცებინა თავისი უფლება ამ მიწაზე.

და ბოლოს, 2 სექტემბერს საკანონმდებლო კრებამ ფრანსუა ნევშატოს წინადადების საფუძველზე მიიღო დეკრეტი, რომელიც მკვეთრად ზრდიდა წვრილ მესაკუთრეთა რიცხვს. საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო კრების ეს ნაბიჯი იმდენად რადიკალური აღმოჩნდა, რომ აშკარად სცილდებოდა ჟირონდისტების აგრარული პოლიტიკის ჩარჩოებს და როგორც კი დაძაბული პოლიტიკური ატმოსფერო ცოტა მაინც ჩაცხრა ეს კანონები შეჩერებულ იქნა.

აგვისტოს დეკრეტების მიღება უმთავრესად ორი გარემოებით იყო განპირობებული: საგარეო მტერზე გამარჯვების იმედით. ჟირონდისტები ფიქრობდნენ, რომ თუ ისინი აგრარულ რეფორმას გაატარებდნენ გლეხობას კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებდ-

ნენ რევოლუციის ბედთან. მეორე ფაქტორი, რომელიც საკანონმდებლო კრებას ამ ნაბიჯისაკენ უბიძგებდა, იყო იაკობინური პარიზის კომუნა, რომელიც გამოხატავდა დემოკრატიული წრეების ინტერესებს.[1]

ქართველი ისტორიკოსი ხან 10 აგვისტოს რევოლუციაზე, ხან კი 10 აგვისტოს გადატრიალებაზე საუბრობს და როგორც საკანდიდატო დისერტაციის სათაურიდან ჩანს, უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ ეს იყო 1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუცია. ორივე ტერმინი გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ალფონს ოლარი თავის დიდტანიან წიგნში „საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკური ისტორია" საუბრობს 10 აგვისტოს რევოლუციაზე.[2] სხვა ისტორიკოსები მას 10 აგვისტოს გადატრიალებას უწოდებენ. საკითხი მხოლოდ ტერმინოლოგიას რომ ეხებოდეს, მას არც კი წამოვჭრიდით, მაგრამ მას ამავე დროს დიდი შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება.

რევოლუციის განვითარება, სხვადასხვა საფეხურებზე გადასვლა ხდებოდა, ახალი რევოლუციის თუ გადატრიალების გზით. საფრანგეთის დიდი რევოლუცია ერთიანი რევოლუციური პროცესია, თუ მის შიგნით ადგილი ჰქონდა კიდევ რამდენიმე დამოუკიდებელ, ავტონომიურ რევოლუციას.

10 აგვისტოს გადატრიალება იყო მნიშვნელოვანი მიჯნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შიგნით და არა ცალკე რევოლუცია. ამიტომ, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა გვეთქვა 10 აგვისტოს გადატრიალება. რევოლუცია უკვე დაწყებულია, მიმდინარეობს. ეს არ ყოფილა ცალკე რევოლუცია, რევოლუციის შიგნით.

ამრიგად, კ. ანთაძის ნაშრომში საინტერესოდაა განხილული 1792 წლის აგვისტოს აგრარული დეკრეტები.

50-იანი წლების შუა ხანებიდან ქართველი ისტორიკოსების დაინტერესება საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული

---

[1] კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 174-176.

[2] Олар А., Политическая история Французской революции, 1789-1804 гг., М., 1938, გვ. 154.

კანონმდებლობისადმი მკვეთრად კლებულობს. ამგვარი მეტამორფოზი შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უმთავრესად ორი გარემოებით შეიძლება ავხსნათ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 1958 წელს გარდაიცვალა პროფ. ალ. ნამორაძე, რომელიც ამ თემის დამუშავების მთავარი ინიციატორი იყო. მეორეც, უეჭველად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პრობლემამ ქართველი ისტორიკოსების თვალში დაკარგა უწინდელი აქტუალობა და საბჭოთა კავშირში აგრარული საკითხი გადაჭრილ იქნა ი. სტალინის მიერ ძალისმიერი გზით. ამიერიდან საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ გაბატონდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მარქსისტულ-ლენინური სქემა, რომლის შემუშავების საქმეში „ლომის წილი" მიუძღვის ვ. ლენინს და განსაკუთრებით, ი. სტალინს. ამგვარი მიდგომისათვის ნიშანდობლივი იყო დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარულური კანონმდებლობისადმი გულგრილი დამოკიდებულება და იაკობინთა აგრარული პოლიტიკის გაიდიალება. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და უპირატესად იმით აიხსნებოდა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია გმობდა საფრანგეთის აგრარული განვითარების ევოლუციურ გზას და აღიარებდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნის რევოლუციურ, მყისიერ მეთოდებს. ეს თვალსაზრისი კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის განწყობილებას და სულაც არ წარმოადგენდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას, როგორც ამას საბჭოთა ბელადები ირწმუნებოდნენ. ამ ორი გზიდან რომელია უმჯობესი, დამოკიდებულია კონკრეტულ ისტორიულ გარემოზე.

საბჭოთა, ორთოდოქსულ-ბოლშევიკური მიდგომისათვის უცხო და მიუღებელი იყო ისტორიაზე მრავალვარიანტული შეხედულება. ბელადების მიერ შეიქმნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის სქემა და ეს რთული პრობლემაც ამ ჩარჩოებში ჩატენეს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის საბჭოური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი მთავარი შტრიხი იყო „იაკობინოცენტრიზმი".

ამგვარი მიდგომის ნათელი ილუსტრაციაა საბჭოთა პერიოდის საშუალო სკოლის სახელმძღვანელო. ა. ეფიმოვის ახალი ისტორიის მერვე კლასის სახელმძღვანელოში სასხვათაშორისოდაა აღნიშნული 1789 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობა და ხოტბას ასხამს იაკობინთა აგრარულ პოლიტიკას. „ის რაც არ განახორციელა მსხვილმა ბურჟუაზიამ, რომელსაც ძალაუფლება ეპყრა ოთხ წელიწადს, ის რისთვისაც ასე დიდხანს იბრძოდნენ გლეხები, განახორციელეს იაკობინელებმა, როგორც კი ხელისუფლება მოიპოვეს“.[1] ანალოგიური შეფასებაა მოცემული აკად. ალ. ნაროჩნიცკის რედაქციით გამოცემულ მეცხრე კლასის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოში. „იაკობინელთა დიქტატურამ საბოლოოდ გააუქმა ფეოდალური წესები სოფლად და გადაწყვიტა XVIII საუკუნის საფრანგეთის რევოლუციის ძირითადი საკითხი — გლეხთა განმგებლობაში მყოფ მიწაზე ფეოდალური საკუთრების ლიკვიდაციის შესახებ“.[2] სინამდვილე კი, ცხადია, ასეთი მარტივი არ ყოფილა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა განიხილებოდა ცალმხრივად, სწორხაზოვნად კლასობრივი თვალთახედვით.

* * *

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასრულდა ერთი საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია და ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომას მწვანე შუქი მიეცა. საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ისტორიის მთელი რიგი პრობლემების საბჭოური შეფასების გადასინჯვის აუცილებლობა.

„შენიშვნებში სახელმძღვანელოების და ისტორიის სწავლების შესახებ“ ი. სტალინმა დააკანონა ტერმინი „XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია“. და ამის შემდეგ ის

---

[1] ა. ეფიმოვი, ახალი ისტორია, თბ., 1970 წ., გვ. 108.

[2] ახალი ისტორია, ალ. ნაროჩნიცკის რედაქციით, თბ., 1998, გვ. 83.

ფართოდ დამკვიდრდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.[1] ისტორიკოსები, მათ შორის, ცხადია, ქართველი ისტორიკოსებიც, იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ გაბატონებული იდეოლოგიის დიქტატს. ეს ტერმინი ფრანგი ისტორიკოსების დიდ უკმაყოფილებას იწვევს და მათ მიაჩნიათ, რომ იგი აკნინებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას. ეს ვიწრო კლასობრივი მიდგომა ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ფრიად სიმპტომატურია, რომ როგორც კი ქართულ ისტორიოგრაფიას მიეცა საშუალება გამოესწორებინა ეს ხარვეზი მან შეძლო ამის გაკეთება. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ახალი სასკოლო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები.[2]

ბუნებრივია, რომ სერიოზული ცვლილება განიცადა ქართველი ისტორიკოსების დამოკიდებულებამ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობისადმი. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენს ახალი სასკოლო სახელმძღვანელო, სადაც შეეცადნენ დაეძლიათ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის განხილვის დროს საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის ნიშანდობლივი კლასობრივი მიდგომა და იაკობინოცენტრიზმი, წინა პლანზე წამოწეული, დამფუძნებელი კრების 1789 წლის აგვიტოს დეკრეტების პოზიტიური მნიშვნელობა.[3]

---

1 "Французская буржуазная революция, под. ред. Волнина и Тарле, М., 1941, Манфред А., Великая французская буржуазная революция, М., 1955.

2 ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასი, თბ., 1992; კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, თბ., 2001; ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია (1640-1815), ნაწ. 2, თბ., 1999; კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005; დ. ლომსაძე, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1998.

3 ნ. მამუკელაშვილი, დასახ. ნაშრ., თბ., 1992, კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, დასახ. ნაშრ., თბ., 2003.

ამ კარგი ტრადიციის გაგრძელებად გვევლინება სამეცნიერო ლიტერატურა და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები. საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის საბჭოური შეფასების გადასინჯვის ცდაა მ. კალანდაძის მონოგრაფია „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში". ხაზგასმულია, რომ აგრარულ საკითხს იაკობინები მიუდგნენ ძალიან პრაგმატულად, კონიუნქტურულად და ამან მათ მართლაც მოუტანა დროებითი წარმატება. ფრანგი გლეხი ჩააყენეს სამშობლოსა და მამულის დამცველთა რიგებში, მაგრამ ამ გზით აგრარული საკითხის გადაწყვეტის პერსპექტივა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა.[1] აგრარული საკითხის რევოლუციური გზით გადაწყვეტა პანაცეა არაა და უცილობლად როდი ნიშნავს მის პროგრესულობას. ასეთი მიდგომა გვხვდება კ. ანთაძის და მ. კალანდაძის სახელმძღვანელოში „საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია".[2]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობას ეხება ვაჟა თვალავაძე თავის სახელმძღვანელოში „ახალი ისტორია", სადაც მოკლედ განიხილავს დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების აგრარულ კანონმდებლობას, ხაზს უსვამს იმ წინგადადგმულ ნაბიჯს, რომელსაც წარმოადგენდა საკანონმდებლო კრების აგრარული პოლიტიკა, რომელმაც ფრანგ გლეხს მნიშვნელოვანი შეღავათები მისცა. საბოლოოდ კი აგრარული საკითხი გადაწყვიტეს იაკობინებმა, რომელმაც 1793 წლის 17 ივლისის დეკრეტის თანახმად გააუქმა ფეოდალური გადასახადები და ვალდებულებები.[3]

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობას ყურადღება ექცევა ისტორიკოს დავით ლომსაძის სახელმძღვ-

---

[1] მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1998, გვ. 196. (ეს მონაკვეთი მთლიანადაა შესული ნინამდებარე წიგნში, იხ. მეორე კარი).

[2] კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ.

[3] ვ. თვალავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 148-149, 157-158.

ანელოში „ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია". თავდაპირველად ის ეხება 1789 წლის აგვისტოს დეკრეტებს და ხაზს უსვამს, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯი, გადადგმული ფეოდალური ვალდებულებების ლიკვიდაციის გზაზე. ბუნებრივია, სახელმძღვანელოს ავტორი მოკლედ ჩერდება იაკობინთა აგრარულ კანონმდებლობაზე და პირველ ყოვლისა მიუთითებს, რომ აგრარული საკითხის გადაჭრამ, გლეხის მიერ მიწის მიღებამ, ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანწილად უზრუნველყო წარმატება[1]. ვთქვათ, რომ თითქოს იაკობინელებმა „საბოლოოდ გადაწყვიტეს აგრარული საკითხი", ან იაკობინთა აგრარული ღონისძიებები „საფრანგეთის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის უმაღლესი სტადია იყო", გადაჭარბებულია და პირველ რიგში იაკობინოცენტრიზმის ექოდ გაისმის.

ამრიგად, 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა, ქართველმა ისტორიკოსებმა დაიწყეს ერთი მარქსისტული იდეოლოგიის ზეწოლისაგან განთავისუფლება და მათ შორის პირველი მოკრძალებული ნაბიჯი გადადგეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის საბჭოური შეფასებისგან განთავისუფლების გზაზე.

---

[1] დ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69, 79-80.

დ ა ს კ ვ ნ ა

სავსებით მართლზომიერია, რომ საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული პრობლემით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინეს XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, ბატონყმობის გადავარდნის დროიდან, როდესაც გაჩნდა ქართული პერიოდული პრესა, ჟურნალ-გაზეთები. შემდგომში მას გვერდში ამოუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ამ გატაცებას კიდევ უფრო მეტი გასაქანი მიეცა. ამ ინტერესს ქართული რეალობა ედო საფუძვლად, რაც, უნინარესად, საქართველოს აგრარული განვითარების ოპტიმალური, სასურველი, გზის მოძიებითაა მოტივირებული.

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის მონინავე წარმომადგენლები ამ თემას განიხილავდნენ გაკვრით საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან მიმართებაში. გამონაკლისს წარმოადგენდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც უფრო ვრცლად შეეხო ამ თემას. აღნიშნული საკითხის შესახებ ნიკო ნიკოლაძის სტატიები მეცნიერული პუბლიცისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული პრობლემით გატაცებას ახალი მძლავრი ბიძგი მისცა 1905-1907 წლების რევოლუციამ საქართველოში. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ამ თემით დაინტერესებული ქართული საზოგადოების წრე გაფართოვდა. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ პრობლემატიკას ყურადღება მიაპყრეს ქართველმა პოლიტიკოსებმა. ფედერალისტური პარტიის ნევრმა ვ. ლორთქიფანიძემ და სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღიარებულმა ლიდერმა ნოე ჟორდანიამ. მათთვის ეს არ იყო ძირითადი პრობლემა, მაგრამ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის გადმოცემის დროს ისინი, ბუნებრივია, გაკვრით ჩერდებოდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობაზე. ეს ნიგნები, ქართული პერიოდული პრესის შემდეგ, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ქართველ მკითხველს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე უფრო ფართო წარმოდგენას უქმნიდა.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის აგრარული საკითხის პოპულარიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურა. ამიტომ მისი შემეცნებითი დანიშნულების იგნორირება, უგულვებელყოფა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

საინტერესო ტრანსფორმაციას ჰქონდა ადგილი საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის განხილვის დროს დამოუკიდებელ საქართველოში. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ აღნიშნული თემა დამკვიდრდა ძირითადად სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომელიც ჰაერივით ესაჭიროებოდა სუვერენულ რესპუბლიკას. ეს სახელმძღვანელოები წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საფეხურს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული საკითხის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელის ივანე ჯავახიშვილისათვის ცხადი იყო, რომ უმაღლეს სკოლას აუცილებლად ჭირდებოდა მსოფლიო ისტორიის და მათ შორის, ცხადია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის სნავლებისა და კვლევის გაცილებით მაღალი დონე. მან დაუყოვნებლივ მოიწვია უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის კვალიფიცირებული სპეციალისტები ბ-ნ სიმონ ავალიანი და ბ-ნ გრ. ნათაძე. ეს იყო მეცნიერული გზა, მაგრამ საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა" საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა და 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საქართველოს სუვერენული რესპუბლიკა.

ივ. ჯავახიშვილის ეს ჩანაფიქრი, ისე როგორც მისი სხვა მრავალი წამოწყება, უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შედეგად, ბოლშევიკების ხელში, ნორმალური გზით ვეღარ განვითარდა. ამიერიდან აღნიშნული თემატიკის დამუშავებას ცალმხრივი ხასიათი მიეცა და დაექვემდებარა ერთი გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს. საკითხისადმი მრავალვარიანტული მიდგომა გამოირიცხა. განსხვავებული აზრი სასტიკად იდევნებოდა — თვით ფიზიკურ განადგურებამდე. საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ბოლშევიკებმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მარქსისტულ-ლენინური,

ორთოდოქსულ-ბოლშევიკური ინტერპრეტაცია ძალად მოახვიეს თავს ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელსაც მის წინააღმდეგ ხმის ამოღების არანაირი საშუალება არ გააჩნდა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს სულაც არ ნიშნავს იმას თითქოსდა ამ სფეროში საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში პოზიტიური არაფერი გაკეთებულიყოს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ აღნიშნულ საკითხში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების მუქი სათვალით ჭვრეტა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

თუ წმინდა კონცეპტუალური თვალსაზრისით საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის გააზრების საქმეში რაიმე პროგრესზე, წინსვლაზე, საუბარი, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა იდეოლოგია, მიუღებელი იქნებოდა. საკითხის ემპირულ, ფაქტოლოგიურ მხარეზე ამას ვერ ვიტყვით. აქ ნინგადადგმული ნაბიჯი აშკარად თვალშისაცემი ჩანს და ამაზე თვალის დახუჭვა, ნაყრუება, ვფიქრობთ, მართებული არ უნდა იყოს. ეს აღნიშნული საკითხის ადექვატურ სურათს ვერ დაგვიხატავს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული პრობლემატიკის მეცნიერული შესწავლის მესაძირკვლეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები გრიგოლ ნათაძე და მისი უმცროსი კოლეგა ალექსანდრე ნამორაძე იყვნენ.

გრ. ნათაძე ამ თემით ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაინტერესდა, როდესაც სწავლობდა კიევის და მოსკოვის უნივერსიტეტში. მან დაწერა საინტერესო ნაშრომი საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობაზე. მას რომ ეს ნაშრომი თავის დროზე გამოექვეყნებინა და აქტიურად არ ჩაბმულიყო პოლიტიკურ საქმიანობაში, მაშინ ის იქნებოდა ცნობილი რუსი ისტორიკოსის ივან ლუჩიცკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოწაფე, მაგრამ მან მეცნიერულ კარიერაზე უარი თქვა და ამ საკითხს მიუბრუნდა მოგვიანებით, როდესაც მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და განაახლა მეცნიერული საქმიანობა. ამიტომ მისმა ნაშრომმა დაკარგა თავისი მეცნიერული მნიშვნელობა, აქტუალობა. მიუხედავად ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის შესწავლის საქმეში პირველი ნაბიჯი

გრ. ნათაძემ გადადგა და სნორედ ამაში ვხედავთ ამ სფეროში მის დამსახურებას.

პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე თავისი უფროსი კოლეგის გრ. ნათაძის საქმის ღირსეულ გამგრძელებლად მოგვევლინა. იგი წლების მანძილზე გულმოდგინედ, დიდი რუდუნებით, აგროვებდა მასალებს ამ თემაზე. ფუნდამენტურად იკვლევდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სათემო მიწების განაწილების საკითხს. უნდა ვიფიქროთ, რომ მას აღნიშნულ პრობლემაზე სოლიდური მონოგრაფიის დაწერა ჰქონდა განზრახული. მან ამ თემაზე ექვსი ნაშრომის დაწერა მოასწრო, რომელთაგანაც მხოლოდ ორია გამოქვეყნებული. დანარჩენები არქივში მოვიძიეთ. ალ. ნამორაძის ეს ექვსი ნაშრომი თვით იმდროინდელ ფრანგულ ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებად დამუშავებული თემის შესწავლას ეძღვნება, ორიგინალურ ხასიათს ატარებს და ამ პრობლემატიკის დამუშავების საქმეში ახალ სიტყვად გვევლინება. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმატება იყო.

აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში ალ. ნამორაძის დამსახურება ამით არ ამოიწურება. ცხადია, აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ალ. ნამორაძის ძალისხმევით ამ პრობლემით მისი მოწაფეებიც დაინტერესდნენ და ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის შესნავლის საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს.

აქ საინტერესო სურათი იკვეთება. უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ალ. ნამორაძის მოწაფეების ერთი ჯგუფი საგანგებოდ სწავლობდა აღნიშნულ საკითხს. ალ. ნამორაძემ თავის მოწაფეებს სხვადასხვა ამოცანები დაუსახა, რომელსაც უნდა ითქვას, რომ მათ ნარმატებით გაართვეს თავი. ამის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ გ. კილურაძემ გააკეთა საინტერესო მოხსენება, ხოლო რ. სიკინჭალაშვილმა და მ. ეფრემიძემ დაწერეს საინტერესო ნაშრომი. მხოლოდ მ. ეფრემიძესთან მუშაობა მიიყვანა ბ-ნ ალექსანდრემ ბოლომდე და 1954 წელს მას ამ თემაზე საკანდიდატო დისერტაცია დააცვევინა, ხოლო გ. კილურაძე და რ. სიკინჭალაშვილი ამ თემას მეტად აღარ მიბრუნებიან. გ. კილურაძეს მისმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა პროფ. ალ. ნამორაძემ საკანდიდატო დისერტაციის თემად შეურჩია მიროკოს

პირველი კრიზისი, ხოლო რ. სიკინჭალაშვილს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიიდან ფრანსუა ნოელ ბაბეფი.

ალ. ნამორაძის მონაფეების მეორე ნანილი გაკვრით განიხილავდა საფრანგეთის რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობას. პირველ რიგში ეს ეხება კ. ანთაძის საკანდიდატო დისერტაციას 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე, სადაც ავტორი მსჯელობს 1792 წლის აგვისტოს აგრარულ კანონმდებლობაზე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარულ საკითხს გაკვრით ეხებოდა პროფ. გ. კიღურაძე თავის სადოქტორო დისერტაციაში — საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის ეპოქაში, მაგრამ ამ დროს ალ. ნამორაძე უკვე ცოცხალი აღარ იყო. სამწუხაროდ ის ვერ მოესწრო თავისი მონაფის ამ ბრწყინვალე მეცნიერულ გამარჯვებას, თუმცა მისი ნარმატების საქმეში გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლომის ნვლილი მიუძღვის, ამიტომ გივი კიღურაძე ყოველთვის ᲗᲑილად და სიყვარულით იხსენებდა თავის მასნავლებელს და მეცნიერ-ხელმძღვანელს.

1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლამ წერტილი დაუსვა ერთი მარქსისტული იდეოლოგიის დიქტატს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისუფლად ამოისუნთქა. ახლა მას საშუალება ჰქონდა საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად შეიქმნა ნანამძღვრები საფრანგეთის პირველი რევოლუციის აგრარული საკითხის მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნებისათვის. უპირველეს ყოვლისა უნდა გადაგვეხედა საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის მარქსისტული ინტერპრეტაციისათვის, Აუცილებლად უარი უნდა გვეთქვა აღნიშნული პრობლემის შეფასების საქმეში არსებულ მარქსისტულ სტერეოტიპებსა და შტამპებზე, განსაკუთრებით კი ფართოდ ფეხმოკიდებულ „იაკობინოცენტრიზმზე". ახალი ქართული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სტატიები ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად მიგვაჩნია. როგორც იტყვიან ყინული ადგილიდან დაიძრა. ეს კი ძალიან კარგია, წინგადადგმული ნაბიჯია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, გასაკეთებელი მაინც ჯერ კიდევ ბევრია.

საგამომცემლო ჯგუფი

დარეჯან მზარელუა
ლიკა სხირტლაძე
შორენა წიქარიშვილი